

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

675-9
1981/2

ენისა
და
ლიტერატურის
სერია

4. 1981

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე



ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ენისა და ლიტერატურის
სერია

СЕРИЯ

ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ



თბილისი
ТБИЛИСИ

4. 1981

ჟურნალი დაარსებულია 1971 წელს, გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал основан в 1971 году, выходит раз в 3 месяца

ხარედაქციო კოლეჯია: ალ. ბარამიძე (რედაქტორი),
თ. გამყრელიძე, ალ. გვახარია (მდივანი), ქ. ლომთათიძე, ე. მეტრეველი,
ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური (რედაქტორის მოადგილე)
პასუხისმგებელი მდივანი გ. ლლონტი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Барамидзе А. Г. (редактор),
Гамкრелидзе Т. В., Гвахария А. А. (секретарь), Дзидзигури Ш. В. (зам. редактора),
Ломтатидзе К. В., Метрели Е. П., Цайшвили С. С.
Ответственный секретарь Г. А. Глonti

© «საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შაცენე», ენისა და ლიტერატურის სერია,
1981, № 4.

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19 ტელ. 37-24-07
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19, телефон 37-24-07

გადაეცა წარმოებას 18.VIII.81; ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.IV.82; უე 05458;
ქალაქის ზომა 70×1087/16; მაღალი ბეჭდვა; ნაბეჭდი თაბახი 18.2; სააღრიცხვო-
საგამომცემლო თაბახი 14.9; ტირაჟი 1800; შეკვ. 2696; ფასი 1 მან.

გამომცემლობა «მეცნიერება», თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შ ი ნ ა პ რ ს ი

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის დაბადების 75 წლისთავი

ამხანაგ ე. ა. შვედარდნაძის სიტყვა დარბაზობაზე კრემლში 1981 წლის 19 დეკემბერს	5
ა. ხინთიბიძე, ქართული ლექსმცოდნეობა 60 წლის მანძილზე	6
პ. იაშვილი, მხატვრული თარგმანის თეორიის ზოგიერთი საკითხი.	18
ნ. მესხია, ქალთა სახეები აკაკი წერეთლის პოემაში	45
ს. ჟორდანიას, ვაჟა-ფშაველას პოეტური სემანტიკის ანალიზის ცდა	50
ი. მთვარელიძე, ვახტანგ მეექვსის სახე XVIII საუკუნის ქართულ პოეზიაში	62
გ. ავალიანი, სვანეთი რევოლუციამდე ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში	79
ბ. კილანავა, ბასილ და ვრიგოლის კულტი საქართველოში	87
მ. კეკელიძე, იურიდიულ ტერმინ „სისხლის“ შემცველი ერთი სტროფის გაგებისათვის „ვეფხისტყაოსანში“	106
ნ. მელიქიშვილი, სიტყვითწარმოება იოსებ ფლავიოსის თხზულების „იუდეველთა სიძველეთას“ ქართულ თარგმანში	110
მ. რაფაევა, ამონიოს ერმიასის თხზულებებში დადასტურებული გრამატიკული ხასიათის ცნობები	128
ა. შანიძე, უნებლობის კატეგორია, თუ უნებლობის ვნებით?	139
რ. კოშახიძე, რუსული ზმნებისა და სახელზმნების ეკვივალენტები ქართულ ფიზიკურ ტერმინოლოგიაში	144
გ. შალამბერიძე, ბასკურ კომპოზიტთა კლასიფიკაციისათვის	154
ს. პაზოვი, აბაზური ენის ზმნური ფრაზეოლოგიური ერთეულების სტრუქტურულ-გრამატიკული დახასიათება	160
ვ. კაცთიაშვილი, ქართული ლიტერატურული თემატიკა ჟურნალ „Kaukasische Post“-ის ფურცლებზე	171
ნ. ნახუცრიშვილი, პრეტერიტთან bi-პრეფიქსის ფუნქციის შესახებ კლასიკურ სპარსულში	178

მ ე ც ნ ი ე რ თ ა ი უ ბ ი ლ ე

ი. გიგინეიშვილი, გ. ბურჭულაძე, ქეთევან ლომთათიძე	188
თ. გამყრელიძე, ზ. კუშმბურაძე, თვალსაჩინო მეცნიერი, ორგანიზატორი	192

ქ რ ო ნ ი კ ა დ ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში	195
ა. ბარამიძე, ა. გვახარია, დევით კობიძის ხსოვნას	205
ჟურნალ „მაცნე“ ენისა და ლიტერატურის სერვისი 1981 წლის ნომრების შინაარსი	206

СОДЕРЖАНИЕ

К 75-летию со дня рождения Леонида Ильича Брежнева

Речь товарища Э. А. Шеварднадзе на приеме в Кремле 19 декабря 1981 года	5
А. Г. Хинтибидзе, Грузинское стиховедение в течение 60 лет	6
П. А. Яшвили, Некоторые вопросы теории художественного перевода	18
Н. П. Месхиа, Женские образы в поэмах А. Церетели	45
С. Д. Жордания, Опыт анализа поэтической семантики Важа Пшавела	50
И. М. Мтварелидзе, Образ Вахтанга VI в грузинской поэзии XVIII века	62
Г. А. Авалиани, Сванетия в дореволюционной грузинской литературе	79
Б. И. Киланава, Культ Василия и Григория в Грузии	87
М. М. Кекелиа, К пониманию слова «кровь» как юридического термина по одной строфе поэмы «Витязь в тигровой шкуре»	106
Н. Г. Меликишвили, Словообразование в грузинском переводе «Иудейских древностей» Иосифа Флавия	110
М. А. Рапава, Сведения грамматического характера из сочинений Аммония — сына Ермия	128
А. Г. Шанидзе, Категория невольности или пассив невольности?	139
Р. А. Комахидзе, Эквиваленты русских глаголов и отглагольных существительных в грузинской физической терминологии	144
Г. О. Шаламберидзе, К классификации баскских сложных слов	154
С. У. Пазов, Структурно-грамматическая характеристика глагольных фразеологических единиц абазинского языка	160
В. И. Кавташвили, Грузинская литературная тематика на страницах журнала «Kaukasische Post»	171
Н. Г. Нахуцишвили, О функции префикса bi- с формой претерита в классическом персидском	178

Юбилей ученых

И. Гигинейшвили, Г. Бурчуладзе, К. В. Ломтатидзе	188
Т. Гамкрелидзе, З. Чумбуридзе, Выдающийся ученый, организатор	192

Хроника и информация

В Комиссии по установлению академического текста поэмы Ш. Руставели «Витязь в барсовой шкуре»	195
А. Барамидзе, А. Гвахариа, Памяти Давида Кобидзе	205
Содержание номеров журнала «Мацне» («Известия») серия языка и литературы за 1981 г.	206



16890/1

ლეონიდ ილიას ქე ბრეჟნევის დაბადების 75 წლისთავი

აქსანაჲ ნ. ა. შუჰვაჩიძის სიტყვაჲ

დაბრავსოვბაჲ კრემლში 1981 წლის 19 დეკემბერს

ადამიანი, უწინარეს ყოვლისა, თავისი ერის შვილია.

მამულიშვილი — პიროვნებაა.

არიან ხალხნი და პიროვნებანი, რომლებსაც თვით ისტორია მოუხმობს გამორჩეული მისიისათვის.

რუსი ხალხი სოციალისტური ცივილიზაციის მედროშეა. ამის დასტურია ცხრაას ჩვიდმეტის ოქტომბერი და ორმოცდახუთის მაისი.

რუსი ხალხი ბუნებით რევოლუციონერია. ჩვენი დროის გამოჩენილი რევოლუციონერია ლეონიდ ილიას ქე ბრეჟნევი.

რუსი ხალხის გამჭირახი გონება, დიდბუნებოვნება, კეთილი გული — საყოველთაოდ ცნობილი ფენომენია. ლეონიდ ილიას ძის პიროვნება სიბრძნის განსახიერებაა, ჰუმანიზმის, ადამიანისადმი ნდობის ნიმუშია.

კაცობრიობამ შეიცნო რუსი ხალხის შემოქმედი სული, მისი გენია. ამხანაგი ბრეჟნევი, თავად დიდი შემოქმედი, მთელი პარტიის ცხოვრების ნორმად ამკვიდრებს შემოქმედებითს შემართებას.

რუსი ხალხის სულგრძელობის, სამართლიანობის, ჩაგრულთა ქომავობის, ერთგული მეგობრობის მაგალი-

თად მარტო რუსთა და ქართველთა 200-წლოვანი ქმობაც იკმარებდა. თავისი ცხოვრებით ლეონიდ ილიას ქემ თვით აღუმართა ძეგლი ინტერნაციონალიზმს, დემოკრატიზმსა და ხალხთა მეგობრობას.

რუსი ხალხი მრისხანე და მედგარია მტერთან ბრძოლაში. ლეონიდ ილიას ქე ბრეჟნევის არსება კლასობრივი ინტერესების ერთგულების საწყაოა, გმირობა და თავდადება.

ხალხები დიდ რუსეთთან ნებაყოფლობითს კავშირს იმიტომ ესწრაფოდნენ, რომ იწამეს სინათლეს, მშვიდობა და მომავალი. ბრეჟნევის ნათელი აზრი, მისი ტიტანური მოღვაწეობა მშვიდობისათვის იმედის ბურჯად უდგათ კეთილი ნების ადამიანებს.

ასე გახდა რუსი ხალხი უფროსი ძმა საბჭოთა მოძმე ხალხების ოჯახში. ასე გახდა ლეონიდ ილიას ქე — დიდი რუსი მამულიშვილი, ყველა ერის, მათ შორის ქართველთა სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი, ინტერნაციონალური დედასამშობლოს ნების გამომხატველი, მისი ბაირახტარი.

ხალხის შვილს, ძვირფას ლეონიდ ილიას ძეს, ბედნიერად დასდგომოდეს ახალი, მომავალი საუკუნე!

ქ. შარქისის საბ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკა
ბიბლიოთეკა

აპანი ხინთიბიძე

ქართული ლექსმცოდნეობა 60 წლის განძილზე

მამუკა ბარათაშვილის „ქაშნიკის“ 250 წლისთავი, რომელიც მიმდინარე წელს აღინიშნა, უწინარეს ყოვლისა, იმის მათწყებელია, რომ ქართულ ლექსმცოდნეობას საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე განვითარების გრძელი გზა ჰქონდა გავლილი. წარმოუდგენელიც იქნებოდა, რუსთველის ლექსს ჩვენს დრომდე თეორეტიკოსი არ გასჩენოდა.

ქართული ლექსის კვლევა-ძიებაში იმთავითვე დაისახა მისი მეცნიერული შესწავლის ძირითადი მიმართულებანი, რამაც გამოხატულება პოვა როგორც მამუკა ბარათაშვილის, ისე თეიმურაზისა და იოანე ბავრატიონების, კოტე დოდაშვილის, გრიგოლ ყიფშიძის, სერგი გორგაძის, ნიკო მარისა და სხვათა ნაშრომებში.

XX ს-ის 20-იანი წლებიდან ქართული ლექსმცოდნეობა განვითარების ახალ ფაზაში შევიდა. ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც ინტენსიურად ზრუნავდა მეცნიერებისა და კულტურის აღმავლობისათვის, არც ლექსის პრობლემათიკას ივიწყებდა. რესპუბლიკის პარტიული ორგანო გაზ. „კომუნისტი“ 1921 წლის 15 აპრილის ნომერში ბეჭდავს ტ. ტაბიძის სტატიას „კომუნდემია პოეზიის“, რომელშიაც წამოყენებულია მოთხოვნა შეიქმნას პოეზიის აკადემია, „სადაც გარჩეული იქნება ლექსის პრობლემები“, ხოლო პოეზიის აკადემიაში 1923 წელს წასაკითხი მოხსენებების სიაში შეტანილია „ქართული ლექსი“ (გაზ. „რუბიკონი“, 1923, № 1).

რევოლუციის პირველ წლებში ქართული ჟურნალ-გაზეთები ფართოდ აშუქებენ პოეტური ხელოვნების კონკრეტულ საკითხებს. სხვადასხვა ლიტერატურული დაჯგუფებანი თავიანთი კრედოს გადმოცემისას პოეზიის „ტექნიკური მიღწევებითაც“ ინტერესდებიან. ცხარე კამათია გაშლილი, კერძოდ, რითმის, სონეტის, თავისუფალი ლექსის თაობაზე (ი. გრიშაშვილი, ვ. გაფრინდაშვილი, ტ. ტაბიძე და სხვ.). ამ ინტერესმა მიიყვანა კონსტანტინე ჭიჭინაძე „ვეფხისტყაოსნის“ ალიტერაციის კვლევამდე. 1925 წელს რუსთაველის თეატრში მის მიერ წაკითხული მოხსენება „ალიტერაცია ქართულ შაირში და ვეფხისტყაოსნის პრობლემა“, რომელიც იმავე წელს ცალკე წიგნად გამოქვეყნდა, პირველი გაბედული სიტყვა იყო ამ სფეროში.

მაგრამ 20-იანი წლების განსაკუთრებული მონაპოვარია ქართული ლექსწყობის პირველი სისტემატური კურსის შექმნა, რომელიც სერგი გორგაძის სახელთანაა დაკავშირებული. 1928 წელს ს. გორგაძემ დაასრულა გამოკვლევა ქართული ლექსწყობის შესახებ, რომელიც მისივე „ქართული წყობილსიტყვაობის“ (1909 წ.) განვრცობისა და საფუძვლიანი გადამუშავების შედეგს წარმოადგენდა (გამოქვეყნდა 1930 წელს, ავტორის გარდაცვალების შემდეგ).

30-იანი წლებიდან ქართული ლექსის ინტენსიურ კვლევას იწყებს აკაკი გაწურელია, რომელიც დაბეჭდვისთანავე გამოეხმაურა ს. გორგაძის ზემოხსენებულ ნაშრომს. კვლევის ძირითად შედეგებს ავტორმა თავი მოუყარა მონოგრაფიაში „ქართული კლასიკური ლექსი“ (1953).

ლექსწყობის საკითხებით აღრევე დაინტერესდა პავლე ინგოროყვიანის რედ მას ჰქონდა დაეაღებული პოეზიის აკადემიაში მოხსენება ქართული ლექსის შესახებ. თავისი დაკვირვებანი ძველქართული (V—XI სს.) ლექსის სტრუქტურაზე პ. ინგოროყვიანს წარმოადგინა მონოგრაფიაში „გიორგი მერჩულე“ (1954 წ.).

რუსთველური დაბალი შაირის კვლევამ პანტელეიმონ ბერაძე ბერძნული დაქტილური ჰეგზამეტრის ქართული საწყისების აღიარებამდე მიიყვანა (1949 წ.).

ს. გორგაძისა და ა. გაწერელიას ნაშრომთა მსგავსად საეტაპო მნიშვნელობისა იყო გ. წერეთლის გამოკვლევა — „მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში“ (1973 წ.).

ქართული საბჭოური ლექსმცოდნეობის განვითარების გზაზე შეფერხებებიც იყო. 20-იანი წლების პოლემიკა პოეტური ფორმის საკითხებზე ფორმალზმის შიშით მალე მინელდა და შეწყდა. რაპული კრიტიკა და მისი გვიანდელარეციდივები, — სოციოლოგიზმის არტახებით შეზღუდული, — გასაქანს არ აღეკვდა პოეტური ხელოვნების შესახებ თავისუფალ მსჯელობას, მხატვრული კომპონენტების, ლექსის სტრუქტურის ელემენტების კვლევა-ძიებას.

50-იანი წლებიდან ა. გაწერელიას, პ. ინგოროყვიანს და სხვათა ნაშრომების გამოქვეყნების შემდეგ კვლავ გამოცოცხლდა ქართული ლექსმცოდნეობა. დაიწერა საგანგებო გამოკვლევები ახალი და უახლესი პოეზიის წარმომადგენელთა ვერსიფიკაციაზე, ლექსის ინტონაციაზე, გაჩნდა ზოგიერთი ახალი ასპექტი ლექსმცოდნეობით კვლევა-ძიებაში (ექსპერიმენტული ანალიზი).

გაიშალა ცხარე დისკუსია ქართული ლექსის ბუნებისა და ხასიათის შესახებ (გ. წერეთელი, ა. გაწერელია, გ. გაჩეჩილაძე, აკ. ხინთიბიძე, ტ. გულდავა, ა. სილაგაძე, რ. ბერიძე და სხვ.).

გარდა ზემოხსენებული მკვლევრებისა, ჩვენი ფილოლოგიური მეცნიერების არაერთ წარმომადგენელს აქვს შეტანილი თავისი წვლილი ქართული ვერსიფიკაციის კვლევის საქმეში (კ. კეკელიძე, ა. შანიძე, ს. ყაუხჩიშვილი, შ. ნუცუბიძე, ვ. ბერიძე, ა. ბარამიძე, დ. კობიძე, გ. იმედაშვილი, შ. დოლაჭიძე, გ. მიქაძე, ს. ცაიშვილი და სხვ.).

მრავალმხრივია საკითხთა წრე, რომელიც ამ 60 წლის განმავლობაში ჩვენი წყობილსიტყვაობის მკვლევართა ყურადღების ცენტრში იყო.

I. ლექსის სტრუქტურის საკითხები.

1. **მახვილი.** ლექსის ბუნების განსაზღვრისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს მახვილს. ქართული მახვილის შესახებ თავიანთი აზრი აქვთ გამოთქმული ენათმეცნიერებს: ნ. მარს, გ. ახვლედიანს, ა. ჩიჭობავას, გ. წერეთელს, ს. ელენტს, შ. ძიძიგურს, გ. როგავას, ტ. გულდავას, ი. თევდორაძეს და სხვ.

ქართული ენა იცნობს სიტყვათმახვილს, რიტმიკული ჯგუფის მახვილს, ფრაზის მახვილს. ქართული სიტყვათმახვილი სუსტიდინამიკურია (სხვა მოსაზრებით — ტონური ან ტონურ-დინამიკური). სიტყვის მახვილი ქართულში ფიქსირებულია, ერთსა და იმავე ადგილას მოუდის სიტყვას: ორ-სამმარცვლიანებს — თავში, ხოლო მრავალმარცვლიანებს — ბოლოდან მესამე მარცვალზე (სხვა მოსაზრებით — მახვილი ყოველთვის თავში მოუდის სიტყვას). მრავალმარცვლიან სიტყვებს ძირითად მახვილთან ერთად დამატებითი მახვილიც აქვთ.



აზრთა სხვადასხვაობა კიდევ უფრო მეკვეთრია ლექსის მახვილთან შირებით. ს. გორგაძე და ა. გაწერელია ქართული ლექსის სტრუქტურაში მახვილს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. ს. გორგაძეს ლოგიკური მახვილიც კი სალექსო მახვილის ფარგლებში შეაქვს. ა. გაწერელიას აზრით, ქართული სიტყვათმახვილი ნაწილობრივ მოძრავია. იცვლება სიტყვის სილაბურ ცვლილებასთან დაკავშირებით, ამავე დროს, ლექსში, მეტრული ინერციის წყალობით მახვილი ზოგჯერ გადაადგილდება კიდევ. მეტრის ზეგავლენითვე ხდება სუსტი სიტყვათმახვილის გაძლიერებაც.

ლექსში მახვილის მოძრაობაზე მიუთითებს პ. ბერაძე, რომლის აზრითაც ქართული ენა და ლექსი ჰრელმახვილიანია.

გ. წერეთლის მტკიცებით, ქართული მახვილი ფიქსირებულია. არც მისი გადაადგილება შეიძლება. ამასთან ერთად, იგი არა მხოლოდ სუსტია, არამედ მოკლებულია ფონოლოგიურ ღირებულებას, სიტყვის მნიშვნელობას არცვლის. ყოველივე ეს გამორიცხავს მის აქტიურობას ლექსში. ამავე აზრისანი არიან გ. გაჩეჩილაძე, ტ. გუდავა და სხვ.

2. **მეტრი და რიტმი.** მახვილის აქტიუზაცია ქართულში, ს. გორგაძის აზრით, მრავალნაირი სალექსო ტერფის წარმოქმნის საშუალებას იძლევა. ა. გაწერელია, ენის ფონეტიკურ შესაძლებლობათა გათვალისწინებით, მხოლოდ სამ ტერფზე შეჩერდა: ქორე, დაქტილი და მეორე პეონი (იშვიათად პირველი). ამ ტერფების კომბინაცია ქმნის სალექსო სტრიქონის სქემას, მაგრამ მხოლოდ პირობითად, რადგან ტერფი მეტრული სქემის ელემენტია, რეალური რიტმის თვალსაზრისით იგი ფიქციაა. ცოცხალი სალექსო მეტყველება უგულვებელყოფს სტრიქონის ტერფებად დაყოფას, რომელიც ანგარიშს არ უწევს სიტყვათა რეალურ საზღვრებს.

გ. წერეთლის აზრით, ქართული ლექსის მეტრი არის არა აბსტრაქტული ცნება, არამედ რეალური სიდიდე, რომელიც განიზომება მარცვალთა ოდენობით. სალექსო მუხლები მიჰყვებიან სტრიქონთა რიტმულ დინებას, მახვილი არ მონაწილეობს სეგმენტის (მუხლის) სტრუქტურაში, არ ქმნის სალექსო ტერფებს, არ ასრულებს რიტმული რეგულატორის როლს.

ლექსის რიტმულ ორგანიზაციაში მუხლებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებს ცეზურები, სიტყვათგამყოფები (აქ. ხინთიბიძე, ა. სილაგაძე).

ქართული მეტრიკის საკითხებზე თავიანთი აზრი აქვთ გამოთქმული აგრეთვე პ. ინგვროყვას, პ. ბერაძეს, გ. გაჩეჩილაძეს, ტ. გუდავას და სხვ.

3. **რითმა.** მდიდარია ქართული რითმის შესახებ არსებული ლიტერატურა. რითმა საფუძვლიანადაა განხილული ა. გაწერელიას მონოგრაფიაში. რითმის ცენტრალური ადგილი უჭირავს ს. გორგაძისა და გ. წერეთლის გამოკვლევებში. დაიწერა სპეციალური ნარკვევებიც — „რითმა ქართულ ლექსში“ (კ. ჰიჭინაძე), „რითმის ზოგიერთი საკითხი“, „ძველი და ახალი რითმა“ (აქ. ხინთიბიძე) და სხვ.

ქართული მწიგნობრული რითმა ხალხური წარმოშობისაა (პ. ინგვროყვა, ამასთან, გამორიცხული არ არის ბიზანტიური პოეზიის გავლენა (ა. გაწერელია). რომანტიკოსების ნაკლები რითმა რუსული რითმის თვალთ ათვისების შედეგი იყო (კ. ჰიჭინაძე, ა. გაწერელია). XX საუკუნის ათიანი წლებიდან დაიწერა რითმის რიტმულ-ეფფონიური „რეორგანიზაცია“, გაძლიერდა მისი სემანტიკური დატვირთვა (აქ. ხინთიბიძე).

აზრთა სხვადასხვაობის საგანია რითმის დეფინიცია. ქართული რითმის დაწესება მახვილიანი ხმოვნით, რითმისა და კლავულის გაიგივება ბოლოდროინდელი შეხედულებებით გაზიარებული არ იქნა.

გ. წერეთლის აზრით, ქართულ რითმას მახვილი არ აწარმოებს. რითმა აქუსტიკურად ერთი და იგივე ან მსგავსი სიტყვების შეწყობაა ლექსის მეტრული სქემის გათვალისწინებით (აკ. ხინთიბიძე). ქართული რითმის შესახებ თავიანთი შეხედულებანი აქვთ გამოთქმული ი. გრიშაშვილს, ვ. გაფრინდაშვილს, ა. აბაშელს, ი. იმნაიშვილს, ს. ცაიშვილს, ვ. გაბესკირიას, ა. მირცხულავას და სხვ.

4. **სტროფიკა.** ქართულ კლასიკურ ლექსში, გარდა იზომეტრულისა, დადასტურებულია ჰეტერომეტრული სტროფების არსებობა (ა. გაწერელია).

ტრადიციისგან განსხვავებით, ვაჟა-ფშაველას ლექსში შესამჩნევია მიდრეკილება ასტროფიისაკენ (პ. ბერაძე). თანამედროვე ლექსის მიხედვით დამუშავდა პოლიმეტრული სტროფის პრობლემა (რ. ბერიძე).

5. **ლექსის საზომი და სახეობა.** ძველქართული პოეზიის (V—XI სს.) სალექსო ფორმები განხილულია პ. ინგოროყვას მონოგრაფიაში „გიორგი მერჩულე“. ავტორი მიუთითებს სამ ძირითად საზომზე (სალექსო ფორმაზე): სილაბური მუხლედოვანი ლექსი, სილაბური უკვეთელი ლექსი და წყობილი სიტყვარიცხვედი.

ა. გაწერელიამ დაახასიათა კლასიკური, აღორძინების და გარდამავალი პერიოდების ქართული ლექსის საზომები — ოთხმარცვლედით დაწყებული და ოცმარცვლედით გათავებული (17, 18, 19-მარცვლიანი საზომები ავტორს ძველი ქართული ლექსისათვის შეუფერებლად მიაჩნია).

შესწავლილ იქნა ა. წერეთლის ლექსის საზომები და სახეობანი, აგრეთვე, თანამედროვე ლექსის საზომები, რომელშიაც იზოსილაბურობასთან ერთად ფართო ადგილი აქვს დათმობილი მარცვალმონაცვლეობას (აკ. ხინთიბიძე).

სპეციალური შესწავლის საგანია ძველქართულ ლექსთა სახეები. ფისტიკაურის შესახებ გამოკვლევა დაწერა ა. შანიძემ, ჩახრუხაულის შესახებ — ა. ბარამიძემ. „ქილილა და დამანას“ საბასეული რედაქციის სალექსო ფორმები შეისწავლეს ა. ბარამიძემ და მ. თოდუამ. ჩახრუხაული, ძაგნაკორული, შაირი, შერეული, რველი, მრჩობლელი, ლექსი და სხვ. საგანგებოდ განიხილა გ. მიქაძემ („ქართულ ლექსთა სახეები“).

არაერთი გამოკვლევა დაიწერა უცხოური ლექსის სახეებზე, რომლებიც ფეხმოკიდებულია ქართულში: მუხამაზი, მუსთაზადი, მაჯამა... (ა. ბარამიძე, დ. კობიძე), სონეტი (გ. მიქაძე, მ. კიკვაძე), ტერცინა (შ. რევიშვილი) და სხვ. ქართულ საგალობელთა პოეტიკას იკვლევენ: პ. ინგოროყვა, ე. მეტრეველი, გ. იმედაშვილი, ვ. ვეახარია და სხვ.

სულ რამდენიმე წლის ისტორია ჰქონდა ქართულ ვერლიბრს, როცა მის შესახებ წერილი დაიწერა (ვახ. „რუბიკონი“, 1923, № 9). დღეს, როცა იგი ფეხმოკიდებულია ჩვენს პოეზიაში, მწერალთა და კრიტიკოსთა ყურადღებით სარგებლობს, ზოგჯერ დისკუსიის საგანიც ხდება (შ. ნიშნაიძე, გ. ასათიანი, მ. წიკლაური, ჯ. ლენჯილია და სხვ.).

ქართული ლექსის საზომთა და სახეობათა სისტემური დალაგების ცდა მოცემულია ნაშრომში „ქართული ლექსის კლასიფიკაციისათვის“ (აკ. ხინთიბიძე).



6. **ცეზურა, გადატანა.** ცეზურის მნიშვნელობა ქართული ლექსის საზღვარგარეთ და თავის დროზე ყურადღება გამახვილებული იყო „ჰაშნიკში“ და კირიონისა და გრ. ყიფშიძის „სიტყვიერების თეორიაში“, შემდეგ საგანგებო შესწავლის საგნად იქცა. ცეზურასთან მიმართებაში დაზუსტდა გადატანის საკითხიც. გადატანის შესაძლებლობა იხსნება სტრიქონთა შორის ლოგიკურ-ემოციური პაუზების დროს (აქ. ხინთიბიძე). ამიტომ გადატანა არ იყო დამახასიათებელი ქართული ხალხური და კლასიკური პოეზიისათვის. მისი შემომტანი ჩვენში ნ. ბარათაშვილია (ა. გაწერელია). ამის შემდეგ გადატანამ მტკიცედ მოიკიდა ფეხი ქართულ ლექსში და იგი უცხო არ არის თვით ხალხური პოეზიით შთავონებული პოეტებისთვისაც კი (აქაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა).

7. **ეფფონია.** ქართული ლექსის ეფფონია პირველად კ. ჭიჭინაძემ აქცია სპეციალური დაკვირვების საგნად („ალიტერაცია ქართულ შაირში და ეფფონისტყაოსნის პრობლემა“, 1925). ავტორმა ცხადყო, რომ ალიტერაცია-ასონანსის სისტემის სახითაა მოცემული რუსთველის პოემაში. ნაშრომში „ეფფონისტყაოსნის“ ეფფონია განხილულია ქართული პოეზიის საერთო ფონზე.

50-იან წლებში დაძეხნილ იქნა ბგერათგანმეორების შემთხვევები ი. ჭავჭავაძისა და ი. გრიშაშვილის ლექსებში, რასაც მოჰყვა ა. წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას ბგერწერული ხელოვნების დეტალური ანალიზი (აქ. ხინთიბიძე). XX ს-ის ქართული პოეზიის მასალაზე თ. დოიაშვილმა დაწერა თეორიული ნაშრომი — „ლექსის ეფფონია“.

8. **ინტონაცია.** ლექსის ინტონაციის საკითხი დასმულია ა. გაწერელიას მონოგრაფიაში „ქართული კლასიკური ლექსი“. დაიწერა საგანგებო გამოკვლევაც „ლექსის ინტონაცია“, რომელშიაც ქართული პოეზიის ნიმუშებზე დაყრდნობით ინტონაცია დახასიათებულია, როგორც კომპლექსური ხასიათის მხატვრული მოვლენა (აქ. ხინთიბიძე).

9. **ხალხური ლექსწყობა.** ქართული ლიტერატურული და ხალხური ლექსწყობის პრინციპთა ერთიანობის გამო ლიტერატურული ლექსის მკვლევართ ხალხურ ლექსზეც აქვთ გამოთქმული თავიანთი შეხედულებანი (ნ. მარი, ს. გორგაძე, პ. ბერაძე, პ. ინგოროყვა). ხალხური ლექსწყობა სპეციალური დაკვირვების საგნადაც იქცა. ჯ. ბარდაველიძის წიგნში „ქართული ხალხური ლექსი“ (1979 წ.), ხალხური ლექსწყობის შესწავლის ისტორიის მიმოხილვის შემდეგ ცალ-ცალკეა გაანალიზებული ლექსის კომპონენტები. ავტორი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას ხალხური ვერსიფიკაციის ნიშანდობლივ მხარეებზე (რეფრენი, ლექსისა და სიმღერის ურთიერთობა, ანდაზებისა და შელოცვების ლექსწყობა).

შესწავლის საგანია მთიბლურთა პოეტიკა (ა. შანიძე, პ. ბერაძე, ე. ვირსალაძე, თ. ოჩიაური, ი. გოგოლაური, დ. გოგოჭური და სხვ.).

ხალხური ლექსის მასალაზე დაყრდნობით წარმოებს ქართველურ ენაა ლექსწყობის საკითხების კვლევა.

ჯერ კიდევ 1914 წელს ი. ყიფშიძე დაინტერესდა მეგრული ლექსწყობით. ტ. გულდავას გამოკვლევაში „მეგრული ლექსის სტრუქტურის საკითხები“ განხილულია ლექსის საზომი, მახვილი, რითმა, მარცვალთა მეტნაკლებობის, ორმაგი ხმოვნებისა თუ ხმოვნის გაუმარცვლოვნების საკითხი. მეგრული ლექსწყობა (ქართულის მსგავსად) მიჩნეულია სილბუტურ ლექსწყობად.

საყურადღებოა დ. წერდიანის „სვანური ლექსწყობის საკითხები“, რო-

მელშიაც სევანური ლექსის საზომები, სილაბური სისტემის კვალობაზე, ათებულია მარცვალთა რაოდენობრივი პრინციპის მიხედვით.

II. ქართული ლექსის ბუნება და მისი მკვლევარი. ქართული ლექსის ყოველი მკვლევარი როგორც ადრევე, ისე ჩვენს დროში თავს ვალდებულად თვლიდა აზრი გამოთქმვა ქართული ლექსის ბუნების თაობაზე, ლექსწყობის ცნობილ სისტემებში მისთვის გარკვეული ადგილი მიეკუთვნებინა.

ს. გორგაძემ ქართული ლექსი ტონურ-სილაბურად მიიჩნია, წინა პლანზე მისი ტონური ბუნება (მახვილიანობა) წამოსწია. ა. გაწერელიას აზრით, ქართული ლექსი სილაბურ-ტონურია. მარცვალთა ოდენობასთან ერთად ლექსის რიტმი ემყარება მახვილთა სისტემურ რიგს. ეს დებულება, რომელიც ვრცელა დაა გაშუქებული „ქართულ კლასიკურ ლექსში“, ავტორმა კიდევ უფრო ვაფართოვა „ვეფხისტყაოსნის პოეტის ზოგიერთ საკითხში“ (1974 წ.) და შემდგომი დრომდე გამოკვლევებში.

ქართული ლექსის სილაბურობის თეორიას მხარს უჭერს გ. გაჩეჩილაძე („ქართული ლექსი ინგლისურთან შეპირისპირებით“).

გ. წერეთლის ნაშრომში „მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში“ (1973 წ.) წამოყენებულია სეგმენტების თეორია, რომელიც ემყარება მარცვალთა ოდენობებს. ავტორის დასკვნით, „ვეფხისტყაოსნის“ ლექსი ძირითადად სილაბურობის პრინციპზეა აგებული. იგია რეგულირებული სილაბური ლექსი, რადგან ნახევარკარედები (ნახევარტაეები) სეგმენტებად იყოფა.

ა. ხინთიბიძის ნარკვევში „ქართული ლექსის ბუნებისათვის“ (1976 წ.) მოცემულია ცდა ქართული ლექსის სილაბურ-ტონური თეორიის უარყოფისა და წარმოდგენილია რამდენიმე პოზიტიური დასკვნა მისი სილაბურობის დასაცავად (ცეზურა, მუხლების აღმნიშვნელი ციფრობრივი სისტემა, ვერლობრში სილაბურობის პრინციპის დარღვევა და სხვ.).

ქართული ლექსის ბუნების თაობაზე თავიანთი აზრი აქვთ გამოთქმული ნ. მარს, პ. ბერაძეს, ა. ურუშაძეს, ტ. გულდავას, რ. ბერიძეს და სხვ.

ა. გაწერელიას მონოგრაფიაში ცალკე თავადაა გამოყოფილი ქართული ვერსიფიკაციის კვლევის ისტორია. ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დახასიათებული არიან ქართული ლექსის მკვლევარი. განხილულია, კერძოდ, მამუკა ბარათაშვილის „ქაშნიკი“, ე. ბოლხოვიტინოვის, ი. ბატონიშვილის, პ. იოსელიანის, დ. ჩუბინაშვილის, ლ. ისარლიშვილის, ნ. გულაკის, კ. დოდაშვილის შეხედულებანი ქართულ ლექსწყობაზე, ს. გორგაძის „ქართული წყობილსიტყაობა“ და „ქართული ლექსი“.

გ. შიქაძემ მონოგრაფიაში „მამუკა ბარათაშვილი“ სათანადო ადგილი დაუთმო „ქაშნიკის“ ანალიზს. „ქაშნიკზე“ თავიანთი აზრი აქვთ გამოთქმული კ. კეკელიძეს, ა. ბარამიძეს, გ. ჯიბლაძეს, ს. გაჩეჩილაძეს, ჯ. ჭუმბურიძეს, ჯ. ბარდაველიძეს, ა. ხინთიბიძეს (მხედველობაში არ მიგვიღია ა. ხახანაშვილისა და გ. ლეონიძის ადრინდელი გამოკვლევები).

გ. იმედაშვილმა შეისწავლა თეიმურაზ ბაგრატიონის პოეტოლოგიური ნაშრომი.

თ. დოდაშვილმა გამოაქვეყნა სტატია ს. გორგაძის შესახებ. დაიწერა გამოკვლევები კ. დოდაშვილის, გ. ყიფშიძის, კ. ჭიჭინაძისა და გ. წერეთლის ლექსმცოდნეობით ნაშრომებზე (ა. ხინთიბიძე).

ქართული ლექსის ადრინდელ მკვლევართა შეხედულებანი რეტროსპექტიულად განხილული აქვთ გ. წერეთელსა და გ. გაჩეჩილაძეს.

III. ზოგადი მეთოდოლოგია. კვლევის მეთოდები. ქართული ლექსის ვართა თეორიულ ნაშრომებში ყურადღების ცენტრში იყო ბრძოლა ფორმალისტური გადახრების წინააღმდეგ, აღწერითი პოეტიკის ბარიერის დაძლევა, სტრუქტურის ელემენტთა განხილვა სტრუქტურისაგან მოუწყვეტლად, შინაარსთან მიმართებაში, ნაწარმოების მთლიანი კონტექსტის გათვალისწინებით. მეთოდოლოგიურად სწორი, მარქსისტული პოზიციებიდან განიხილავენ ვერსიფიკაციის თეორიულ საკითხებს: გ. ჯიბლაძე, ა. გაწერელია, მ. კვესელავა, აკ. ხინთიბიძე, თ. დოიაშვილი და სხვ.

1. შედარებითი მეტრიკა. ქართული ვერსიფიკაციის შედარებითი ანალიზი ბერძნულ-ბიზანტიურ ლექსწყობასთან მიმართებით: დაიწყო (ს. ყაუხჩიშვილი, პ. ბერაძე, ა. ურუშაძე). რადგან დაქტილური წყობა ნიშანდობლივია ქართული ენის, ლექსისა და მუსიკისათვის, ხოლო დაქტილური პეგზამეტრი არ არის მიჩნეული საკუთრივ ბერძნულ საზომად, პ. ბერაძემ წამოაყენა მოსაზრება ბერძნული დაქტილური პეგზამეტრის ქართული საწყისების შესახებ („ძველი ბერძნული და ქართული ლექსთწყობის საკითხები“, 1969 წ.)

ანტიკურ და ქართულ ლექსწყობათა სისტემების შედარებითი დახასიათება მოცემულია ა. ურუშაძის წიგნში „ბერძნულ-რომაული და ქართული მეტრიკის საკითხები“ (1980 წ.).

გ. წერეთელმა მიუთითა ქართული და არაბული სალექსო ზომების შედარებითი შესწავლის აუცილებლობაზე („სემიტური ენები და მათი მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისათვის“, 1947 წ.). ქართული ლექსწყობის ინდოევროპულთან მიმართების საკითხია დასმული ამავე ავტორის ნაშრომში „მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში და შედარებითი ვერსიფიკაციის საკითხები“ (1973 წ.).

სპარსულ პოეტიკასთან მიმართების თვალსაზრისით აღსანიშნავია დ. კობიძის ვრცელი ნარკვევი „ქართული და სპარსული პოეტიკის ისტორიიდან“ (1960 წ.).

ა. გაწერელია ქართული ლექსწყობის ანალიზის დროს ხშირად მიმართავს პარალელებს რუსული მეტრიკიდან. სპეციალურად იქნა შესწავლილი ქართული რითმის როლი მაიაკოვსკის რითმის ფორმირებაში (აკ. ხინთიბიძე).

მხატვრული თარგმანის თეორიის ჩამოყალიბებისას ქართული ლექსწყობა ინგლისურთან შეპირისპირებით განიხილა გ. გაჩეჩილაძემ.

შედარებითი მეტრიკის საკითხებზე ნაშრომები აქვთ გამოქვეყნებული ა. გვახარიას, მ. თოდუას, ა. სილაგაძეს და სხვ.

ამასთან ერთად, ჩვენს აღმოსავლეთმცოდნეობითსა და კლასიკური ფილოლოგიის ცენტრებში სათანადო ყურადღება ეთმობა საკუთრივ ბერძნულ-ბიზანტიური (ს. ყაუხჩიშვილი, პ. ბერაძე, ა. ურუშაძე), სპარსული (დ. კობიძე, ვ. კოტეტიშვილი) და არაბული (გ. წერეთელი, ა. სილაგაძე) ლექსწყობის საკითხთა კვლევას.

2. ექსპერიმენტული ანალიზი. ლექსის რიტმისა და პროსოდის ექსპერიმენტული კვლევა საქართველოში 50-იანი წლებიდან დაიწყო. ფსიქოლოგი დ. რამიშვილი ცდისპირებს დავალებას აძლევს „ვეფხისტყაოსნის“ მაღალი და დაბალი შაირის სტროფებში განსახიერებელი შინაარსობრივი პლასტების ექსპერიმენტული ბუნების ნათესაყოფად.

შემდეგ კვლევა-ძიებამ ლექსის პროსოდის სფეროში გადაინაცვლა. საანალიზოდ შერჩეულ იქნა გ. ტაბიძის ლექსთა ოთხმარცვლიანი რიტმული ერთე-

ულეები, ა. წერეთლის მიერ წაკითხული „განთიადი“, „ვეფხისტყაოსნის“ „მერანის“ ცალკეული სტროფები. ანალიზმა დაადასტურა ს. გორგაძისა და ა. გაწერელიას აზრი თხზმარცვლიან ერთეულებში ორი საწყისი ხმოვნის ერთად მოხვედრის დროს მახვილის თავიკიდურ მარცვალზე გადანაცვლებისა, უარყო კ. ჭიჭინაძის შეხედულება მახვილიანი ხმოვნიდან რითმის დაწყების შესახებ, ცხადყო ა. წერეთლის „განთიადში“ მრავალმარცვლიანი (და მრავალსიტყვიანი) სამახვილო კომპლექსების არსებობა, არ დაადასტურა გავრცელებული თვალსაზრისი რიტმული იმპულსის გავლენით სალექსო სტრიქონებში მახვილთა გადაადგილების თაობაზე.

ექსპერიმენტული დაკვირვებანი, რომელიც ემყარებოდა როგორც აუდიტორთა ჩვენებებს, ისე ოსცილოგრაფის მონაცემებს, ჩატარდა თბილისის უნივერსიტეტისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტის ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიებში.

3. **სტატისტიკური მეთოდი.** სტატისტიკას ჯერ კიდევ 20-იან წლებში მიმართა კ. ჭიჭინაძემ „ვეფხისტყაოსანში“ ბგერათა მოწესრიგებული ჰარმონიის ჩვენებისათვის.

რიტმის სფეროში სტატისტიკური მეთოდის მომარკვებით იკვლევდნენ ვაჟა-ფშაველას „გოგოთურ და აფშინას“ (აკ. ხინთიბიძე), „ვეფხისტყაოსანს“ (გ. წერეთელი), გ. ტაბიძის შვიდმარცვლიან სახომებს.

გ. წერეთელმა სიტყვათა მარცვლობრივი განაწილების ცხრილებში მოაქცია რუსთველის მთელი პოემა. სამივე შემთხვევაში ხელმძღვანელობდნენ სილაბურობის პრინციპით.

4. **ფსიქოლოგიური კვლევა.** ქართველი ფსიქოლოგები დიდი ხანია ინტერესდებიან ლექსის პრობლემატიკით. დ. უზნაძე და ა. ავალიშვილი სათანადო დასკვნებს აკეთებენ ნ. ბარათაშვილისა და ა. წერეთლის პოეზიის ოპტიკური და აკუსტიკური მასალის შესწავლის საფუძველზე.

დ. უზნაძემ მიუთითა ედ. ზივერსის ქღერის ანალიზის თეორიის გამოყენების საჭიროებაზე ი. გრიშაშვილის პოეზიის რიტმისა და მელოდიის შესწავლისას.

განწყობის თეორიის მომარკვებით იკვლევენ ქართული ლექსწყობის საკითხებს ა. ვასაძე და თ. ლომიძე.

5. **ლექსმცოდნეობა და ტექსტოლოგია.** პოეტოლოგია გარკვეული პრივილეგიით სარგებლობს ტექსტოლოგიურ მუშაობაში. პოეტური ტექსტის დადგენისა და დათარღების დროს აუცილებელია ნაწარმოების ლექსწყობის, პოეტური ენისა და სტილის გათვალისწინება.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე მუშაობისას პოემის ლექსწყობაზე დაყრდნობით არაერთი მცდარი წაკითხვა გასწორდა.

ა. წერეთლის თხზულებათა გამომცემლები სათანადო ანგარიშს უწევენ პოეტის ვერსიფიკაციას, კერძოდ, რითმას. ს. გორგაძემ ლექსმცოდნის ინტუიციით გაასწორა „თორნიკე ერისთავის“ ერთი ჩავარდნილი რითმა (მოწამის—ქრისტიანობის). პოემაში „ალექსი“ ი. გრიშაშვილმა მიაგნო მექანიკურად გადასმულ სტრიქონებს, შიგნით შებნეული რითმები სტრიქონთა ბოლოს გამოიტანა და პოემას გართმევს ერთი პრინციპი შეუნარჩუნა. პ. ინგოროყვა აკაკის მიერ ჯვარდინი რითმის ქრონოლოგიაზე დაკვირვებით ადგენს პოეტის ზოგიერთი ლექსის თარიღს.

ა. წერეთლისა და გ. ტაბიძის თხზულებათა გამოცემებში დაშვებულ შეც-



დომათა დიდი ნაწილი ძირითადად ლექსწყობის გაუთვალისწინებლობის შედეგად
გია. პოეტური ენისა და ვერსიფიკაციის მოშველებით დაზუსტდა გ. ტაბიძის
ლექსთა ცალკეული თარიღები (აქ. ხინთიბიძე).

IV. პოეტური ოსტატობის საკითხები. განვითარების დიდი გზა, რომელიც
ქართულმა ლექსმა გაიარა წინაქრისტიანული ხანიდან დღევანდლამდე, რეტ-
როსპექტულად არის განხილული ბროშურაში „ქართული ლექსის განვითარე-
ბის გზა“ (აქ. ხინთიბიძე). დახასიათებულია ქართული ლექსის 4 ძირითადი რე-
ფორმა, რომლებიც რუსთაველის, გურამიშვილის, ბარათაშვილისა და გ. ტაბიძის
სახელებთან არის დაკავშირებული. წარმოჩენილია ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლისა
და ვაჟა-ფშაველას ლექსის ნოვატორული თვისებანი.

ყველაზე მეტი რუსთაველის ვერსიფიკაციაზეა დაწერილი: ა. გაწერელიას—
„რუსთაველის პოეტიკის საკითხები“ და „ვეფხისტყაოსნის პოეტიკის ზოგიერ-
თი საკითხი“, გ. წერეთლისა და კ. ჭიჭინაძის ზემოდასახელებული გამოკვლევე-
ბი, პ. ბერაძის — „დაბალი შაირის ბუნებისათვის ვეფხისტყაოსანში“ და „რუს-
თაველის ლექსის რიტმი“, ვუკოლ ბერაძის — „რუსთაველის შაირისათვის“ და
„შოთას პოეტიკისათვის“, ა. ბარამიძის — „ვეფხისტყაოსნის პოეტიკის საკი-
თხები“, ი. იმნაიშვილის „რუსთაველის რიტმა“, აქ. ხინთიბიძის — „შიდარითმა
ვეფხისტყაოსანში“ და სხვ.

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსწყობაზე თავიანთი აზრი აქვთ გამოთქმული: ს. ყა-
უხჩიშვილს, შ. ნუცუბიძეს, პ. ინგოროყვას, გ. ჯიბლაძეს, ს. კაკაბაძეს, ს. ცაი-
შვილს, შ. დოლაქიძეს, შ. ლლონტს, რ. ფირცხალაიშვილს და სხვ.

ამ ნაშრომებში განხილულია პოემის მეტრი, რიტმი, რითმა, ალიტერაცია-
ასონანსი და ვერსიფიკაციის სხვა საკითხები. „ვეფხისტყაოსანთან“ დაკავშირე-
ბით წამოაყენა გ. წერეთელმა „ოქროს კვეთის“ თეორია. ავტორის აზრით, პოე-
მის დაბალ შაირში რიტმული მონაკვეთების ურთიერთმიმართება ქმნის „ოქ-
როს კვეთის“ ცნობილ პროპორციას $3+5=8$.

რამდენიმე ნაშრომი დაიწერა ნ. ბარათაშვილის ვერსიფიკაციაზე: „ბარა-
თაშვილის პოეტიკა“ (კ. ჭიჭინაძე), „ნიეოლოზ ბარათაშვილის სტილი და თემა“
(ა. გაწერელია). აღსანიშნავია აგრეთვე გ. ჯიბლაძისა და გ. ასათიანის გამო-
კვლევები.

საგანგებო გამოკვლევები მიეძღვნა ი. ჭავჭავაძის ლირიკის მხატვრულ
ფორმას და ა. წერეთლის ლექსწყობას (აქ. ხინთიბიძე).

ავტორთა კოლექტივის მიერ (გ. კიკნაძე, ჯ. ჭუმბურიძე, ს. ხუციშვილი,
შ. აფრიდონიძე, ნ. აბესაძე, ლ. ავალიანი, აქ. ხინთიბიძე და სხვ.) დამუშავდა
ვაჟა-ფშაველას პოემების ვერსიფიკაცია.

ცალკე წიგნად გამოქვეყნდა ე. კვიციანიშვილის „ვაჟა-ფშაველას რითმა“.

აღსანიშნავია, რომ ვახტანგ კოტეტიშვილი „ქართული ლიტერატურის ის-
ტორიის“ სამტომეულში (XIX ს.) ცალკეულ პოეტთა შემოქმედების ანალიზს
ამთავრებს მოკლე ვერსიფიკაციული მიმოხილვებით.

არაერთი წერილი და გამოკვლევა მიეძღვნა გ. ტაბიძის ლექსწყობას. აღსა-
ნიშნავია, კერძოდ, „გალაკტიონ ტაბიძე და აღმოსავლური ლექსწყობის საკი-
თხები“ (დ. კობიძე), „თანამედროვე ქართული პოეტიკის ფუძემდებელი“. „გ.
ტაბიძის რითმა თორმეტტომეულში“ (აქ. ხინთიბიძე) და სხვ. გ. ტაბიძის პოე-
ტიკას სხვადასხვა კუთხით ეხებიან ა. გაწერელია, მ. კვესელავა, გ. ასათიანი,
რ. ბურჭულაძე, რ. თვარაძე, ი. კენჭოშვილი, თ. დოიაშვილი და სხვ.

ვერსიფიკაციული ხელოვნების თვალსაზრისით დაკვირვება იქნა წარმოე-

ბული ი. გრიშაშვილის პოეზიაზე, მ. ლებანიძის, შ. ნიშნიანიძის, ტ. ჯანაშიას ცალკეულ ლექსებზე. გამოქვეყნდა ნაშრომი „ოციანი წლების ქართული პოეზიის სტილური სიახლენი“ (აქ. ხინთიბიძე).

V. გამოცემები, ლექსიკონები. თუ რევოლუციამდელი ქართული ლექსმცოდნეობა ორიოდ წიგნით იყო წარმოდგენილი (მამუკა ბარათაშვილის „ქაშნიკი“, გ. ლეონიძის რედაქციით და ს. გორგაძის „ქართული წყობილიტიკვაობა“ — ცალკე ამონაბეჭდი კრებულიდან „გრდემლი“), საბჭოთა პერიოდში ფართო გასაქანი მიეცა ლექსმცოდნეობითი ნაშრომების გამოცემის საქმეს.

უწინარეს ყოვლისა, უნდა მოვიხსენიოთ „ქართული პოეტიკის ქრესტომათია (XVIII—XIX სს.)“ გ. მიქაძის რედაქციით და შენიშვნებით.

ცალკეული გამოცემებიდან აღსანიშნავია ს. გორგაძის „ქართული ლექსი“ (1930), კ. კეკელიძის რედაქციით და წინასიტყვაობით, ა. ვაწერელიას „ქართული კლასიკური ლექსი“ (1953), რომელიც ოთხჯერ გამოიცა, მამუკა ბარათაშვილის თხზულებათა სრული კრებული (1969), გ. მიქაძის რედაქციით და კომენტარებით, პ. ბერაძის „ძველი ბერძნული და ქართული ლექსთწყობის საკითხები“ (1969), რ. გორდუზიანის რედაქციით და გამოკვლევით, კ. ჭიჭინაძის პოეტიკური ნაშრომების კრებული „ალიტერაცია ქართულ შაირში“ (1978), აქ. ხინთიბიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და თ. დოიაშვილის შენიშვნებით, მამუკა ბარათაშვილის „სწავლა ლექსის თქმისა“ (1981), აქ. ხინთიბიძის რედაქციით და გამოკვლევით. ეს უკანასკნელი წარმოადგენს მამუკა ბარათაშვილის პოეტიკური ტრაქტატის აკადემიურ გამოცემას ახალდადგენილი ტექსტით, ვარიანტებით და შენიშვნებით. „ქაშნიკის“ ტექსტი გამოკვლევითურთ თარგმნილია რუსულ ენაზე.

ქართული ლექსმცოდნეობის პრობლემებს ეძღვნება „ნარკვევები ქართული პოეტიკიდან“ (ა. ვაწერელია), „ლექსის ევფონია“ (თ. დოიაშვილი), აგრეთვე „პოეტური ხელოვნების საკითხები“, „ლექსმცოდნეობის საკითხები“, „პოეტიკური ძიებანი“ და სხვ.

აღსანიშნავია გ. მიქაძის „ქართულ ლექსწყობაზე არსებული ნაშრომების ბიბლიოგრაფია“, რომელიც ერთვის მის წიგნს „ნარკვევები ქართული პოეტიკიდან“.

ქართული ლექსმცოდნეობის საკითხები ფართოდაა წარმოდგენილი ლიტერატურის თეორიის კურსებსა და სახელმძღვანელოებში — „ლიტერატურის თეორიის საფუძვლები“ (მ. დუდუჩავას რედაქციით), ს. გაჩეჩილაძის „ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი“ და „ლიტერატურის თეორია“ (რომელთა რამდენიმე გამოცემა არსებობს), ი. ვართაგავას „სიტყვიერების თეორია“, კ. გაგუას „პოეტიკა“, ვ. ბოკერიას „ლიტერატურის თეორია“.

ამავე თვალსაზრისით საინტერესოა ლიტერატურულ ტერმინთა ლექსიკონები — ა. ჭილაიას და ო. შუშანიას „ლიტერატურულ ტერმინთა ლექსიკონი“, ა. ჭილაიას „ლიტერატურისმცოდნეობის ძირითადი ცნებები“ და მ. დუდუჩავას რედაქციით გამოცემული „ლიტერატურისმცოდნეობის ტერმინთა მოკლე ლექსიკონი“ და „ლიტერატურის თეორიის მცირე ლექსიკონი“.

ცალკე აღნიშვნის ღირსია რითმის ლექსიკონები.

„ვეფხისტყაოსნის“ კ. ჭიჭინაძისეულ გამოცემას (1934) რითმის ინდექსიც ერთვის. 70-იან წლებში ერთიმეორის მიყოლებით ვეფხისტყაოსნის რითმათორი სიმფონია გამოქვეყნდა: ერთი — აქ. ხინთიბიძის მიერ შედგენილი, ხოლო მეორე — გ. წერეთლის ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით.



ქ. ჭიჭინაძის რითმათა ინდექსისაგან განსხვავებით, რომელიც კლავსულაზე იყო დაწვრილი, გ. წერეთელი პოემის რითმზე ინდენტურ და-ზოლოებათა მიხედვით ალაგებს (ე. წ. საყრდენი თანხმოვნების დართვით), ხოლო აკ. ხინთიბიძე — მთლიანი სარიტმო სიტყვების მიხედვით. გამოქვეყნდა აგრეთ-ვე გ. ტაბიძის „არტიტული ყვაილების“ რითმათა ლექსიკონი, რომელიც ერ-თვის ამ კრებულის აღდგენილ გამოცემას.

ქართული ლექსწყობის შესახებ რუს მეკლავებსაც აქვთ თავიანთი აზრი გა-მოთქმული. ე. ბოლხოვიტინოვის წიგნი «Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ея состоянии (1802)», რომელშიაც ქარ-თული ლექსწყობაცაა განხილული, 1979 წ. ფოტოტიპურად გამოსცა გ. შარაძემ. კრებულში «Грузинские романтики» (1940) შევიდა ა. ფედოროვის სტატია «О путях и средствах передачи грузинского стиха». ქართულ ენაზე ითარგ-მნება ი. ლოტმანის წიგნი „პოეტური ტექსტის ანალიზი“, რომელსაც ერთვის ავტორის წინასიტყვაობა დაწერილი სპეციალურად ქართული გამოცემი-სათვის.

ამავე დროს, რუსულ და უცხო ენებზე ქვეყნდებოდა ქართველ ავტორთა (ნ. მარი, ა. გაწერელია, გ. წერეთელი, გ. გაჩეჩილაძე, აკ. ხინთიბიძე) ლექს-მკოდნეობითი ნაშრომები.

ქართული ლექსმკოდნეობის განვითარება დიდადაა დამოკიდებული ამ საქ-მის კარგ ორგანიზაციაზე. კადრების სიმცირე, ლექსმკოდნეობითი უჭრადის უქონლობა ხელს უშლიდა და უშლის ამ სფეროში ინტენსიური მუშაობის წარ-მოებას. 60-იანი წლების ბოლოს ჩვენს პერიოდულ პრესაში დაისუვა ეს საკი-თხი. ამჟამად თბილისის უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენ-ტთათვის იკითხება ქართული ლექსის კურსი, რუსთაველის სახელობის ქართუ-ლი ლიტერატურის ინსტიტუტში შექმნილია ლექსმკოდნეობის ჯგუფი, მუშაობს ლექსმკოდნეობის სემინარი, რომლის სხდომებზე როგორც ადგილობრივი, ისე მოწვეული ძალებით 30-მდე მოხსენება იქნა წაკითხული ქართული და ზოგადი პოეტიკის პრობლემათიკიდან. მიმდინარე წელს რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში ლექსმკოდნეობის სემინარის ინიციატივით ჩატარ-და „ჰაშნიკის“ 250 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია. წაკითხულ იქნა მოხსენებები: „მამუკა ბარათაშვილის ცხოვრება და პოეზია“ (გ. მიქაძე), „ჰაშნიკის“ ესთეტიკური პრობლემათიკა“ (გ. ჯიბლაძე), „ჰაშნიკი“ და ნორ-მატიული პოეტიკის ტრაქტატები“ (რ. ბარამიძე), „ჰაშნიკის“ ვერსიფიკაცია“, (აკ. ხინთიბიძე), „ჰაშნიკის“ ენა და სტილი“ (ნ. კოტინოვა), „ჰაშნიკის“ ტრა-დიციები ქართულ ლექსმკოდნეობაში“ (ა. სილაგაძე), „ჰაშნიკი“ და ვახტანგ მეექვსე“ (ბ. დარჩია), „ჰაშნიკი“ და ხალხური შემოქმედება“ (ჭ. ბარდავე-ლიძე).

დამყარდა მკიდრო შემოქმედებითი კავშირი ჩვენი ქვეყნის ლექსმკოდნე-ობით ცენტრებთან. ქართული ლექსმკოდნეობის სემინარის წევრები აკ. ხინთი-ბიძე, დ. თუხარელი, თ. ლომიძე, ა. სილაგაძე მოხსენებებით გამოდიან ლექს-მკოდნეობის საკავშირო კონფერენციებზე, რომლებიც ყოველწლიურად იმარ-თება გორაკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტში.

მაღალი შეფასება მიიღო გ. წერეთლის მოხსენებამ — „მეტრი და რიტმი რუსთაველის პოემაში და შედარებითი ვერსიფიკაციის საკითხები“, რომელიც



წაკითხულ იქნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების საერთო კრებაზე.

ქართული ლექსის ბუნების შესახებ იყო საუბარი რუსული ლიტერატურის ინსტიტუტთან არსებულ ლექსმცოდნეობით სემინარში (ლენინგრადი).

გ. გაჩეჩილაძე ქართული ლექსწყობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ლექსმცოდნეობის საერთაშორისო სიმპოზიუმზე ქ. ბრნოში (ჩეხოსლოვაკია).

ქართული საბჭოთა ლექსმცოდნეობა რუსული ლექსმცოდნეობის გამანაფორმებელი ზემოქმედებით ვითარდებოდა, რასაც ხელს უწყობდა პირადი კონტაქტებიც ა. ბელისთან, ი. ტინიანოვთან, ე. ჟირმუნსკისთან, ბ. ეიხენბაუმთან, ი. ლოტმანთან. ეს ურთიერთობა განმტკიცდა და გაძლიერდა იმ მხრივაც, რომ რუსი ლექსმცოდნეები (ე. ხოლშეენიკოვი, მ. გასპაროვი და სხვ.) მოხსენებებს კითხულობენ ქართული ლექსმცოდნეობის სემინარში, ინტერესდებიან ქართული ვერსიფიკაციის საკითხებით. გამოცდილებათა ურთიერთგაცვლა კვლავაც სარგებლობის მომტანი იქნება.

ქართული ლექსმცოდნეობის განვითარება საიმედო გზაზეა. იგი ჩაერთო ფილოლოგიური კვლევის საერთო ორბიტაში. ვერსიფიკაციის პრობლემატიკაზე იყო აგებული პ. ბერაძის, ა. გაწერელიას, აკ. ხინთიბიძის სადოქტორო, ხოლო რ. ფირცხალაიშვილის, თ. დოიაშვილისა და რ. ბერაძის საკანდიდატო დისერტაციები. ეროვნული ფილოლოგიის სარბიელზე თანდათან გამოიკვეთა პროფესიონალი ლექსმცოდნის ტიპი. ახალგაზრდობა ხალისით ებმება პაექრობაში, ექიდება ვერსიფიკაციის რთულ პრობლემებს.

А. Г. ХИНТИБИДЗЕ


ГРУЗИНСКОЕ СТИХОВЕДЕНИЕ В ТЕЧЕНИЕ 60 ЛЕТ

Резюме

В статье рассмотрены работы по грузинской версификации, опубликованные за период с 1921 года до наших дней, посвященные проблемам общей методологии, методам исследований, структуры стиха, сравнительной метрики, природы грузинского стиха, поэтического мастерства и др.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ლექსმცოდნეობის ჯგუფი

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა



16880

ჰორფიმი იაზვილი

მხატვრული თარგმანის თეორიის ზოგიერთი საკითხი

თარგმანის თეორიულმა საკითხებმა უძველესი დროიდან მიიქცია ყურადღება. დღეს ამ პრობლემით დაინტერესებულია მეცნიერების მრავალი დარგი — ფილოსოფია, ენათმეცნიერება, კიბერნეტიკა, ფსიქოლოგია, ლიტერატურათმცოდნეობა. არსებობს ერთმანეთის საწინააღმდეგო შეხედულებები. აზრთა სხვადასხვაობას უმთავრესად იწვევს ორი კარდინალური საკითხი — შესაძლებელია თუ არა თარგმანი, კერძოდ მხატვრული თარგმანი, და შესაძლებელია თუ არა მისი თეორიული მოაზრება. აზრთა სხვადასხვაობას იწვევს აგრეთვე მხატვრული თარგმანის ცნების განსაზღვრა და მხატვრული თარგმანის პრობლემათიკის მეცნიერების ამა თუ იმ (ლინგვისტიკის თუ ლიტერატურათმცოდნეობის) დარგისათვის მიკუთვნების საკითხი.

თუ გადავხედავთ პრობლემის ისტორიას, დავინახავთ, რომ პოზიტიურ თვალსაზრისს უფრო დიდი ტრადიცია აქვს და ნეგატიური მოსაზრებები, როგორც წესი, თარგმანის მხოლოდ ცალკეულ ასპექტებს შეეხება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ პოზიტიური კონცეფციის მქონე მოაზროვნეთა თეორიული ძიების მთელი პათოსი, არსებობდა, თარგმანის პრინციპის, შემოქმედებითი ხერხის, მეთოდის ძიებას უკავშირდება. სწორედ თარგმანის სხვადასხვა ხერხზე ლაპარაკობენ ციცერონი და ჰორაციუსი, სიმამე და იერონიმე, იოანე პეტრიწი, პოპი და სხვ. მხატვრულ თარგმანზე ნიჰილისტურ თვალსაზრისს ავითარებდნენ გ. ათონელი და დანტე, მაგრამ როგორც ერთი, ისე მეორე გულისხმობდა სალექსო სტანდარტულ სტრუქტურას, მეტრიკას.

მხატვრულ თარგმანზე ნამდვილად ნიჰილისტური თვალსაზრისი განვითარდა მაშინ, როცა ხელი მოჰკიდეს ამ პრობლემის მეცნიერულ გაშუქებას. ამ მხრივ პირველი იყო გამოჩენილი გერმანელი მეცნიერი, ზოგადი ენათმეცნიერების ფუძემდებელი ვ. ჰუმბოლდტი.

ვ. ჰუმბოლდტის მოძღვრებით, ადამიანს „არ ძალუძს ობიექტურად არსებული სამყაროს შეცნობა თუ არ შემეცნების და აღქმის მისთვის დამახასიათებელი ხერხით, მაშასადამე, მხოლოდ სუბიექტური გზით“¹. ყოველთვის, როცა „შინაგანი აღქმის და შეგრძნების საფუძველზე“ იქმნება ცნება, „საქმე გვაქვს ადამიანის უკვე ინდივიდუალური წარმოსახვის ხერხთან, რომლისგანაც განუყოფელია მისი ენაც“². სხვადასხვა ენაში გრძნობად-აღქმადი საგნების გამოხატვა „იმდენად არის ერთი და იმავე მნიშვნელობის მქონე, რამდენადაც მათში ერთი და იგივე საგანი მოიაზრება“, მაგრამ ეს გამოთქმები, ამავდროს — განავრძობს ჰუმბოლდტი, — გამოხატავენ საგნის „წარმოსახვის სხვადასხვა ხერხს“ და ამიტომ მნიშვნელობებიც განსხვავებულია; სხვაობა ენებს შო-

¹ В. Гумбольдт, О сравнительном изучении языков применительно к различным эпохам их развития. сб: В. Звёгинцев, История языкознания XIX—XX веков в очерках и извлечениях, ч. 1, М., 1964, № 33, 83.

² იქვე, გვ. 82.

რის „არა მხოლოდ ბევრებისა და ნიშნების სხვაობაა, არამედ თვით მხედველობათა განსხვავებაც“³.

ვ. ჰუმბოლდტს ენა ხალხის თვითმყოფი სულის გამოხატულებად მიაჩნია, უფრო მეტიც, ენა და ეროვნული სული, მისი აზრით, იგივეობრივია: „ენა თითქოს გარეგანი მოვლენაა ხალხის სულისა; ხალხის ენა მისი სულია და ხალხის სული მისი ენაა — ძნელია წარმოიდგინო რამე უფრო იგივეობრივი“⁴. მიუხედავად იმისა, რომ ენა ხალხის სულის პროდუქტია, „ენა და სულიერი ძალა გათიშულად კი არ ფუნქციონირებენ..., არამედ წარმოადგენენ გონის განუყოფელ ქმედობას“⁵ და, ვარკვეული ოდენობით, აზროვნებას „განსაზღვრავს ყოველი ცალკეული ენა“; თვით სულიერი ძალის მიმართაც „ენა რჩება მუდმივ ბიძგის მიმცემ პრინციპად“⁶.

განსაკუთრებით საინტერესოა ჰუმბოლდტის მტკიცება, რომ „ხალხის სულიერი თავისებურება და ენის წყობა იმდენად ღრმად არის ერთმანეთში გამჯდარი, რომ თუკი არსებობს ერთი, მეორე შეიძლება გამოვიყვანოთ მისგან“⁷.

ცხადია ჰუმბოლდტის აზრი, რომ იქ, სადაც არ არის ესა და ეს ენა, იქ არც შესაბამისი სული იქნება, მაგრამ თუკი არსებობს სული, აქ უსათუოდ ენაც უნდა იქნეს. ამ დებულებას თუ დავეყრდნობით, თარგმანზე ყოველგვარი ლაბარაკი იმთავითვე გამორიცხულია.

ენა, გერმანელი მეცნიერის თვალსაზრისით, არის ასახვითი ფენომენი და ნიშანთა სისტემა. ცოდნისა და შემეცნების უმაღლესი მწვერვალის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ენას აღვიქვამთ, როგორც ასახვას. იგი სწორედ ასეთად გვევლინება პოეზიაში, ფილოსოფიაში, ისტორიაში. ჰუმბოლდტი წერს: პოეტური გამოთქმა „ქმნის განწყობას (расположение) — ენა აღვიქვამთ არა როგორც ნიშანი, არამედ მთლიანად გადავეშვათ მისი თავისებურების ტყვეობაში“⁸. ენის თავისებურება, როგორც ხალხის სულის თავისებურების გამოხატულება, გაპირობებულია ენის ინტელექტუალური მხარით. რომელიც ჰუმბოლდტს ენის შიდაფორმად მიაჩნია, სადაც მოქმედებს „ისეთი ძალა, რომლის გონებით ვაზომვა და ცნებით განსაზღვრა წარმოუდგენელია“; ასეთ ძალად ჰუმბოლდტი ფანტაზიასა და გრძნობას აღიარებს. „ისინი იწვევენ ინდივიდუალურ სახეებს, რომლებშიც აისახება ხალხის ინდივიდუალური ხასიათი“⁹. გასაგები ხდება დიდი მეცნიერის თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც ენა გაუმჭვირეალ კედელს ჰგავს და არათუ ენებია ურთიერთისაგან გათიშული, არამედ კომუნიკაციაც ერთი ენობრივი სამყაროს შიგნით, მისი აზრით, არ არის დაფუძნებული იდენტურ შინაარსებზე. ცხადია, თარგმანი, მით უფრო მხატვრული თარგმანი, ჰუმბოლდტს შეუძლებელ რაიმედ მიაჩნია. ეს ნეგატიური შეხედულება მან სრულიად მკაფიოდ ჩამოაყალიბა შლეგელისადმი გაგზავნილ წერილში. იგი კატეგორიულად აცხადებს: „მთარგმნელობა მე მიმაჩნია მხოლოდ ციად გაასრულონ შეუძლებელი შრომა“¹⁰.

³ იქვე, გვ. 83.

⁴ В. Гумбольдт, О различии изучения языков..., იქვე, გვ. 83.

⁵ В. Гумбольдт, О различии..., იქვე, გვ. 88.

⁶ იქვე, გვ. 88.

⁷ იქვე.

⁸ В. Гумбольдт, О сравнительном..., იქვე, გვ. 88.

⁹ იქვე.

¹⁰ იხ. კრებ.: On translation, გვ. 375.



ჰუმბოლდტის უკიდურეს ნიპილიზმს ეხმიანება დიდი ინგლისელი ზერის ბიში შელის თვალსაზრისი. მისი ხატოვანი თქმით „როგორც ის იქნებოდა გონივრული, რომ ფერისა და სურნელის პირველწყაროს აღმოსაჩენად ია ლითონის საღებო ქვაბში ჩაგვეგდო, ისე იმის ცდაც — ერთი ენიდან მეორეში გადაგვესხა პოეტური ქმნილება“¹¹.

საპაგიეროდ, პოეტური აზროვნების ტიტანი გოეთე დიდად აფასებდა თარგმანის მალალ კულტურულ-ისტორიულ და აღმზრდელობით დანიშნულებას. „დასავლეთ-აღმოსავლეთის დივანის“ შენიშვნებში გოეთე წერდა: „არსებობს თარგმანის სამი სახეობა: პირველი გვაცნობს უცხო ქვეყანას ჩვენივე საკუთარი ცნებებიდან გამომდინარე, აქ ყველაზე უფრო შესაფერისია მოკრძალებული პროზაული თარგმანი... დასაწყისისათვის იგი უდიდეს სამსახურს გვიწევს, რადგან ასეთი თარგმანი შემოდის ჩვენს ჩვეულ, „შინაურ“ ეროვნულ გარემოში“ როგორც რაღაც ახალი და მშვენიერი, ჩვენთვის შეუძნეველად გვიმოგვებს სულს, გვანიჭებს ნამდვილ სიხარულს“¹².

თარგმანის მეორე სახეობად გოეთეს მიაჩნდა ბუკვალისტური თარგმანი. ასეთი მთარგმნელი მხოლოდ „მითთვისებს სხვის გრძნობებსა და ფიქრს“; ამასთან თარგმანი სავსეა უცხო ენობრივი ფორმებით.

თარგმანის მესამე სახეობა, ანდა მესამე ეპოქა, როგორც გოეთე უწოდებს, „მისწრაფვის ორიგინალთან იგივეობისაკენ, უახლოვდება პყარედს და ძალიან აადვილებს ორიგინალის გაგებას. ამრიგად, ჩვენ ვუახლოვდებით ძირითად ტექსტს, გვიბიძგებენ მისკენ და ის წრე, რომელშიც ხდება უცხოის დაახლოება ჩვენთან, ნაცნობობა უცნობთან, ბოლოს და ბოლოს იკვრება“¹³.

გოეთეს შენიშვნები მხატვრული თარგმანის თეორიის შესახებ დღესაც აქტუალურია. ჩვენი აზრით, გოეთე ადეკვატური თარგმანის აღიარებამდე მიდის. ამას გოეთეს საკუთარი მთარგმნელობითი პრაქტიკაც ადასტურებს¹⁴.

მხატვრულ თარგმანზე პოზიტიური თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოირჩევა დიდი რუსი მოღვაწეების ვ. ა. ჟუკოვსკისა და ბ. გ. ბელინსკის ნაზრევი.

ვ. ა. ჟუკოვსკი წერს: „მთარგმნელი გამოთქმის შემოქმედად რჩება, რადგან გამოთქმისათვის მას საკუთარი მასალა აქვს, რომლითაც უნდა ისარგებლოს თვითონ, ვერავინ გაუწევს ხელმძღვანელობას და გარეშეთაგან ვერავინ დაეხმარება“¹⁵. მაგრამ „შესაფერი გამოთქმების“ შექმნა ჟუკოვსკის აზრით, მთარგმნელს „შეუძლია მხოლოდ მაშინ, როცა აივსება იმ იდეალით, რომელიც სათარგმნი პოეტის თხზულებაში ისახება და გარდაქმნის მას, ასე ვთქვათ, საკუთარი ფანტაზიის ქმნილებად“¹⁶.

ორიგინალური პოეტისაგან მთარგმნელი იმით განსხვავდება, მსჯელობს ჟუკოვსკი, რომ პოეტი თხზავს საკუთარი ფანტაზიით, მთარგმნელი კი კმაყოფილდება იმ ნიმუშით, რომელსაც დედანი წარმოადგენს. „მთარგმნელს, სთმობს რა თავისი ნიმუშის წინაშე მთხზველობის პალმას, უთუოდ უნდა ექნეს

¹¹ იქვე, გვ. 276.

¹² იხ. კრებ.: *Мастерство перевода*, М., 1959, გვ. 423.

¹³ იქვე, გვ. 425.

¹⁴ იხ. იქვე, *А. Курелла*, *Теория и практика перевода*, გვ. 409.

¹⁵ იხ. კრებ.: *Русские писатели о переводе*, Ленинград, 1960, გვ. 79.

¹⁶ იქვე.



თითქმის მისი ტოლი წარმოსახვის უნარი, მისი ტოლი ძალა გონებრივი ცვალებადობისა“¹⁷.

ბ. ბელინსკის თარგმნის საერთო წესად მიაჩნია „სათარგმნი ნაწარმოების სულის გადმოცემა“. იგი კატეგორიულად აცხადებს: „დედანთან სიახლოვე მდგომარეობს ნაწარმოების არა ასოს, არამედ სულის გადმოცემაში“¹⁸. ბ. ბელინსკის აზრით, თარგმანის მიზანია „მოგვეცეს შესაძლოდ ახლო წარმოდგენა უცხოურ ნაწარმოებზე, ისე, როგორც ის არის“¹⁹. ნაწარმოების გაუმჯობესებაც კი დაუშვებელია: „თარგმანი თუ არაზუსტია, მაშასადამე, ცუდი თარგმანია“, — დაასკვნის იგი. მით უმეტეს, რომ ნამდვილად „დიდი პოეტის კარგი თხზულების გაუმჯობესება თარგმანში შეუძლებელია: შესწორებები და გადაკეთებები მას მხოლოდ აფუჭებს“. ბელინსკი აყალიბებს სახელმძღვანელო დებულებას: „გოეთედან თარგმნისას ჩვენ გვსურს ვიხილოთ გოეთე და არა მისი მთარგმნელი. თვითონ პუშკინსაც რომ ეთარგმნა გოეთე, ჩვენ მასაც მოვთხოვდით, ჩვენთვის ეჩვენებინა გოეთე და არა თავისი თავი“²⁰. მთარგმნელი ავტორის „მოჭიშბეა ენით, სიტყვით და ლექსით — გამოთქმით, და არა აზრით, არა შინაარსით. ამ მხრივ იგი მონაა“²¹.

როგორც ვხედავთ, ვ. ჟუკოვსკისა და ბ. ბელინსკის მსჯელობებში სრულიად აშკარად დაყენებულია ავტორისა და მთარგმნელის შემოქმედებით ინდივიდუალობათა ურთიერთობისა და მთარგმნელის შემოქმედებითი გარდასახვის საკითხები.

მხატვრული თარგმანის შესახებ ჟუკოვსკისა და ბელინსკის არსებითად სწორი თვალსაზრისი უთუოდ აისახა ილია ჭავჭავაძის მთარგმნელობით კონცეფციაში, რომელიც მისი ესთეტიკური ნააზრვის ორგანული ნაწილია და ემყარება არა მარტო თანამედროვეთა შეხედულებებს მხატვრული თარგმანის შესახებ, არამედ ძველ ქართველ მთარგმნელთა უმდიდრეს ტრადიციასაც.

ი. ჭავჭავაძის შეხედულებებში მხატვრული თარგმანის შესახებ დაყენებულია მხატვრულ თარგმანში ავტორის სტილის გახსნისა (ეს აღნიშნული აქვს გ. ნადირაძეს 1951 წელს) და მთარგმნელის შემოქმედებითი გარდასახვის პრობლემა.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მეოცე საუკუნის იტალიელი ფილოსოფოსის კროჩეს თვალსაზრისი მხატვრულ თარგმანზე²².

კროჩეს მოძღვრებით ერთადერთი რეალობა არის გონი, რომლის მთელი განვითარება თვითშემეცნებაა. მისი განვითარების პირველი ფორმაა ინტუიტიური ანუ ესთეტიკური შემეცნება, რაც ამავე დროს გამოსახვითი შემეცნებაა. ინტუიციის (ანუ ფანტაზიის) რომელიც ყოველთვის გამოსახული სახეა, გვეძლევა საგანთა ხასიათი და ფიზიონომია. იგი გამოსახება პოეტური ანუ კემპარიტი სიტყვით, რომელიც, კროჩეს გაგებით, გვხვდება მხოლოდ პოეზია-

¹⁷ იქვე, გვ. 87.

¹⁸ იქვე, გვ. 199.

¹⁹ იქვე, გვ. 210.

²⁰ იქვე, გვ. 210.

²¹ იქვე, გვ. 210.

²² კროჩეს შეხედულებები ამ საკითხზე განხილულია ე. თოფურიძის ნაშრომში „სიტყვის პრობლემა კროჩეს ესთეტიკაში“, იხ. კრებ.: თანამედროვე ბურჟუაზიული ესთეტიკური თეორიების კრიტიკა, თბ., 1966. ამ ნაშრომს ვეყრდნობით, მაგრამ ჩვენი დასკვნები არსებითად განსხვავდება მისგან.



ში. პოეზია არის სიტყვა თავის ჭეშმარიტ ყოფიერებაში²³ და იგი სახის ინტელექტუალური ბრძოლაა: „სიტყვა პოეზიაში... იგივეობრივია სახესთან... არა მარტო განუყოფელია მისგან, არამედ იდეალურად განურჩეველია მისგან“²⁴. ჭეშმარიტი ანუ პოეტური სიტყვის არსებობის ფორმაა ბგერა, მაგრამ არა ფიზიკურად არსებულად, არამედ იდეალურად.

ჭეშმარიტი სიტყვა ანუ სახე — ესთეტიკური გამოსახვა, იდეალური ფენომენია და მხოლოდ ცნობიერებაშია მოცემული. იგი არ უკავშირდება რეალურ საგანს და არ გააჩნია ფიზიკური არსებობა, მისი ბგერითი ფორმაც იდეალურად არის მოცემული; კროჩეს დასკვნით, ხელოვნება, რომელსაც იგი ლირიკულ ინტუიციას უწოდებს, არის ჭერებაში მოცემული ესთეტიკური გრძნობა.

სიტყვა მუდმივი შემოქმედებით პროცესია. იგი იქმნება მეტყველების აქტში და იქვე ქრება. იგი მუდამ ცვალებადია. ყოველი ადაშიანი ქმნის საკუთარ და ყოველთვის ახალ ენას. ორი მოსაუბრის ენა არასდროს არ არის იდენტური, თითოეული მეტყველებს მისი ფანტაზიისა და ფსიქოლოგიისათვის შესაბამისი წესით, საკუთარი სახეებით, ბგერებით. სიტყვის შემეცნების ერთადერთი კრიტერიუმია კონტექსტში გამოვლენილი მნიშვნელობა, რომელიც არასოდეს არ მეორდება. ყოველი ახალი სიტყვა განუმეორებელია თავისი მნიშვნელობით. იგი ერთმნიშვნელოვანია.

ასეთი თვალსაზრისი უნდა გამორიცხავდეს ურთიერთგაგების თვით შესაძლებლობას და თარგმანზე ლაპარაკი ხომ ზედმეტიც იქნებოდა. მაგრამ კროჩეს მოძღვრებით, სიტყვის გაგება მისი კვლავშემოქმედებაა, ხოლო სიტყვის კვლავშემოქმედების პროცესი არის იმ არტიკულირებულ ბგერებში სახეების ვაცოცხლება, რომლებშიც ისინი პირველად გამოისახნენ. სიტყვის ასეთი აღქმა ამავე დროს მისი შექმნაა. ამასთან, კომუნიკაციის შესაძლებლობა ადამიანთა ბუნების ერთგვაროვნებით აიხსნება — კომუნიკაცია არის კომუნიკაცია გონისა საკუთარ თავთან.

მხატვრული ნაწარმოების გაგებაც კროჩესთან მის კვლავშემოქმედებას ნიშნავს. იგი წერს: „როდესაც მე ვწვდები დანტეს ერთ-ერთი სიმღერის შინაგან მნიშვნელობას, მაშინ მე თვით ვარ დანტე...“²⁵.

კროჩეს ესთეტიკური კონცეფციის მთელი სისტემიდან გამომდინარეობს მისი შეხედულება მხატვრულ თარგმანზე. იგი წინააღმდეგობრივად ხასიათისაა. იტალიელი ფილოსოფოსი უყოყმანოდ აღიარებს ლოგიკური ანუ კონცეპტუალური გამოსახვის, ე. ი. სიტყვა-ნიშნის თარგმნის, შესაძლებლობას, რადგან აქ სიტყვა ცნების ნიშანია და თარგმანისათვის საკმარისია ნიშანთა ეკვივალენტების დადგენა. აქ მასთან სადავო არაფერი ჩანს. კროჩეს კონცეფციის წინააღმდეგობრივი ხასიათი გამოსჭვივის მის შეხედულებებში სწორედ ჭეშმარიტი ანუ პოეტური სიტყვის თარგმნის შესახებ, რომელიც მას, არსებითად, შეუძლებლად მიაჩნია — „თარგმნის შეუძლებლობა არის პოეზიის რეალობა მის შემოქმედებაში და კვლავ-შემოქმედებაში“²⁶, — აცხადებს იგი. კროჩე ასე მსჯელობს: ჭეშმარიტი სიტყვა სახეა, იგი განუმეორებელია და არსებობს მხოლოდ იმ მატერიაში, იმ ფორმით, ე. ი. იმ ბგერებში, რომლებიც მას ხელოვანმა (შემოქ-

²³ იქვე, გვ. 147.

²⁴ იქვე.

²⁵ იქვე, გვ. 157.

²⁶ იქვე, გვ. 159.

მედმა) მისცა. თარგმნა თვით ამ სიტყვის მატერიის, მისი ფორმის შეცვლა-ნიშნავს, რაც არათუ შლის სახეს, არამედ საერთოდ სპობს მას როგორც ესთეტიკურ შინაარსს. ამიტომ ამბობს კროჩე, რომ „იმას, რამაც მიიღო ესთეტიკური ფორმა, ვერ გადავაქვევთ სხვა ფორმად, რომელიც ასევე ესთეტიკური იქნება“²⁷.

კროჩე ნეგატიურ თვალსაზრისს ავითარებს მხატვრული პროზის თარგმნის შესახებაც. კროჩეს მოძღვრებით, მხატვრული პროზა განეკუთვნება ლიტერატურულ გამოსახვას, ე. ი. პოეტურ და არაპოეტურ გამოსახვათა ჰარმონიული ერთიანობის სფეროს, და მთლიანად წარმოადგენს არაპოეზიას. არაპოეტურ ენას; მაგრამ მასში მაინც არის პოეტური მომენტები, რომელთა თარგმნა შეუძლებელია, რადგან თარგმანი ნაწილობრივ მაინც სპობს პროზის თავისებურებას, სახეებს, ელერადობას, კოლორიტს, ჰარმონიას, რიტმს.

მიუხედავად ამისა, კროჩე საბოლოოდ მაინც დასკვნის, რომ „არსებობს თარგმანის რელატიური შესაძლებლობა, არა როგორც კვლავ შემოქმედება, არამედ როგორც შემოქმედება მსგავსი გამოთქმებისა“²⁸. თარგმანი მან გამოაცხადა ახალ ნაწარმოებად, ახალ სიტყვად, ორიგინალის ვარიაციად: „თარგმანი ძველი სულის პოეტიზაციაა ახალ სულში. ის რომ ყოფილიყო იმავე სულის პოეტიზაცია, რომელიც ითარგმნა, მისი გამოსახვა შესაძლებელი გახდებოდა მხოლოდ იმავე ბგერებში, რომლებშიც იგი უკვე გამოისახა, და პოეტური თარგმანი არ დაიბადებოდა“²⁹.

საბოლოოდ, კროჩემ დასაშვებად მიიჩნია ორი სახის თარგმანი: 1. პროზით, ან რიტმული პროზით, რაც ნიშნავს ლექსის პროზაულ გადმოცემას. კროჩეს აზრით, ასეთ დროს პოეტური სიტყვაში მოცემული მატერიალური ფაქტი, ამბავი, უცვლელი რჩება, მაგრამ ირღვევა სახე. ასეთი თარგმანი აღარ არის პოეტური სიტყვა, ის პროზაულ სიტყვად იქცევა. ასეთი თარგმანი ვერ ვიხილავთ ნაწარმოების ინდივიდუალურ ფიზიონომიას, თუმც, დასძენს კროჩე, იგი იძლევა მისი შეგრძნების საშუალებას; 2. კროჩე არ გამორიცხავს არც პოეტური თარგმანის არსებობას, რის საფუძვლადაც მას მთარგმნელის სულში ორიგინალური სიტყვის კვლავ-შემოქმედება მიაჩნია. მაგრამ რადგან ასეთი თარგმანი იქმნება ახალი გრძნობადი სიტუაციის (მთარგმნელის გრძნობადი სიტუაციის) საფუძველზე და, კროჩეს თქმით, წარმოადგენს ძველი სულის პოეტიზაციას ახალ სულში, სხვა სულის გამოსახვას, იგი წარმოადგენს ახალ ნაწარმოებს, თუმც მასში უცვლელად რჩება სიტუაცია, ამბავი, ტონი, მაგრამ პოეტური მოტივი არის ახალი. თარგმანი, დასკვნის კროჩე, არის ორიგინალის ვარიაცია და არა მისი იდენტური ნაწარმოები³⁰.

კროჩეს ესთეტიკური კონცეფციის განხილვა არ შეადგენს ჩვენს მიზანს. ამოსავალი დებულებები, რასაც ეფუძნება კროჩეს ესთეტიკა, ჩვენთვის მიუღებელია.

²⁷ იხ. კრებ.: «On translation» გვ. 278.

²⁸ იქვე, გვ. 278.

²⁹ იხ. კრებ.: თანამედროვე ბურჟუაზიული ესთეტიკური თეორიების კრიტიკა, თბ., 1966, გვ. 159.

³⁰ იქვე.



დასრულებული გამოთქმა, როგორც სახე, — ვთქვათ „ნისლი“^{მარქვისული} მთებისა“ ან „გულშეკრდიმც აგიყვავდება დედაო, ია-ვარდითა“ — ესთეტიკურ ღირებულებას ქმნის არა თავისი ვერბალური თვისებრიობით, არა ბგერითი პარამონით, არამედ ემოციურად აღქმული სინამდვილის განსაზოვნებით, პოეტური ხილივით, სახით, რომელიც სიტყვების მეშვეობით კი გამოისახა, მაგრამ მათ მიღმაც მნიშვნელობს როგორც პოეტური ხატი, ემოცია. კროჩეს თვალსაზრისი ბგერა ესთეტიკური სახის ფორმააო, დასაშვებია მხოლოდ და მხოლოდ კერძო შემთხვევებში, როდესაც თვით სიტყვის, როგორც ბგერათა გარკვეული კომპლექსის, ძეღერი ელემენტის პოეტიზაცია ხდება ან ევფონიური მიზნით, ან იმის გამო, რომ ამა თუ იმ სიტყვის ასეთი ქღერადობა განიცდება როგორც უაღრესად ეროვნული, ინტიმური და რომანტიკით აღსავსე რამ. (მაგალითად, „სილაში ვარდი — სილაყვარდე“ ან „რქით მიწასა ვ ჩ ხ ვ ე რ ა“).

პოეტური სიტყვის თარგმანზე კროჩეს მსჯელობიდან ისე გამოდის, თითქოს იგი უგულვებელყოფდეს თარგმანის, როგორც ასეთის, თვით ლოგიკურ საზრისს და მის წინაშე აყენებდეს თარგმანისა და დედნის აბსოლუტური იდენტურობის ამოცანას, მაშინ როდესაც თარგმანის ცნება აუცილებლად გულისხმობს ორ მომენტს — დედანს და მის თარგმანს, რომელიც უკვე აღარ არის დედანი. ასეთ შემთხვევაში მხატვრული თარგმანის დედანთან აბსოლუტურ იდენტურობაზე ლაპარაკი, ცხადია, უმართებულო იქნება, რადგან ეს გამორიცხებულია თარგმანის (ე. ი. არადედნის) არსებობის თვით ლოგიკით. კროჩეს თვალსაზრისის წინააღმდეგობრიობამ იქაც იჩინა თავი, რომ იგი, ერთი მხრივ, დასკვნის, თარგმანი ორიგინალის ვარიაციააო, და, მეორე მხრივ, ამტკიცებს მხატვრულ თარგმანის შეუძლებლობას. მტკიცება იმას კი არ სჭირდება, რომ დედანი და თარგმანი არ არის ერთი და იგივე, არამედ მტკიცება სჭირდება იმას, თუ რამდენად უახლოვდება თარგმანი დედანს და რომ შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ და მხოლოდ იგივეობაზე დიალექტიკური აზრით, ე. ი. კონკრეტულ იგივეობაზე, რომელიც განსხვავებას შეიცავს თავის თავში (ფ. ენგელსი), რომელიც ყოველთვის გულისხმობს განსხვავებას.

კროჩეს დებულებები, რომ თარგმანში უცვლელი რჩება სიტუაცია, მატერიალური ფაქტი, ამბავი, ტონი (რაც, ჩვენი ფიქრით, ეწინააღმდეგება ფორმისა და შინაარსის განუყოფელი მთლიანობის მისეულ კონცეფციას), რომ თარგმანი ძველი სულის პოეტიზაციას ახალ სულში, ორიგინალური სიტყვის კვლავ შემოქმედებაა მთარგმნელის სულში (თუმც სხვაგან იგი ამბობდა, რომ თარგმანის მხოლოდ რელატიური შესაძლებლობა არსებობს „არა როგორც კვლავშემოქმედება, არამედ როგორც შემოქმედება...“) და, რაც უმნიშვნელოვანესია მისი დასკვნებიდან, თარგმანი იძლევა დედნის ინდივიდუალური ფიზიონომიის შეგრძნების საშუალებასო, სრულ საფუძველს გვაძლევს მხატვრულ თარგმანზე საკმაოდ პერსპექტიული შეხედულება ავგაოთ, თუკი ყოველივე ეს მხატვრულ თარგმანს ახასიათებს და მას ესთეტიკური ღირსებაც გააჩნია (კროჩე აკი მაინც აღიარებს ორიგინალური სიტყვის კვლავ-შემოქმედებას მთარგმნელის სულში), მხოლოდ იმ უსაფუძვლო პრეტენზიის გამო, რომ იგი მაინც დედანი არ არის და არ არის „გაცოცხლებული“ დედნისავე ბგერებში და რომ მთარგმნელის „სულშია“ პოეტიზებული, თარგმანის შესაძლებლობის უარყოფა არათუ გაუმართლებელია, არამედ მეტყველებს

კროჩეს კონცეფციის წინააღმდეგობრიობაზე. აშკარაა, კროჩე იმათივე მტერი კრიტიკიუმიტ უდგება თარგმანის, როგორც ასეთის, თეორიული მოაზრების საკითხს და სრულიად უგულვებელყოფს მისი არსებობის თვით ლოგიკურ საზრისს და ამტკიცებს იმას, რასაც დამტკიცება არა სჭირდება, რაც იმ ფაქტების, იმ სინამდვილის უბრალო კონსტანტაციაა, რომელიც მხატვრული თარგმანის რაობის თეორიული მოაზრების ამოსავალი უნდა იქნეს.

ნეგატიური თვალსაზრისი აქვს, აგრეთვე, ლოგიკური პოზიტივიზმის სკოლის წარმომადგენელს, ამერიკელ მეცნიერს უ. კვიანს, რომელიც თავის შრომაში „მნიშვნელობა და თარგმანი“ იკვლევს თარგმანის თეორიულ საკითხებს. მისი უშუალო ამოცანაა მნიშვნელობის ბუნების კვლევა და თარგმანის პრობლემის ანალიზი ამ ამოცანის განხორციელების გზად მიაჩნია.

კვიანი, ფაქტიურად, ცდილობს გააანალიზოს ენათა სემანტიკურა კორელაციის პრობლემა. იგი ჰუმბოლდტის მსგავსად, დაასკვნის, რომ „წარუმატებელია ცდა ობიექტური მიმართების ჩვენს საკუთარ აქსესუარებს... ადგილობრივთა ენაში ვუპოვოთ სწორი და დამაჯერებელი ანალოგიები... ადგილობრივთა ენაში წარმოგვიდგენს საგნებს სულ სხვა გზით, რომელიც ჩვენთვის დასშულია“³¹. კვიანი განიხილავს ინტერსუბიექტური სტიმულური მნიშვნელობის, ინტერსუბიექტური სინონიმის და ქეშმარიტების ფუნქციების ცნებებს, მაგრამ ამ ცნებების მოშველიებით ვერ პოულობს თარგმანის თეორიული ახსნის მყარ საფუძველს.

კვიანი გამოსავალს ხედავს დებულებაში „ანალიტიკური ჰიპოთეზისის“ შესახებ. ანალიტიკურ ჰიპოთეზისის კვიანი ასე განმარტავს: ლინგვისტი ადგილობრივთა სიტყვებს „ვარაუდით (ჰიპოთეზისით) უფარდებს ინგლისურ სიტყვებს და ფრაზებს... ნაწილების ასეთ სავარაუდო შეფარდებას შეიძლება ვუწოდოთ თარგმანის ანალიტიკური ჰიპოთეზისები“³².

თარგმანის ანალიტიკური ჰიპოთეზისები მოქმედებენ არა მხოლოდ მაშინ, როცა ვთარგმნით უცნობი ენიდან, არამედ მაშინაც, როცა თარგმანს ხელს ჰკიდებს ამ ენის მცოდნე ბილინგვიალური პიროვნება. კვიანის მსჯელობით ასეთი პიროვნება უშუალოდ განიცდის ორი სხვადასხვა ენობრივი მონაცემის სტიმულური მნიშვნელობის იგივეობას და ამის საფუძველზე უფარდებს მათ ერთმანეთს, მაგრამ „როცა ის ასრულებს უფრო რთულ თარგმანს, ცხადია, ამას აღწევს, არსებითად, ანალიტიკური ჰიპოთეზისების (ვარაუდის) მეთოდის გამოყენებით, იმ განსხვავებით, რომ ჰიპოთეზისებს ადგენს ორი ენის მანამდე შეძენილი ღრმა ცოდნის საფუძველზე“³³. მაგრამ კვიანი დაასკვნის: „საქმე ის კარ არ არის, რომ ვერ ვიქნებით დარწმუნებული ანალიტიკური ვარაუდების სისწორეში, არამედ საქმე ისაა, არც კი გვაქვს... რაიმე ობიექტური მონაცემი, რომ განვსაზღვროთ მისი სისწორე თუ მცდარობა“³⁴. ამერიკელი მეცნიერის მტკიცებით ინტერლინგვური (ენათშორისი) „სინონიმის განუსაზღვრელობა ანალიტიკური ჰიპოთეზისების მიმართ ფორმალურად იგივეა, რაც ქეშმარიტების განუსაზღვრელობა მეცნიერული მეთოდის მიმართ, როგორც ქეშმარიტების შესახებ შინაარსიანი მსჯელობა მხოლოდ რომელიმე თეორიის ან კონცეპტუალური სქემის ტერმინთა ფარგლებშია შესაძლებელი, ასევე შინაარსიანი საუბარი სი-

³¹ იხ. კრებ.: «On translation», გვ. 155.

³² იქვე.

³³ იქვე.

³⁴ იქვე.



ტყვებისა და ფრაზების ინტერლინგვურ სინონიმიანზე შეგვიძლია ზოგჯერ მინიმალური ლიტერატურული ჰიპოთეზისების რომელიმე კერძო სისტემის ტერმინთა ფარგლებში. ანალიტიკური ვარაუდების მეთოდი წარმოადგენს ადგილობრივთა ენაში მშობლიური ენის იმპულსით კატაპულტარების საშუალებას³⁵. ადგილობრივთა წინადადებები ითარგმნება არა რაიმე რეალურ ნიადაგზე დაყრდნობით, არამედ „ენის შიგნით მათი როლის მოჩვენებითი ანალოგიის საფუძველზე“.

კვიანი წერს: ენათა შორის ნამდვილად არსებობს „კორელაციის სიძნელე ან განუსაზღვრელობა. საქმე წსორედ იმაშია, რომ შედარების ნაკლები საფუძველი გვაქვს — ნაკლები აზრი აქვს იმის თქმას, თუ რა არის კარგი თარგმანი და რა არის ცუდი. რაც უფრო ვშორდებით წინადადებებს, რომლებიც თვალნათლივ, უშუალოდ არიან გაპირობებული არავერბალური სტიმულით, მით უფრო ვშორდებით მშობლიურ ნიადაგს“³⁶.

თუ გავითვალისწინებთ აგრეთვე უ. კვიანის აზრს, რომ „საუბარი მნიშვნელობაზე მეტწილად მოითხოვს უსიტყვო მიმართებას მშობლიური ენისადმი, თითქმის იმგვარადვე, როგორც საუბარი ჭეშმარიტების შესახებ შეიცავს უსიტყვო მიმართებას ვისიმე საკუთარი სამყაროს სისტემისადმი“³⁷, ცხადი გახდება ამერიკელი მეცნიერის ნიჰილიზმის თეორიული საფუძველი: თარგმანში ორი ენის თანაფარდობა მნიშვნელობას უნდა ეფუძნებოდეს, მნიშვნელობა კი მშობლიური ენის გაუთიშველი ნაწილია, მისდამი „უსიტყვო მიმართებაა“. თარგმნის პროცესში, როდესაც წინადადებას „გავჩერჩავთ სიტყვისაგან“, ვშორდებით მისი წარმოქმნის უშუალო მიზეზს, — არავერბალურ სტიმულს, ხოლო ამით ვშორდებით მშობლიურ ნიადაგს, ე. ი. მნიშვნელობის წედომის თვით საფუძველს. ამიტომ, თარგმნის დროს თვით მნიშვნელობა გვეცლება ხელიდან; თარგმანი მხოლოდ ვარაუდია. მართალია, ბილინგვური თარგმანი იქმნება „შუაგაყოფილი პიროვნების შინაგანი, ინტრასუბიექტური კომუნიკაციით“³⁸, მაგრამ ყოველ ენაში საგანთა აღქმის კონცეპტუალური სისტემის განკერძოებულობა, კვიანის მტკიცებით, ზღუდავს ჩვენს მთარგმნელობითს შესაძლებლობებს.

ამრიგად, ერთი ენიდან მეორეზე სრულფასოვანი თარგმანი შეუძლებელია საგანთა აღქმისა და გამოხატვის წესის სხვადასხვაობის გამო. კვიანის თვალსაზრისით, თვით კომუნიკაციის პროცესი არ არის მკაფიო, ამიტომ თარგმანიც არ არის მკაფიო; მთარგმნელი დედნის აზრობრივი შინაარსის ამხსნელია და დედნის არამკაფიობის გამო იგი სხვადასხვაგვარად იგებს მას და, ცნადა, სხვადასხვაგვარადაც თარგმნის.

პრობლემის განხილვის პროცესში კვიანი აღიარებს რიგი საყოველთაოდ ცნობილი დებულებების ჭეშმარიტებას, რაც ამ ნეგატიური კონცეფციის რაციონალურ მომენტად უნდა მივიჩნიოთ. კერძოდ, თარგმანს უპირატესად ბილინგვური პიროვნების სფეროდ აცხადებს, რადგან „იგი (ბილინგვური პიროვნება — პ. ი.) უშუალოდ განიცდის ორი წინადადების სტიმულური მნიშვნელობის იგივეობას“; იგი აღიარებს, რომ თარგმანი ზორციელდება „ორი ენის მანამდე შეძენილი ღრმა ცოდნის საფუძველზე“ და იქმნება „შუაგაყოფილი პიროვნების შინაგანი, ინტრასუბიექტური კომუნიკაციით“; თარგმნის ერთეული შეიძლება იყოს მხოლოდ აზრობრივი მთლიანობა, მთლიანი მსგელობა.

³⁵ იქვე.

³⁶ იქვე, გვ. 278.

³⁷ იქვე.

³⁸ იქვე, გვ. 168.

ინგლისელი ფილოსოფოსი უ. ჰასი თავის ნაშრომში „თარგმნის თეორია“ დაასკვნის, რომ თარგმანს არის სხვადასხვა ენის გამოთქმათა შორის შესაბამისობის დადგენა მათი ფუნქციური იგივეობის საფუძველზე. მაგრამ ყველა სათარგმნი ერთეული როდი იძლევა იმის საშუალებას, რომ „მოერგოს ორი ენის გამოთქმათა შორის ერთი-ერთზე შესაბამისებას“. ასეთ შემთხვევაში საჭირო ზდება უჩვეულო ერთეულების შესაბამისობათა დადგენა, მათი შექმნა ან შესხება, ანდა კალკირება. „მსგავსების შესაქმნელად“, — დაასკვნის საბოლოოდ ჰასი, — „საჭიროა მიჰყვე მოდელის სტრიქონებს“³⁹.

ჰასის თარგმანი, ჩვენი აზრით, წარმოდგენილი აქვს რაღაც მექანიკურ მოღვაწეობად და მას კარტოგრაფიული წესით ასლის მექანიკურ გადაღებას („მეპ-პინგ“-ს) უწოდებს⁴⁰.

რაც შეეხება მხატვრულ თარგმანს, ჰასის თვალსაზრისი ძირშივე მცდარია, რადგან მისთვის მხატვრული თარგმანი არის მხოლოდ „მეტყველების სტილის“ ნაირსახეობა თავისი მექანიკური თარგმანის — „მეპპინგ“-ის (კარტოგრაფირების) საერთო რიგში. ამიტომ, მის ნააზრევში არც უნდა ველოდეთ მხატვრული თარგმანის ცნების განსაზღვრას არსებითი ნიშნების მიხედვით.

მეოცე საუკუნის ევროპელ მოაზროვნეთა შორის მთარგმნელობითი მოღვაწეობაზე ზედმიწევნით ოპტიმისტური თვალსაზრისით გამოირჩევა შვეიცარიელი პროფესორი ჯ. სტიანერი. თარგმანი მას „სასურველ და შესაძლო საქმიანობად“ მიაჩნია და თვით თარგმანიც, როგორც ასეთი, წარმოუდგენია მეტად ვრცლად: „ხელოვნებისა და ლიტერატურის არსებობა, რეალურობა ისტორიისა, რომელსაც განიცდის საზოგადოება, დამოკიდებულია ნიადაგ უწყვეტ, თუმც ხშირად ქვეცნობიერად მოქმედ შინაგან თარგმანზე. არ იქნება გაზვიადება, თუ ვიტყვი: ცივილიზაცია იმიტომ ვეაქვს, რომ ვისწავლეთ სხვა ეპოქებიდან თარგმანა“⁴¹. მიუხედავად ამისა, სტიანერის თვალსაზრისი თარგმანის თეორიული მოაზრების შესახებ კატეგორიულად ნეგატიურია — თარგმანი ამოუცნობ საქმიანობად მიაჩნია. თეორიის სფეროში ჯ. სტიანერის ნიჰილიზმის მიზეზი უთუოდ მისი მაქსიმალიზმი — თარგმანის ცნების ესოდენ ყოვლისმომცველი გაგება და მსოფლმხედველობრივი აგნოსტიციზმი უნდა იყოს. ჯ. სტიანერი თარგმანის — როგორც „საყოველთაო ჰერმენევტიკის“ სახელით თარგმანთან ერთად იკვლევს იქნებ მეტად საჭირო და საინტერესო, მაგრამ სრულიად სხვა რიგის პრობლემებს, რომლებზეც ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა, ცხადია, შეუძლებელია.

გამოჩენილი ენათმეცნიერი, ჩეხური სტრუქტურალისტური სკოლის ფუძემდებელი რ. იაკობსონი სამართლიანად შენიშნავს, რომ „მთელი შემეცნებითი გამოცდილების და მისი კლასიფიკაციის გამოთქმა შესაძლებელია ნებისმიერ არსებულ ენაზე“⁴². მისი თვალსაზრისით, თარგმნის დროს თუმც ვერ ვაღწევთ სრულ ეკვივალენტურობას, მაგრამ იმ გამოთქმებს, რომლებშიც მოცემულ „ქოლურ ერთეულებს“ იყენებენ, შეუძლიათ გასწიონ უცხო „ქოლების“ აღქვა-

³⁹ იქვე, გვ. 227, 228.

⁴⁰ იხ. პ. იაკობსონი, მხატვრული თარგმანის თეორიის ზოგიერთი საკითხი, კრებ.: ლიტერატურის თეორიისა და ესთეტიკის საკითხები, თბ., 1975.

⁴¹ იხ. რეფ. ტურნალი: «Общественные науки за рубежом», сер. 6, Языкознание, 1977, № 2, გვ. 27.

⁴² Р. Я к о б с о н. Вопросы теории перевода в зарубежной лингвистике, М., 1978, გვ. 19.

ტური ინტერპრეტაცია. რ. იაკობსონის სამართლიანივე შენიშვნით, „ექვივალენტურობა სხვაობის არსებობის პირობებში — არის კარდინალური პრობლემა ლინგვისტიკისა, რადგან ნებისმიერი მსმენელიც (მიმოები — პ. ი.) და ლინგვისტიკ ვერბალური გამოთქმის ინტერპრეტატორები არიან“⁴³. მეცნიერის მართებული აზრით, გრამატიკული და ვერბალური სტრუქტურით გამოწვეული დაბრკოლებები ადვილად იხსნება ლექსიკური საშუალებით, რადგან „ენა კოგნიტური ფუნქციით“ მინიმალურადაა დამოკიდებული ენის გრამატიკული სისტემისაგან“⁴⁴. ამიტომ, — დასკვნის იაკობსონი, — იმის ვარაუდი, რომ „შეუძლებელია ითარგმნოს კოგნიტური მასალა, ნიშნავს წინააღმდეგობაში ჩაყარდნას“⁴⁴.

მაგრამ სხვაგვარად უყურებს იგი პოეზიის თარგმნის საკითხებს. იაკობსონის აზრით, პოეზია „განსაზღვრის მიხედვით არის უთარგმნელი“.

იაკობსონი ასე მსჯელობს: „ხუმრობებში, ფანტაზიაში, ზღაპრებში... ე. წ. „ვერბალურ მითოლოგიაში“ და, ცხადია, უწინარეს ყოვლისა პოეზიაში გრამატიკულ კატეგორიებს აქვთ დიდი სემანტიკური მნიშვნელობა“⁴⁵. მაგალითად, რუსულში უსულო საგანთა მეტაფორიზაციისას და პერსონიფიკაციის დროს განმსაზღვრელია სწორედ გრამატიკული სქესის კატეგორია. სხვა მაგალითებთან ერთად იაკობსონი ასახელებს პასტერნაკის ლექსების კრებულის სახელწოდებას „Моя сестра жизнь“, სადაც ბოლო სიტყვა პერსონიფიცირებულია დად მხოლოდ რუსული გრამატიკული სქესის საფუძველზე. იაკობსონს მოჰყავს აგრეთვე რეპინის საინტერესო მაგალითი — დიდ მხატვარს თურმე უყვირდა რატომ ხატავდნენ გერმანელი მხატვრები ცოდვას ქალის სახით. ამის მიზეზი კი მარტივი რამ იყო — სიტყვა „ცოდვა“ გერმანულში მდებარებითი სქესისაა. საინტერესოა აგრეთვე რ. იაკობსონის მიერ ამ საკითხთან დაკავშირებით მოხმობილი ცნობა სახარების სლავურ ენაზე პირველი მთარგმნელის კონსტანტინე ფილოსოფოსის შეხედულებების შესახებ. ეს უკანასკნელი თავისი თარგმანის წინასიტყვაობაში წერს: „ბერძნულის გადატანა სხვა ენაზე იდენტური საშუალებებით ყოველთვის არ ხერხდება... მამრობითი სქესის ბერძნულ არსებით სახელებს... სხვა ენაზე შეიძლება ექნეთ მდებარებითი სქესი, მაგალითად, სლავურში“⁴⁶. თარგმნის ამ ტიპის სიმძლეებს ავტორი „პოეტურ დაბრკოლებებს“ უწოდებს. რ. იაკობსონს გაუმართლებლად მიაჩნია ის გამოსავალი, ამ თერთმეტი საუკუნის წინ რომ მოუნახავს წმინდა კონსტანტინეს, რუსულად სახარების მთარგმნელს, დიონისე არეოპაგელის თეზისში — უმთავრესი ყურადღება მიექცია „კოგნიტური ღირებულებისათვის (გონების ძალისათვის) და არა სიტყვებისათვის თავისთავად“. მხატვრულ თარგმანზე იაკობსონის ნეგატიური შეხედულება გასაგები გახდება თუ გავითვალისწინებთ მის თვალსაზრისს პოეზიის შესახებ. იგი წერს: „პოეზიაში ვერბალური განტოლებები იქცნენ ტექსტის აგების კონსტრუქციულ პრინციპად. სინტაქსური და მორფოლოგიური კატეგორიები, ფუძეები, აფიქსები, ფონემები და მათი კომპონენტები (განსხვავებული ნიშნები) — მოკლედ, ვერბალური კოდის ნებისმიერი ელემენ-

⁴³ იქვე, გვ. 18.

⁴⁴ იქვე, გვ. 22.

⁴⁵ იქვე.

⁴⁶ იქვე, გვ. 23.

ტები ერთმანეთთან არიან დაპირისპირებული, შედარებული, ერთმანეთს გვერდზე მოთავსებული მსგავსებისა და კონტრასტის პრინციპით და მათ თავისი საკუთარი მნიშვნელობა. ფონეტიკური მსგავსება აღიქმება როგორც რაღაც სემანტიკური კავშირი. პოეტურ ხელოვნებაში ბატონობს კალამბური ან, თუ ვიტყვით უფრო მეცნიერული ენით და უფრო ზუსტადაც, პარონომაზია და ნიუხედავად იმისა უსაზღვროა ეს ბატონობა თუ დასაზღვრული, პოეზია განსაზღვრებით გვევლინება უთარგმნელად. შეესაძლებელია მხოლოდ შემოქმედებითი ტრანსპოზიცია..⁴⁷ (ხაზი ჩვენია).

როგორც ჩანს, პატრიცემული მეცნიერი პოეზიაში კოგნიტიური საწყისის არსებობას ან საერთოდ უარყოფს, ანდა იგი მიაჩნია არაპოეტურ მომენტად. როცა პოეზიისათვის არსებითად მიჩნეულია მხოლოდ ვერბალური მანიპულაციები და კავშირ-ურთიერთობანი, აგრეთვე შემთხვევითობაზე დამყარებული კალამბური ანუ პარონომაზია, თარგმნის საკითხის დადებითად გადაჭრა შეუძლებელი ხდება. რაც შეეხება შემოქმედებითს ტრანსპოზიციას, ერთგვარი კომპრომისივით რომ დაუშვა მეცნიერმა, იგი არც კი ცდილობს ამ გამოთქმის კონკრეტული შინაარსის ახსნას, თარგმანის ცნების შინაარსისაგან მისი განსხვავების ჩვენებას.

რ. იაკობსონის განხილულ წერილში, მართალია, წარმოდგენილია თარგმანის მხოლოდ ლინგვისტური ასპექტები, მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ავტორი ხშირად ლინგვისტურის მიღმა ვერ ხედავს პოეტურს: პასტერნაკის მოყვანილი სათაურის შექმნაში „და ჩემი ცხოვრება“ («Моя сестра жизнь») განაგრამატიკული პირველმოზეზია მთავარი? თუ უმთავრესია თვით პერსონიფიცირების ფაქტი, ის პოეტური განწყობა, რომელიც ამ პირველმოზეზის შემდეგ იწყება და საფუძვლად უდევს პოეტის ფანტაზიის მოძრაობას, გარემოსთან დამოკიდებულების ემოციურ ტონს. ასევეა რეპინის მაგალითიც. რამდენადაც რ. იაკობსონი მაინც ეხება პოეზიის თარგმნის საკითხს, უნდა შევნიშნოთ, რომ არასწორი შეხედულება თვით პოეზიის რაობაზე, მას საშუალებას არ აძლევს მივიდეს სწორ დასკვნებამდე.

იაკობსონის მიერ მხატვრული თარგმანის ნაცვლად შემოქმედებითი ტრანსპოზიციის აღიარება უნდა გავიგოთ, ფაქტიურად, ავტორის თვალსაზრისად მხატვრული თარგმანის ცნების შინაარსის შესახებ.

ჩეხურ სტრუქტურალისტურ სკოლას წარმოადგენს, აგრეთვე, თარგმანის თეორიის ნიჭიერი მკვლევარი ი. ლევი, რომლის მონოგრაფიული გამოკვლევა „თარგმანის ხელოვნება“ სხვადასხვა ქვეყნისა და დროის მკვლევართა შეხედულებების სისტემატური ანალიზის ანგარიშგასაწევი ცდაა. ავტორი სტრუქტურალისტური პოზიციებიდან აყალიბებს ახალ თვალსაზრისს მხატვრული თარგმანის შესახებ. თავდაპირველად იგი გვითვალისწინებს თავის ზოგად ესთეტიკურ კონცეფციას.

მხატვრული ნაწარმოების სტრუქტურის საკმაოდ სწორხაზოვანი ანალიზის შემდეგ, ავტორი გადმოგვცემს თავის მთარგმნელობითს კონცეფციას. თავიდანვე უნდა შევნიშნოთ, რომ ლევის მთელი მსჯელობა ხასიათდება ერთგვარი ფრაგმენტულობით და თავისებური აპრიორულობით. იგი ეხება თარგმანის თითქმის ყველა პრობლემას, ხშირად სწორ დასკვნებამდეც მიდის, მაგრამ მთელ

⁴⁷ იქვე, გვ. 24.



მის მსჯელობას ერთგვარად სწორბაზოვანი, გულუბრყვილო ელფერი (1939) და ჰკრავს. ხშირად გინდა დაეთანხმო მის ამა თუ იმ დასკვნას, მაგრამ იგი რაღაცნაირად არის მოწოდებული, რომ უკომენტაროდ მიღება ძნელდება.

ასე მაგალითად, ლევის მიაჩნია, თარგმანისათვის ძირითადია შინაარსსა და ენობრივ ფორმას შორის არსებული ურთიერთობის, „სიტყვიერ გამოხატვასა და აზრს შორის, ნაწარმოების ტექსტსა და შინაარსს შორის არსებული მჭიდრო კავშირის“ ქეშმარიტი გაგება და არა მათი გაიგივება. ი. ლევი მოითხოვს განვასხვავოთ „ენობრივი ფორმა მისი იდეური სისავსისაგან (наполнения.)“. ერთი სიტყვით ი. ლევის თვალსაზრისით „სიტყვის ბევრითი ვარსი“ მხატვრული ნაწარმოების არსებობის ფორმაა, ხოლო მისი სემანტიკა, „მნიშვნელობათა კომპლექსი“, ამ ნაწარმოების შინაარსია. ამასთან, ტექსტი, რომელიც „გაპირობებულია ენით, რომელზეც შექმნილია ნაწარმოები“ და რომელიც ამ შინაარსის მატარებელია, ე. ი. მისი ფორმაა, შეიძლება შეიცვალოს და იმავე შინაარსმა იარსებოს სხვა ფორმით. ი. ლევი წერს: „თარგმანში ფორმისა და შინაარსის თანაფარდობის გადაცემის პრინციპი შემდეგი იქნება: შევიწარმოთ ფორმები, რომლებსაც აქვთ გარკვეული სემანტიკური ფუნქცია და არ უნდა ვცდილობდეთ ენობრივი ფორმების შეწარმოებას“⁴⁸.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ სრულიად აშკარაა ი. ლევის მსჯელობის არათანმიმდევრული ხასიათი მხატვრული ნაწარმოების ფორმის შესახებ, რომ იგი ამ ტერმინით, ფაქტიურად, სხვადასხვა საგანზე მსჯელობს. მაგრამ მთელს. ამ მსჯელობაში მაინც არის გაბნეული რაციონალური მარცვლები, სიმართლესთან ახლოსმყოფი მიხედვრები. კერძოდ, ენა ლიტერატურული ნაწარმოების ფორმის კიდურა და მხოლოდ ფორმისმიერი წევრია. ნაწარმოების მხატვრული ფორმა, გარდა ცალკეული იშვიათი შემთხვევებისა, მხოლოდ ენაზე არ დაიყვანება. აღმქმელის წარმოსახვაში ლიტერატურული ქმნილების მხატვრული ფორმა და შინაარსიც არსებობს გეშტალტურად, ცოცხალი წარმოდგენის — მთლიანი სურათის, განცდის სახით, როგორც მეტაენობრივი ფენომენი. ენა მას თავის კვალს ამჩნევს, აშენებს მას თავისი თვისებისა და წესის შესაბამისად, მაგრამ ის, რაც ენით შენდება, და თვითონ ენა იგივეობრივი როლი არიან. ნაყოფს დამოუკიდებელი არსებობის რაღაც საშუალება აქვს. ასე რომ არ იყოს, თარგმანა, მართლაც, შეუძლებელი იქნებოდა და ერთი ენის „ნაყოფი“ მეორე ენის „გარსში“ ვეღარ იარსებებდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ი. ლევი შეუსაბამოდ მწვავე ფორმით გამოთქვამს არსებითად სწორ შეხედულებას გ. გაჩეილადის თვალსაზრისზე მთარგმნელობითი მეთოდის და თარგმანის რაობის შესახებ⁴⁹.

როგორც აღვნიშნეთ, ი. ლევის ვრცელ, მონოგრაფიულ გამოკვლევაში გვხვდება ბევრი საინტერესო დაკვირვება, ცალკეული სწორი დასკვნები, მაგრამ ყოველივე ეს წარმოდგენილია ლიტონი განცხადებების ან არაადეკვატური მსჯელობის სახით. არის მიუღებელი შეხედულებებიც. მიუხედავად ამისა, იგი გზიბლავთ კონკრეტული ტექსტობრივი მასალის ბრწყინვალე ენობრივ-ფილოლოგიური შეპირისპირებითი ანალიზით, ინტუიტიური მიგნებებით, ფართო ერუდიციით. მისი შრომა ლიტერატურათმცოდნეობის უდავო შენაძენია.

⁴⁸ И. Левый, Мастерство перевода, М., 1974, გვ. 53.

⁴⁹ იხ. პ. იაშვილი, მხატვრული თარგმანის თეორიის ზოგიერთი საკითხი, კრებ.: ლიტერატურის თეორიისა და ესთეტიკის საკითხები, თბ., 1975.

საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეთაგან მხატვრული თარგმანის პრობლემები სისტემატურად დამუშავებული აქვს გ. გაჩეჩილაძეს. ჩვენთვის საინტერესოა სწორედ მისი კონცეფციის განხილვა.

გ. გაჩეჩილაძის ცნობილ ნაშრომში „მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები“ ჩამოყალიბებულია მხატვრული თარგმანის ვრცელი, მეცნიერული თეორია ლიტერატურათმცოდნეობის პოზიციიდან. ავტორი კრიტიკულად განიხილავს მხატვრული თარგმანის როგორც ლინგვისტურ (უმთავრესად ა. ფეოდოროვი, ა. რეფორმატსკი), ისე ლიტერატურათმცოდნეობრივ (უმთავრესად ა. სმირნოვი, ბ. პასტერნაკი, ი. კაშკინი, ვ. როსელსი, პ. ტოპერა, საბჭოთა მწერლების II ყრილობის მასალები) კონცეფციებს და იძლევა მათ მეცნიერულ შეფასებას. გ. გაჩეჩილაძე არსებითად იზიარებს ი. კაშკინის, პ. ტოპერის, ვ. როსელსის თვალსაზრისებს და თავისი თეორიული კონცეფციის ჩამოყალიბებისას ეყრდნობა მათ ცალკეულ დებულებებს, აგრეთვე მიუთითებს და იზიარებს საბჭოთა მწერლების II ყრილობაზე გამოთქმული თვალსაზრისის ზოგიერთ მომენტს, (ა. სმირნოვის ცალკეულ დებულებას); ამავე დროს, იგი ნეგატიურად აფასებს ყრილობის მასალებში გატარებულ ცალკეულ მოსაზრებებს მხატვრული თარგმანის შესახებ (კერძოდ, შეხედულებას თარგმანის ხელოვნებისა და თეატრალური გარდასახვის ნათესაობის შესახებ), ა. სმირნოვის და ბ. პასტერნაკის ზოგიერთ შეხედულებას, ა. რეფორმატსკის კონცეფციას.

ავტორი მიზნად ისახავს პრობლემა დააყენოს გნოსეოლოგიურ ასპექტში და უპასუხოს მხატვრული თარგმანის თეორიის ფუნდამენტურ კითხვას — „რას არის მხატვრული თარგმანი?... საჭიროა თუ არა მხატვრული თარგმანის თეორია, ან როგორი უნდა იყოს იგი?...“⁵⁰

გ. გაჩეჩილაძე აღნიშნულ კითხვას, ცხადია, დადებითად უპასუხებს და იქვე დაადგენს მხატვრული თარგმანის თეორიის სპეციფიკურ ამოცანას: „...თარგმანის ადეკვატურობის განსაზღვრა არის მხატვრული თარგმანის თეორიის ძირითადი ამოცანა“⁵¹. ავტორის საბოლოო დასკვნით, „განსაზღვრა პირობებისა, რომელთაც შეუძლიათ უზრუნველყონ მხატვრული თარგმანის წინაშე გნოსეოლოგიურად დაყენებული ამოცანის შესრულება, წარმოადგენს მხატვრული თარგმანის თეორიის საგანს“⁵². ცოტა ქვემოთ იგი უფრო მკაფიოდ აყალიბებს თავის თვალსაზრისს: მხატვრული თარგმანის თეორიის „ძირითად ფუნქციას დედნისა და თარგმანის ესთეტიკური შესატყვისობის ამოცანებისა და პირობების შესწავლა უნდა წარმოადგენდეს. მხატვრული თარგმანის სფერო იწყება იქ, სადაც თავდება ენობრივ შეფარდებათა დადგენის სფერო“⁵³, რომ „მხატვრული თარგმანი ჩვეულებრივ წარმოადგენს დედნის ადეკვატურ განმეორებას არა ლინგვისტიკური, არამედ ესთეტიკური გავებით“⁵⁴.

როგორც ვხედავთ, ავტორმა წინასწარი ფორმულირების სახით სამ არსებით საკითხს გასცა პასუხი: 1. რა არის მხატვრული თარგმანის თეორიის ძირითადი ამოცანა; 2. რა არის მხატვრული თარგმანის თეორიის საგანი; 3. რა არის მხატვრული თარგმანის ძირითადი ფუნქცია.

⁵⁰ გ. გაჩეჩილაძე, მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები, თბ., 1958, გვ. 77.

⁵¹ იქვე, გვ. 80.

⁵² იქვე, გვ. 82.

⁵³ იქვე, გვ. 88.

⁵⁴ იქვე, გვ. 89.



ეს პასუხები, ფაქტიურად, მთელი მისი კონცეფციის საყრდენი პოსტულატების ტიპი და დასკვნის სახით მოცემული განსაზღვრებები ამ პოსტულატების უბრალო შეჯამებაა. საინტერესოა რამდენად მართებულია ეს პასუხები. შევეცადოთ მათ გაანალიზებას.

ავტორის განცხადება, მხატვრული თარგმანის წინაშე გნოსეოლოგიური ამოცანააო, იმას ნიშნავს, რომ მხატვრულმა თარგმანმა, როგორც ასეთმა — შემოქმედებითი საქმიანობის ნაირსახეობამ, უნდა გადაჭრას შემეცნებითი და არა შემოქმედებითი ამოცანები, რაც არ არის მართებული.

ჩვენი აზრით, მხატვრული თარგმანის თეორიის საგანია არა იმ „პირობების“ განსაზღვრა, „რომელთაც შეუძლიათ უზრუნველყონ მხატვრული თარგმანის წინაშე გნოსეოლოგიურად დასმული ამოცანის შესრულება“⁵⁵, არამედ მისი საგანია მხატვრული თარგმანი როგორც შემოქმედებითი საქმიანობის გარკვეული დარგი და თარგმნელი ნაწარმოები ორმხრივ მიმართებაში — დედანთან და მიმღებ ლიტერატურასთან, ავრთვევ, ლიტერატურის თეორიის ზოგიერთი საკითხი (კერძოდ, ინდივიდუალობა, შემოქმედებითი მეთოდი, სტილი) თარგმანთან მიმართებაში. მხატვრული თარგმანის თეორიის საგანია შემოქმედებითი საქმიანობის ეს სფერო.

რაც შეეხება მხატვრული თარგმანის თეორიის ძირითად ამოცანას, გ. გაჩილიძის მოსაზრება, რომ „თარგმანის ადეკვატურობის განსაზღვრა არის მხატვრული თარგმანის თეორიის ძირითადი ამოცანა“, სამართლიანია, თუმცა ერთგვარ დაზუსტებას საჭიროებს. თეორიული დისციპლინის ამოცანა ის არის, რომ განსაზღვროს თავისი კვლევის საგანი, მისი რაობა, ცნება; განსაზღვროს ამ საგნის ადგილი მოვლენათა მთელს სისტემაში, მისი უშუალო გარემო და მისი მიმართება ამ გარემოსთან და სხვ. ამ აზრით, მხატვრული თარგმანის თეორიის ერთ-ერთ არსებით ამოცანას, რა თქმა უნდა, ადეკვატური თარგმანის ცნების განსაზღვრაც წარმოადგენს. მაგრამ თვით „თარგმანის ადეკვატურობის განსაზღვრა“ — ეს კრიტიკის საქმეა. თეორია მხოლოდ ადეკვატური თარგმანის ცნებას განსაზღვრავს.

ზემოთ მითითებული მესამე დებულება „დედნისა და თარგმანის ესთეტიკური შესატყვისობის ამოცანებისა და პირობების შესწავლის“ შესახებ, ალბათ, თარგმანის თეორიის ამოცანას უფრო გამოხატავს, ვიდრე მის ფუნქციას. მხატვრული თარგმანის თეორიის ფუნქცია, ცხადია, იმით განისაზღვრება, რომ მოგვაწოდოს შეძლებისდაგვარად ზუსტი, მეცნიერული ცოდნა მოღვაწეობის ამ სპეციფიკური დარგის შესახებ, შეგვავიარალოს სწორი მეთოდოლოგიით, რათა გავვიადვილდეს როგორც მთარგმნელობითი პრაქტიკა, ისე მისი უფრო ღრმად გაგება.

სავსებით სამართლიანია დებულებები, რომ „მხატვრული თარგმანის სფერო იწყება იქ, სადაც თავდება ენობრივ შეფარდებათა დადგენის სფერო“⁵⁶, რომ „მხატვრული თარგმანი... წარმოადგენს დედნის ადეკვატურ განმეორებას არა ლინგვისტიკური, არამედ ესთეტიკური გაგებით“⁵⁷, რომ თარგმანში განმეორებულია დედნის ფორმისა და შინაარსის მხატვრული მთლიანობა; თუ თარგმანში „მოგახერხებთ შევექმნათ დედნის ანალოგიური ერთიანობა ფორმისა და

⁵⁵ იქვე, გვ. 82.

⁵⁶ იქვე, გვ. 88.

⁵⁷ იქვე, გვ. 89.



შინაარსისა, მაშინ სრულფასოვან ნაწარმოებს შევქმნით⁵⁸. ეს დებულებები მხატვრული თარგმანის თეორიის უცილობელი ჰეშმარიტებებია და ასე მკაფიოდ პირველად, ჩვენი აზრით, გ. გაჩეჩილადის შრომაშია ჩამოყალიბებული.

გ. გაჩეჩილაძე ცდილობს გაარკვიოს მხატვრულ თარგმანსა და ორიგინალურ შემოქმედებას შორის არსებული მსგავსებისა და განსხვავების საკითხი. ამ მიზნით იგი მიმართავს პროფ. დ. უზნაძის დებულებას შემოქმედებითი პროცესის ფსიქოლოგიური მექანიზმის შესახებ და, ეყრდნობა რა შემოქმედებითი პროცესის დ. უზნაძისეულ დახასიათებას, თარგმანს ორიგინალური შემოქმედების ანალოგიურ მოვლენად აცხადებს. იგი წერს: „ორიგინალურ შემოქმედებას წინ უძღვის სინამდვილის შესწავლა და განწყობის ჩამოყალიბება, რის შედეგადაც იბადება ნაწარმოების იდეა. მთარგმნელსაც, რომლის ყურადღებას მიიპყრობს სათარგმნი ნაწარმოები, წინასწარ ჩამოყალიბებული განწყობის საფუძველზე, რომელმაც გამოიწვია დედნის გაგება, ებადება ამ ნაწარმოების ხელახალი წარმოქმნის იდეა ახალი ენობრივი მასალით⁵⁹, ხოლო მთარგმნელის განსხვავება ორიგინალური შემოქმედისაგან ავტორს ასე აქვს წარმოდგენილი: „ორიგინალური შემოქმედის წინაშე დგას ცხოვრების სინამდვილე, რომელსაც იგი ასახავს. მთარგმნელის წინაშე, ცხოვრების სინამდვილის გარდა, დგას მხატვრული სინამდვილე გადმოსათარგმნი ნაწარმოების სახით⁶⁰.

ვფიქრობთ, საკითხის ასე გაშუქება პრობლემის ერთგვარი გამარტივებაა. ავტორი „ნაწარმოების ხელახალი წარმოქმნის იდეის დაბადებას“ (ე. ი. თარგმნის იდეის დაბადებას) აიგივებს დ. უზნაძის შეხედულებასთან შემოქმედებითს პროცესში სპეციფიკური განწყობის ჩამოყალიბების საფუძველზე ნაწარმოების კონცეფციის დაბადების შესახებ. შემოქმედებითი განწყობის საფუძველზე ნაწარმოების იდეის დაბადება, დ. უზნაძისთან, გულისხმობს მომავალი მხატვრული ქმნილების იდეური საწყისის, მისი დედააზრის გაჩენას. როგორც დ. უზნაძე წერს, მხატვრული ნაწარმოების კონცეფციის განხორციელება „მხატვრის იდეის განხორციელებისათვის ბრძოლას წარმოადგენს. ბრძოლას იმისათვის, რომ სწორედ ისეთი პროდუქტი შეიქმნას, რომელიც ინსპირაციის მომენტში ჩასახულ კონცეფციას მართლა ადეკვატურ ობიექტივაციას მისცემს“⁶¹. სხვა ენის მასალით „ნაწარმოების ხელახალი წარმოქმნის იდეა“ ვერაფრით ვერ იქნება „ნაწარმოების კონცეფციის, იდეის დაბადების“⁶² ტოლფარდი. ერთი სიტყვით, შემოქმედებითს პროცესში ნაწარმოების იდეის, კონცეფციის გაჩენა (ინსპირაცია), რომელსაც შემდეგ ხორცი უნდა შეესხას, სულ სხვა ვითარებას გულისხმობს; აქ ახალი სინამდვილის, მხატვრული სინამდვილის წარმოქმნასთან გვაქვს საქმე. ხოლო მთარგმნელი ახალ სინამდვილეს კი არ ქმნის, არამედ მიიღებს ამ სინამდვილეს, გაიშინავანებს და მშობლიური ენის მასალით ცდილობს გამოსახოს, აამეტყველოს იგი. ამრიგად, ეს ორი მოვლენა — „ნაწარმოების იდეის გაჩენა“ და „თარგმნის იდეის გაჩენა“ — ერთმანეთისაგან განსხვავებულია. ავტორი, როგორც ვნახეთ, მათ მექანიკურად აიგივებს. ვფიქ-

⁵⁸ იქვე.

⁵⁹ იქვე, გვ. 96.

⁶⁰ იქვე, გვ. 97.

⁶¹ დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, 1940, თბ., გვ. 483.

⁶² იქვე, გვ. 481.

რობთ, გაუმართლებელია ავტორის ცდა — თარგმანი, როგორც ასეთი „შემქცნებისა და ასახვის ნაირსახეობად“⁶³.

როდესაც ავტორი გვარწმუნებს, რომ „დედანი ასრულებს... ცოცხალი ნატურის ფუნქციას, ხოლო თარგმანი ამ ნატურის მხატვრული ასახვაა“⁶⁴, იგი, ვერ ერთი, აიგივებს ამ ორ სხვადასხვა ფენომენს — ემპირიულ და მხატვრულ სინამდვილეს — და ამავე დროს, თუ, ერთი მხრივ, ზღვარს შლის შემოქმედებითი საქმიანობის ამ ორ დარგს შორის და მათ იგივეობრივი (ანალოგიური) ფუნქციის მქონედ გვისახავს, მეორე მხრივ, ასახვის საგნით განსხვავებულ, ე. ი. რადიკალურად განსხვავებულ, ფენომენებად წარმოგვიდგენს.

თარგმანი, როგორც შემოქმედებითი საქმიანობის ცალკე ნაირსახეობა, დაკავშირებულია სათარგმნთან — დედანთან, მის მთლიან იდეურ-მხატვრულ არსებასთან. ხოლო ეს უკანასკნელი, როგორც მხატვრული ქმნილება, ცხადია, სინამდვილის სუბიექტური ასახვაა. თარგმანი მხოლოდ მაშინ ამართლებს თავის ფუნქციას, მხოლოდ მაშინ არის თარგმანი, როცა მასში იგივეა ასახული, რაც ასახულია დედანში. თარგმანსა და დედანს ასახვის ერთი და იგივე საგანი, ერთი და იგივე ობიექტი უნდა ექნეს და ისინი არსებითად ერთსა და იმავე მიმართებაში უნდა იქნენ მასთან (ასახვის საგანთან). ეს საქმიანობის ამ დარგის არსებობის აუცილებელი პირობაა. თუ თარგმანს ასახვის სხვა ობიექტი ექნა, იგი უკვე თარგმანი აღარ იქნება.

ეს ხარვეზი კიდევ უფრო ხელშესახები ხდება მხატვრული თარგმანის ცნების საბოლოო განსაზღვრისას, რომელიც ავტორს ასეთი სახით აქვს წარმოდგენილი: „ჩვენი აზრით, მხატვრული თარგმანი მხატვრული შემოქმედების ფორმაა, რომელშიც დედანი ასრულებს იმავე როლს, რასაც ორიგინალური შემოქმედებისათვის ცოცხალი სინამდვილე. მთარგმნელის შემოქმედებითი მეთოდი შესაბამება მის მსოფლმხედველობას. მთარგმნელი ასახავს თავისი მსოფლმხედველობის შესაბამისად შერჩეულ დედნის სინამდვილეს ამ უკანასკნელის შინაარსისა და ფორმის ერთიანობაში, მთელისა და ნაწილის ურთიერთმიმართებაში“⁶⁵.

მხატვრული თარგმანის ცნების ასეთი განსაზღვრა არ არის სრულყოფილი. „დედნის სინამდვილის“ სახელით მხატვრული ნაწარმოების მექანიკურმა გაიგივებამ ემპირიულ სინამდვილესთან ზღვარი წაშალა ამ ორ სხვადასხვა ფენომენს შორის, აბსოლუტურად გაიგივებულია სამწერლო შემოქმედებისა და თარგმანის ფუნქციები და ფაქტიურად აღიარებულია, რომ თარგმანი ისეთივე წესით ასახავს დედანს, როგორც, ვთქვათ, სერვანტესი თავის მშობლიურ სინამდვილეს „დონ კიხოტში“ — გარკვეული ასპექტით, გარკვეული მხატვრული, ინდივიდუალური კონცეფციის შესაბამისად, საკუთარ შემოქმედებით პრინციპებზე და ფანტაზიაზე დაფუძნებული გამოხატვის მიხედვით.

მხატვრული თარგმანის რაობის ასახსნელად მხატვრული შემოქმედების ზოგადდროსოფიური განმარტების მექანიკურმა გამოყენებამ გამოიწვია მხატვრული თარგმანის ცნების არაზუსტი განსაზღვრა. ავტორს ლიტერატურული შემოქმედებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნები მექანიკურად გადააქვს თარგმანის თეორიაში.

სინამდვილე მრავალ სხვადასხვა თემასა და იდეას აწვდის მწერალს და

⁶³ იქვე, გვ. 95.

⁶⁴ იქვე, გვ. 91.

⁶⁵ გ. ვ ა ჩ ე ი ლ ა ძ ე, მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები, გვ. 121—122.



მას ყოველივე ეს შეუძლია დაამუშაოს სხვადასხვა შემოქმედებითი ხერხებით, სხვადასხვა ჟანრში. „დედნის სინამდვილესა“ და მთარგმნელს შორის ურთიერთობა გამორიცხულია. დედანი (დედნის სინამდვილე) შეუძლებელია იქნეს მთარგმნელის „აქტიური დამოკიდებულების, ასახვის ობიექტი“⁶⁶, შეუძლებელია იგი ასრულებდეს „იმავე როლს, რასაც ორიგინალური შემოქმედებისათვის ცოცხალი სინამდვილე“, თუნდაც იმიტომ, რომ მთარგმნელმა შესაძლებლად სრულად უნდა გადმოიტანოს დედნის სურათი როგორც საგნობრივი, ისე ემოციური შინაარსის და ეანრის, საერთოდ ფორმის, თვალსაზრისით. ე. წ. „დედნის სინამდვილე“ ხომ ავტორის ფანტაზიის ნაყოფია, მხატვრულად შეფასებული „სინამდვილე“ და იგი თარგმანშიც უცვლელი უნდა იქნეს, წინააღმდეგ შემთხვევაში სხვა მხატვრულ მოვლენასთან გვექნება საქმე.

თარგმანი შემოქმედების თავისებური ფორმაა და, როგორც ასეთი, იგი, რა თქმა უნდა, ასახავს სინამდვილეს, მაგრამ არა „დედნის სინამდვილეს“, არამედ იმავე სინამდვილეს, რასაც დედანი ასახავს (რამდენადაც თარგმანი დედნის ასეთი თუ ისეთი ეკვივალენცია) და რაც გაცოცხლებულია მთარგმნელის წარმოსახვაში, მის ფანტაზიაში. აგრეთვე, თარგმანი, როგორც კულტურის მონაპოვარი, ასახავს მთარგმნელთან დაკავშირებულ სამყაროსაც, კერძოდ — მთარგმნელის მშობლიური ლიტერატურის განვითარების დონეს, იძროიონდელ ესთეტიკურ კრიტერიუმს, საზოგადოების ინტერესთა სფეროს, ენის ტენდენციას, თვით მთარგმნელის ინდივიდუალურ შემოქმედებითს თავისებურებას. ასე რომ, ასახვის განსეოლოგიური ცნება შეიძლება მივუსადაგოთ თარგმანსაც, მაგრამ სრულიად თავისებურად.

ცხადია, საესებით მართალია მეცნიერი, როდესაც იცავს და ავითარებს კამეინის მიერ შემოთავაზებულ თვალსაზრისს რეალისტური თარგმანის შესახებ. რეალისტური თარგმანის ცნება, ვფიქრობთ, ყველაზე მნიშვნელოვანი მიგნებაა თარგმნის თეორიის მთელი ისტორიის მანძილზე. მაგრამ მისი, როგორც მეთოდის, დაკავშირება მთარგმნელის მსოფლმხედველობასთან (მთარგმნელის შემოქმედებითი მეთოდი შეესაბამება მის მსოფლმხედველობას⁶⁷, — მიუთითებს ავტორი) წარმოქმნის რიგ სადავო საკითხს.

გ. გაჩეჩილაძის მსჯელობა, რომ თარგმანის რეალისტური მეთოდის ცნება „ჩვენ გამოგვყავს მსოფლმხედველობისა და მეთოდის ურთიერთობის მატერიალისტური გაგებიდან, რომელიც განსაზღვრავს მხატვრულ თარგმანს, როგორც მხატვრული შემოქმედების ფორმას“⁶⁸, იწვევს ყველა იმ უზუსტობას, რომელიც ახასიათებს მის თვალსაზრისს მხატვრული თარგმანის სხვადასხვა შემოქმედებითი მეთოდის არსებობის შესახებ. მხატვრული თარგმანის შემოქმედებით მეთოდს, რა თქმა უნდა, აქვს თავისი სპექტრი (თუ შეიძლება ასე ითქვას), რაც ამ შემოქმედებითი სამუშაოს შესრულების სხვადასხვაობაში იჩენს თავს, მაგრამ თარგმანის შესრულების მეთოდის ეს ნაირგვარობა თავისი შინაარსით სრულიად განსხვავდება მეთოდის იმ გაგებისაგან, რომელიც მიღებულია ლიტერატურის თეორიაში (და რომელსაც გ. გაჩეჩილაძე მექანიკურად ავრცელებს თარგმანზე).

მეთოდი ლიტერატურათმცოდნეობაში ესმით როგორც გარკვეულ შემოქმედებით პრინციპთა ერთობლიობა, როგორც ცხოვრების მხატვრული ათვის-

⁶⁶ იქვე, გვ. 92.

⁶⁷ იქვე, გვ. 122.

⁶⁸ იქვე, გვ. 122.



სების წესი. შემოქმედებითი მეთოდი სამყაროს მხატვრული ასახვის აბსტრაქციონიზმით. იგი ყოველთვის კონკრეტულია და დაკავშირებულია რომელიმე ლიტერატურულ ეპოქასთან, ლიტერატურულ მიმართულებასთან, სკოლასთან⁶⁹. ამიტომ გამოთქმა „რეალისტური შემოქმედებითი მეთოდი“ საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობისათვის ზოგადი შინაარსის ცნებაა; საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობა არ იცნობს რეალიზმს საზოგადოდ. რეალიზმი, როგორც მეთოდი, ყოველთვის დაკავშირებულია ლიტერატურულ მიმართულებასთან, სისტემასთან, ეპოქასთან. ამის შესაბამისად გვაქვს კრიტიკული რეალიზმი, სოციალისტური რეალიზმი, ე. წ. ნეორეალიზმი.

ამ ლიტერატურული მიმართულებების შემოქმედებითი მეთოდი რაღაც ზოგადად აღებული რეალისტური მეთოდი კი არ არის, არამედ რეალიზმის ამა თუ იმ კონკრეტული სახის მეთოდი.

გ. გაჩეჩილაძე პირდაპირ აცხადებს: „მთელი ჩვენი თეორიული მსჯელობა, ბუნებრივია, დადებით პასუხს იძლევა კითხვაზე, შესაძლებელია თუ არა სხვადასხვა ფორმაციის რეალიზმზე ლაპარაკი მხატვრული თარგმანის შემთხვევაში“.

თუ მეთოდს რეალისტურს ვარქმევთ, ეს გარემოება გვავალებს, რომ მას კონკრეტული, სპეციფიკური განსაზღვრაც მოვუნახოთ. და თუ ჩვენ ვიტყვით, რომ ამა და ამ მთარგმნელის მეთოდი კრიტიკული რეალიზმიანია, ეს იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი ის, რაც ნიშანდობლივია კრიტიკული რეალიზმისათვის სინამდვილის მხატვრული ათვისების პრინციპების თვალსაზრისით, უნდა გავაერცელოთ, ერთი მხრივ, „დედნის სინამდვილეზე“, რომელიც, გ. გაჩეჩილაძის მიხედვით, იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც სინამდვილე მწერლისთვის და, მეორე მხრივ, თვით მთარგმნელზე; მაშინ „დედნის სინამდვილის“ მიმართ მთარგმნელი კრიტიკული დამოკიდებულებით უნდა განიმსჯელოს და კრიტიკულად შეხედოს მგლოვიარე აღაზას, გაჩქებულ ზვიდაურს; გამოხატოს თავისი კრიტიკული დამოკიდებულება „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა მეგობრობისა და მიჯნურობის გრძნობისადმი.

რა თქმა უნდა, მშვენიერი ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი და ლიტერატურის ისტორიკოსი გ. გაჩეჩილაძე ამას არ ფიქრობს, მაგრამ თეორიული მსჯელობის უკომპრომისო ლოგიკას აქვთ მივეყვართ, თუკი დავეფუძნებთ მითითებულ ამოსავალ დებულებებს.

საჭიროდ მიგვაჩნია აქ მოვიყვანოთ პროფ. გ. გაჩეჩილაძის კიდევ ერთი, ამჯერად საესეებით სამართლიანი და სახელმძღვანელო განცხადება, რომ „მხატვრული თარგმანის მთელი პრაქტიკა და იდეური მიზანდასახულობა ორიგინალური ლიტერატურის ანალოგიურია. მაგრამ ამ ანალოგიის გვერდით არ უნდა დავივიწყოთ თარგმანის სპეციფიკა. თარგმანი მაინც არის თარგმანი...“⁷⁰ ვფიქრობთ, თარგმანის მხატვრული მეთოდის განსაზღვრისას ეს უცილობელი კვშმარტება არ უნდა დაგვავიწყდეს.

თარგმნის ხელოვნება ლიტერატურული შემოქმედების სპეციფიკური დარგია და ორიგინალური მხატვრული შემოქმედების კანონზომიერებათა მასზე უცვლელი (მექანიკური) გადატანა არ არის გამართლებული.

თარგმანის მხატვრული მეთოდი, ჩვენი გაგებით, წარმოადგენს იმ შემოქმედებითი პრინციპების მთლიანობას, რომელიც უშუალოდ განაპირობებს მთარ-

⁶⁹ იხ. ნ. ქოლოჯავა, რეალიზმის ზოგიერთი საკითხის შესახებ, თბ., 1962; И. Волков, Творческие методы и худ. системы, М., 1978.

⁷⁰ გ. გაჩეჩილაძე, მით. წიგნი, გვ. 220 (ხაზგასმა ჩვენია).

გმწელის მშობლიურ ენაზე უცხო ავტორის ამეტყველების ხასიათს ოდნავ შეეცვლით გ. გაჩეჩილაძის მითითებულ სიტყვებს, უზრუნველყოფს დედნის ფორმისა და შინაარსის ერთიანობას.

ცხადია, უმართებულოა თარგმანის მეთოდისა და მხატვრული ასახვის რეალისტური მეთოდის გაიგივება. თარგმნა არსებული მხატვრული ქმნილებს სხვა ენით გამოსახვა — კვლავ წარმოქმნა და მთარგმნელის გარემო თარგმანში მხოლოდ მეორადი გზებით აისახება. რა თქმა უნდა, მხატვრული თარგმანის მეთოდი მხოლოდ რეალიზმის პრინციპებს უნდა ეფუძნებოდეს, მაგრამ რეალიზმი მხატვრულ თარგმანში ახალი მხატვრული სინამდვილის შექმნის, ანდა ტიპურის ტიპურ გარემოში ასახვის პრინციპად კი არ უნდა გავიგოთ, არამედ მოცემული მხატვრული ქმნილების, მისი სტილისტური ხასიათის სწორი და ორგანული აზრობრივ-ემოციური ათვისებისა და აღქვავატური გამოსახვის პრინციპად. მხატვრულ თარგმანში რეალიზმი არის გარდასახვის — ინდივიდუალობათა სინთეზის შემოქმედებითი პრინციპი. ყველა ჭეშმარიტად კარგი თარგმანი, რომელშიც ნათლად ჩანს ავტორის ინდივიდუალური სახე და თვით ნაწარმოების მხატვრული უნიკალობა, რეალიზმის პრინციპითაა შესრულებული. მაგრამ ეს არის საგანთან რეალისტური დამოკიდებულების და არა მისი შემოქმედებითი ასახვის პრინციპი. თავისი არსებით რეალისტურია თვით შემოქმედებითი გარდასახვის პრინციპებიც; სხვაგვარად, გარდასახვას ადგილი არ ექნებოდა. გარდასახვის პრინციპთა რეალისტური ბუნება განსაკუთრებით მკაფიოდ იგრძნობა მხატვრულ თარგმანში, როცა ამ გარდასახვის მიზანი ის არის, რომ მკითხველმა „შეიგრძნოს დედნის ინდივიდუალური ფიზიონომია“ (კროჩეს გამოთქმა), სტილი, ინდივიდუალობა.

რეალისტური მხატვრული თარგმანის მეთოდის შინაარსის დასაზუსტებლად ჩვენ გვინდა დავეფუძნოთ ისევ გ. გაჩეჩილაძის დებულებას, რომ თარგმანში „რეალისტური მეთოდი გულისხმობს დედნის... შესწავლის მეცნიერული ხასიათისა და მისი წარმოქმნის მხატვრული ხასიათის ერთიანობას“⁷¹.

მხატვრული თარგმანი რომ მეცნიერულ მუშაობასთან არის დაკავშირებული, ეს საყოველთაოდ არის აღიარებული. სათარგმნი ავტორის ღრმად და სწორად გაგება-ათვისებისათვის აუცილებელია მისი სტილის, პოეტიკის, მხატვრული ხერხების მეცნიერული შესწავლა, დადგენა, აგრეთვე ენობრივი კატეგორიებით გადმოცემული აზრობრივი ნიუანსების მეცნიერულად ზუსტი გათვალისწინება. მაგალითად, შექსპირის „ჰამლეტში“ ორაზროვანია სიტყვები: „loose“ — ნიშნავს არა მხოლოდ „შეხვედრას“, არამედ აგრეთვე მაქანკლური ქვენა გრძნობით შეხვედრებასაც; „a fishmonger“ — თევზის ვაჭარი და, ამავე დროს, მაქანკალი; „a nunnery“ — ქალთა მონასტერი, უკვე XVI საუკუნის პირველ ნახევარში ეს-მოდათ გადატანითი მნიშვნელობით, როგორც საროსკიპო⁷². თუ ამ სიტყვათა ისტორიული მნიშვნელობები არ ვიცით, ტექსტს ვერ გავიგებთ, ვერ ჩავწვდებით იუმორს, მხატვრულ თუ აზრობრივ ნიუანსებს.

რაც შეეხება თარგმანზე შემოქმედებითს მუშაობას, ეს ხომ აუცილებელი პირობაა მთარგმნელობისა. თარგმანმა ნაწარმოების მხატვრული მთლიანობა უნდა წარმოქმნას, ისე უნდა გადმოიტანოს ფორმისა და შინაარსის პარამონი-

⁷¹ იქვე, გვ. 196—197.

⁷² მაგალითები აღებულია გ. მერის სტატიიდან: «Опыт работы над переводом Шекспира», сб. кн. «Мастерство перевода, 1966, М., 1968, გვ. 85.



ლი, ურთიერთგამაპირებელი ერთიანობა, რომ ახალმა ენობრივმა ^{გარკვეულმა} ~~საქართველოში~~ ^{საქართველოში} მა მის კომპოზიციურ წონასწორობაში არ შეიტანოს არსებითი ცვლილება, დისპარონია; შემოქმედებითი თავისუფლებით მიიღწევა გამოთქმის ბუნებრიობა და მხატვრული აზროვნების ეროვნულ ტრადიციებთან დედნის სახეთა სისტემის ჰარმონია.

თარგმანის მეთოდი, რომელიც უზრუნველყოფს დედნის ადეკვატის შექმნას, სწორედ რეალისტური მიმართების პრინციპს უნდა ემყარებოდეს. ყველა სხვა შემთხვევაში მხატვრული თარგმანი ადგილს დაუთმობს რაღაც სხვას: გადაკეთებას, მიმბაძველობას, ე. ი. „ლიტერატურშინას“. რეალისტურ მიმართებათა პრინციპი თარგმანში ეფუძნება მხატვრული მთარგმნელობის ორ მუდმივ პოლუსს — დედნის აკადემიურ ათვისებასა და შემოქმედებითს წარმოსახვას. დედნის უცხო ენაზე წარმოქმნის ეს ორი გარდაუვალი საწყისი ქმნის შესაძლებლობას, რომ რეალისტური მხატვრული თარგმანის შემდეგი გრადაციები არსებობდეს: სრულყოფილია თარგმანი, თუ მთარგმნელის მეთოდში აკადემიური და შემოქმედებითი საწყისები ჰარმონიულად ავსებენ ერთმანეთს; მაგრამ ეს, პრაქტიკულად, უიშვიათესი მოვლენაა. როგორც წესი, თარგმანები მეთოდის ან ერთი მხრისკენ არიან გადახრილი ან მეორისკენ.

აკადემიურია თარგმანი თუ მთარგმნელის მეთოდში აკადემიური და შემოქმედებითი ხერხების გამოყენების აღნიშნული ჰარმონია დარღვეულია, აკადემიური ზედმიწევნითობის ერთგვარი სიჭარბის გამო; შემოქმედებითია თარგმანი, თუ აღნიშნული ჰარმონია დარღვეულია შედარებით ჭარბი შემოქმედებითი თავისუფლებით.

სრულფასოვანი შეიძლება იქნეს როგორც აკადემიური, ისე შემოქმედებითი თარგმანი, თუ შესრულების მეთოდში ესა თუ ის მხარე გარკვეული ზომიერებით არის წარმოდგენილი. აკადემიურს ვერ დავარქმევთ ისეთ თარგმანს, რომელიც უგულვებელყოფს (ან ზედმეტად უგულვებელყოფს) შემოქმედებითს პრინციპებს. ასევე შემოქმედებითი არ შეიძლება იქნეს ის თარგმანი, რომელიც იცნევებს აკადემიური შესაბამისობის პრინციპს, უგულვებელყოფს ავტორის სახეთა სისტემას, შემოაქვს ახალი სახეობრივი აქსესუარები და ამჟღავნებს შემოქმედებითი თავისუფლების უკიდურეს პოზიციას. თარგმნის მეთოდში აკადემიურ ზედმიწევნითობას უნდა ზღუდავდეს შემოქმედებითი თავისუფლების პრინციპი, ხოლო ამ უკანასკნელს დედანთან მჭიდროდ უნდა აღუღაბებდეს პრინციპი აკადემიური სიზუსტისა.

მხატვრული თარგმანის ამ ორი ტიპის ბევრი მაგალითის დასახელება შეიძლება როგორც ქართულ ენაზე თარგმნილი ლიტერატურიდან, ისე ქართულიდან რუსულ ენაზე შესრულებულ თარგმანებში. მაგალითად, მ. ლოზინსკის მიერ ბრწყინვალედ თარგმნილი ნ. ბარათაშვილის „მერანი“ ჩვენ სრულფასოვანი აკადემიური თარგმანის ნიმუშად მიგვაჩნია, ხოლო ამავე ლექსის პასტერნაკისეული და ანტოკოლსკისეული თარგმანები, ჩვენი აზრით, შემოქმედებითი თარგმანის ნიმუშებია, თუმცე პასტერნაკის მშვენიერი თარგმანი ბარათაშვილისათვის უჩვეულო სახეთა შემოტანის გამო («...отрвусь от семейных уз», «...к звездам неб в подданство впишусь» და სხვ.) სცილდება შემოქმედებითი თავისუფლების ზღვარს, მაგრამ ეს არის ლექსის ვერტუოზის თავისუფლება. საპირისპიროა, მაგ., ე. დერეჯანის თარგმანი, რომელიც აკადემიზმის დასაშვებ ზღვარს მიღმა დგას და შემოქმედებითს ამოცანებს ე ვერ ართმევს თავს. აუცილებელია აქვე შევნიშნოთ, რომ მთარგმნელი, როგორც შემოქმედი, თავისი ეპოქის შვილია და, ცხა-

დია, არ შეიძლება იზოლირებულ იქნეს მიმდინარე ლიტერატურული პროცესიდან, მისთვის დამახასიათებელი ესთეტიკური იდეალის, სტილის და, ალბათ, თვით შემოქმედებითი მეთოდის ვაკუუნიდან. პირიქით, იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული მშვენიერების თანადროულ იდეალთან, მხატვრულ სტილთან და მთელ თავის მუშაობაში ხელმძღვანელობს ამ იდეალით. ეს გარემოება, უთუოდ, უნდა მიიჩნით თარგმანის დღემოკლებობის, წარმავლობის ერთ-ერთ არსებით მიზეზად.

В 1892 году Важа Пшавела опубликовал рассказ «Кучи»²¹. Это произведение является одним развернутым тропом, сказом от имени горной травы. Основная идея рассказа заключается в следующих деталях произведения. Невзрачная, неприглядная трава, кучи растет там, где кроме нее никакое растение не может выжить. «Я горная трава, выросшая посреди утеса. Рядом со мной другое растение не выживает. Лишь только для меня предначертала судьба эти слова: «Кучи! Да будет скала твоим отцом и матерью, твоей судьбой и роком, прошедшим и грядущим! — Скала! Неужто ты и есть мой отец и мать, мой защитник и хозяин?»

— Я есмь, не бойся, темная».

Неприглядная трава живет в полном одиночестве, никто не интересуется ею, нет у нее друзей. Однако сама она видит все и много думает. У нее доброе, отзывчивое сердце: «Иногда скала плачет. И я плачу тогда: вижу слезы матери, потому и плачу». Мать-скала оплакивает своих детей, нагроможденные друг на друга глыбы в пропасти. Кучи жалеет их и окрапывает росой. Им это очень приятно. Трава мечтает о друге, с которым она хоть изредка смогла бы побеседовать. Ее утешают цветы на противоположном склоне горы. Цветы эти, как и кучи, страстно влюблены в пирумзе²². Однако пирумзе влюблена в солнце. И как может пирумзе влюбиться в кучи, ведь она — «Свята и безвинна, а я безобразен и грешен. Разве справедливо, что я загрязнен кровью и перьями?!». Откуда эта кровь на теле горной травы? Это кровь жертв орла. Орел облюбовал глыбу над головой кучи. Сядет на нее с какой-нибудь птицей в когтях, и «...рвет жертву клювом, обливается кровью и обли-

²¹ Название разновидности горной травы.

²² Название горного цветка. Цветок этот все время обращен к солнцу и поэтому его называют солнечным цветком.



вает меня. Как могу я уклониться? Обагрена красной кровью. Явится солнце и высушит кровь на моем теле». Кучи думает, что из-за этой крови чуждается его пиримзе. Если бы не кровь, то пиримзе в один прекрасный день крикнула бы ему: «Кучи! Сын скалы, здравствуй!». С наступлением зимы пиримзе растворяется в земле. «Хотя бы и я смешался с землей, — думает в такое время кучи, — может быть, хоть какая-либо моя часть встретится с ней лицом к лицу. Приходит весна, оживает пиримзе и я тоже оживаю тогда». Кучи знает, что смерть — плохая штука. Когда однажды орел разорвал бедную птицу над головой кучи, то одна из глыб прошептала ему: «Кучи, дурачок, вот это и есть смерть!».

Да, жизнь кучи неприглядна для постороннего взора, но кучи любит ее, эту жизнь, любит скалу, солнце, глыбы и ненавидит смерть: «Солнце, обогрей меня! Дождик, ороси! Скала высокая, сохрани мои корни, не отнимай у них жизнь, не искореняй, не погуби меня!». Беспредельно стремление кучи к прекрасному, беспредельна его пламенная любовь к пиримзе, но также беспредельна его ненависть к насилию, жестокости. Однако кучи бесслен и слаб. Он непригляден, слаб и добр. В этом и заключается вся его сущность, и он взывает к орлу, взывает к всевышнему голосом, полным мольбы и отчаяния: «Орел, гордая птица! Бога ради, постарайся не показывать мне, как проливаешь ты кровь безвинных существ; не дай моим ушам слышать их стоны, так как их стоны — страданье и вздохи моего сердца. Создатель, защити и сохрани повисшего на бесплодной скале кучи».

Важа Пшавела хорошо знал природу, так же, как он хорошо знал современное ему общество. Явления, аналогичные описанным в «Кучи», его всепроникающий взор не мог не заметить и в окружающем его обществе. Этот рассказ — могучий голос Важа Пшавела, выступавшего против царившей несправедливости, угнетения слабых сильными, против бесчувственности, эгоизма и жестокости. Уникальная форма, подобранная для выражения этой идеи, делает ее воистину неисчерпаемой. Однако не следует думать, что степень логико-эмоционального воздействия произведения на читателя определяется только лишь идеями и стилистическим приемом персонификации. Да, тот факт, что рассказ ведется от имени травы, что ее слушают солнце, орел, цветок, скала, что с ним говорит глыба, несомненно, вносят в рассказ определенную эстетическую информацию, но такую же информацию в текст вносят и рассыпанные в развернутом тропе поэтические сравнения и метафоры. Вот несколько из них: «Скала не боится лавину, что с грохотом нагрянет зимою, придет, пронесется и с ревом устремится в пропасть, упадет, и, как бы успокоившись, глубоко вздохнет». Мы подчеркнули блестящие примеры поэтического сравнения и метафоры. Вот еще один пример: «Сыновья скалы глыбы, что валяются внизу, награжденные друг на друга, оторванные от груди скалы, осколки ее сердца...».

Мы рассмотрели разнообразные тропы в творчестве Важа Пшавела с компонентами **неодушевленный предмет** и **растение** как в плане содержания (персонификация), так и в плане выражения (метафора, сравнение) тропа. Художник слова, блестяще использовавший стилистический прием персонификации неодушевленной природы и растительного мира, не мог игнорировать и окружающий его животный мир. Достаточно просмотреть только лишь заглавия его стихотворений, поэм и рассказов, чтобы убедиться в том, какое место в системе тропов его творчества уделяется антропоморфизации животных, наряду, конечно, и с перенесением качеств животных на человека. В списке поэм



художника, например, встречаем произведения с такими заглавиями: «Полуцыпленок», «Мудрый осел», «Пир льва», «Раненый тигр», «Соловей Анна», привлекают внимание в этом отношении и следующие рассказы: «Заяц», «Рассказ олененка», «Голуби», «Медведь», «Наш петух», «Длиннохвостая лиса», «Бессильный осел», «Змея», «Куропатка», «Волк», «Орел», «Мой сокол», «Олень» и др. Сравните с этим и такие стихотворения: «Орел», «Где ты, мой орел?», «Коршун унес цыпленка», «Цыпленок», «Завещание зяблика», «Старый лев», «Орел и ворона», «Олень» и др. Само по себе перенесение интеллектуальных способностей человека на животное не является выражением особого таланта писателя. Каждый может мысли и чувства человека высказать устами любого представителя животного мира, не отклоняясь особенно от установленных в языковой общности его произведений узаконенных норм; например, глупости осла, хитрости лисы, силы и бесстрашия льва, подлости змеи и т. п. Особенность персонифицированных животных Важа Пшавела заключается в том, что они выражают как идеи злободневные, насущные, имеющие особое значение для народа, родины в данный исторический момент, так и идеи вечные, не подлежащие переоценке никогда. Идеи эти Важа Пшавела выражает в свойственной для него манере поэтического мышления, форме. Приведем в связи с этим такой пример. В заключительной главе поэмы «Бахтриони» Важа Пшавела описывает подножие высокой горы в темном, непроходимом лесу. Там же, в высоком ущелье виднелась страшная на вид пещера, темная, мрачная, обросшая мхом. В этой пещере жила огромная змея, покрытая щетиной, пожиравшая зверей и охотников:

«Однажды змея, как туман,
Растянулась на дереве,
Шипела озлобленная
И грелась на солнце.
Вдруг змея услышала стон,
Щетина у нее поднялась дыбом».

Это стонал насмерть раненный за освобождение родины герой Лухум. Змея пожалела не пожалевшего за родину жизнь героя:

«Поползла к нему, изгибаясь,
Зашелестели сухие листья
Под ее тяжелым телом.
Уставилась она на раненого
Своим змеиным лицом,
Смотрит на умирающего
Наводящими на всех ужас глазами».

Задумалась змея, состраданием наполнилось ее змеиное сердце. Стала облизывать рану на груди человека, окрапывать стекающими из ее глаз слезами. Лес и поля наполнились ее громким плачем:

«Целый месяц обхаживал героя
Враг человеческого рода,
Бросил он путь зла
И стал на дорогу добра!
Змея сама приносит ему еду,
Поит его водой вольной горы
По ночам рассказывает сказку
О двух братьях сиротах».



В народе говорят, читаем в заключительных строках поэмы, что *змея* вылечила раненого, и герой сможет встать на святую гору. Эпизод приобретает особое звучание ввиду противопоставления его с другим эпизодом, воплощенным в предыдущей главе поэмы, где мать проклинает тот день, когда у нее родился сын — предатель родины.

Диапазон поэтического мышления Важа Пшавела необычайно широк. Его взор постоянно обращен к высотам гор, то задумчивым и мрачным, окутанным черным туманом, то блестящим белыми снегами на фоне голубого неба, но тот же взор не упускает из виду и фиалку на дне пропасти, в тени кустов и колючек, он видит одним, только ему присущим взглядом и раздиравшего жертву орла на высоком утесе и осиротевшего олененка в тенистой роще. Страшен и беспощаден орел с кровожадными глазами, с острыми когтями и загнутым клювом. Но разве не ужасен и человек с ружьем и с кинжалом в руках, с наостренным слухом и зрением, преследующий безвинное животное? «Чем я провинился пред тобою, человек, скажи мне, чем? Что тебе сделала моя бедная мать, что съела у тебя, что выпила? Зачем убил ты ее и оставил меня одного сиротою?! О, люди! Вы надеетесь на свою хитрость и силу, а о нас не думаете... Вы не чувствуете, что и мы любим свободу, не чувствуете вашим безжалостным сердцем, что и мы любим жизнь, природу: шуршание листьев, журчание родника, к которому я так часто прислушиваюсь, затаив дыхание, перелив травы и вольные игры лесных зверей», говорит нам осиротевший олененок. Нельзя прочитать этот рассказ и не стать благороднее, человечнее²³. Его преподают детям в школе. Таких персонализаций животных в творчестве Важа Пшавела немало. Однако следует отметить, что Важа Пшавела использует и другие троповые структуры, например, такие, как «животное ≈ человек», «животное ≈ неодушевленный предмет» и другие. Рассмотрим несколько из них. В стихотворении «Весна» (1888) поэт говорит о горной реке:

«Плывет по мухранской равнине
Дерзкий, вольный осел.
Опьянел, проклятый,
Выпил снег на горе».

В стихотворении «Черная туча», где говорится о том, как, завидуя великолепию солнца, туча решила погубить великое светило, но в борьбе с ним погибла сама, встречаем такой уникальный троп:

«У моря лежала туча,
Черная как чернила.
Услышав пение сил природы,
Что восхваляли солнце,
Туча обиделась,
Сидит, ошестинившись».

«Ошестинившаяся туча» — малопредсказуемый и впечатляющий образ. Хорошими примерами реализации структуры «животное ≈ человек» может послужить следующий троп из стихотворения «Надежда поэта»:

«Тешусь я тем, что обращался с землей
по-земному,
А с небом по-небесному,
Не ползал я внизу как пресмыкающееся,
Парю наверху, как сокол».

²³ «Рассказ олененка».



Очень показательным как с точки зрения идейного наполнения, так и с точки зрения оригинального видения сходства между далеко отстоящими друг от друга предметами, является и следующий троп из стихотворения «Песня»:

«Похож я на быка, вернувшегося с горного
пастбища,

Рогами рою землю, реву,
Боже, храни мою родину!—
Бормочу даже во сне».

Каким бы многообразием структур и их конкретными реализациями не характеризовалась система тропов творчества Важа Пшавела, в ней нетрудно заметить одну основную глубинную структуру «человек ≈ не-человек», как бы играющую роль лидера, объединяющего вокруг себя все остальные разновидности. Двигаясь от данной глубины к поверхностной структуре, от абстрактного к конкретному, нельзя будет не заметить особое влечение поэтического мышления Важа Пшавела к структуре «человек ≈ гора». В конкретных своих реализациях она представлена в самых удивительных образах. «Все, среди них и я, любим высокие, украшенные зеленью и цветами горы», так начинается свой рассказ «Высохший бук» Важа Пшавела. Горы в его видениях могут быть зелеными и черными, добрыми и суровыми, разнообразными признаками могут постоянно меняться, но один признак, конститuent — понятие данного предмета, всегда эксплицитно, либо имплицитно присутствует в символической горе — это признак **высоты**. С высоты гор некое духовное око видит все. Оно все взвесит и все рассудит. Безмолвием своим осуждает гора Миндия, утратившего способность понимать язык природы, способность служить добру. Вот Миндия, осознав свою вину перед родиной,

«Встал и скрестив руки на груди
Вышел из дому.
Взглянув на высокие горы,
Горько зарыдал».

В контексте поэмы, а тем более, в глобальном контексте творчества Важа Пшавела это великий символ, непосредственно связанный с природой самого поэта. Как Миндия, вкусив у девок змеиное мясо, стал понимать язык животных и растений, так и Важа Пшавела, познав любовь родной земли, вдруг увидел самые сокровенные связи предметов, услышал беседу родника с утесом, вздохи фиалок, смех дерева, благословение солнца. Поэт до последнего дня жизни остался уверенным тайн человека и окружающих его вещей. «Где есть поэзия?» — спрашивает Важа Пшавела. Она в ночных ураганах над высочайшими горами, — отвечаем мы, — она в запахе прелых листьев в осеннем лесу, в тревожных предчувствиях фиалок, в вопле горной травы, в кошащих шагах ветра, в колючих плодах мечты, в слезах скал, в сумерках и зарницах жизни, во сне и сновидениях росы, она ночует в бездонных ущельях и просыпается алыми цветами на белых вершинах Кавказа, она во чреве великой Матери-Природы, в беспредельном, всепроникающем взоре, что охватил прошедшее, настоящее, грядущее.

Отдел комплексных теоретических проблем
Института мировой литературы им. М. Горького

Представил академик АН Грузинской ССР Г. Н. Джибладзе

ივანე მთვარელიძე

ვახტანგ მეექვსის სახე XVIII საუკუნის ქართულ კოეფიკსს

XVIII საუკუნის სახელმწიფო მოღვაწესა და მწერალს ვახტანგ მეექვსეს ქართული მწერლობის ისტორიაში საპატიო ადგილი უჭირავს. მან, როგორც ქვეყნის მმართველმა, განათლებულმა პოეტმა და მეცნიერმა, უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში. როგორც კ. კეკელიძე აღნიშნავს, „ცხრა წლის პერიოდი, როდესაც ვახტანგი ქართლს განაგებდა, იყო უნაყოფიერესი ხანა მისი კულტურულ-ლიტერატურული და სამეცნიერო მოღვაწეობისა“¹. სწორედ ამ პერიოდში განახორციელა მან არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება.

ვახტანგი თანაბრად იბრძოდა კულტურის ყველა უბანზე. მის მიერ „სწავლულ კაცთა კომისიის“ შექმნა იმდროინდელი საქართველოს კულტურული ღონის მაჩვენებელია. ამით ვახტანგმა საფუძველი ჩაუყარა ქართულ სამეცნიერო მუშაობას, რომელიც საქართველოს ისტორიის წყაროების შესწავლით დიწყო. ამ კომისიამ შეკრიბა ძველი ტექსტები და საბუთები და შეიმუშავა „ქართლის ცხოვრების“ ახალი რედაქცია, დაწერა საქართველოს ისტორია XIV საუკუნიდან, „მანვე გასწია განსაცვიფრებელი საკოდიფიკაციო შრომა, რომლის შედეგი იყო ეგრეთ წოდებული „ვახტანგის კანონები“ და „დასტურლამა“ და დააარსა თბილისში 1709 წელს სტამბა, რომელმაც ასე გაამდიდრა ჩვენი წიგნის ბაზარი“². სწორედ ამ სტამბაში დაბეჭდა ვახტანგ მეექვსემ შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“, რომელსაც დაურთო კომენტარები და მოგვცა ამ უკუდავი ნაწარმოების პირველი მეცნიერული რედაქცია.

XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი სამართლიანად ითვლება საქართველოში მძლავრი კულტურული აღმავლობის ხანად. თვით ვახტანგის დაუღალავმა შრომამ დაცემის ხანის დანაკლისი შეუქმნა ქართულ ლიტერატურას. „სწორედ გასაოცარი ხანა იყო ეს ხანა! — წერდა ივ. ჯავახიშვილი. ასეთი დაუღალავი, მედგარი მუშაობა, რომელსაც ერთი საზოგადო მიმართულება ჰქონდა და ფართო და ღრმა ნიადაგი ეპყრა, უფლებას გვაძლევს, ქართული მწერლობის ამ ხანას ენციკლოპედიური ხანა დავარქვათ სახელად. თითქმის ყველა იმდროინდელი მოღვაწის აზრი და გონება იმ ფიქრისაკენ იყო მიმართული, რომ ქართველი ხალხის შემოქმედებითი ნიჭის მრავალი საუკუნის ნამუშევარი და ნაჭირნახულვეი შეეკრიბათ, შეესწავლათ, შთამომავლობისათვის დამთავრებული, ყოველმხრივი წარმოდგენა და ცოდნა გადაეცათ. ამ დიდი საქმის მოთავედ და სულის ჩამდგმელად დიდებული, დაუვიწყარი ვახტანგი იყო“³.

ვახტანგ მეექვსემ თავისი ცხოვრების შეგნებული წლები დაბეჩავებულ და თითქმის მოოხრებული ქვეყნის აღდგენას შეაღია. მაშინდელი საქართვე-

¹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 11, 1958, გვ. 541.

² იქვე.

³ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ტფილისი, 1, 1928, გვ. 116.

ლოს პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა კი იმდენად სავსებით იყო, რომ „არღა დაშობილ იყო ქართულსა ენასა ზედა სწავლა ესე ფილოსოფოსთა“⁴. ცხადია, ეს გარემოება დიდად დააფიქრებდა ქვეყნისათვის მზრუნველ მეფეს. ამიტომ ვახტანგმა თვით იკისრა ამ დანაკლისის შევსება-გამოსწორება. მან ისევ ფეხზე დააყენა საქართველოში სწავლა-აღზრდის საქმე. ვახტანგი იყო „ყრმათათვის დიდად მოწყალე და სწავლა-შემეცნების გულსმოდგინე“⁵. ამავე დროს იგი იყო „მრავალფეროვანი და ნაყოფიერი მწიგნობარი, მთარგმნელი, რედაქტორი, კომენტატორი, პოეტი“⁶.

მიუხედავად იმისა, რომ ვახტანგ მეექვსეს თითქმის დაულაგებელი და აწეწილი ცხოვრება ჰქონდა, მან მაინც შესძლო ფასდაუდებელი სამსახურის გაწევა მშობელი ხალხისადმი. სწორედ ამიტომ ვახტანგის სახე იმთავითვე იქცა ქართველ პოეტთა შთაგონების წყაროდ. მისი თანამედროვე ავტორები ვახტანგს წარმოსახავენ როგორც ქვეყნისათვის დამაშვრალ მეფეს, რომელიც გამაჰმადიანებდა გონებითა და უტყუარი ალლოთი წარმართავს მთელ თავის მოღვაწეობას.

ვახტანგ მეექვსის რუსეთში გამგზავრება აღწერილი პოემა „ვახტანგნიანი“⁷. კ. კეკელიძის მოსაზრებით, ავტორი ამ პოემისა „ყოფილა ერთ-ერთი თანამხლები ვახტანგისა ფაველნიშვილთა გვარიდან“⁸, რომელსაც დეტალურად აქვს აღწერილი ვახტანგის წასვლა რუსეთს და მისი საქმიანობა 1727 წლამდე.

ქართულ ლიტერატურაში სულ რამდენიმე ნაწარმოები მოიპოვება, რომელიც უშუალოდ გამოჩენილ პირს (მეფეს) ეძღვნებოდა. სპეციალური ნაწარმოები რომ შეიქმნას ისტორიულ პირზე, საჭიროებს აუცილებელ წინამძღვრებს. დავას არ იწვევს ის, რომ ეპოქის მოთხოვნილებით დაიწერა ჩახრუხადის „თამარნიანი“, შავთელის „აბდულმესიანი“, ფეშანგის „შაჰნავაზიანი“. სახობო ნაწარმოების შექმნა გულისხმობს ქების ობიექტის სიძლიერესა და პოპულარობას. ჩვეულებრივ ხდება რომელიმე პიროვნების ქება-დიდება, ან რომელიმე ღირსსახსოვარი მოვლენით გამოწვეული აღფრთოვანება.

თუმცა „ვახტანგნიანი“ ისტორიული პოემაა, იგი აშკარად ატარებს სახობო ხასიათსაც. თვით სპეციალური ნაწარმოების შექმნა ვახტანგ მეექვსეზე, უკვე მიუთითებს მის პოპულარობას საქართველოში.

როდესაც ვახტანგ მეექვსის პიროვნებას ვეხებით, გვიანტერესებს როგორაა წარმოდგენილი ლიტერატურაში იგი, რადგანაც „პერსონაჟთა მოქმედებაში იხატება მისი ხასიათის პიროვნული და საზოგადოებრივი თავისებურება“⁹.

XVIII საუკუნის ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში ვახტანგი მიჩნეულია სინათლის სიმბოლოდ. ვფიქრობთ, ამ გარემოებას ხელი შეუწყო ვახტანგის მრავალმხრივმა კულტურულ-საზოგადოებრივმა მოღვაწეობამ. მამუკა ბარათაშვილი ვახტანგს წარმოსახავს, როგორც „ბნელთათვის ლამპარ-მანათობელს“, რაც უახლოვდება XII საუკუნის მწერალთა თვალსაზრისს თამარის შე-

⁴ სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში, I, თბ., 1937, გვ. 34.

⁵ ქ. შარაშიძე, ქართული ნაბეჭდი სახელმძღვანელოები XVIII საუკუნეში. სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში, I, თბ., 1937, გვ. 36.

⁶ ალ. ბარამიძის შესავალი წერილი, ვახტანგ VI, თბ., 1947, გვ. 7.

⁷ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1958, გვ. 490.

⁸ ბ. ქოლოძაძე, პერსონაჟი, წიგნში: ლიტერატურის თეორიის საკითხები, თბ., 1972, გვ. 212.



სახებ. დ. გურამიშვილი ვახტანგ მეექვსის სიკვდილს მზის დაბნელებას⁹ აკავშირებს. ამ შემთხვევაშიც ყურადღება მახვილდება იმ გარემოებაზე, ^{ბარონი} ვახტანგის სახე მისი დროის ქართულ პოეზიაში სინათლის სიმბოლურ გამოსახვას პოულობს. ვარდა ამისა მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ამ ხანის ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში განსაკუთრებით არის წინა პლანზე წამოწეული იდეა იმის შესახებ, რომ ქართველი მეფენი იესიან-დავითიანი წარმოშობისა არიან.

როგორც ცნობილია, ბაგრატიონთა წარმოშობის არაერთი ლეგენდა არსებობს⁹. ქართულ მწერლობაში ხშირად გვხვდება ამის დამადასტურებელი ეპიზოდები. როგორც მ. ლორთქიფანიძე ვარაუდობს, მითი ბაგრატიონთა ღვთაებრივი წარმომავლობის შესახებ IX—X საუკუნეთა მიჯნაზე უნდა შექმნილიყო, რაც განპირობებული იყო საქართველოს გაერთიანების დასაწყისისა და სხვა სავაგარეულოთა შორის აშორტ ბაგრატიონის (კუროპალატის) დაწინაურებით.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ქართველი მეფენი ხშირად სიამაყით იხსენებენ თავიანთ ღვთაებრივ წარმოშობას. ცნობილია გიორგი მეექვსის მიმართვა თემურ ლენგისადმი, სადაც კიდევ ერთხელ დასტურდება ეს გარემოება¹⁰.

საქართველოს გაძლიერებასთან ერთად აღნიშნულმა მითმა ერთგვარი აღმავლობა განიცადა. დავით აღმაშენებლის მიერ წარმოებულმა კულტურულმა თუ პოლიტიკურმა გარდაქმნებმა შექმნეს პირობა მისი (დავითის) ღმერთთან გათანაბრებისა. არსენ ბერი დავით აღმაშენებელს „ბუნებით ღმერთად“ მიიჩნევს: „კაცთმოყვარე, ვითარცა ჩემი იესო ღმერთთა შორის, ბუნებით ღმერთი მაღლით ღმერთქმნილთა შორის“¹¹.

როგორც ვხედავთ, დავითი თუმცა „ბუნებით ღმერთადაა“ მიჩნეული, მაგრამ იგი მაინც არაა მთლიანად გათანაბრებული ღმერთთან. სხვაგვარად დადვა აღნიშნული საკითხი თამარის ეპოქაში. დავითის მიერ შეკრულმა და გაერთიანებულმა საქართველომ თამარის დროს აღმავლობის უმაღლეს საფეხურს მიადწია, რამაც გამოიწვია თამარის ღმერთთან გატოლების იდეის დამკვიდრება¹².

საქართველოში გავრცელებულმა ლეგენდამ ეპოქების შესაბამისად შემდეგი გააზრება მიიღო. ადრეულ ეპოქაში (IX—X საუკუნეები) მეფე გააზრებულია როგორც ღმერთის შთამომავალი და მის მიერ ძალაუფლებამომქმნილი. დავით აღმაშენებელი უკვე „ბუნებით“ ღვთის სწორია, თამარი IV ჰიპოსტასია. ამის შემდეგ აღნიშნულ ლეგენდას ქვეყნის დაცემასთან ერთად თანდათან ივიწყებს ქართველი ხალხი, ხოლო აღორძინების პერიოდში იგი კვლავ შედის ძალაში.

„ვახტანგისანი“ ავტორი პოემის შესავალში მნიშვნელოვან ადგილს უთმობს სწორედ ამ გარემოებას:

არიან ქართლის მემკვიდრე მეფენი დავითიანი,
მღრთის ზეცით გვირგვინოსანი, სახელის ძეგნით ხმლიანი.

⁹ მ. ლორთქიფანიძე, ლეგენდა ბაგრატიონთა წარმოშობის შესახებ, იხ. კრებულიში კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966.

¹⁰ ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1959, 11, გვ. 461.

¹¹ თ. გორდანიძე, ქრონიკები, II, ტფ., 1892, გვ. 69.

¹² ამ საკითხზე იხ. რ. სირაძე, ქართული ესთეტიკური აზროვნების ისტორია, თბ., 1978, გვ. 163—206.

საყურადღებოა ისიც, რომ დ. გურამიშვილი „დავითიანს“ სწორედ „ქართველ უფალთა მეგვარტომეობის იგავით იწყებს, სადაც იგი იმეორებს ზემოხსენებულ ავტორთა შეხედულებას ბაგრატიონთა ბიბლიური წარმომავლობის შესახებ:

ნერვად მას ვსახავ, იგ რაც ხე ისახა იესესითა,
ვინცა გამოსცა ნაყოფი, თვისთა ნათქვამთა ხეს ვითა,
შურდულ ქვით სძლია მებრძოლთა დამბადებულთა ესვითა,
შტო-მორჩად ქართველთ უფალთა, ვინც მასზე ბმულ ჩანს ფესვითა.

როგორც ჩანს, ვახტანგის ეპოქაში ამ მითმა ახალი გამოცოცხლება განიცადა. აღნიშნული საკითხი, გარდა ეპიკური ნაწარმოებებისა, წამოჭრილია ლირიკულ ნაწარმოებებშიც. მამუკა ბარათაშვილის ერთ ლექსში უმუალოდ აქვს ხაზი გასმული ვახტანგის ღვთაებრივი წარმომავლობას:

მეფე ქართველთა, რომელ არს იესინ-დავითიანი,
სოლომონ პანკრატოვანი, ღმრთიე-დამყარებით სვიანი.

ნათელია, რომ ბაგრატიონთა ღვთაებრივი წარმომავლობის მითის წინა პლანზე წამოწევა ვახტანგ მეექვსის სახის სიძლიერის, მისი ზებუნებრიობის იდეის განსამტკიცებლადა გამოყენებული. ამ ლეგენდამ ვახტანგის დროს რომ განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა იქიდანაც ჩანს, რომ თვით ვახტანგ მეექვსემ შეადგინა ქართველ მეფეთა ბიბლიური „გენეალოგიის ხე“, რომელიც იწყება ადამიდან და მთავრდება ვახტანგ მეექვსის შვილების დასახელებით. უფრო მეტიც, „ქილილასა და დამანას“ ანდერძში ვახტანგი სიამაყით აცხადებს, რომ იგი წარმოშობით დავითიანია: „ვწერ მეფე ვახტანგ ქართველთა თესლ-ტომად დავითიანი“.

დ. გურამიშვილი „ქართველ უფალთა მეგვარტომეობის იგავში“ ავითარებს იდეას ბაგრატიონთა ბიბლიური წარმოშობის შესახებ. ეს გასაგებია, მაგრამ ყურადღებას იქცევს შემდეგი დეტალი:

თუმცა ძირთვან შორს იყვნენ, შრტოდ ახლოს მონავგარია,
ერთი დავითის მელ თქმული, რომელმან იენო ჯვარია,
მეორე ვახტანგ მეხუთემ, ქართველთა მეფედ მკდარია.

კ. კეკელიძე ამ ორ უფალში მიიჩნევდა ვახტანგს და კონსტანტინეს. სხვაგვარი მოსაზრება აქვს გამოთქმული მკვლევარ ვ. დონდუას. იგი წერს: „ეს ორი უფალი „ძირთვან შორს იყვნენ“, რადგან იესე-დავითისაგან ჯერ ქრისტე წარმოიშვა და მერმე დაახლოებით 1700 წლის დაგვიანებით, ვახტანგ VI. სამაგიეროდ ისიც და ისიც ერთისა და იგივე გენეალოგიური ხის შტოს წარმოადგენენ“¹³.

აღნიშნულმა ლეგენდამ არც ვახტანგ მეექვსის შემდეგ დაკარგა თავისი მნიშვნელობა. ბესარიონ გაბაშვილი სოლომონ მეფისადმი მიძღვნილ ლექსში ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ იმერთა მეფე წარმოშობით იესიან-დავითიანია.

ვახტანგის სახე XVIII საუკუნის ქართულ პოეზიაში ყველაზე სრულყოფილად გამოიკვეთა ორ ეპიკურ ძეგლში — ო. ფავლენიშვილის „ვახტანგისა“

¹³ ივულისხმება ვახტანგ მეექვსე.

¹⁴ ვ. დონდუა, დ. გურამიშვილი და საქართველოს ისტორია, თბ., 1959, გვ. 43.



და დ. გურამიშვილის „დავითიანში“. ფაულენიშვილის სახელი გაარკვევს ვაჭარების უბანში მდებარე ს. ყუბანეიშვილმა.

მართალია, ოტია ფაულენიშვილი ძუნწ ცნობებს იძლევა თავისი თავის შესახებ, მაგრამ მისი მოღვაწეობის ზოგიერთი ასპექტის დადგენა შესაძლებელი ხდება თვით პოემიდან. იგი იყო ვახტანგის ამალის წევრი, რომელიც თან გაჰყვა ლტოლვილ მეფეს. მისი პოემა ბევრად უფრო ადრე დაიწერა, ვიდრე დ. გურამიშვილის „ქართლის ჭირი“. ფაულენიშვილი 1727 წლით წყვეტს ვახტანგის ცხოვრების აღწერას, კერძოდ, თხრობა მთავრდება ვახტანგის გილანში გაგზავნით. ე. ი. ნაწარმოების დაწერა ამ თარიღზე უადრეს მოსალოდნელი არ არის, ხოლო რაკი მ. გელოვანი თავის მემუარებში, რომელიც 1730 წელს დაწერა, იცნობს „ვახტანგიანს“, ნაწარმოების დაწერის თარიღად 1727—1730 წლები უნდა ვივარაუდოთ.

„ვახტანგიანი“ პირველად განიხილა „ეგრიმ“ (თ. ჟორდანიას). მან „ივერიამში“ გამოაქვეყნა სტატია „ახლად ნაპოვნი ხელნაწერი ისტორიული პოემა“. მეცნიერი შენიშნავდა, რომ „ეს პოემა ჩვენმა მწერლობამ ჯერ არ იცის. პოემაში დაწვრილებით მოთხრობილია ამბავი ვახტანგ მეფის გადასახლებისა რუსეთში 1724 წელს და მისი მუწ ცხოვრებისა“¹⁵.

„ვახტანგიანს“ პოემა უწოდა ექვთიმე თაყაიშვილმა¹⁶. ამ პოემას გამოკვლევები მიუძღვნეს კ. კეკელიძემ¹⁷, ს. ყუბანეიშვილმა¹⁸, ბ. ქიქოძემ¹⁹.

ო. ფაულენიშვილის პოემა შედგება 7 კარისა და შესავლისაგან. როგორც კ. კეკელიძე მიუთითებს, შესავალი „შეიცავს სარწმუნოებრივ-ზნეობრივი ხასიათის მსჯელობას“, ხოლო შემდეგი ნაწილი უშუალოდ ეთმობა ვახტანგის საქმიანობას.

როგორც ცნობილია, ვახტანგ მეექვსემ თავისი პოლიტიკური კურსი რუსეთისკენ მიმართა, რადგანაც მას ღრმად სწამდა, რომ ერთმორწმუნე რუსეთი იყო მხოლოდ და მხოლოდ ის ძალა, რომელიც მის სამშობლოს ირან-ოსმალთა თავდასხმებისაგან დაცავდა. ვახუშტის ცნობით, ვახტანგმა „განუტყვენა ყოველნი და აღირჩია რუსთ-მეფე, რამეთუ ჰგონებდა განთავისუფლებასა ეკლესიათა და ძალსა ქრისტიანობისასა“²⁰.

ო. ტაბაღუას მიერ საფრანგეთისა და ავსტრიის არქივებში მიკვლეული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ვახტანგს ჯერ კიდევ ირანში ყოფნის დროს ჰქონია განზრახული რუსეთთან ურთიერთობის დამყარება. 1722 წლის 22 აპრილს ერთ-ერთი ფრანგი მისიონერი თავრიზიდან წერილს სწერს საფრანგეთის ელჩს კონსტანტინეპოლში დეზალორის, სადაც აღნიშნავს: „სპარსეთის შაჰმა მოიწვია საქართველოს მეფე, რათა, როგორც ამბობენ, იგი დაეკავებებოდა, მიიღოს მამადიანობა იმ პირობით, რომ გახადოს ის კახეთის მმართველი, მაგრამ ფიქრობენ, რომ ეს მეფე არ დაემორჩილება შაჰს და გადავა მოსკოვის მხარეზე“²¹.

¹⁵ ივერიია, 1886, 21 სექტემბერი.

¹⁶ Такайшвили Е. Описание рукописей, I—II, вып. III, Тифлис, 1908, გვ. 357—381.

¹⁷ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II.

¹⁸ ს. ყუბანეიშვილი, ვახტანგიანი, კრებულში: ლიტერატურული ძეგანი, IV, 1947, გვ. 175—183.

¹⁹ ბ. ქიქოძე, ისტორიული პოემა ძველ ქართულ ლიტერატურაში, თბ., 1964.

²⁰ ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, ტფილისი, 1913, გვ. 126.

²¹ ო. ტაბაღუა, საფრანგეთ-საქართველოს ურთიერთობა, თბ., 1972, გვ. 218.

ამასთან დაკავშირებით, ერთ-ერთი საინტერესო საკითხია ვახტანგის ში გამგზავრება. 1712 წელს ქართლის ჯანიშინი ისპაანში გაემგზავრა ქართლის ტახტზე დასამტკიცებლად. ვახტანგის ირანში გამგზავრება დაკავშირებული იყო იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობასთან. 1711 წელს ქალაქ ყანდაარზე იერიშის დროს დაიღუპა ქართლის მეფე ქაიხოსრო. ქართლის ტახტის პრეტენდენტთა რიცხვი საკმაოდ დიდი იყო, მაგრამ შაჰის არჩევანი ვახტანგზე შეჩერდა. ამ მიზნით ვახტანგი ირანში გაემგზავრა. ცნობილია, თუ რაოდენ ძნელი აღმოჩნდა ქართლის ტახტზე დამტკიცება. ვახტანგს შაჰმა სარწმუნოების გამოცვლა მოსთხოვა და, რაკი მისგან უარი მიიღო, ირანის შორეულ კუთხეში — ქირმანში გაგზავნა ტყვედ. ვახტანგი ტყვეობაშიც ეძებდა გზებს მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მაგრამ რაკი ვერაფერს გახდა, 1716 წელს მაჰმადიანობა მიიღო და ქართლის ტახტიც მოიპოვა. 1719 წელს პოეტი-მეფე ქართლში დაბრუნდა. ვახტანგის ირანში ყოფნის პერიოდს დ. გურამიშვილი შემდეგნაირად გადმოსცემს:

მით ვასახშილდა წინწყალი, გრივლად გადიქვა სიონი,
 მისგან შეირყა მეტეხი, მისგან დაიქცა სიონი,
 მან ვახტანგ, ძე ლევანისა, შეიპყრა ბაგრატიონი,
 უპატიოდ ყვნა შეიდ წლამდის, იგ დიდად საპატიონი.

მართალია, დ. გურამიშვილი არ ასახელებს ვახტანგის ირანში გამგზავრების მიზეზს, მაგრამ გვაწვდის ცნობას, თუ როგორ პირობებში უხდებოდა ვახტანგს ყოფნა შვიდი წლის მანძილზე. ო. ფავლენიშვილი სხვაგვარად წარმოგვიდგენს ვახტანგის ცხოვრების ამ მონაკვეთს:

ამაში ხანი გამოხდა, წელი სრულდა ათვრამეტად,
 ოთხივე ძმანი ბრძანდებოდნენ, სიხარული სჭირდა მეტად.
 პატრონობდა მეფე ვახტანგ, სიმაართლით და სჯულის სვეტად.
 ცოტას ხანსა თვით წაბრძანდა ერანისა შინჯვა-ჭკრეტად.

.....
 მალე მობრუნდა თვისსავე სახელმწიფოსა ძლეული.

ისტორიული რეალიებიდან დასტურდება, რომ ვახტანგმა სპარსეთში დაპყრო 7 წელი. ამდენად ო. ფავლენიშვილის ცნობა მეფის უკან მალე დაბრუნების შესახებ არაზუსტია. მეორეც, ვახტანგი თვით კი არ წავიდა ირანის „შინჯვა-ჭკრეტად“, როგორც ეს პოემიდან ირკვევა, არამედ ეს გამოწვეული იყო იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური მოთხოვნილებებით.

დავით გურამიშვილი და ოტია ფავლენიშვილი ასევე სხვადასხვაგვარ ცნობებს გვაწვდიან ვახტანგის მიერ რუსეთთან ურთიერთობის დაწვების შესახებ. დ. გურამიშვილთან ეს საკითხი მწვავედ დგას: საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა უაღრესად მძიმეა — ერთი მხრივ ოსმალეთი, ხოლო მეორე მხრივ სპარსეთი მცარეოდენ საბაბს ელოდებოდნენ ომის დასაწყებად. ასეთ პირობებში ვახტანგი რეალურ მოკავშირედ ირჩევს ერთმორწმუნე რუსეთს, თუმცა დასკვნა მას იოლად ვერ გამოაქვს.

დ. გურამიშვილი მხატვრული სიტყვის უჩვეულო სიზუსტით ხატავს ვახტანგის სულიერი მღელვარების სურათს. პეტრე პირველის ელჩი ქართლის მეფეს რუსეთთან კავშირის დადებისაკენ მოუწოდებს. ეს თვით ვახტანგის სურვილია, მაგრამ მეფე გრძნობს, რომ ხალხი ადვილად ვერ შეურიგდება მის ნაბიჯს. ამის გამო ვახტანგი ჯერ თავის თანამოაზრე ვეზირებს ეთათბირება



(„შეიქნა წვევა ჩუმ-ჩუმად ვაზირთა, თანგამზრახისა“), ხოლო ბაზს შეყრის, რათა ჭეშმარიტება დაადგინოს:

შეკრებენ ქართველთ ბატონ-ყმანი, ერთად თავი მოიყარეს, დასხდნენ რიგით, ივეზირეს, წინ წიგნები დაიყარეს, ვინც ხელედა ბოლოს საქმეს, იმათ არსად განიხარეს, თქვეს, თუ უფრო წახედებით, მაგრამ ზოგთ კი განიკმარეს. გამკმარველთა უპასუხეს: გეტყვით, მშანო, ვერ გეთნებით, ვერა ბრძანეთ ვეგ რჩევა ვაის ქვლით, ვაის მცნებით, ქრისტიანის ხელმწიფისა ხელ-დებულნი შევიქნებით, ჩვენ მიაგუე რად წახედებით, თუ არ უფრო გავკეთდებით.

დ. გურამიშვილი ისტორიული სიმართლით წარმოგვიდგენს XVIII საუკუნის საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის სურათს. სწორედ დ. გურამიშვილთან წამოიჭრა პირველად ქართლის ბედის პრობლემა, რომელიც შემდგომ უფრო მძაფრად აისახა ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში.

დ. გურამიშვილი ერთმანეთს უპირისპირებს ორ განსხვავებულ შეხედულებას საქართველოს მომავალი ბედის შესახებ. ერთ მხარეზე დგას ვახტანგ მეექვსე, ხოლო მეორე მხარესაა მოდარბაზეთა დიდი ნაწილი, რომელთა უკმაყოფილება თავდაპირველად ჩურჩულით გამოიხატება, ხოლო შემდეგ უკვე ხმაშლითა უტყუარდობით მეფეს თავის უარყოფით დამოკიდებულებას ამ საკითხის მიმართ. დ. გურამიშვილი მტკიცებულად განიცდის საქართველოს იმდროინდელ მდგომარეობას, მის მომავალს. თვით პოეტი მოწინააღმდეგეთა მხარესაა. დარბაზობის მონაწილეთა დიდ ნაწილს რუსეთი შორეულ მშველელად მიაჩნია და მიზეზად შემდეგს ასახელებს: „ვინემ რუსნი გვიშველიან, მანამ ჩვენი გარდაცხედების“.

დ. გურამიშვილი დამაჯერებლად აღწერს განხეთქილებას სამეფო დარბაზში, რომელსაც ნამდვილად ჰქონდა ადგილი. 1721 წელს პეტრე დიდისადმი გაგზავნილ მოხსენებაში ეოლინსკი აღნიშნავდა, რომ ვახტანგ «видит в Грузий несогласие между шляхетством...» ამას ართულებდა ის გარემოებაც, რომ 1724 წლიდან, როდესაც ვახტანგის მდგომარეობა უიმედო გახდა, მას ხშირად ავგონებდნენ თავისი დიდებულები რუსთა აუგს. მეფე გულდაწყვეტილი წერდა: „ქართველები დამცინიან, სანამ პეტრე მოვიდოდეს, პავლეს ტყავი გააძრესო“²².

მიუხედავად ამისა, ვახტანგს ღრმად სწამდა, რომ სწორედ რუსეთი იხსნიდა მის სამშობლოს გარეშე მტრებისაგან. როგორც ჩანს, მოთათბირებებმა კარგად არ იცოდნენ ვახტანგის პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. საბოლოო სიტყვა იყო მეფეზე, რომელსაც სწორი გზა უნდა აერჩია.

ამ შემთხვევაში ყურადღება გამახვილებულია ვახტანგის ერთ თვისებაზე. იგი ანგარიშს უწყევს სხვათა მოსაზრებასაც, ხოლო აზრთა სხვადასხვაობისა და კამათის შემთხვევაში სათანადო, სწორი დასკვნა თვითონ გამოაქვს:

ვითარ ირემსა მამვრალსა წყაროსა წყალი სწყუროდა,
ეგრეთ მეფესა რუსეთის ხელმწიფის ნახვა სუროდა,
ამჯობინებდა წასვლასა, თუმცა არ მიეშუროდა,
ვინც არ ემოწმის, მასზედა ერთგულად არ უყუროდა.

აქ გასათვალისწინებელია ერთი გარემოება; მართალია, ვახტანგს გადაწყვეტილი აქვს რუსეთში გამგზავრება, მაგრამ გული მიანიც ეთანაღრება, თითქოს

²² ი. ტაბაღაძე, დასახ. წიგნი, გვ. 319.



ექვი ეპარება თავისი საქმიანობის წარმატებით დამთავრებაში („ამგონი წასვლასა თუმცა არ მიეშუროდა“). თუმცა იგი, როგორც შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი, გრძობდა მისი გადაწყვეტილების სისწორეს. „ვახტანგს ბრწყინვალედ მოფიქრებული ჰქონდა პოლიტიკური და სამხედრო გეგმები, რომელნიც მისი ავტორის დიდ სახელმწიფო ჭკუას მოწმობდნენ“²³. მას წინასწარ ესახებოდა ის შედეგები, რომელიც მოჰყვებოდა მის გამგზავრებას რუსეთში. მან სწორად შეაფასა თავისი დროის ქართული სინამდვილე და შეუმცდარი ნაბიჯი გადადგა. „მისი პოლიტიკური ორიენტაცია უცთომელი გამოდგა, რაც საქართველოს ისტორიულმა ცხოვრებამ საბოლოოდ დაადასტურა“²⁴.

ცხადია, ვახტანგის პოზიციის ნათელყოფის შემდეგ მოწინააღმდეგეებმა შეამსუბუქეს მსჯელობის სიმძაფრე და ახლა სხვაგვარი წინადადება შესთავაზეს მეფეს:

შეჰადრეს, რადგან არ იშლი, სჯობს, რომ წაბრძანდეთ ჩაფრადა,
გარს მტერი გეადგას ამდენი, ასს მთას ეყოფა მჯაფრადა.
ვინ იცის ჩვენზედ მოვიდნენ, თქვენ მოგვეშველნეთ რა ფრადა.
თუ წაბრძანდებით, წაბრძანდით, ხანსა ნულარას დაზმითა,
თან ცოტა ყმანი იახელ, ნუ გავწყობი რაზმითა,
ფარვით იარე გზაზედა, არ შეფედ მოსაკაზმითა,
მტერთა არ გიგრძნან საწაღი, აშკარად ანუ აზრითა.

ვახტანგის გადაწყვეტილება ვერც ამ რჩევამ შეარყია. მას უხერხულად მიახნდა ფარულად წასვლა. უფრო მეტიც, მეფე 1200-კაცით გაემგზავრა რუსეთს. როგორც ვ. დონდუა მიუთითებს, „რუსეთისკენ მიმავალი ვახტანგი ჰბაძავდა პეტრეს მაგალითს, რომელმაც თავისი დიდი ელჩობით (250 კაცზე მეტი) დასავლეთ ევროპა მოიარა“²⁴. ვისი სურვილით გადაწყდა 1200 კაცის რუსეთს გამგზავრება? თუ ო. ფავლენიშვილს ვერწმუნებით, ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილი თვით გამოთქვამდა სურვილს ვახტანგთან ხლებისა. ეს კიდევ ერთხელ განამტკიცებს აზრს იმის შესახებ, რომ ვახტანგი უაღრესად პოპულარული პირი ყოფილა მისი დროის საქართველოში. ამის დასტურად ვფიქრობთ შემდეგი ეპიზოდის გამოდგება:

რა შეეფყო ქსნის ერისთავს, ჩქარათ ექნა წამოსვლანი,
ჰე შეფეო, მე უთქვენოთ, არ ვიცოცხლო დიდხანს თავნი,
არ გიქვრიტდე, მემც მეცემის ჭირნი აღრე მოსაკაენი,
ვიახლება კარგის ნაცელად თქვენთან მამხედეს ვსჯერგარ აენი.

ფავლენიშვილის მიხედვით, ვახტანგის მიერ 1200-კაციანი ამალის ხლება პეტრე პირველისათვის ცნობილი ყოფილა. ტექსტზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ვახტანგ მეექვსე იმიტომ აყოვნებდა რუსეთში წასვლას, ებევრებოდა ამაღლა, ამიტომ „ვახტანგაინის“ თანახმად, პეტრე დიდს მისთვის შემოუთვლია:

მაღე წამოდი, ჩემ კერძო, ნუ გაქვს ყოვნება ხანისა,
ნუ გეწუხება სიბევრე, კაცის თან წამოტანისა.

ვფიქრობთ, „ვახტანგაინის“ ეს ცნობა სიმართლეს მოკლებული უნდა იყოს. ცნობილია, რომ პეტრე პირველს არ ესიამოვნა ვახტანგის გამგზავრება მის

²³ ა. გაჭეღელია, რჩეული ნაწერები, I, თბ., 1962, გვ. 501.

²⁴ ვ. დონდუა, ვახტანგ VI-ის დროინდელი საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან, მიმოხილველი, თბ., 1953, გვ. 46.



სამეფო კარზე, რადგანაც გრძნობდა, რომ რუსეთში ჩასული ქართველი მეფე ჩვეულებრივ ლტოლვილად იქცეოდა, ხოლო ვახტანგისაგან იგი მოელოდა სამხედრო მოკავშირეს ოსმალეთისა და სპარსეთის წინააღმდეგ განსახორციელებელ საომარ ოპერაციებში.

ვახტანგი უფრო დიდ საქმეს ისახავდა მიზნად. მან იცოდა, რომ რუსეთის სამეფო კარზე კარგა ხანს მოუწევდა ყოფნა. ბუნებრივია, მეფე-პოეტი ლიტერატურული საქმიანობის გარეშე ვერც იქ გაძლებდა, ხოლო მის მიერ ხლებულ საზოგადოებას ერისათვის ეროვნული სამსახური უნდა გაეწია. მრავალრიცხოვანი ამალის რუსეთში გამგზავრებას ფაქტიურად ორი დადებითი შედეგი მოჰყვა. ვახტანგმა ფიზიკური განადგურებისაგან იხსნა იმდროინდელი საქართველოს მოწინავე ფრთა. გარდა ამისა, ვახტანგი ვერ ძლებდა ლიტერატურულ-მეცნიერული საქმიანობის გარეშე. როგორც ავად. ალ. ბარამიძემ ვაარკვია, ჯერ კიდევ ქირმანში ტყვეობისას თარგმნა მან „ქილილა და დამანა“. რუსეთში მიმავალი ვახტანგი შემდგომ ლიტერატურულ-კულტურულ მიზნებს სახავდა. მართლაც, მან გარშემო შემოიკრიბა მწერალთა დიდი ნაწილი, რის შედეგადაც რუსეთში შეიქმნა მძლავრი ემიგრანტული პოეზია.

ვახტანგ მეექვსე ჯერ კიდევ სულხან-საბა ორბელიანს ავალეზდა ევროპაში მოგზაურობის წინ, დაეთვლიერებინა და დაეხსომებინა ყველაფერი ის, რაც კი საქართველოს გამოადგებოდა, რათა შემდეგ ეს სიახლენი მათ თავის ქვეყანაში დაენერგათ. სულხანმა მართლაც დაისახა მიზნად გაცნობოდა ევროპის სახელმწიფოთა სამეურნეო-ეკონომიკურ თუ საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებას, რათა უკან დაბრუნებულს ეს ყველაფერი საქართველოში განეხორციელებინა.

შეიძლება დაბეჭოთებით ითქვას, რომ ვახტანგის ამალის მრავალ წარმომადგენელს ამოცანაც ჰქონდა გადასაჭრელი. მათ უნდა აეთვისებინათ რუსეთისა და ევროპის მოწინავე კულტურა და შემდეგ საქართველოში ჩამოეტანათ. აღნიშნულ მოსაზრებას მხარს უჭერს ვ. დონდუა. იგი შენიშნავს: „როგორც იმ დიდ ელჩობას, (საუბარია პეტრეს ელჩობაზე. ი. მ.), ისე ვახტანგის „ელჩობასაც“ უთუოდ ჰქონდა დასახული სამხედრო-პოლიტიკურს გარდა, აგრეთვე სასწავლო-კულტურული ამოცანები, რუსული კულტურის მიღწევათა ადგილზე გაცნობა და შეთვისება. უიმისოდ გაუგებარი იქნებოდა იმდენი განათლებული კაცის ისე შორს გამგზავრება“²⁵.

ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ვახტანგ მეექვსის მიერ მრავალრიცხოვანი ამალის ხლებას სახელმწიფოებრივი მისია ეკისრებოდა. ამ ამალას უნდა გადაერჩინა ქვეყნის ლიტერატურული აწყობა და ხვალისდელი დღისთვისაც ეზრუნა.

ფაქტურიშვილის პოემაში ვახტანგის გამგზავრების წინა ამბები ასეთი დაწერილებით არაა მოთხრობილი, თუმცა „ვახტანგის“ მიხედვითაც მეფე სათათბიროდ იწვევს ახლობლებს (და არა დარბაზს) მომავალი მოგზაურობის თაობაზე:

შეუთვალა მამე და შვილო, მომივიდა წიგნი ესა,
 იქ უხმევართ თვით უძლეესა, სხვის შძლეველსა მტერთა მრესა,

 რითაც მოხდა წამოვიდნენ, შეიყარნენ ყველა ალებს,
 სამი მამა და ორი შვილი არჩევს საქმეს წყნარს არ მალებს,

²⁵ ვ. დონდუა, საისტორიო მიუზანი. აბ., 1967, გვ. 168.

რა მიესწერო ხელმწიფესა, მღრთის მოყვარეს, გულთ სალუბს,
 შეერეს, ხლება შეუთვალეს, ხვაშიაღი მწვე და მალუბს.

ფავლენიშვილის პოემის მიხედვით მოთათბირებებმა, რომელთა შორის იყვნენ მხოლოდ ვახტანგის ძმები და შვილები, შედარებით იოლად გადაწყვიტეს რუსეთში გამგზავრება. ეს ეპიზოდი ეწინააღმდეგება დ. გურამიშვილის პოემის შესაბამის ეპიზოდს. ამის შესახებ კ. კეკელიძე წერდა: «„ვახტანგთან“ უფრო დაწვრილებითა და სისწოროთაა გადმოცემული ვახტანგის რუსეთში გადასახლების ამბავი, ვიდრე მართანეში. ზოგ რამეში პოემის მოთხრობა განსხვავდება მართანის თხრობისაგან»²⁶. თუმცა ვახტანგის თანამედროვე ისტორიკოსები — სეხნია ჩხეიძე და ვახუშტი ბატონიშვილი — არ აცვიწერენ რაიმე თათბირს ვახტანგ მეექვსის კარზე, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ო. ფავლენიშვილი მართალი იყოს. დ. გურამიშვილი დამაჯერებლად ხატავს დარბაზობის მთელ სცენას.

„დარბაზობის“ ეპიზოდს უშუალოდ მოსდევს განჯის საკითხი, „სწორედ განჯას ლაშქრობით იწყებოდა ვახტანგის სახიფათო ნაბიჯი, რომელსაც მეფეს გონიერი მრჩევლები უშლიდნენ. ეს შესანიშნავად გამოხატა დ. გურამიშვილმა. „რჩევა ქართლის ბატონისა“ აშკარად გვანიშნებს, რომ ვახტანგისათვის გამოცდილ პოლიტიკოსებს აუცილებლად უნდა მოეგონებინათ ტრაგედია ალექსანდრე კახთა მეფისა, რომელიც სამივე დიდ სახელმწიფოს ერთგულებას ეფიცებოდა“²⁷.

ვახტანგის ეს ნაბიჯი, როგორც უკვე ვთქვით, ერთგვარ გაუგებრობასაც კი იწვევდა იმდროინდელ საზოგადოებაში, მაგრამ მეფის გადაწყვეტილებას ეს სრულიად ვერ აყენებდა ჩრდილს. პირიქით, „ყოველი მოღვაწის ღვაწლის სიდიდე მისი „განზრახვითა“ და ამ აზრის განხორციელებისათვის გამოწვეული „სიმხნითა“ და დასასრულ თვით საქმითაც, შედეგით განიზომებოდა. განზრახვის თვისება თუ ადამიანის ნიჭზე, „სიმხნე“ და „საქმე“, რასაკვირველია, მოქმედი პირის ნებისყოფაზე იყო დამოკიდებული. გეგმის განხორციელებისათვის მარტო განზრახვა არ კმაროდა. შეიძლება იგი საუცხოვოდ „სივრცითა გონებისათა“ ყოფილიყო მოფიქრებული, მაგრამ მაინც არაფერი გამოსულიყო, რადგან დიდ გეგმას დიდი ნებისყოფა და ენერჯიაც სჭირდებოდა“²⁸.

ვახტანგი, როგორც ეპიკური გმირი, გამჭრიახი და საღი გონების მეფეა, რომლისთვისაც არ არსებობს პირადული. იგი საზოგადოებრივ ინტერესებს საკუთარზე მაღლა აყენებს.

ვახტანგ მეექვსის პოლიტიკური ორიენტაცია მარცხით დამთავრდა. დ. გურამიშვილი რეალისტური თვალთახედვით განიხილავს ვახტანგის მოღვაწეობას. პოეტი უპარყოფითად აფასებს მეფის პოლიტიკურ კურსს. „საოცარია, მაგრამ ფაქტია; ბაქარის ენით გურამიშვილმა უღმობელი განაჩენი გამოუტანა ვახტანგის მთელ ხანგრძლივ პოლიტიკურ მოღვაწეობას:

ვერა ვნახე რა მაგისი ღრმად საქმე მინაწვდომარე,
 რაზედაც მიღგა, არ დარჩა ის საქმე წაუხლომარე.

²⁶ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 538.

²⁷ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 1973, გვ. 422.

²⁸ ი. ჯავახიშვილი, ადამიანი ძველ ქართულ მწერლობაში, წიგნში: ქართული უნისა და მწერლობის საკითხები, თბილისი, 1956, გვ. 151.



ყოველივე ეს ცხადლივ ლაღადებს გურამიშვილის დიდ სიწრფელზე. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა ვახტანგისა და საზოგადოების მიმართების საკითხი. გავრცელებული შეხედულების თანახმად მეფე განასახიერებდა ხალხის ყველა საუკეთესო თვისებას. გამორჩენილი გერმანელი ფილოსოფოსი ლ. ფოიერბახი ამის შესახებ შენიშნავს: «Глава государства есть представитель универсального человека»²⁹.

რუსულ ლიტერატურაში კარაშინის მიერ დამკვიდრებულ პრინციპს მეფის ყოვლისშემძლეობისა და უცოდველობის შესახებ გავლენა არ დაუქარგავს XIX საუკუნის 60-იან წლებამდე, ვიდრე ამ თეზას თავის მოსაზრება არ დაუპირისპირა გენიალურმა რუსმა მწერალმა და მოაზროვნემ — ლევ ტოლსტოიმ. რუსული ლიტერატურის ცნობილი მკვლევარი ნ. კ. გვი ამ საკითხთან დაკავშირებით წერს: «Л. Толстой уже в 60-е годы ушел далеко от наивных рационалистических схем. Как бы полемизируя с карамзинским утверждением — история народа принадлежит царю, он заявляет в «Войне и мире»: Царь есть раб истории»³¹.

ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში მდგომარეობა სრულიად სხვაგვარადაა. ჩვენ საუბარი გვჭონდა იმის შესახებ, რომ ქართველი მეფენი ლიტერატურულ ძეგლებში წარმოდგენილი არიან ღვთის სწორად, მაგრამ არც ის უნდა დაგვაიწყდეს, რომ ზოგჯერ იგივე მეფენი მკაცრადაც კი არიან გაკრიტიკებულნი.

XVIII საუკუნის ქართულმა მწერლობამ მთელი სისრულით აჩვენა, რომ მეფენი ერის ყოველივე საუკეთესო თვისებას კი არ განასახიერებენ, არამედ ისინი უპირველეს ყოვლისა ადამიანები არიან და დადებით მხარეებთან ერთად გააჩნიათ ნაკლოვანი მხარეებიც. ამის დასტურად ისევ დიდებული დავით გურამიშვილი გამოდგება.

რუსეთში გამგზავრების წინ ვახტანგი დიდ იმედებს ამყარებდა რუსთა ხელმწიფეზე, მაგრამ ბოლოს უიმედო ყოფაში ჩავარდნილმა პოეტმა მთელი თავისი საქმიანობა და ცდა ამაოებად მიიჩნია:

ვერ მივეც რაცა მემართა ხარკი სოფლისა მე ცაღა,
მოვიდა ქარი ხორშაკი, ანაზღად სამე მეცაღა,
ვერ მოვიფარე საფარი, დამწვა სხეებთანა მე ცაღა,
რა მწვე მიჯობდა სიბრძნითა თავი სხვაგვარად მეცაღა.

„მეფე-პოეტი წუხს, რომ წუთისოფლის ხარკი ჯეროვნად ვერ გადაიხადა, ცხოვრებას სათანადოდ ვერ აუღო ალღო და იძულებული იყო ხორშაკისა და მგენებელი ქარის საპირისპიროდ მდგარიყო მუღამ“³².

ვახტანგი უარყოფითად აფასებს თავის პოლიტიკურ მოღვაწეობას. მის ლექსებში მოცემულია პირუთვნელი და მკაცრი შეფასება თავისივე საქმიანობისა. ვახტანგი ეძებს იმის მიზეზს, თუ რატომ უბოძა სოფელმა მას მეფობის ნაცვლად „ლექსობა“. მან იცის რომ:

²⁹ ი. ბარამიძე, პატრიოტული ნაედი ძველ ქართულ მწერლობაში, თბ., 1942, გვ. 56—57.

³⁰ Л. Фейербах, Избранные философские произведения, I, М., 1955, გვ. 111.

³¹ Гей Н. К., Художественность литературы, М., 1975, გვ. 312.

³² ი. ბარამიძე, ქართველი მწერლები რუსეთში, თბ., 1958, გვ. 70.

მეფეს არჩილსა სძრახავდნენ, სხვას თემს რომ იყო მღვლელი,
იგ ანთებულსა სახლ-კარსა შეუქმნა დამანელია.

ასეთივე მოქმედების გამო გამოთქვამდნენ ქართველები უქმაყოფილებას ვახტანგის მიმართაც. ვახტანგი ასკვნის, რომ მისი უსასოო მდგომარეობაში ჩავარდნა მისივე პოლიტიკის შედეგი იყო:

რას ვაბრალებ საწუთროსა, ვამბობ მიყო ამან ესო,
რაც შე შეეკვი შესასმელი, ესე ხელსა ვისცა ესო?
ვარდი მდგა ბალსა ჩემსა, ართუ სამე ნარი ესო,
შე აღმოვეფხვერ, სხვას ვის ეძლო, მისთვის რამე ძირსა ესო.

„ყოველივე ამან უსასოო მდგომარეობაში ჩაავდო ლტოლვილი მეფე. სი-
ცოცხლე მოწყინდა და თავისი ცხოვრებით უქმაყოფილომ სოფლის არაერთი
სამღურავი ამოთქვა ლექსად. მისი ლექსებიდან გამოსჭვივის საშინელი სევდა
და უსასოო მკმუნვარება დევნილი მეფისა, რომელმაც თითქმის ფეხით გადა-
სერა უშველებელი დედამიწის კონტინენტი, უცხო და უცნობი მხარეები ხე-
ტილით მოვლო თავისი ქვეყნისათვის ძიებაში, მაგრამ მიიღო მხოლოდ იმედ-
ების გაცრუება და სინანული“³³.

დ. გურამიშვილი მაღალ შეფასებას აძლევს ვახტანგ მეექვსეს, როგორც
პიროვნებას და პოეტს, მაგრამ იგი ვერ ფარავს მეფის უარყოფით მხარეებსაც.
აღ. ბარამიძის აზრით, დ. გურამიშვილი ვახტანგ მეექვსის პოლიტიკური კურ-
სის მოწინააღმდეგეა: „ის (იგულისხმება დავითი) მიმხრობია მოწინააღმდეგეთა
ჯგუფს. ამ ჯგუფის მიმდევართ პოეტი უწოდებს „ბოლოს მხედველთ“ (პოლი-
ტიკურად შორსმჭვრეტელთ). ვახტანგის აჩქარებული, შეუწონავი, სახიფათო
ნაბიჯი მას დაუგმია. წინასწარ აღებული, აკვიტებული აზრის ჯიუტურად და-
ცვით აუხსნია გურამიშვილს ვახტანგის მარცხი“³⁴.

დ. გურამიშვილი პირუთენელია ისტორიული მოვლენების შეფასების
დროს, ეს მისი ლიტერატურული პრინციპითაა განპირობებული. პოეტის ძირი-
თადი მრწამსი მართლის თქმაა. აქედან გამომდინარე, იგი ობიექტურად აფა-
სებს ვახტანგ მეექვსის მთელ პიროვნებას. თუ ფავლენიშვილის ნაწარმოებში
სახობო ხასიათს ატარებს, გურამიშვილის სიტყვა მახვილივით ბასრია და მო-
ურიდებელი. ო. ფავლენიშვილი თავისი მსოფლმხედველობით კარის პოეტად
რჩება, ხოლო დავითი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოზიციებიდან აფასებს
მისი დროის ისტორიულ პირებს, მათ შორის ვახტანგსაც. გურამიშვილი უფრო
ღრმად წარმოსახავს მოვლენათა განვითარებას. პოეტი ვახტანგის შვილის —
ბაქარის ენით თითქმის მთლიანად აქარწყლებს მეფის პოლიტიკურ მოღვაწეო-
ბას. კ. კეკელიძის შენიშვნით „თვით შვილი ბაქარიც კი არ უწონებს თავის მა-
მას საქციელს და ამბობს:

ვერა ვნახე რა მაგისი ღრმად საქმე მინაწვდომარე,
რაზედაც მიღვა, არ დარჩა ის საქმე წაუხდომარე“³⁵.

³³ მ. კაკაბაძე, ქართული რომანტიზმის საფუძვლები აღორძინების პერიოდის მწერლობაში წიგნში: ნარკვევები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1978, გვ. 8.

³⁴ ა. ბარამიძე, პატრიოტული ნაკადი ძველ ქართულ მწერლობაში, გვ. 56—57.

³⁵ კ. კეკელიძე, დსახ. წიგნი, გვ. 495.



მოხდენილად შენიშნავს ამის შესახებ გამოჩენილი უკრაინელი პოეტი, მიხეილ კოლა ბაჟანი: „უმაღლესი მიზნის — სამშობლოს სამსახურის სახელით პოეტი არ იწყალებს არავის. თვით პოემის ცალკეულ ადგილებში ასე ხობტაშესხმულ მისსავე პატრონსა და მფარველს მეფე ვახტანგსაც, რომელიც ვერ გაუმკლავდა ავბედით მოვლენათა ნიაღვარს. გულისტკივილით ადანაშაულებს მას პოეტი ბატონიშვილ ბაქარის ბაგეებით“³⁶.

„ვახტანგიანში“ ჩვენ ვერ ვხვდებით კრიტიკულ დამოკიდებულებას მეფის მიმართ. როგორც აღვნიშნეთ, იგი უფრო სახობტო ხასიათს ატარებს და ვახტანგს მხოლოდ დადებითი თვისებებით წარმოგვიჩენს. ფაქტობრივად ვერ გამოკვეთს ვახტანგის დამოუკიდებელ ხასიათს და უფრო ზოგადი მეფისა და პოლიტიკოსის სახეს იძლევა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ ნაწარმოებს შორის მხატვრული თვალსაზრისით გარკვეული ზღვარი არსებობს, მკითხველი მათში ნათლად იგრძნობს ვახტანგის საერთო თვისებებს.

ორივე ნაწარმოების მიხედვით ვახტანგი ჩვენ წინაშე წარმოდგება, როგორც თავის ქვეყანაზე უსაზღვროდ შეყვარებული მამულიშვილი და პატრიოტი, რომელიც დღედაღამ ქვეყნის კეთილდღეობისათვის ზრუნავს. ყურადღებას იქცევს ვახტანგის ხასიათი, მისი შინაგანი ბუნება და ის წინააღმდეგობანი, რომლებიც ახასიათებს მას, როგორც ეპიკურ გმირს.

სამშობლოს სიყვარული ვახტანგის უპირველესი თვისებაა. რუსეთში მყოფი მეფე-პოეტი მხოლოდ ერთ საფიქრალს შეუპყრია: ესაა სამშობლოს ბედის საკითხი. სწორედ საქართველოსა და ქართველ ხალხს ავედრებს ვახტანგი დიდ ზღმწიფეს და ეს ვედრება უმაღლეს პატრიოტულ აღსარებაში ვლინდება:

ამას დღიად გეხვეწები, მათ რომ უყოთ მოწყალება,
თუ ქვეყნისა დოვლათისა არა იყოს საქმის ხლება,
იმათ ასრე შემწუხებელს, მიავლინე რისხვა-ენება,
სახელისა სვიანობით მადლის წილი თქვენ მოგხვდება.

მართებულად აღნიშნავს ბ. ქიქოძე: „ვახტანგი განსაკუთრებულ პატრიოტულ გრძნობებს ამჟღავნებს მშობლიური ქვეყნის მიმართ. მას გულს უთუთქავს თავის თანამემამულეთა მწარე ზვედრის მოგონება“³⁷.

დ. გურამიშვილი ღრმად გვახედებს ვახტანგის სულიერ სამყაროში, როდესაც საქმე სამშობლოს ბედის, მისი მომავლის საკითხს ეხება. დინჯი, აუჩქარებელი, ზომიერი ბუნების მეფე ქვეყნის უბედურებით ისეა შეწუხებული, რომ ადამიანებთან ურთიერთობაც კი ეზარება და განმარტობისაკენ მიილტვის: „სიღამოს ეამსა ხალვათად მეფე თვით იჯდა მარტოდა, ქვეყნის არევის მიზეზით გულს სევდა მას მიმატოდა“. აქ დ. გურამიშვილი იძლევა სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული და მის ბედზე მზრუნველი ადამიანის სახეს.

ორივე ნაწარმოების მიხედვით ვახტანგის მთელ მოღვაწეობას მისი პატრიოტული თვისებანი განსაზღვრავენ. ვახტანგის ეს გრძნობა უშუალოდაა გადაჭკუვული მის რელიგიურ მრწამსთან. ისტორიულად ცნობილია, რომ ვახტან-

³⁶ მ. ბაჟანი, საქართველოს გზებზე, თბ., 1979, გვ. 36.

³⁷ ბ. ქიქოძე, დასახ. წიგნი, გვ. 186.



გი, დიდად ზრუნავდა საქართველოში ეკლესია-მონასტრების მშენებლობაზე. ბუნებრივია, ვახტანგის მოღვაწეობის ეს მხარე, განსაკუთრებით მისი შორეულ ბუნება, ყურადღების გარეშე არ დარჩებოდათ მის თანამედროვე პოეტებს. ეს განსაკუთრებით ითქმის ფაველნიშვილზე, რომლის ნაწარმოებშიც გადმოცემულია ვახტანგის რელიგიური მრწამსი. ორივე ავტორი მას წარმოაჩენს როგორც ღრმად მორწმუნე პიროვნებას, რითაც კიდევ ერთხელ ესმება ხაზი ვახტანგის პატრიოტულ გრძნობას. მეფის ეს თვისება განსაკუთრებით გამოჩნდა მისი ირანში ყოფნის პერიოდში, როდესაც მეფეს შაჰმა სარწმუნოების გამოცემა მოსთხოვა. ვახტანგი სასტიკი უარით შეხვდა შაჰის ამ წინადადებას, რისთვისაც კარგა ხანს მოუხდა ირანის კარზე დაყოვნება. ამის შესახებ კაპუჩინელი მამა პიერ დ'ოუსიდენი წერს: „ამან (იგულისხმება ირანის შაჰი ჰუსეინი) მასზე უკვე რამდენჯერმე მიიტანა იერიში, რომელსაც მეფემ მედგარად გაუწია წინააღმდეგობა. მან მითხრა, რომ უფრო ადრე მას ნაკუწ-ნაკუწად აქცევენ, ვიდრე თავის სარწმუნოებას მიატოვებინებენ“. თუმცა ვახტანგმა ბოლოს დროებით მიიღო მამადაიანობა, „იგი გულით ქრისტიანი რჩებოდა“³⁸.

ორივე ლიტერატურულ ძეგლში ვახტანგი წარმოდგენილია, როგორც ჰუმანისტი დიდაქტიკოსი, რომელიც ხალხს მალალი ზნეობისაკენ მოუწოდებს. ერთ-ერთ პირველ მოთხოვნად იგი თავის ვაყს შემდეგს უყენებს:

მღრთის სიყვარულზე დანერგე გული რიგიან დრო-ცემით,
ავის მთქმელს კარგი მიუწყე, არამტუღ დაამხო ცემით.

ვახტანგის შეგონების ეს მუხლი უშუალოდ სახარებიდან მომდინარეობს: „უკეთუ მიუტყვენთ თქვენ კაცთა შეცოდებანი მათნი, მოგიტყვენს თქვენცა მამამან თქვენმან ზეცათამან“ (მათე, თავი VI, 14).

ფაველნიშვილის პოემის მიხედვით ვახტანგი სიმართლის მოყვარული პიროვნებაა. მისი რწმენით, მხოლოდ მართალი ადამიანები წარსდგებიან პირნათლად ღვთის წინაშე. აი, ამ დებულების ვახტანგისეული განმარტება:

კაცმან არ იცის რა მოაქვს ღღეთა, ღამეთა ეამებას,
შენ დაამკვიდრე სიმართლე, რომელი უყვარს სამებას.

სიმართლისადმი სიყვარული საღმრთო წიგნში შემდეგნაირადაა განსახლავებული: „ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა“ (მათე, IV, 10)

მეფის შეგონების მესამე პირობა შემდეგში მდგომარეობს:

ნუ განიგუნებ შურსა და ამპარტავენებას გონებით,
ნუ მიოდგები მტყუანსა, თვალღებულ გყოს ჭონებით,
ნუ ძვირს უძრახავ სხვასა და მისი შენთვის ქნას წონებით,
ნუ კაც კლავ, ღარიბს დაფარვით მიეც ვინ ნახო ღონებით.

ვახტანგის ეს შეგონებაც სახარებიდან მომდინარეობს: „მასმიეს, რამეთუ ითქვა პირველთა მათ მიმართ: არა კაც კლა, ხოლო რომელმან მოკლას, თანამდევ არს სასჯელისა“ (მათე, თავი IV, 21).

ზემომოყვანილი მაგალითები იმაზე მიუთითებს, რომ „ვახტანგის“ ავ-

³⁸ ი. ტ ა ბ ა ლ უ ა, დასახ. წიგნი, გვ. 302.



ტორს კარგად უნდა სცოდნოდა ვახტანგის ღვთისმოსავი ხასიათი. გარდა ამისა, ავტორი ამით წარმოაჩენს მეფე-პოეტის დიდ თავდადებას ქრისტიანული სარწმუნოებისადმი.

ორივე ნაწარმოებში ვახტანგი წარმოდგება როგორც დამრიგებელი და ბრძენი სახელმწიფო მოღვაწე. როგორც ჩანს, ვახტანგის შემოქმედება კარგად უნდა გამჯდარიყო ორივე პოეტის არსებაში. ეს გარემოებაც უნდა ჰქონდეს მხედველობაში ალ. ბარამიძეს, როდესაც შენიშნავს, რომ „გურამიშვილის დიდაქტიკური მოძღვრება დიდადა დავალებული ვახტანგის ანალოგიური მოძღვრებით“³⁹.

დ. გურამიშვილისეული ვახტანგი უაღრესად გონებაგაცხსნილი და ბრძენი პიროვნებაა. იგი თავის ჯარს ასე არიგებს განშორების ეამს:

არს მორჩილება საქები, ურჩება საძაგელია,
მწყემსი უფრთხილი საწყმყოსი ადვილად დამკარგველია,
საწყმყოს უმწყემსოთ მავალთა შესკამს ტურა და მელია.

ვახტანგი ენამკვერი მოსაუბრეა, რომლისთვისაც უცხო არ არის იმდროინდელი სიბრძნე. იასე ტლამაძე მას „სიბრძნის საუნჯეს“ უწოდებს, რითაც კიდევ ერთხელ დასტურდება მეფე-პოეტის გონებრივი ჰორიზონტის სიდიდე.

ვახტანგის პირად თვისებათაგან ყურადღებას იქცევს მისი თავმდაბლობა და თავშეკავება. იგი უაღრესად დინჯი ადამიანია. მან კარგად იცის სიტყვის ფასი. მისი დროის ავტორები ვახტანგს წარმოსახავენ რჯულის დამცველად და „კანონთა სჯულმდებლად“. როგორც ცნობილია, მეფემ სხვა დიდ საქმეებთან ერთად შეადგინა სამართლის წიგნი, „დასტურლამალი“, რომელმაც დიდად გაუთქვა სახელი მას. ამიტომ იყო, რომ აღნიშნულ კანონთა მთავარ შემოქმედს ვახტანგს მეტსახელად სჯულმდებელი შეარქვეს⁴⁰.

ეს გარემოება კარგად აისახა XVIII საუკუნის ქართულ პოეზიაში. ფავლენიშვილი პირდაპირ მიუთითებს, რომ ვახტანგი თავისი მეფობის პერიოდში მოთმინებითა და რუდუნებით განაგებდა ქვეყანას. ფავლენიშვილთან ვახტანგი „რჯულის სვეტია“, ხოლო გურამიშვილთან ქართველი ხალხის დედაპოძი.

დ. გურამიშვილი ვახტანგის სახის ჩვენებისას ყოველთვის რეალისტური ტენდენციებიდან გამოდის. ამიტომ „დავითიანში“ ლიტერატურული ვახტანგი იმეორებს ვახტანგ მეექვსის შეხედულებას მთელ რიგ საკითხში. ამის დასტურად გამოდგება შემდეგი დეტალი:

პე, თაო, პირველ შვებულო აწ უცხოს ჭირსა ვარდია,
საკვრელსა ძნელად სახსნელსა, მთხრელსა მოღრმოსა ვარდია,
მკვიდრი უმკვიდროდ შვეიქენ, სამყოფთვან ვარე ვარდია,
ლაწვი შემქმნა ზაფრანად, ვის ვერა მდრიდა ვარდია.

პოეტის განწყობილება ნათელია. ვახტანგი შეწუხებულია თავისი ბედით. სევდით გაპყურებს წარსულს და მომავლის იმედიც ნაკლებად აქვს. ვახტანგ მეექვსის ეს განწყობილება ზუსტი კონტურებით აქვს მოხაზული დ. გურამიშვილის:

³⁹ ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბ., 1940, გვ. 453.

⁴⁰ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 393.

წყეულო, ცრუო, მადღურო, ასე რად დამემტერეო,
ცხრა რივი ჭირი შემყარე, ერთსა არ დამაჭერეო,
გულს მქონდა ხმალი ვაჩრილი, აწ შუბიცი დამაძგერეო,
არც მომკალ, არც დამარჩინე, მატირე ზერე ქვერეო.

ვახტანგი თავის პოეზიაში უარყოფითად აფასებს საკუთარ პოლიტიკურ კურსს. უფრო მეტიც, მას თავისი თავი გამოჰყავს ქვეყნის წარუმატებლობის მთავარ მიზეზად: „ვარდი მედგა ბალსა ჩემსა, არ თუ სამე ნარი ესო, მე აღმოვფხვერ, სხვას ვის ეძლო, მისთვის რამე ძირსა ესო“. დ. გურამიშვილი თითქმის იგივეს ათქმევინებს ვახტანგს: „მე წაუხდინე ქვეყანა, შვილიც გაუცე მამსა“.

შედარებით სხვაგვარადაა საქმე ო. ფავლენიშვილთან. მისი პოემა ერთგვარ დაუმთავრებელ შთაბეჭდილებას ტოვებს, რადგანაც უცებ წყდება თხრობა. დ. გურამიშვილი ბოლომდე მისდევს ვახტანგის ცხოვრების რთულ და წინააღმდეგობებით აღსავსე გზას. იგი შთამბეჭდავად წარმოსახავს მეფის გარდაცვალებას. ვახტანგის სიკვდილი მწვავედ განიცადა პოეტმა:

ვაი, რა ბოძი წაიქცა, სახლ-კარი თავს დაგვექცაო!
ლხინი, შვება და სიამე სულ ჭირად გარდაგვექცაო,
ჩვენ ყმანი დავრჩით, პატრონი წავიდა შორს ვაგვექცაო,
გაფრთხილდი, შენც არ დაგვექცე, ღვთის მაყა მავრა დეკ ცაო.

ესაა დ. გურამიშვილის ენით ამეტყველებული იმდროინდელი საზოგადოების გლოვა. როგორც დ. ლიხაჩოვი მიუთითებს, დატირებაში ჩნდება ისტორიული პირის მთელი სიდიადე. დიდი და პატარა სტირის ვლადიმერ მონომახს, რითაც გამოიხატება საზოგადოების საერთო აზრი ამ ისტორიული პიროვნების მიმართ⁴¹.

დ. გურამიშვილი დამაჭერებლად აღწერს ქართველი ლტოლვილების განწყობილებას ვახტანგის გარდაცვალების გამო. პოეტი გრძნობს, რომ ვახტანგის სიკვდილით სამუდამოდ ეკვეცებოდა ფრთები მათ მიზნებს. ამიერიდან ისინი უპატრონოდ და მიუსაფრად რჩებოდნენ:

მეფე მოგვიკვდა ვიქმენით, ჩვენ მწარედ ოხერ-ტიალი,
მით დაგიბნელდა საწუთროს შუქთა ბრწყინვა და ჭურტიალი,
მოგვეწადა წელ-გული, შევექმენით, ვით უფროდ ჩიტმან ფრტიალი,
დავიწყეთ ვითა წიწილთა, უკრუხოვითა წკრტიალი.

ჩვენ შეეცადადეთ წარმოგვედგინა ვახტანგის ლიტერატურული პორტრეტი ორი ეპიკური ნაწარმოების მიხედვით. ვახტანგი მისი ღროის ქართულ პოეზიაში გამოყვანილია როგორც უდიდესი პატრიოტი და განათლებული სახელმწიფო მოღვაწე. თუ ო. ფავლენიშვილი სახობტო ელემენტების შეტანით საზეიმო იერს უქმნის თავის ისტორიულ პოემას, დ. გურამიშვილი რეალისტური პოზიციებიდან წარმოგვიდგენს მისი ღროის საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობას. ორივე ნაწარმოების მიხედვით ვახტანგ მეექვსე წარმოდგება როგორც ჰკვიანი, ფართო განათლების მქონე მეცნიერი და წინააღმდეგობებით აღსავსე ისტორიული ფიგურა.

⁴¹ Лихачов Д. С., Человек в литературе Древней Руси, М., 1958, გვ. 26.

И. М. МТВAREЛИДЗЕ

ОБРАЗ ВАХТАНГА VI В ГРУЗИНСКОЙ ПОЭЗИИ XVIII ВЕКА

Резюме

Вахтанг VI сыграл большую роль в формировании культурной жизни Грузии. Осуществление многих мероприятий в Грузии непосредственно связано с его именем. Поэтому Вахтанг обычно считается источником вдохновения грузинских поэтов.

Ему были посвящены как эпические, так и лирические произведения. Эмиграция Вахтанга VI в Россию хорошо освещена в поэме О. Павленишвили «Вахтангиани». Эта же тема затронута в произведении Д. Гурамишвили «Беды Картли». По этим произведениям Вахтанг предстает перед нами как большой патриот, личность высокой моральной чистоты, как просветитель, мудрый государственный деятель. Историческая поэма О. Павленишвили носит праздничный оттенок, в ней преобладает хвалебный элемент; Д. Гурамишвили же с реалистической беспристрастностью изображает дела крупного политического деятеля того времени.

გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის კათედრა

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

გიორგი ავალიანი

სვანეთი რემოლუციამდე ჯართულ მხატვრულ ლიტერატურაში

სვანეთი, საქართველოს მთლიანი გეოგრაფიული ერთეულის ეს მნიშვნელოვანი მხარე, როგორც საზღვრისპირა, მონაპირე რეგიონი, ძველთაგანვე საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ხელისუფლების დიდი ყურადღების ქვეშ ყოფილა. საქართველოს ის მეფეები, რომელთაც ხელეწიფებოდათ ქვეყნის სრულყოფილი მართვა, სვანეთზე დიდ ზრუნვას იჩენდნენ. ამაზე დამაჯერებლად მეტყველებს თუნდაც თამარ მეფის სახელის მტკიცედ დამკვიდრებულობა სვანეთში, რაც დღესაც ასე ძალუმაღ იგრძნობა.

ქართულ საისტორიო წერილობითს ძეგლებში სვანეთისა და სვანების შესახებ ცნობები უძველეს დროიდან გვხვდება. ეს საკითხები ამჟამად მეცნიერულადაც შესწავლილია და გამოქვეყნებული¹. სვანებზე მრავალ ცნობას გვაწვდის აგრეთვე მე-19 საუკუნის ქართული პრესა და პუბლიცისტიკა, განსაკუთრებით საუკუნის მეორე ნახევარში.

სულ სხვა მდგომარეობა შეინიშნება ამ მხრივ რევოლუციამდე ჯართულ მხატვრულ ლიტერატურაში. რომ არაფერი ვთქვათ ამ კუთხის მცხოვრებთა ყოფა-ცხოვრების მრავალმხრივ მხატვრულ განზოგადება-ასახეაზე, სვანეთი და სვანი გასული საუკუნეების ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში სულ რამდენიმე ადგილას-ლა გვხვდება, მაშინ, როცა საქართველოს სხვა კუთხეების მოსახლეობის ცხოვრებისეული სურათები ვრცლად და შინაარსიანად აისახა მრავალი მხატვრული თხზულების მეშვეობით.

ამგვარი ვითარების ძირითადი მიზეზი, რასაკვირველია, წინათ სვანეთის ერთგვარი კარჩაკეტილი მდგომარეობისა და მისი საქართველოს ცენტრიდან მოშორებულობის სინამდვილეში უნდა ვეძიოთ და იმით ავხსნათ, რომ გასული საუკუნეებში მწერლებს ძალიან ძნელად მიუწვდებოდათ ხელი სვანეთისადმი და ეს თემა მათი ყურადღების მიღმა რჩებოდა.

ზემოთ აღნიშნულ ფაქტს ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში ჯერჯერობით არავინ შეჰხებია და მით უმეტეს, ეფექტობთ, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს რევოლუციამდე ჯართულ მხატვრულ ლიტერატურაში არსებულ იმ მხატვრულ თხზულებათა სათანადო გაანალიზება, რომლებშიც სვანი პერსონაჟები გვხვდება. ჩვენი ეს წერილიც ამ მიზანს ემსახურება.

ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში სიტყვა სვანი პირველად ალორძინების ხანის მეფე-პოეტ არჩილს აქვს ნახსენები. არჩილი თავის ლექსებში ორჯერ ახსენებს სიტყვა სვანს, მაგრამ ორივეჯერ სხვა, ზოგად მსჯელობასთან დაკავშირებით და არა კონკრეტულად სვან პერსონაჟს, მაგრამ ასე ირიბი მოხსენიებითაც ნათელია, რომ არჩილს ფრიად ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს სვანების ბუნებასა და ხასიათზე.

¹ ამის თაობაზე იხილეთ: გ. გასვიანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბილისი, 1973, გვ. 153—200 და სხვა.



ასევე გავკრით, მხოლოდ ერთგან აქვს ნახსენები სვანები ანტონ პირველს (ბაგრატიონს) ცნობილ თხზულებაში „წყობილისტყუაობა“. „სუანთა კავკასთა“ — ასე ახსენებს სვანებს ანტონი თხზულების იმ ნაწილში, სადაც საქართველოს ერთიანობის, ქართველ ტომთა მჭერი კავშირის თაობაზე მსჯელობს. აქ სვანები წარმოგვიდგებიან: მესხების, ქართლელების, იმერლების, გურულების, მეგრელების, კახელებისა და აფხაზების გვერდით და სწორედ ასეთი თანმიმდევრობით აქვს მოცემული ავტორს ქართველთა ეს ცალკეული ტომები:

პო, იოანე, თუალნო ოქროს მადენო,
მესხთა მომწყუელო, ქართველთა განმადიდრო,
იმერთ დიდებავ, გურიელთა გვირგვინო,
მეგრელთა საუნჯეჲ, კახთა მადლისა მომფენო,
სუანთა კავკასთა, აფხაზთა მადლით მესეხო.

რაიმე დახასიათებას სვანებისას ანტონი არ იძლევა, გარდა იმისა, რომ თვით კონტექსტი „სუანთა კავკასთა“ მიგვანიშნებს, რომ სვანები მთის ხალხია.

მთელ ქართულ მწერლობაში პირველი თხზულება, რომელშიც მხატვრულად არის ასახული სვანეთის ყოფა-ცხოვრების ზოგი სურათი და მოცემულია სვანი პერსონაჟი, ვახლავთ გიორგი წერეთლის მოთხრობა „მგზავრის წიგნი“, ანუ, როგორც მას სხვანაირადაც მოიხსენიებენ ხოლმე, „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“. ეს ნაწარმოები დაიწერა 1866—1870 წლებში, მისი გარკვეული ნაწილი 1866 წელს დაბეჭდა გაზეთ „დროებაში“, ხოლო მთლიანად კი უფრო მოგვიანებით უფრანლ „ქრებულში“. რაც შეეხება ძველ ქართულ მწერლობას, არჩილისა და ანტონის გარდა სვანი არავის აქვს მოხსენიებული, ყოველ შემთხვევაში დაბეჭდილ და დღემდე გამოქვეყნებულ მხატვრულ თხზულებებში.

„მგზავრის წიგნი“ სვანეთზე ვრცელი საუბარია. მოქმედებაში მონაწილეობენ სვანი პერსონაჟები, მოცემულია სვანეთის პეიზაჟური, თუ ყოფაცხოვრებითი სურათების მთელი გალერეა. ყოველივე ამას განაპირობებს მოთხრობის სიუჟეტური განვითარების თავისებურება. ავტორი სვანეთისაკენ გამგზავრებული კაცის პირით გვესაუბრება და ამ საუბრის გარკვეული ნაწილი უკვე სვანეთში მისულის შთაბეჭდილებებს ემყარება.

სვანი კაცის ხასიათს მოთხრობის ავტორი ჯერ კიდევ სვანეთამდე, გზაშივე განცდილ რამდენიმე ეპიზოდით გვიხატავს ერთ-ერთი პერსონაჟის — გიორგი სვანის მეშვეობით, რომელიც სვანეთში მდივანბეგია და ახლა იქ მიჰყავს სახელმწიფო აპარატის უფროსი მოხელე ჩიკოლიკი, რომელსაც რალაც რევიზიის მაგვარი აქვს ჩასატარებელი დასავლეთ საქართველოს მთიან სოფლებში. მსგავსი მისიით ჩიკოლიკთან ერთად მოგზაურობს კიკოლიკი თავისი მხლებლებით. გ. წერეთელი მისთვის ჩვეული დეტალიზაციით აგვიწერს ამ პერსონაჟს და აქ უპირველესად თვალში გვეცემა როგორც გარეგნული იერის, ისე ხასიათის პირველყოფილი სიტლანქე, მაგრამ ამასთან დიდი ფიზიკური ძალა და შემძლეობაც, რის შედეგადაც სხვა პერსონაჟებთან გიორგი სვანი ისე მოჩანს, როგორც გოლიათი ლილიპუტებს შორის. აი, როგორ ახასიათებს მას ავტორი: „ეს კაცი იყო ძალიან მაგარის აგებულებისა; შეაგვრემანი და წლოვანებით დაპრანჭული სახე მხეცური თვალებით ჰქონდა გაცეცხლებული. თუ მივდიოდით, გიორგი სვანი თვლით არ დაგვეჩანებოდა; დაკარწყახებული ერთ ვერსზე წინ



მიგვიძლოდა ქვეითად. ჩვენი ცხენები იმას ჩაქჩაქითაც ვერ მისწვდებოდნენ ჩუქურთულის ვკითხულობთ მოთხრობაში.

გ. წერეთლის ამ მოთხრობაში თითქმის არ არის ისეთი პერსონაჟი, რომელსაც ავტორი სასაცილო ფორმაში არ გვიხატავდეს. გროტესკი ამ თხზულების ერთი მთავარი ნიშანია და, მართალია, არც გიორგი სვანის დახასიათებისას ზოგავს სატირიკოსის თვისრეულ ნიქს ავტორი, მაგრამ სხვა პერსონაჟების გვერდით (კულაბზიკა, ჩიკოლიკი, კიკოლიკი, ბაკურა, ბაზგა, ჩიგუნია) გიორგი სვანი მწერლის აშკარა სიმბათით სარგებლობს და მისდამი უარყოფითი გრძნობა არც მკითხველს ეუფლება.

აღსანიშნავია ავტორის თვალთ დანახული სვანეთის რელიეფური სურათი. ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში, ისევე, როგორც სვანი კაცის გარეგნობა და ხასიათის ძირითადი ნიშნები, არც სვანეთის გეოგრაფიული გარემო აუსახავს ვინმეს გ. წერეთლის ამ მოთხრობამდე. აი, გ. წერეთლისეული პეიზაჟის ერთი დეტალი: „ივნისის გასული იყო, მაგრამ ქედზე თოვლი არ იყო კიდევ აღებული. ჩრდილოეთის კავკასიის ცივმა ქარმა მობერა და ხელები დაგვიყინა. ჩვენ მოვხსენით მაშინვე ცხენებს ნაბდები და შიგ ვავეხვიეთ. საკვირველი სანახავი დაიხატა ჩემს თვალებს წინ. გაღმით შორს ჩაყუდებოდნენ უზარმაზარი მთები დევებსავით და მომეტებული ნაწილი სულ თოვლით იყო შემოსილი. ჩვენ ვიდექით მთაზე, მაგრამ იალბუზიდან მოყოლებული წურნიალამდის ისეთი მაღალ ქედებად მოგვეჩვენენ, რომ ასე გვეგონა, რიონის ვაკეზე ვართ და ახალციხის მთებს შევყურებთ მეთქი“.

სვანეთის გეოგრაფიული მდებარეობის მცოდნე მკითხველი ამ სტრიქონების კითხვისას მაშინვე მიხვდება, რომ გ. წერეთელს სვანეთში მართლაც უმგზავრია, წინააღმდეგ შემთხვევაში ისეთ დეტალებს, რაც მოთხრობის ამ ნაწილში გვაქვს, ვერ მოიყვანდა. ქედი, რომელიც ავტორს აქვს ნახსენები და რომლიდანაც მას ზემო სვანეთის ადგილმდებარეობა გადაშლია თვალწინ, არის სვანეთის ქედი და მასზე მდებარე ლატფარის უღელტეხილზე მდგარა მწვერალი თავის თანამგზავრებით. ამ გადასასვლელით გადადიოდნენ მგზავრები ზემო სვანეთში ცაგერისა და ქვემო სვანეთის გავლით. ტექსტში დასახელებულ მწვერვალ წურნიალს, რაც სვანურად წითელ მწვერვალს ნიშნავს, თუ ადგილზე არ გაიგონებდა და საკუთრივ არ დაინახავდა, ისე ვერასვლით ვერ წარმოიდგენდა ავტორი. ასევე ნატურალისტის თვალთ, პირდაპირ ფოტოგრაფიული სიზუსტით არის ბევრი დეტალი გადახატული მოთხრობაში.

რასაკვირველია, ცხენისწყლის ხეობას აყოლილი მგზავრისათვის მაღალი მთების ნახვა რაიმე უჩვეულო მოვლენა არ უნდა გამხდარიყო, მაგრამ ლატფარის უღელტეხილიდან დანახულ ზემო სვანეთის რელიეფს მთების უნახავი გაუხზია მწვერალი. განსაკუთრებით თვალში სცემია შავი ფერი. ეს იმით იქნებოდა გამოწვეული, რომ კავკასიაში სვანეთისთანა წიწვიან ტყეს კაცი ვერსად შეხვდება. დღესაც კი ყველგან შავად ბზინავს ნაძვისა და სოჭის უღრანები, ხოლო მაშინ სრულიად ხელუხლებელი ეს ტყეები, რა თქმა უნდა, თავისი სიშავით მიიქცევდა უცხო კაცის თვალს. ერთიანი წიწვიანი ტყეების, როგორც სვანები უწოდებდნენ, ნენჩას, შავი ფერი, მართლაც, სხვა ხეობებთან შედარებით უფრო შავად აჩენს ენგურის ხეობას და ამ შთაბეჭდილებას მწვერალზე მომეტებულად სევდიანი განწყობილება შეუქმნია, რასაც საკმაოდ ვრცლად დამოგვეცემს კიდევ მოთხრობაში.



აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მწერალი გაუოცებია იმ გარემოებას, რომელიც გორ უყვართ სვანებს თავისი კლდე-ღრეებიანი კუთხე და ამას მისთვის ჩვეუ-
ლი ბელეტრისტული ოსტატობით აღწერს ერთ-ერთი თანამგზავრი სვანის საქ-
ციელის ფონზე: „როგორც კი შედგა ფეხი მთის წვერზე ამ სვანმა და დაინახა
თავისი შავი, მისებრ ცხვირპირჩამომტირალი ქვეყანა, თითქოს ელექტრონული
დენი გატარებულიყო მის გვამში, ერთბაშად გამოიცვალა, სახე გაუნათლდა,
ერთი საშინელი დაიყვარა, „სამშობლოვო“, შეხტა და ქული მალა აავლო.
მერე დაჯდა, პირი თავის შავ ქვეყნისაკენ მიიბრუნა და სასიამოვნო ხმით მო-
ჰყვა სიმღერას“. ამის შემდეგ მოთხრობაში ჩართულია ლექსი, რომელსაც მღე-
როდაო სვანი, მაგრამ ეს დეტალი სრულიად არადამაჯერებელია და ამ არადა-
მაჯერებლობას ლექსის შინაარსი იწვევს. ასეთი შინაარსის ლექსებს სვანები
არასოდეს მღეროდნენ. სამაგიეროდ დამაჯერებელია ის, რასაც ლექსის შემდეგ
მოგვითხრობს მწერალი: „მთელი იმ მთის ფერდობი სოფლამდის ისე ჩავიარეთ,
რომ სვანს სიმღერა არ შეუწყვეტია; იმის სახე უფრო და უფრო ვამხიარულ-
და, წარბი გაეხსნა, თვალებმა დაუწყო თამაში, თავის ამხანაგებს მოუხშირა
არაკებისა და მხიარული ამბების ლაპარაკი, იმათაც აცინებდა და თვითონაც
იცინოდა. გამოდგა, რომ ეს სვანი ხუშარა და მხიარული ბუნებისა ყოფილი-
ყო, მაგრამ მე რომ მისი დაჯავრიანებული სახე მინახავს ჩვენში, როგორ წარ-
მოვიდგენდი, თუ სვანებს ამისთანა მხიარული ხასიათი ექნებოდათ“.

დიდი სიზუსტით აქვს მოცემული გ. წერეთელს სვანეთის სოფლის სუ-
რათიც, სახლების ფორმა და ავებულება, ცნობები კომსებსა და სხვა თავდა-
ცვითი ნაგებობების შესახებ. აქაც ბევრი ისეთი დეტალია მოცემული, რასაც
ვერ აღწერდა კაცი, რომელსაც ყოველივე ეს საკუთარი თვალთ არ ექნებოდა
ნანახი.

ამრიგად, ექვს გარეშეა, რომ გიორგი წერეთელი ნამდვილად ნამყოფია
ზემო სვანეთში, დღევანდელი მესტიის რაიონში; გადასულა იგი, იქ ლატფარის
უღელტეხილით და გამოჩენილი მწერლის ჩასვლამ ამ კუთხეში ის ნაყოფი გა-
მოიღო, რომ პირველად მთელი ქართული ლიტერატურის ისტორიაში ქართ-
ველმა მკითხველმა მიიღო მხატვრული ნაწარმოები, რომელშიც სვანების ყო-
ფა-ცხოვრება და ხასიათის ნიშნები აისახა. მოთხრობაში მოცემული პერსონაჟი
გიორგი სვანი პირველი მხატვრული სახეა სვანი კაცისა მთელს ქართული ლი-
ტერატურის ისტორიაში.

სვანეთი რამდენჯერმე ნახსენებია ანტონ ფურცელაძის ცნობილ რომანში
„მაცი ხეცია“. მართალია, კონკრეტულად რომელიმე ცალკეულ სვან პერსო-
ნაჟზე რომანში არსადაა ლაპარაკი, მაგრამ სვანეთი აქ წარმოდგენილია, რო-
გორც ძალმომრეობით გატანჯული ადამიანების თავშესაფარი ადგილი, მაგა-
ლითად: სვანები შეიფარებენ და საჭირო დრომდე უვნებელს ყოფენ ფეოდა-
ლური ხელისუფლებისაგან დევნილ მაცი ხეცის, რომელიც ოცნებობს, როგორ-
მე აქვე მოიყვანოს თავისი საცოლე ეკაც და სამუდამოდ დასახლდეს სვანეთ-
ში; სვანები ეხმარებიან მოძალადე ფეოდალის წინააღმდეგ ბრძოლაში ჯვა-
რელებს — მეზობელ მეგრულ გლეხებს; სვანები ეხმარებიან მანუჩარ დადიანს
თავისი კანონიერი სამფლობელოს დაბრუნებისათვის ბრძოლაში და სხვა. ერთი
სიტყვით, ამ რომანში სვანები ყველგან სამართლიანობისათვის მებრძოლებად
არიან გამოყვანილნი.

ვაზეთ „ივერიის“ 1897 წლის თებერვლის სამ ნომერში (13, 14, 15) მო-
თავსებულია მოთხრობა სათაურით „მაგისი რა ბრაღია“, რომელიც განსაკუთ-

რებული შთამბეჭდაობით ასახავს ძველი სვანეთის ცხოვრების მნიშვნელოვან მხარეებს და ჩვენი ლიტერატურისმცოდნეობისათვის თითქმის სრულიად უცნობ სვან ავტორს ეკუთვნის. ამ მოთხრობას სათაურს ქვეშ მიწერილი აქვს „მოთხრობა სვანეთის ცხოვრებიდან“. მოთხრობის ავტორი გახლავთ მე-19 საუკუნის მოღვაწე ივანე გიორგის ძე მარგინი. მოთხრობაში კი ასეთი ამბავია გადმოცემული: მაღალ მთაზე გამავალ ბილიკს ორი ადამიანი მიუყვება. ქვემოთ კლდეოვანი ქარაფები და უფსკრულია. მალე მკითხველი გაიგებს, რომ მგზავრები არიან სვანები — და და ძმა. ძმას ჰქვია ზურაბ, დას კი — ალათი. ქალი ფეხშიმედაა და ძალიან უჭირს აღმართზე სიარული. მიუხედავად ამისა, ძმა მას ციხავს და უშვერი სიტყვებით ლანძღავს. მკითხველი მალე იმასაც შეიტყობს, რომ ალათი უჭორწინოდ არის ორსულად, ვიღაცა მამაკაცს შეუცდენია და ახლა როცა ამისი შედეგი სახეზეა, ზურაბი თავსა და ოჯახს უკიდურესად შეურაცხყოფილად თვლის. ერთ ადგილას, სწორედ უფსკრულის თავთან, ქალს ძალ-ღონე გამოეღევა, ვეღარ განაგრძობს გზას და იძულებულნი ხდებიან, შეისვენონ. ქალი იქვე იშობიარებს. როგორც კი ახალშობილის ტირილის ხმას გაიგონებს, ზურაბი კიდევ უფრო მეტის ბრაზით აინთება, სრულებით კარგავს განსჯის უნარს, მივარდება დას, მაშინაღურად გამოპვლევს ხელებიდან ჩვილ ბავშვს და უფსკრულში გადაისვრის. იგი იშორებს თავიდან ბავშვს, როგორც თვთ მისი, მისი ოჯახისა და მთელი სამოს უკიდურესი შერცხვენის უტყუარ ნიშანს, შეურაცხოფის ცოცხალ ფაქტს. უბედური დედა ლასლასით გაიტყვევა ბილიკზე და იქვე კლდეზე გადაიჩეხება, სადაც მისი ბავშვი გადაავდო ზურაბმა, ოღონდ სამუდამო თვითგანსაკითხვად უღმობელ ძმას ასეთ სიტყვებს დაუტოვებს: „უღმერთო!, მაგისი რა ბრაღია?!“

გამხეცებული ზურაბი, რომელიც მთლად ასეთ ტრაგიკულ შედეგს არ მოელოდა, თავზარდაცემული განაგრძობს გზას. ახლა მან შური უნდა იძიოს, უნდა ისისხლოს და უნდა მოკლას მისი დის ალათის შემარცხვენელი მამაკაცი. ზურაბმა იცის, თუ ვინ შეურაცხყო მისი და; თენგიზ ჯაჭვლიანია ეს კაცი. ზურაბი მიდის თენგიზ ჯაჭვლიანის სოფელში და კლავს თენგიზს ისე, რომ ამის შესახებ ვერაფერს ვერაფერს შეიტყობს. ხალხისათვის გაუგებარია აგრეთვე, თუ როგორ დაიღუპა ალათი. ამრიგად, დროებით ზურაბი ახერხებს დიდი სირცხვილისაგან თავის დაღწევას. მაგრამ დრო და მომხდარი მოვლენები თავის პასუხს მოითხოვენ და ამ პასუხს მკითხველი მოთხრობის დასასრულს შეიტყობს.

თხზულების ფინალში უკვე ღრმად მოხუცებული და ძალზე დაუძლეობელი ზურაბი სიკვდილის პირას არის მისული და საკუთარ ვაჟკაც შვილს მექაის ანდობს საიდუმლოს, თუ რატომ და როგორ დაიღუპა მისი მამიდა ალათი. აქვე ვიგებთ, რომ ჯაჭვლიანებს უფრო გვიან მაინც გაუგიათ მათი კაცის თენგიზის მკვლელის ვინაობა და ფარულად აულიათ თენგიზის სისხლი, მოუკლავთ რა ზურაბის უფროსი ვაჟი. ზურაბი მიმხვდარა თავის დროზე, რომ მისი ვაჟის ფარული მკვლელები თენგიზ ჯაჭვლიანის პირისუფელნი არიან, ძალიანაც ნდომებია შვილის სისხლის აღებაც, მაგრამ ვერ მოუხერხებია და ახლა ისე კედება, რომ მიზანი შეუსრულებლად რჩება. რადგანაც სისხლი აუღებლად დარჩენია, ზურაბი თავის უმცროს ვაჟს მექაის ასეთ დავალებას აძლევს: „ჩემი შვილი ჯაჭვლიანებმა ფარულად, დიაცურად მოჰკლეს, მაგრამ შური მაინც იძიეს. ეხლა, ჩემო შვილო, ჩემი ხვეწნა და ანდერძი ეს არის, რომ პირველად ჩემის სულისათვის ილოცოთ და ამით ცოდვები შემიმსუბუქოთ. მეორე ჯაჭვ-



ლიანებს ძმის სისხლი არ შეარჩინოთ და თქვენც შური იძიოთ, მაგრამ სოფელთ, რომ საზოგადო ჭირის დროს, მტრის შემოსევის დროს, შური უნდა დაივიწყოთ და ერთად უნდა იმოქმედოთ. დიდი შერცხვენაა, ვინც საზოგადო საქმის დროს კერძო საქმეს ემსახურება და შურს მამონ იძიებს, — ის ხალხის მოლაღატეა“. ამ ანდერძის წარმოთქმის შემდეგ ზურაბი მალე კვდება და მისი უკანასკნელი ვაზმორების დროს წამარცვლით წარმოთქმული სიტყვებია: „უღმერთო, მაგისი რა ბრალია“.

ამ მოთხრობის ავტორი ივანე მარგვიანი მწერლად არ არის ცნობილი, მაგრამ ის არის მრავალი გამოქვეყნებული პუბლიცისტური და სხვა ხასიათის წერილის ავტორი, რომლებიც მე-19 საუკუნის მიწურულს ქართულ გაზეთებში იბეჭდებოდა².

ივანე მარგვიანის რაიმე გამოქვეყნებული მხატვრული ნაწარმოები ამ მოთხრობის გარდა არ ჩანს, მაგრამ ამ მოთხრობის არსებობაც გვაძლევს იმის უფლებას, რომ მისი ავტორი ივანე გიორგის ძე მარგვიანი ვალიაროთ პირველ სვანად, რომელმაც ლიტერატურულ-მხატვრული ნაწარმოები გამოაქვეყნა.

რა მიზანი უნდა ჰქონოდა ავტორს, როცა ამ თხზულებას წერდა? ქალის ნამუსისა და ღირსების შეუვალობა, ოჯახის სახელის ჩირქმოუცხებლობისათვის ბრძოლა, შურისძიებისა და მესისხლეობის პრობლემა — აი, საკითხები, მოთხრობის ავტორს რომ აწუხებს. ჩვენი აზრით, ივანე მარგვიანის პოზიცია ამ საკითხებთან დაკავშირებით ასეთია: ქალის პატიოსნების შებღალვა ავტორს დიდ უბედურებად მიაჩნია, რასაც ისეთივე ტრაგედია შეიძლება მოჰყვეს, როგორც ალათის თავს დატრიალდა. ი. მარგვიანი განგებ ავითარებს ასე მძაფრად კონფლიქტს და-ძმას შორის. ძველი სვანეთის ყოფის ერთი მკაფიო ნიშანი იყო ის, რომ ყოველ ქალს საიმედო პატრონი უნდა ჰყოლოდა, რომ ქალის უღირსი საქციელი არა იმდენად თვით იმისი სირცხვილი იყო, რამდენადაც სხვა პირებისა, რომელთაც მისი პატრონობა ეკისრებოდათ (მამა, ძმა, ქმარი). რასაკვირველია, ალათის სრცხვენია საკუთარი მდგომარეობის გამო, მაგრამ მას ამ სირცხვილს მომავალი დედობის გრძნობა უმსუბუქებს. გაცილებით მეტი ერცხვენება ალათის მდგომარეობა მის ძმას ზურაბს, რომელსაც უკანონოდ დაზადებული დისშვილის გამოჩენა არათუ არ უმსუბუქებს სირცხვილის მტანჯველ გრძნობას, არამედ იმდენად უძლიერებს აღშფოთებას, რომ არაადამიანურ სისასტიკეს ჩაადენინებს. ი. მარგვიანის მოთხრობა ამ მხრივ მძიმე ფიქრებს აღუძრავს მკითხველს და განსაკუთრებული სიმძაფრით აყენებს მის წინაშე მოქალაქეობრივ, მორალურ-ეთიკურ პასუხისმგებლობას.

ადამიანის მიერ ადამიანის განზრახ მკვლელობის შემთხვევაში ივანე მარგვიანი სისხლის აღების, შურისძიების მომხრეა, უდავოდ. ამაზე ნათლად მეტყველებს მისი მთავარი პერსონაჟის ზურაბის მიერ შევილისათვის მიცემული დარიგების სიტყვები, რომლებიც თვით ავტორის სიტყვებად ჩაესმის მკითხველს და ამ სიტყვებში განსაკუთრებით იქცევა ყურადღებას მამის ზრუნვა შევილის დამოკიდებულებაზე საზოგადოებრივი, საერთო-სათემო საქმისადმი, რომ საზოგადო საქმის შესრულების დროს ადამიანმა უნდა დაივიწყოს პირადული ინტერესები და მიზნები.

ი. მარგვიანის ამ არცთუ მოზრდილი მოცულობის მოთხრობაში დიდი ადგი-

² ამის თაობაზე იხილეთ ჩვენ მიერ შედგენილი წიგნი: ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე, თბილისი, 1973.

ლი აქვს დათმობილი ბუნების აღწერას, მთის მომხიბლავი პეიზაჟის წარმოდგენას. ბუნების მოვლენები, როგორც ცოცხალი არსებები, ისე უსულო საგნები, მოცემულია მოძრაობაში. უწყვეტი დინამიკა და ჰარმონიულობა ამ სურათების დამახასიათებელი თვისებაა, რითაც ისინი შთაბეჭდვად რჩებიან მკითხველის მეხსიერებაში. ამავე დროს ისიც უნდა ითქვას, რომ მოთხრობაში მოცემულ პეიზაჟზე დაკვირვება გვაფიქრებინებს, რომ ი. მარგიანი ამ მხრივ ალ. ყაზბეგის ერთგვარ ვაჟულანს განიცდის. ეს გარემოება არ არის გასაკვირი და შეუძლებელი: თავისი დროის კვალობაზე კარგად განათლებულ პიროვნებას უეჭველად წაკითხული ექნებოდა იმ დროს უკვე დიდად პოპულარული ყაზბეგის თხზულებები. მაგრამ ი. მარგიანს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ეწოდოს ალ. ყაზბეგის მიმბაძველი. მას სრულიად გარკვეული და საკუთარი პრობლემა აქვს დასახული, რასაც საკმაო ოსტატობით ახორციელებს მოთხრობაში, ავლენს სინამდვილის ასახვის სრულიად გამოკვეთილ საკუთარ მანერას, შინაგანად ღრმად განიცდის იმ მოვლენათა არსს, რომელთა მხატვრულ ასახვასაც ცდილობს. ეს ცხადად ჩანს ი. მარგიანის მიერ დახატულ ბუნების სურათებშიც, სადაც მრავლადაა ისეთი პასაჟები, რომლებიც მხოლოდ სვანეთის გეოგრაფიული გარემოსათვის, მისი ფლორისა და ფაუნისათვის არის დამახასიათებელი და მათი მხატვრულ თხზულებაში ასახვისათვის აუცილებელი იყო ადგილზე ამ სურათების ნახვა და ამ ხილვით ძლიერი განცდის მიღება.

ამრიგად, მოთხრობა „მაგისი რა ბრალია“ არის ქართული ლიტერატურის ისტორიაში პირველი თხზულება, რომელიც სვანეთში დაბადებულმა და აღზრდილმა ავტორმა გამოაქვეყნა. მოთხრობა მე-19 საუკუნის დასასრულის სვანეთის პირობებისათვის მტკივნეულ პრობლემებს ეხება. მისი მხატვრული დონეც ისეთია, როს ვკინდებმა სინანულის გრძნობა. მისმა ავტორმა, ივანე მარგიანმა ამ მოთხრობით დაუსვა წერტილი თავის. მხატვრულ-ლიტერატურულ შემოქმედებას.

რევოლუციამდელ ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში ქრონოლოგიურად ბოლო თხზულება, რომელშიც ნახსენებია სვანი, გახლავთ აკაკი წერეთლის ერთი ლექსი სათაურით „გიორგი შერვაშიძეს“. ლექსი დაწერილია 1912 წელს, და, როგორც სათაურიდან ჩანს, მიძღვნილია აფხაზეთის მთავრისშვილის გიორგი მიხეილის ძე შერვაშიძისადმი. მსცოვანი პოეტი საყვედურობს მასთან კეთილ განწყობილებაში მყოფ მთავრისშვილს, დამივიწყეო, ახალ მეგობრებს იწენ და მე, როგორც ძველი, აღარ გახსოვდარო. აკაკი აქვე მსუბუქი იუმორით გადაჰკრავს აგრეთვე სვან თავადს თათარყან ჭანსულის ძე დადეშქელიანს:

თათარხანი ჩამოსულა,	ჩემთვის საღა დაურჩება
მაგრამ ჩემთვის სად მოიცილის,	ან საღამო და ან დღია,
დღე სძინავს და ღამლაობით	ესეც კია, მეგობრობა
თამაშობს და ყანწებსა სკლის.	სვანის არსად გაგონილა.

ნათელია, რომ აკაკი თათარყან დადეშქელიანს საყვედურობს როგორც ვინმე ახლობელს და თვით დაცივნის სირბილაც, რაც ლექსშია მოცემული, მიგვითითებს, რომ აკაკი სინამდვილეში არ არის გამწყრალი თ. დადეშქელიანზე, თორემ გამწყრალი აკაკის სატირის ძალაც ყველასთვის კარგად არის ცნობილი. ეს მსუბუქი დაცივნა კი სრულებითაც არა ჰგავს აკაკისეულ სარკაზმს.

რა აკავშირებდა დიდ მგოსანს თ. დადეშქელიანთან? აკაკის დადეშქელია-

³ აკ. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტომი 3, თბილისი, 1954, გვ. 388.



ნებთან ნათესაური ურთიერთობა ჰქონდა: პოეტის უმცროსი დის მკვრივი ლიშვილი ანეტა ალექსანდრეს ასული დადიანი იყო ჯანსუღ და დედშვილისა მეუღლე, ხოლო თათარყანი, რომელსაც ლექსში მოიხსენიებს აკაკი, ჯანსუღისა და ანეტას ვაჟიშვილია. იგი რუსეთის არმიის ოფიცერი ყოფილა და პირველ მსოფლიო ომში დაღუპულა. თვით აკაკის დისშვილი ანეტა დადიანი-დადეშქელიანისა პოეტური ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება იყო. მას არაერთი ლექსი აქვს გამოქვეყნებული მე-19 საუკუნის 80—90 წლების ქართულ ჟურნალ-გაზეთებში და სხვა ნათესაებს შორის განსაკუთრებით ახლო ურთიერთობა ჰქონდა თავის სახელოვან ბიძასთან. აკაკი ბევრჯერ სტუმრებია დისშვილს სამეგრელოში სოფელ ჭვარში, სადაც ანეტა ცხოვრობდა. ამიტომ არის, რომ აკაკის ლექსში აშკარად ჩანს უწყინარი, მეგობრული კილო და რბილი ჰუმორი, რომელითაც იგი თავის ახლო ნათესავს თათარყან დადეშქელიანს მოიხსენიებს.

სვანებზე აკაკის სულ სხვა შეხედულება ჰქონდა და სვანებისადმი თავისი დიდი სიმპათია ძალიან კარგად გამოხატა 1875 წლის ხალდეს აჯანყების მონაწილე სვანებს რომ თავგამოდებით იცავდა სასამართლოზე.

უნდა ითქვას, რომ ამავე ლექსში თვით გიორგი შერვაშიძესაც თითქმის იმნაირად საყვედურობს პოეტი, როგორც თ. დადეშქელიანს:

ეს შენც იცი! მაგრამ მშაო,
ცოტა მოიფხაზურებ:

ახალ-ახალს რომ მონახავ,
ძველებს აღარც კი უუფრებ.

ამ სტროფშიც, როგორც ზემოთ ციტირებულში, კარგად იგრძნობა, რომ საყვედური არის თქმული ახლობელი ადამიანის მიმართ და ამ საყვედურში მარტო სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობა იკითხება.

ასეთია რევოლუციამდე ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში სვანეთისა და სვანების შესახებ არსებული მხატვრული სახეებისა და პოეტური გამოხატვამების ძირითადი საერთო სურათი. ვფიქრობ, სრულად მოვეუყარეთ თავი ამგვარ ლიტერატურულ მასალას.

მხატვრულ-ლიტერატურული ასახვის მნიშვნელოვან ობიექტად, ქართველი მწერლების შემოქმედებითი შთაგონების ნამდვილ ასპარეზად სვანეთი და სვანების ყოფა-ცხოვრება მხოლოდ საბჭოურ ეპოქაში იქცა და, თუ რა მხატვრულ-ლიტერატურული მასალები დაგროვდა ამ თემაზე ქართულ საბჭოთა მწერლობაში, ამაზე საუბარი გვექნება მომავალში.

Г. А. АВАЛИАНИ

СВАНЕТИЯ В ДОРЕВОЛЮЦИОННОЙ ГРУЗИНСКОЙ ЛИТЕРАТУРЕ

Резюме

В статье рассмотрены и в свете литературоведческого анализа освещены литературно-художественные произведения грузинских писателей, опубликованные в дореволюционный период и описывающие географическую среду и жизнь населения Сванетии.

Автор использует как широкоизвестные произведения, так и сочинения, опубликованные в грузинской прессе в XIX веке и до сего времени неизвестные широкому кругу читателей.

ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის პედაგოგიური სახელმწიფო ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის კათედრა

წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

ბეჰან კილანავა

ბასილ და ბრიგოლის კულტი სპარტოველოში¹

ქართული ქრისტიანობის ისტორიის უბრალო თვალის გადავლება ცხადყოფს, რომ ამ სარწმუნოებამ ჩვენში იმთავითვე უაღრესად სინკრეტული ხასიათი მიიღო. ნათქვამის დასადასტურებლად საკმარისია თუნდაც იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ, მკვლევართა განმარტებით, „ქართველების უძველესი მსოფლმხედველობის შემცველი სარწმუნოებრივი ხასიათის გადმონაშთები ეთნოგრაფიულ ყოფასა და ამ ყოფის ამსახველ წერილობით წყაროებში უმთავრესად რელიგიური სინკრეტიზმის სახით გვევლინება. ეს გადმონაშთები ყველაზე მეტად ქრისტიანულ ელემენტებთან არის შერწყმული“ ([1], 1). მეტის თქმაც შეიძლება: ჩვენმა წარმართმა წინაპრებმა ჯერ კიდევ შუა საუკუნეების გარიჟრაჟზე ახალი რელიგიის პრაქტიკაში დაახლოებით იმის ტოლფარდი საქმე გააკეთეს, რაც ანტიკის მიმდევარმა ბერძენმა (თუ ბერძნულენოვანმა) მოღვაწეებმა, ასე ვთქვათ, ქრისტიანობის თეორიაში, კერძოდ, თეოლოგიაში. არსებითად ამ აზრის სასარგებლოდ მეტყველებს იმის მტკიცება, რომ „ქართულ რელიგიურ სინკრეტიზმში ქრისტიანულ ელემენტს წარმართული სჭარბობს“ ([1], 1).

ქრისტიანობის ადრეულ ეტაპზე ეკლესიის პირველმამებს მრავალი ბრძოლა გარდახდათ, რაც სულიერი კულტურის ისტორიაში აპოლოგეტიკის დამკვიდრებით აღინიშნა. ბრძოლა იყო ყოვლისმომცველი, რის წყალობითაც ქრისტიანებმა დროთა ვითარებაში შეიძლეს წარმართულ კულტებთან თანარსებობა თანაბარი უფლებით ([2], 19). ხოლო როცა საბოლოოდ გაიმარჯვა — ამას ხანგრძლივი დრო არ დასჭირვებია — მან არა მხოლოდ აკრძალა მასთან ანტიკური ფილოსოფიის თანაარსებობა, არამედ, გარკვეულ პერიოდში და გარკვეული აზრით, სრული მოსპობითაც დაემუქრა მას. ეს იყო აპოლოგეტიკური კონცეფციის ლოგიკური დასასრული. ნათქვამი, რასაკვირველია, სრულიადაც არ უგულვებელყოფს ქრისტიანობის ანტიკურ გენეზისს, არამედ უწინარესად იმაზე მიანიშნებს, რომ ახალგამარჯვებულ რელიგიას, რომელიც თითქმის ოთხი საუკუნის მანძილზე სამკედრო-სასიციოცხოოდ ებრძოდა წარმართობას, არ შეეძლო მეცხეთულად ელიარებინა წარმართული ფილოსოფიური სიბრძნის უფლებანი; მას იმეამად ერთადერთი სიბრძნე სჭირდებოდა — სიბრძნე გამოცხადებისა, სჭირდებოდა რწმენა, რომელიც განსჯას არ ექვემდებარებოდა (აღნიშნული ოდნავადაც არ გულისხმობს ქრისტიანთაგან აზრის სრულ იგნორირებას, არამედ იმას, რომ აპოლოგეტიკამ მეტი დრო ანტიკურობასთან კამათს მოანდომა, ხოლო გაცილებით ნაკლები საკუთრივ ქრისტიანობის თეორეტიზაციას). ხოლო როცა ქრისტიანობამ რწმენ-

¹ აკად. ა. შ ა ნ ი ძ ე მ, რომელიც წინამდებარე ნარკვევს ხელნაწერში გაცნო, შენიშნა, რომ „ბასილი“ ხმოვანფუძიანი სახელია. და თუ ჩვენს ნაშრომში იგი მაინც თანხმოვანფუძიანადაა წარმოდგენილი, ეგ მხოლოდ ამიტომ: სვანურ სალოცავებში ასე იკითხება ეს სახელი ყოველთვის, როცა განმარტებით იხსენიება.



ნის გამარჯვება სრულყოფილ და ნაომარ ველზე მართლ დარჩა, დაცემული გულწოდა, მაგრამ არა მის აღსადგენად, არამედ კვლავ თავისთავის განსამტკიცებლად. ეს გააკეთა პატრისტიკამ იქამდე, რომ დამარცხებულის სამსახურებელი სავანეებში პროგრამაც კი შეადგინა (გრიგოლ ნოსელი). ეს პროგრამა იოანე დამასკელმა ამოწურა და მის ხელახლა დასმას, ანუ უშუალოდ ანტიკურ ფილოსოფიასთან ზიარებას, ეკლესია ბოლომდე ვერ შეეგუა, რისი დასტურიცაა იტალის, პეტრიწისა და სხვათა დევნა (თუმცა აქ იმ საინტერესო ფაქტის აღნიშვნა შეიძლებოდა, რომ, როგორც ჩანს, მათზე გაცილებით ადრე ჩვენში გრიგოლ ხანძთელი „ამ სოფლის“ ფილოსოფოსთა სიბრძნეს“, ანუ, ალბათ, ანტიკურ ფილოსოფიას, უშუალოდ კითხულობს და სწმენდს მას „ჯერკუალისაგან“, რასაც წმიდა მამათა მიერ გადამუშავებულ ტექსტში იგი ვერ შეხვდებოდა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ არსებობს ამ კონტექსტის განსხვავებული ინტერპრეტაცია). მალე ქრისტიანობა ვენახად შეირაცხა, რომელსაც უნდა იცავდესო ეკლიანი ღობე, ანუ ანტიკური ფილოსოფია, გადამუშავებული ეკლესიის წმიდა მამათა მიერ.

ამასთანავე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ადრექრისტიანულ ხანაში ქრისტიანობის განმტკიცებისათვის ანტიკური ფილოსოფიის გადამმუშავებელ წმიდა მამათა გერდით მოღაწეობდნენ ჯერ კიდევ გულით წარმართი მწიგნობრებიც, აშკარა მოქმედების შესაძლებლობას მოკლებულნი, რომლებიც, ამის გამო, ახალი რელიგიის წინააღმდეგ შენიღბული იდეური ბრძოლის გზას დაადგნენ. დიადი ანტიკურობის გადარჩენის დიადი სურვილით გამსჭვალული ეს ბრძენი წარმართები, ხშირად ანაფორას შეფარულნი, ერთი შეხედვით დამამცირებელ, მაგრამ უთუოდ გადაუდებელ დათმობაზე წავიდნენ იმ ვაგებით, რომ ისინიც, მსგავსად ნამდვილი წმიდა მამებისა, შეეცადნენ ანტიკური ფილოსოფიის შეგუებას ქრისტიანობასთან, ოღონდ მათგან არსებითად განსხვავებული მიზნით — ანტიკურობის გადასარჩენად და არა ქრისტიანობის განსამტკიცებლად. ბოლო ხანებში მოხდენილად ითქვა ამის თაობაზე სამეცნიერო ლიტერატურაში: «Христианизированные варвары и варваризированные христиане могли потерпеть в своем религиозно-ориентированном мире только философию либо за маской рваную под теологию, либо искренне преданную теологии. Если высокий уровень философского теоретизирования, достигнутый античностью, не был совершенно сведен к нулю за полутысячелетний период раннесредневекового варварства, то этим мы обязаны тому, что философия в предыдущий период сумела за камуфлировать себя или же мужественно отказаться от своей роли госпожи и смиренно возложить на себя обязанности служанки» ([3], 6). ამდენად, ზემოაღნიშნულმა გარემოებამ ის შედეგი გამოიღო, რომ აიძულა მთელი ქრისტიანული საშუალო საუკუნეები იმპლიციტურად მაინც ეტარებინა ანტიკური ფილოსოფიური ნაპირები და ახალ დრომდე მოეტანა იგი, თუმცა მისი შემოშრთანი „წმიდა მამები“, მათი ნამდვილ ზრახვათა გამოვლენის გამო, გზადაგზა ანათემას მიეცნენ.

მსგავსი ვითარება შეიმჩნევა ქრისტიანულ პრაქტიკაში საზოგადოდ, განსაკუთრებით ჩვენში. ჩანს, ქართულ სინამდვილეში ქრისტიანობას მძლავრი წარმართული პანთეონი დახვდა, რასაც ჩვენი წინაპრები ადვილად ვერ თმობდნენ. ანტიკის მიმდევარ მოაზროვნეთა მსგავსად, მათაც სცადეს ეროვნული წარმართული პანთეონის შენარჩუნება ქრისტიანობის ადრეულ ეტაპზე, უწი-

ნარესად გავრეგნულად მასთან შეგუება-შერწყმის გზით. ამდენად, ისე როგორც ქრისტიანულ თეოლოგიაში ამოიკითხება, იმპლიციტურად მიანიც, ანტიკური ფილოსოფიური ნაზრევი, ქართულ ქრისტიანულ პრაქტიკაშიც წარმართობის მძლავრი ნაკადი შეინიშნება. ამის დასტურია ს. მაკალათიას დაკვირვება, დღევანდელი ქართული ეთნოგრაფიული ყოფის სკრუპულოზურ ანალიზზე, რომ „ძველს საქართველოში, როგორც საზოგადოდ ყველგან წარმართულ ქვეყნებში, ქრისტიანობის გავრცელებისას... საჭირო შეიქნა... წარმართული წესების გადმოქრისტიანება. მაგრამ ეკლესიამ ეს სავესები ვერ შესძლო. აქ დღესასწაულებს სახე მოჩვენებით გაუქრისტიანდა, მაგრამ რწმენა წარმართული შერჩა“ ([4], 294). უაღრესად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საქართველოში უშუალოდ ჩვენთვის საინტერესო პერსონაჟის — ბასილის კულტის შესახებ მსჯელობისას მასვე აქვს აღნიშნული: ამ პერსონაჟის კულტს „თავისი ფესვები ქართველთა რწმენის შორეულ წარსულში აქვს გამდგარი. მისი სახით, სხვადასხვა წმინდანთა ამოფარებით, დღემდე მოუღწევია ჩვენი წინაპრების უძველესი რწმენის“ გადმონაშთებსო ([5], 35)².

ფუძემდებლურია ამ მხრივ მკვლევარ ვ. ბარდაველიძის დებულება, რომ ქართულ ყოფაში „ქრისტიანული წმინდანების სახელით, უმრავლეს შემთხვევაში, უძველესი ხალხური ღვთაებები იგულისხმება, ქრისტიანული უქმე-დღესასწაულების სახელწოდებით და უქმე-დღესასწაულებისათვის განკუთვნილ დღეებში არსებითად წარმართული წეს-ჩვეულებები სრულდება“ ([1], 1—2). იმავე მკვლევარმა მოგვიანებით ვრცლად განმარტა ამ მოვლენის მიზეზი და ხასიათი: „სხვადასხვა კულტურულ ხალხთან ურთიერთობის ნიადაგზე, ბუნებრივად მომხდარი საკუთარი და სხვისი სარწმუნოებრივი ინსტიტუტების სინკრეტის გარდა, რომელსაც ჩვენამდე მოღწეული ქართული ხალხური სარწმუნოების გადმონაშთები ამჟღავნებს, უეჭველია, ადგილი უნდა ჰქონებოდა ძალდატანების შედეგად შეგნებულ მოქმედებასაც. ქრისტიანობის ხანაში, როდესაც წარმართული სარწმუნოება დევნას განიცდიდა, ... ჩვენმა ხალხმა თავისი მამაკაპური ღმერთები და მათი თაყვანისცემა ქრისტიანულ წმინდანებსა და მათი სახელის მოსახსენებელ დღეებს, საზოგადოდ მართლმადიდებლურ კალენდარულ დღეობებს ამოაფარა“ ([6], 104). ამის მაგალითად, ბარბარ-ბაბარზე რომ არაფერი ვთქვათ, გამოგვადგებოდა წმინდა გიორგის კულტი, რომლის გენეზისი ამგვარად წარმოგვიდგება: მთვარე — მითრა — წმინდა გიორგი. ქართველთა ყოფისათვის უძველესი ჩანს მთვარის კულტი. მეორეულია ინდოირანული ღვთაება მითრა, რომელიც მნათობებთანაა გაიგივებული, უწინარესად მზესთან. როცა მისი მიმდევარი ხალხი პოლიტიკურად გაბატონდა ჩვენში, ჩანს, ეს რელიგია თან შემოიტანა, რამაც მთვარის კულტი გაქრობის საშიშროების წინაშე დააყენა. ჩვენმა წინაპრებმა იზრუნეს მისი გადარჩენისათვის და სავესებით გააზრებულად და მოხერხებულადც მითრაიზმი მოარგეს მთვარის კულტს იმდენად, რომ ეს უკანასკნელი იმპლიციტურად ბო-

² შდრ. მისივე სიტყვები: „ახალწლის რიტუალის გამოსაკვლევად უმთავრესი მნიშვნელობა ხალხური ახალწლის წესების შესწავლას აქვს, რომლებშიც ქართველთა სარწმუნოებრივ განცდათა ნაშთებია დალექილი“ (იქვე, გვ. 15).

ლომდე შემორჩა მითრახიზმს. ქართულ რელიგიურ პრაქტიკაში აქ მოხდა რაც განხორციელდა ქრისტიანულ თეორიაში — თეოლოგიაში — ანტიკური ფილოსოფიური ნაწარმების შემოტანის სახით მისივე გადასარჩენად. მითრახიზმის მთავარის კულტთან სინკრეტიზმებს ჰქონდა თავისი ლოგოკა: ქართულმა შეგნებამ სინათლის, მნათობის, კერძოდ მზის, კულტი ასევე მნათობის, ოღონდ მთავარის კულტით შეცვალა და ამით შეინარჩუნა ნაციონალური ღვთაება. ამავე დროს ირკვევა, მითრას მესაქონლეობასთანაც აქვს კავშირი: იგი იტაცებს ხარს, ამწყვედვს გამოქვაბულში, ანუ ქართაში, და შემდეგ კლავს. მას მიემართება ეპითეტი: „ხარიპარია“ (Büklopos) ([7], 46). ჩვენში მითრახიზმის შემოქრის შემდეგ მთავარის კულტის გადაარჩენის სურვილმა, ეტყობა, აიძულა ჩვენი წინაპრები საქონლის სამწყვედვეი ქართა, ანუ ბაკი, მთვარეზე გადაეტანათ. მათ მოხერხებულად შექმნეს ილუზია, თითქოს მითრას სცემდნენ თავყანს ხართურთ, ობიექტურად კი ისევე მთვარის კულტს ემსახურებოდნენ. ხოლო როცა ქრისტიანობა გახდა სახელმწიფო რელიგია, ქართულმა შეგნებამ მთვარის ფუნქცია, მითრას გავლით, წმინდა გიორგის დააკისრა. წმინდა გიორგიც, მითრას მსგავსად, ქართაში ამწყვედვს ხარს და შემდეგ კლავს, მასაც მიემართება ეპითეტი „ხარიპარია“ ([4], 357; [14]). ასე რომ, მთვარეში, როგორც ფოკუსში, თავს იყრის სამი რელიგიურ-მითოლოგიური წარმოდგენა: საკუთრივ მთვარის კულტი, მითრახიზმი და ქრისტიანობა. პირველი მსჭვალავს ორ უკანასკნელს (არსებობს ამ კულტების ურთიერთმიმართებათა რამდენადმე განსხვავებული ინტერპრეტაცია ([15]; [16], 353), რაც აქ წარმოდგენილ ძირითად აზრს მაინც ვერ არღვევს).

ძველ საქართველოში წარმართობასა და ქრისტიანობას შორის ბრძოლისათუ ურთიერთშეგუების, ასე ვთქვათ, კლასიკურ მატერიალურ განსახიზვნებას წარმოადგენს ცნობილი ბიჭვინთის IV—VI სს. მოზაიკის საკულტო დეკორატიული რეპერტუარი, რომელშიც ქრისტიანული ჯვრის გვერდით (თუ პირუკუ) თანაარსებობს წარმართული ზღვის ღვთაება ([17], 214).

ამ კომპლექსში შემოვა ქართული წარმართული ღვთაება ბოსელისა და ქრისტიანობის წმინდანის ბასილის სინკრეტიზაცია ([6], 98, 104), რაც ამჟამად ჩვენ არსებითად სხვა თვალსაზრისით გვიანტერესებს.

კერძოდ, 1962 წელს მკვლევარმა ე. ხინთიბიძემ გამოაქვეყნა ნაშრომი ([18], 125—151), რომელიც ბასილ კაბადოკიელის ვინაობა-სადაურობას ეხებოდა. ისტორიულ-ლიტერატურულ მასალათა გათვალისწინებითა და მეტწილად მათი ახლებურად გააზრების საფუძველზე მკვლევარმა ბასილ დიდი დაუკავშირა კავკასიურ ეთნიკურ სამყაროს და გამოავლინა მისი ქართველური წარმომადგენლობა. ბუნებრივია, მსგავსადვე გადაწყდა მეორე გამოჩენილი ბიზანტიელი საეკლესიო მოღვაწის, ბასილ დიდის ძმის, გრიგოლ ნოსელის ვინაობის პრობლემაც. ე. ხინთიბიძემ თავის მომდევნო შრომებშიც ([19], 7—9; [20];

³ აღსანიშნავია, რომ მკვლევარმა ([8], 342; [9], 427; [10], 342) და იმერულ დიალექტში ([11], 5) საქონლის სადგომს ქართა ეწოდება. ამავე რეგიონში, უწინარესად სამეგრელოში, მთვარის შუქრკალს იგივე სახელი ჰქვია და ისიც საქონლის სადგომადა მოაზრებული. ამას დამარწმუნებლად აღსატურებს მთვარის შუქრკალის სახელდება კახურ დიალექტში: ბაკი ([12], 955). მართლაც, მითოლოგოსის წარმოდგენით, მთვარის ლაქა საქონლის ნაკელია, რომელიც ბოსლის გამოხვედრისას მესაქონლემ შემთხვევით მიაყარა (არსებობს აღნიშნული მოვლენის სხვაგვარი ახსნაც ([13], 13—15), მაგრამ მას არა აქვს ფართო გავრცელება). ამ წარმოდგენით, საქონლის ქართა, ბაკი უშუალოდ მთვარეზე არსებულადაა ნავულისხმევი.

53—91) ბეჯითად გაიმეორა ადრეული მოსაზრებანი და სცადა მისი შეფასება ცემა ზოგი დამატებითი მასალითაც.

ე. ხინთიბიძის ნაშრომი საზოგადოდ (და, კერძოდ, მისი ეს ასპექტიც) მოწონებულ იქნა ქართველ მეცნიერთა მხრივ ([21]; [22]; [23]) იქამდე, რომ, უმთავრესად მის საფუძველზე, ქართულ მეცნიერებაში ქართველურ ეთნიკურ წრეს დაუკავშირდა აგრეთვე მესამე ცნობილი ბიზანტიელი მოღვაწე გრიგოლ ნაზიანზელი ([24], 29—105; [25]).

როგორც სპეციალურ გამოკვლევაში, ასევე მასთან დაკავშირებულ მონოგრაფიებში ე. ხინთიბიძე თავისი თეორიისათვის, სხვათა შორის (და სამართლიანადაც), გარკვეულ მნიშვნელობას წმინდა ბასილის კულტის საქართველოში საყოველთაო გავრცელების ფაქტსაც ანიჭებს. ამ მხრივ მას უხვად მოაქვს საილუსტრაციო მასალები. ამასთანავე, ეტყობა, კვლავაც მოიძებნება ზოგი ისეთი პირველწყარო, რომელთა გათვალისწინებამ შესაძლოა არსებითად და საბოლოოდ დასაბუთოს მისი თვალსაზრისი. ასე მაგალითად, ბასილ დიდის პონტიკოლოზის და, აქედან გამომდინარე, მისი ქართველური წარმოშობის მტკიცებისას ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს საქართველოს სწორედ ზღვისპირა (უმთავრესად სამეგრელო-აფხაზეთის) და ამ ზღვისპირეთთან ისტორიულად ურთიერთობაში მყოფ არქაულ (უმთავრესად სვანეთის) მხარეებში დადასტურებული მასალების გათვალისწინებაც, რომლებშიც ბასილის სახელი ინტენსიურად ფიგურირებს ([26], 153; [8], 201).

ისმის კითხვა: ვინ არის ეს ბასილი? აქვს თუ არა მას რაიმე კავშირი ბასილ კაპადოკიელთან? ამ კითხვებზე დადებითი პასუხი გაიცემა იმ შემთხვევაში, როცა მეცნიერულად იქნება გათვალისწინებული ქრისტიანულ წმინდანთა ზემოაღნიშნული მიმართება ქართულ წარმართულ პანთეონთან. კერძოდ, კონკრეტულად ჩვენთვის საინტერესო საკითხზე უნდა ითქვას, რომ მკვლევარმა ე. ბარდაველიძემ ქართული საწესო გრაფიკული ხელოვნებისადმი მიძღვნილ თავის ფუნდამენტურ მონოგრაფიაში ([6]) დაადგინა, რომ, ქართული მასალებით, ბასილი მეტწილად საქონლის ღვთაებადაა მიჩნეული. ერთი შეხედვით, თითქოს დაუჯერებელია, რომ მთელს საქრისტიანოში უდიდეს წმინდანად შერაცხილი პირი იქნება ჩვენს წინაპრებს საქონლის ღვთაებად წარმოედგინათ. აღნიშნულის მიუხედავად, მისი ამგვარი მეტამორფოზის შესაძლებლობა და კანონზომიერებაც შესანიშნავად დადასტურა ე. ბარდაველიძემ. მან იგი დაუკავშირა მის მიერ გამოვლენილ ზოგადქართულ ითიფალურ ღვთაება ბოსელს („ბომბლას“). ეხება რა ბასილ ჰიჭყნიას, იგი წერს: „წმ. ბასილის ხსენება... ქართველ ხალხში მოცემულია დღეობა ახალწელიწადს, რომელიც ქრისტიანულ სამყაროში წმინდა ბასილის მოსახსენებელ დღედ ითვლებოდა. ის გარემოება, რომ ბასილ ჰიჭყნიას სახით წმ. ბასილის სახელი და მისთვის განკუთვნილი კვერი ბოსლობაში მოწმდება, წარმართულის ქრისტიანულთან სინკრეტიზმის მაჩვენებელია. ღვთაება ბასილის დღეობაში... ქრისტიანული წმინდანი შეჭრილა და ამ ქართული წარმართული ღვთაების კულტის თანაზიარი გამხდარა“ ([6]⁴, 98; 104)⁴.

⁴ ს. მაკალათია თვლის, რომ წმ. ბასილი ჩაენაცვლა მზის კულტს: „როდესაც ქრისტიანობის მოციქულებმა წლისთავი (ახალი წლის დადგომა.—ბ. კ.) წმ. ვასილის ხსოვნას დაუკავშირეს, საჭირო შეიქმნა ამ დღესასწაულის ყველა წარმართული წესის გადმოქრისტიანება. ამიტომ წმინდა ვასილს დაუკავშირეს როგორც მზის ქანდაკება—ბასილა, ასევე მზის ღვთაების მსხვერპლი—ლორი“ ([5], 44).



რაკი ბოსელი საქონლის ქართული წარმართული ღვთაებაა, ბუნებრივია, რომ მის მონაცვლუ, მასთან შეგნებულად აღრეულ ბასილსაც უწინარესად საქონლის, განსაკუთრებით ღორის, გამრავლება და მოვლა-პატრონობა დაეკისრა.

შეითხველი შეამჩნევს, რომ ჩვენ აქ საგანგებოდ მივუთითებთ წარმართულსა და ქრისტიანულს შეგნებულ აღრევაზე, რაც მიიღწევა უმთავრესად წმინდანის ცხოვრება-მოქალაქეობის ფოლკლორიზებით. ეს უკანასკნელი უმეტეს შემთხვევაში არაა სტიქიური, ვაუცნობიერებელი ქმედება, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. მრევლმა, აუოველმა კრებულმა⁵ საიოქმის შეუმცდარად იცის ვისი ცხოვრება-მოქალაქეობის ფოლკლორიზებას ახდენს და რისთვის ახდენს. მისთვის განურჩეველი არაა, ვთქვათ, შუშანიკის ცხოვრება-მოქალაქეობასთან ექნება საქმე თუ მაქსიმე აღმსარებლის ღვაწლთან. თუ არ არსებობს შუშანიკის ფოლკლორიზებელი ბიოგრაფია (სხვათა შორის, იგი არ შეხებია არც ევსტათის, აბოს, თვით ვიოვლო ხანათელსა და ა. შ.), და არსებობს მაქსიმე აღმსარებლისა, ცხადია, ამაში გარკვეული პოზიცია ჩანს (აღნიშნული, რასაკვირველია, შემთხვევითობას სურათოდ კი არ გამოიციხავს, არამედ გამოხატავს ამ პროცესის მხოლოდ დედა ააზრს). ამდენად, ბასილსა და ბოსელს შორის შერწყმის ახსნა ამ სახელთა ფორმალური მსგავსების ნიადაგზე საკითხის განაჩივებას მოასწავებს, მიზანშეუწონელია, რადგანაც აქ უფრო ღრმა ურთიერთობას, ფაქტიურად ორი განსხვავებული მსოფლმხედველობის შერწყმას აქვს ადგილი. ჩანს, ბოსელთან ბასილის ჩანაფიქრების სურვილი იმ ფაქტობას განამტკიცა, რომ, გადმოცემით, ქრისტიანთათვის ღორის ხორცი სწინადა აქცია სწორედ წმინდა ბასილმა. ამის დამადასტურებელია ასეთი ლეგენდა: „ერთხელ თურქი წმინდა ბასილი წირვად იდგა და იმ ღროს მას ღორმა ახლო გაურბინა. ღორს მუცელში ეშმაკი ჰყავდა და იმის ხორცი არ იკებებოდა. წმინდა ბასილი ხელში ჯვრით გამოევიდა და სწორედ იმ ღროს მოეწია, როდესაც ღორი წყალში გადახტომას აპირებდა. წმ. ბასილმა მოასწრო და ქულზე ფეხი დააბოჯა. იმავე წაშში ეშმაკი ღორიდან გამოხტა და წყალში გადაყარდა. მაშინ ბასილმა ღორი აყურთხა და საქმელად მივიჩინა. ამიტომ ღორს კულის ბოლო გაბრტყელებული აქვსო“ ([27], 135; [28], 91; [5], 43-44).

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ, ქართული მასალებით, ბასილი ვერ ეტყება საქონლის მფარველის ფუნქციებზე. ახალწლის ღღესასწაულის სენანური სალოცავები ადასტურებენ, რომ იგი არა მხოლოდ საქონლის მფარველია, არამედ მას წლის შეცვლაც, ადამიანთა გამრავლებაც, მათი მოვლა-პატრონობაც, ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრებაც ევალება. ასე მაგალითად, ლაშხანის სსსპ-ის თემში ამოკვეს კარს გაულეზდენე, ისიც შინ შევიდოდა, კერძის მარჯვნივ გარს შემოუვლიდა და თან ლოცულობდა:

⁵ აქედ. ა. შანიძემ დღეობა „ბოსილობასთან“ დაკავშირებით მოგვარა ფრიად საინტერესო მასალა, რომელიც ასახავს საკავახოს ყოფას ამ საუკუნის დასაწყისში. მასზე, ინფორმაციისათვის მითითებით, სავანეში დღეობრება საქირო, განსაკუთრებით იმ მხრივ, წელწაღის თუ რადიოს მოლოდინი. რაც შეეხება სანეგრელის ვითარებას, ზოგი ცნობით, აქ მას ღღესასწაულზედნენ აღდგომის შემდეგ, სხვა ცნობით კი—ახალწელიდან.

⁶ ალბათ, ამაზე აფიქრებინა ს. მაკალოასი, რომ ბასილი ჩაენაცვლა მზის ღვთაებას, რომელიც ახალწელიდან იხსენიებოდა ([5], 44).

ბ. კლიაშვილი
ქართული
ენების
აქადემია

„ხტა ზომხაუ აქინახ ალ ქორისა მერდა მზარას ჩნს, ბასილ ძულტა კალანდწშიაჲ, ათხნდ გუშტე ოჯახ ზაამაჲკედნ“.

მრავალი ახალი წელიწადიმც მოგვსწრებოდა ამ სახლში მცხოვრებ ადამიანს ყველას, ბასილ ზღვის კალანდისაო, გაახარე ჩვენი ოჯახი წლის მოსავლით. ([29], 165).

იმავე სასასში ამგვარადაც ილოცებოდნენ:

„ბასილ ძულტა კალანდწშიაჲ, სი ლოგ ტემდ, ოჯხნდ ზააჲ მაჲკედნ, ოტჲაჲ ხტაჲ ზომხა შუი-დობდ, ოჯაფიშირ ამსტალდა, ნაფშიროჲ ლწგო მერდი სგეჲარ, მაჲ გუჲაჲ, აღოარე ლირდინ ი ნაბედნიერნ ოჯხნდ; ბასილ ძულტა კალანდწშიაჲ, ბარაჲ ლხო გუშტე მაჲკედს ი მაღილ ქერი, მაღილშტ გოში“.

ბასილ ზღვის კალანდისაო, შენ გვიშველე, გაგვახარე წლის მოსავლით, მოგვასწარი მრავალი ახალი წელიწადი მშვიდობით, გაგვიმრავლე ადამიანი, სიმრავლით მოგვეცი მოზარდი ვაჟიშვილი, რაც გვყავს, იმათი ზრდით და ბედნიერებით გაგვახარე, ბასილ ზღვის კალანდისაო, ბარაჲა მიეცი ჩვენს მოსავალს და მაღლი გვექნება, მაღლით სავსე. ([29], 166).

ქვემო ლექსურაში (ლენტეხი) ახალ წელიწადს „ლოცვა-ვედრება მიმართული იყო უმთავრესად ბასილ ძულტა კალანდწში-ს და „ზომხის ანგელოზის“ სახელზე, რომელსაც ევედრებოდნენ მრავალი წლის მოსწრებას, ბედისა და ბარაქის მოცემას ([29], 115, 171). ამასთანავე ეტყოდნენ გარეშე მეკვლესაც ([29], 172). ასევე ილოცებოდნენ ზემო ლექსურაში (ლენტეხი), ტიბიანში (უშგული) და სხვაგან.

ზემოაღნიშნული იმას ნიშნავს, რომ „მართლმადიდებლური ქრისტიანობის ხანიდან ჩვენში წმინდა ბასილის სახელით ცნობილი ძველი ქართული ღვთაება წლის შემცველ ღმერთად იყო მიჩნეული“ ([6], 110) იმიტომ, რომ როცა ახალი წელიწადის რიტუალს ასრულებდნენ, ერთგან „წლის შეცვლელ ღმერთს“ ახსენებდნენ, „სხვა თემებში იმავე მომენტებში და იმგვარივე შინაარსის ლოცვა-ვედრებით ბასილს მიმართავდნენ“ ([6], 108). კიდევ უფრო საინტერესო ისაა, რომ ბასილის განდიდება სვანის შეგნებაში ამაზეც არ შეჩერებულა და იგი დაისახა სამყაროს პატრონად, უდიდეს ღვთაებად, ფუსნაბუასდიას ტოლად. ასე მაგალითად, „ზემო სვანეთის რიგ თემებსა და სოფლებში ლიშიაშაღის წესის შესრულების დროს სახლის მეკვლე ზელსახსნელ პირებს „წლის ძალის შემცველი ღმერთის“ სახელით ლოცვდა, მათ „წლის ძალის შემცველს“ ავედრებდა და თან წაღმა უტრიალებდა დიდი ღმერთის სიმბოლო — კვერს მუჲეღუს-ს, ანუ ფუსნაღემზირს, რომელსაც ეს პირები მოწიწებით ეამბორებოდნენ. ხოლო ლაშხეთში ლიშიაშაღის შემდეგ საახალწლო სუფრის წინ სახლის მეკვლე ზეაპრობილ ფუსნაღემზირით ბასილ ძულტა კალანდწში-ს სახელზე ლოცვა-ვედრებას აღავლენდა. დიდი ღმერთის ემბლემა — კვერით „წლის ძალის შემცველისა“ და ბასილის ხსენება, უეჭველია, ნიშნავს იმას, რომ ამ ღვთაებრივი პერსონაჟის სახელით დიდი ღმერთი ივარაუდებოდა“ ([6], 110). უფრო მეტიც; ლოცვა-ვედრების ერთ-ერთ ტექსტში პირდაპირაა მითითებული, რომ „წლის ძალის შემცველი“ ბასილი დიდი ღმერთი იყო: „ო-ო, დიდება მოგვსელოდეს, დიდო ღმერთო! წლის ძალის შემცველო, კარგი წელი შეგვიცვალე, ადამიანის მშვიდობიანობით და საქონლის სიმრავლით გაგვახარე, ვაისი მოგვასწარი კარგ გულზე“ ([6], 111). ამ მხრივ მკვლევართა ყურადღებას იპყრობს აგრეთვე მეკვლეობის წესში წარმოდგენილი „სიტყვიერი ფორმულები“. მაგალითად, ლა-



ხამულაში კარზე მიმდგარ მეკვლეს ეკითხებოდნენ — რა მოგაქვსო. იგი, წესდენს ხობდა: „დიდი ღმერთის წყალობა მაქვს, მიქამ თჳრგლეზერის წყალობა მაქვს, ჯგერაგის წყალობა მაქვს, კარი გამიღე“. ამ პასუხში ასახულია ღვთაებრივი ტრიადა, რომლის პირველსა და მთავარ წევრს დიდი ღმერთი წარმოადგენდა და რომლის სახელიც (ფუსნაბუასდია) განცხადებულია ლაშხეთის თემის სასაშისა და ეახუნდერის მეკვლეთა პასუხში. „ამ არსებითად მაგიურ-რელიგიური შინაარსის ტექსტებიდან ნათლად ვხედავთ, რომ მეკვლეობის წესში მეკვლეს დაკისრებული აქვს ძირითადად დიდი ღმერთის, ანუ ფუსნაბუასდიას, ფუნქციების შესრულება — როგორც თვითონ აღნიშნავს, მას აქვს ან მოაქვს დიდი ღმერთისა და სხვა ღვთაებების წყალობა და ყველა ის სიკეთე, რომელსაც იგივე მეკვლე ზემოაღნიშნული დანარჩენი მაგიურ-რელიგიური და წმინდა რელიგიური წესების შესრულების დროს ბასილს, „წლის ძალის შემცვლელს“ თუ წლის შემცვლელ ღმერთს გამოსთხოვდა“ ([6], 112). საზოგადოდ ზემოთ მოხმობილი და აგრეთვე უამრავი სხვა მასალითა და მათი მეცნიერული ინტერპრეტაციით მკვლევარმა ვ. ბარდაველიძემ ეპემიუტანლად დაამტკიცა, რომ წმინდა ბასილი გაიგივებულია „წლის შემცვლელ“ ღვთაებასთან, ხოლო ეს უკანასკნელი სამყაროს პატრონ, მთავარ ღვთაება ფუსნაბუასდიასთან. საბოლოოდ ეს ნიშნავს წმინდა ბასილისა და ფუსნაბუასდიას იდენტიფიცირებასაც.

ჩვენი თვალსაზრისისათვის ყველაზე საინტერესო სწორედ აღნიშნული გარემოებაა: ბოსელის თანაზიარი წმინდა ბასილი ვერ ეტევა საქონლის ღვთაების ფუნქციებში და ირაცხება ადამიანისა და საერთოდ სამყაროს მფარველადაც. დასახელებული ვითარება თავისთავად ამხელს იმ ფაქტს, რომ წმინდა ბასილის უშუალო მოვალეობას ქართულ სინამდვილეში არასდროს არ წარმოადგენდა საქონლის მოვლა-პატრონობა და, მაშასადამე, ადასტურებს ჯერ ბოსელთან და მერე ფუსნაბუასდიასთან მის გაცნობიერებულ აღრევასაც. ამავე დროს, რაც მთავარია, ქართული, განსაკუთრებით სვანური, სალოცავები უაღრესად ტენდენციურად, თვით მთავარანგელოზისა და წმინდა გიორგისაზე მეტად, განადიდებს წმინდა ბასილის სახელს, რაც, ალბათ, მსოფლიოს არც ერთი ქრისტიანი ხალხის პრაქტიკაში არ დასტურდება; ყოველ შემთხვევაში ჩვენს ხელთ არსებული მასალა კვლევის ამ ეტაპზე მხოლოდ ამგვარი დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, დაისმის საცთური კითხვა: ხომ არ მიანიშნებს ეს გარემოება ბასილ დიდის ქართულ (ქართველურ) წარმომავლობაზე? ამგვარი კითხვის დასმის კანონზომიერებასა და აუცილებლობასაც გვაგრძობინებს იმავე სვანური საახალწლო ღღესასწაულის ერთი მნიშვნელოვანი ჩვენებაც.

ახალწლის წინა, შუშხუამ (ლიძიენალ) დღეს წმინდა ბასილი ყოველთვის ზღვასთან დაკავშირებით მოიხსენიება. აქ არ არსებობს გამონაკლისი: ასეთი ვითარება დასტურდება არა მხოლოდ მაშინ, როცა ბასილი უშუალოდ ფუსნაბუასდიასთან, ან „წლის ძალის შემცვლელ“ ღვთაებასთან არის გაიგივებული, არამედ მაშინაც, როცა მას ოდენ საქონლის მოვლა-პატრონობა ეთხოვება. ასე, მაგალითად, ქვემო ლეჭსურაში (ლენტეხი) „შუშხუამ საღამოს ვახშმისათვის ზომხაჲ-ს (სახალწლოდ სპეციალურად ნასუქი ღორის) თე-ყბას მოხარშავდნენ, გამოაცხობდნენ ტაბლებს, რომლებსაც, ღორის ყბასთან ერთად, ვაიტანდნენ საღორის კარზე, იქ შეალოცავდნენ ღორების გამრავლების ღმერთს ბასილ ძულუა კალანდამიამ-ს და ტაბლებსა და

ხორცს იქვე სალორის კართან შეჰამდნენ“ ([28] 114). ზემო ლექსურაში (ტეხი) კი ახალ წელს ასე ილოცებოდნენ:

„ბასილ ძულტაჲ კალანდაში ღებრეთ, ჩაგუ-
ფიშორ კუმაჲ“.

ბასილ ზღვის კალანდის ღმერთო, გაგვიმრავ-
ლე საქონელი ([29], 117).

იქვე დასტურდება ამგვარი ლოცვის სიტყვებიც:

„ბასილ ძულტა კალანდაჲ, ხტაჲ კალანდა აგუა
შეიდებლ“.

ბასილ ზღვის კალანდისაო, მრავალ კალანდას-
მოგავსარს მშვიდობით ([29], 117).

ეს წმინდანი „ზღვის ბასილადაა“ (დააკვირდით ამ გამოთქმას!) შერაცხილი
ქაზუნდარელთა (ქვემო სვანეთი, ლაშხეთი) ამგვარ ლოცვაში:

„ზაი ყურიჲ მგვადლო, ძულტა ბასილ კალან-
დაში ლეგტეჲ ი ლეგტეჲკერ! ზაინ მკადლ
ოგზნდ, მზარჲმი ნაშლობან, კუჲში ნაფშორან,
მაზიჲ ქოგჲზბგნ“.

წლის ძალის შემცველო ზღვის ბასილ კალან-
დისაო, გვიშველე და გაგვივონე! წლის მოსაე-
ლით გაგვახარე, ადამიანის მშვიდობიანობით,
საქონლის სიმრავლით, ქირი აგვაცილე ([29],
112).

ან კიდევ, ახალ წელს სასაშელო მეკვლე ამგვარად დაილოცებოდა:

„ხოზა შუშტამ ოგშტამენა ქორს მერდას ჩნს,
ამსტალდა ნაშლობოჲ ი კუგჲში ნაფშოროჲ; ბა-
სილ ძულტა კალანდაშიაჲ, ოგუთა კალანდობ ში-
დობდ, ამსტალდაჲ ი კუჲში ნაშლობოჲ“.

კარგი შუშტამ-ი გვეშუშამებია სახლში მყოფს-
ყველას, ადამიანის მშვიდობიანობით და საქონ-
ლის სიმრავლით; ბასილ ზღვის კალანდისაო,
მოგავსარს მრავალი კალანდობა მშვიდობით,
ადამიანის და საქონლის მშვიდობიანობით.
([29], 109).

„მულახის თემში სახლის მეკვლე ცოლ-ქმარი გარს უვლიდნენ და თან
ლოცულობდნენ: „ო-ო, წლის ძალის შემცველო მადლიანო ბაცი (ბასილ —
ბ. კ.) ზღვის კალანდისაო, კარგ ამ წელიწადს ახალს მიგვაყენე“ ([6], 110;
[29], 149). ხალხელი გლეხი ლოცულობდა: „კარგი წლის შემცველო ბასილ
ზღვის კალანდისაო“ ([6], 156).

მსგავს მაგალითთა მოხმობა დაუსრულებლად შეიძლებოდა, მაგრამ ვფიქ-
რობთ, ამის საჭიროება მოხსნილია, ოღონდ დამატებით კიდევ ერთ სალოცავს
მოვიყვანთ, რომლის თანმხლები რიტუალი გარდუვალად ამტკიცებს ბასილის
„ძულტაშობას“. კერძოდ, სოფელ ებიანში (უშგული) „სახლის მეკვლე (ქო-
რბ მგუჲში) ცეცხლზე სანთელს მოუკიდებდა და იქვე სადმე კედელზე გააქ-
რავდა, შუშტამ ღამეს სანთვავით გავსებულ ლალს-ს ზურგზე წამოიკიდებდა,
ერთ ხელში წყლის ქურჭელს (ოხარ-ს) დაიჭერდა, მეორეში წმინდა სან-
თელს და წყაროზე წვიდოდა. აქ ანთებდა სანთელს, დაილოცავდა ბასილ
„ძულტაშობის“ სახელზე და ოხარ-ს წყლით აავსებდა“ ([29], 159). აქ
უწინარესად აღსანიშნავია ის, რომ მეკვლეს წყლის ქურჭელი მიაქვს, მიდის
წყაროზე, ილოცება ბასილ ძულტაშობის (წყლის) მეუფეზე და ავსებს
ქურჭელს წყლით. ეს და სხვა მის მსგავს რიტუალთა არსებობა, რომელთაც
აქ შეგნებულად არ ვასახელებთ, სრულებით არაა შემთხვევითი; იგი ერთხელ
კიდევ და საბოლოოდ დასტურებს წმინდა ბასილის კავშირს ზღვასთან.

რაკი წარმართული ღვთაება ბოსელის ძირითადი დანიშნულება საქონლის
გამრავლებაა, მასთან სინკრეტობიერებული ქრისტიანობის წმინდანის ბასილის-
დაკავშირება ზღვასთან ვ. ბარდაველიძემ იმავე წარმართობის ფონზე განიხილა.



კერძოდ, ამ ფაქტს მან პარალელი დაუდებნა ქართველებისა და ჩინელების ქართველების სახალწლო რიტუალებში: „ქართლში ახალ წელიწადს ბასილიკვერს წყალს ასხურებდნენ. ხოლო ჯავახეთში ამ კვერს წყალკურთხევა დღეს, რომელიც ახალწლის ციკლში შედიოდა, მდინარეში ასველებდნენ. ამ წესში ზღვის თუ მდინარის წყალი, სინოტივე ღვთაების სექსუალური განაყოფიერების მფლობელობის ნიშანი უნდა იყოს“ ([6], 117).

შეენიშნავთ, რომ თავისთავად ეს ფრიად გონებამახვილური განმარტება მაინც ბოლომდე ვერ ხსნის ბასილის „ძულუაშობის“ რეალურ საფუძველს. არაა უგულვებელსაყოფი, რომ სინოტივე, წყალი, უწინარესად ოკეანე, ძველ ხალხთა წარმოდგენით, მართლა განსასახიერებდა ღვთაების განაყოფიერების მფლობელობას ([30], 63), მაგრამ ამ სინოტივის სიმბოლოდ მაინცაღამაინც ზღვის დასახვა არ უნდა იყოს შემთხვევითი. ამ აზრის სისწორე მით უფრო თვალსაჩინო გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ზღვას, როგორც განაყოფიერების სიმბოლოს, არ უნდა იცნობდეს ქართული წარმართობა. ამასთანავე არაა გამორიცხული, რომ აქ სინოტივე მართლა განსასახიერებდა ღვთაებრივი განაყოფიერების სიმბოლოს, მაგრამ წმიდა ბასილთან მიმართებაში მისი სახელდობრ ზღვად გარდასახვა-გადაზრება კონკრეტულ-ისტორიული ვითარებით უნდა აიხსნას, რადგანაც აქაც წარმართულისა და ქრისტიანულის სინკრეტოზებასთან უნდა გვექონდეს საქმე. კერძოდ, ზოგი ძირითადი უცხოური წყარო დაბეჭდვით მითითებს, რომ ბასილ დიდი მაინცაღამაინც პონტოელი იყო ([31], 264; [32], 81; [33], 549; [34], სვ. 413, 752, 769).

ამ მხრივ უღარესად საინტერესოა ბასილის მეგობრის გრიგოლ ნაზიანზელის თხზულება „ბასილ დიდის ეპიტაფია“, რომლის ავტორიც თავისი შესხმის ობიექტის წინაპრებს პონტოელებად რაცხს, თანაც, რაც მთავარია, როგორც სადაურობის, ასევე, ჩანს, ეთნიკური გაგებითაც. კერძოდ, მას ნათქვამი აქვს: „...რამეთუ მრავალთა მამისა მისისათჳს პონტო წინადაგვდებს თხრობათა. და არავის ძულთავანისას უღარეს — ჰყოფს მის თჳსთა საკურველუბათა, რომელთაგან აღსავსე ყოველნი აღმწერელობანი და სიტყჳსმოქმედებანი“. სწორადაა შენიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში: ამ სიტყვებით „გრიგოლ ნაზიანზელი მითითებს, რომ პონტო მოგვიტოვებს ბასილის მამის წინაპრების შესახებ ისეთ ამბებს, რომლებიც არ ჩამოუვარდება მის ივე ძველ საკვირველებებს, რომლებითაც საესეა ისტორიკოსებისა და პოეტების ნაწერები. გრიგოლ ნაზიანზელის მიერ დამოწმებული „მისი ძველი საკვირველებები“ არის კოლხეთის ძველი ამბები, არგონავტების ციკლის ძველი თქმულებები, რადგანაც არავითარი სხვა „საკვირველება“ არ არის დაკავშირებული პონტოს დიოცეზის აღმოსავლეთ (მდ. ირისის მარჯვენა ნაპირას) ნაწილში მცხოვრებ ხალხებთან, რომელიც იყო ვადმოცემული როგორც ძველი ისტორიკოსების, ასევე პოეტების მიერ“ ([20], 75).

ჩვენი მხრივ დავუმატებთ: მართალია, ბასილ დიდის დროს პონტო დასახლებული იყო, ქართველებთან ერთად, ბერძნულ-სომხური ტომებითაც, მაგრამ არსებითად გამორიცხულია დაშვება აზრისა, რომ გრიგოლ ნაზიანზელს ეს უკანასკნელნი არგონავტთა თქმულების მემკვიდრედ დაესახელებინა; ამ თქმულებების ერთადერთი მემკვიდრე კოლხეთია თავისი ქართველური ტომებით. ხოლო რაკი გრიგოლ ნაზიანზელი ბასილ დიდს რაცხს პონტოელად (ამ სიტყვის არა მხოლოდ „გეოგრაფიული“, არამედ ეთნიკური გაგებითაც), — ბასილის წინაპრები მემკვიდრეაო არგონავტთა თქმულებისა, — ცხა-



ღია, თვით ბასილის ვინაობის პრობლემაც ქართველურ (უწინარესად ^{ქართველურ} ტომებთან მიმართებაში უნდა გადაჭრილიყო.

ვფიქრობთ, ფაქტიურად ასე მოიქცა ეფრემ მცირე თავის კომენტარებში, რომელიც გრიგოლ ნაზიანზელის ზემოხსენებულ თხზულებას დაურთო და რომელშიც საგანგებოდაა წარმოჩენილი ბასილის პონტური წარმომავლობა იქამდე, რომ მისმა ავტორმა საჭიროდ დაინახა აეხსნა და განემარტა მიზეზი ბასილის პირადი უთანხმოებისა პონტოელებთან ([20], 85), ალბათ, იმ მოსაზრებით, რომ ეს ფაქტი არ გაეგოთ როგორც ბასილის პონტოელობის უარყოფი: აქაოდა, თუ ბასილი პონტოელი იყო, პონტოელებთან უთანხმოება არ მოუვიდოდაო. იგი, შეიძლება ითქვას, გადაჭარბებულ სურვილს ავლენს ბასილის პონტოელობის წარმოჩენაში, მკითხველს აქეზებს კიდევაც გაითავისოს აზრი ბასილის პონტოელობის შესახებ; ამასთანავე, თითქოს არავის შეეპაროსო ეპვი, რომ აქ არგონავტთა თქმულებაზე, კოლხეთზეა საუბარი — მყისვე დასახელა „ძეშლოთა ამათ აღმწერელთა“ ვინაობა: „შეისწავე, რამეთუ მამა დიდისა ბასილისი პონტოელი იყო. ამისთვის მისთა ჰამბავეთა მომთხრობელნი თანა-შეატყუნა საკურველებითა ძეშლოთა ამათ აღმწერელთა, ვითარ იგი იყუნეს ქსენოფონ და პოლოვიოს და სხუანი მრავალნი; და კულად სიტყუს-მოქმედთაცა, ვითარ-იგი არს აპოლონისი არღონავსტიკონი და სხუათა არამცირდთა, რამეთუ ამათნი აღწერანი და სიტყუსმოქმედებანი აღსავსე არიან პონტოასა საკურველებათაგან“ ([20], 76; [18], 444).

სირთულეს არ წარმოადგენს იმის დადგენა, რომ ეფრემ მცირის მოყვანილ კომენტარებში დასახელებულია ისტორიკოსები ქსენოფონტი და პოლაბიოსი, პოეტი აპოლონიოს როდოსელი, რომელთაგან პირველი ორი, როგორც ანბილია, მართლა გადმოგვცემდნენ კოლხეთის ისტორიას, ხოლო როდოსელი ევტორია არგონავტთა თქმულებისა (ეფრემის სიტყვით: „არღონავსტიკონისა“). ამდენად, ეფრემ მცირე შეუმცდარად ასახელებს კოლხეთის ისტორიასთან დაკავშირებულ ძველ ბერძენ მოღვაწეებს; მით უფრო შეუმცდარი უნდა იყოს მისი აზრი ბასილის პონტოელობის (ეთნიკური გაგებითაც) შესახებ. ამავე აზრის სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია შენიშნული, ეფრემ ასური (სირიელი) ბასილისადმი მიმართულ თავისი სახობტო სიტყვის დასაწყისშივე ახსენებს არა ბასილ კეისარიელს, არამედ იმ ბასილს, რომელიც ეპისკოპოსობდა კაპადოკიელთა ქალაქ კესარიისაში ([20], 56), ე. ი. ბასილი არააო კესარიელი, — ამის თქმა სურს მას. ბასილის პონტოელობის სასარგებლოდ შეიძლება ის ფაქტიც მეტყველებდეს, რომ იგი ეპისკოპოსებთან უთანხმოებისას ტოვებდა რა კეისარიას, უთუოდ პონტოს მიაშურებდა. ამ კონტექსტიდან გამოსარიცხი არაა მისი ურთიერთობა ევგარე პონტოელთან (იბერთან), რომლის ქართველური წარმომავლობა მეცნიერებაში ეკვს არ იწვევს ([35], 5—7).

ცალკეა აღსანიშნი ის ფაქტი, რომ უძველესი ქართული ჰიმნოგრაფიული ტექსტები (სტეფანე მტბევარისა და სხვათა) თანმიმდევრულად, ერთსულოვნად აღნიშნავენ ბასილის პონტურ წარმომავლობას და ამით მხარში უდგანან ეფრემ მცირეს. ცხადია, ქართველ წმიდა მამათაგან პირველწყაროთა ამგვარი კომენტარების ტენდენციას ის შეგნება ედო საფუძვლად, რომ პონტო-კაპადო-

კია ოდითგანვე მეტწილად ქართველური მოდგმით იყო დასახლებული ([36]; [37]; [38]; [39]; [40]; [41]; [42]) და, ადენად, ეს „მსოფლიო მოძღვრებების“ თაგინათ სახელოვან თანამემამულედ მიაჩნდათ (ცნობილია, რომ ბასილის პონტოელობას ზოგი მკვლევარი არც ძველად იზიარებდა და არც ახლა იზიარებს). და მაინც, ამჭერად ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ქართული წერილობითი ტრადიცია ბასილის პონტოელობის შესახებ პარალელს უნდა პოულობდეს ზეპირგადმოცემაში სევანურ სალოცავთა სახით. წერილობით და ზეპირ წყაროთა ამგვარი თანადგომა პირველხარისხოვანი მნიშვნელობისაა ბასილის პონტოელობის საბოლოო გადაწყვეტისათვის. კერძოდ, წერილობითი წყაროებით დადასტურებულ ბასილის პონტოელობასთან პირდაპირ კავშირშია ქართული (სევანური) ზეპირსიტყვიერების ბასილის „ძულუაშობა“ (ბერძნული „პონტოს“ ნიშნავს „ზღვას“, ასევე სევანური „ძულტა“ ნიშნავს „ზღვას“) იმ განსხვავებით, რომ სევანურ სალოცავებში ბასილი ღვთაებრიობამდეა, მაინც-დამაინც სწორედ ზღვის ღვთაებრიობამდეა, აღზევებული. აქ, და უწინარესად სწორედ აქ, გამოვლინდა ჩვენი წინაპრების არსებითად განსხვავებული დამოკიდებულება წმინდა ბასილისადმი და, ეტყობა, სწორედ ამამივე განცხადებული მისი ეროვნული (ქართველური) წარმომავლობა, რამეთუ ამის მსგავსი აღზევება, ჩანს, არც ერთ ქრისტიან ხალხში, მათ შორის ბერძნებშიც, არ რგებია ბასილს. ზემოთქმული იმასაც ნიშნავს, რომ სევანურ სალოცავში დადასტურებული კავშირი ბასილისა ზღვასთან წარმართული ღვთაების განყოფიერების მფარველობის ნიშანზე უწინარეს მისი სადაურობის მიმანიშნებელია. აქ მოხდა სრულიად საინტერესო სინკრეტიზება წარმართული წარმოდგენისა და წმინდანის სადაურობის მიმანიშნებელი ტერმინისა. ეტყობა, წარმართ ქართველთა თვალსაზრისით, წყალი, სინოტივე მართლაც ღვთაების განყოფიერების მფლობელობას განასახიერებდა. მათივე წარმოდგენით, წყალი ზღვას დაუკავშირდა, ხოლო ეს უკანასკნელი ბასილის სახელს. ასე რომ, ბასილის პონტოელობა, ანუ „ძულუაშობა“, ერთსა და იმავე დროს მის სადაურობაზეც მიანიშნებს და აგრეთვე მის სინკრეტიზაციასზეც წარმართულ ღვთაებასთან. ეს უნიკალური შემთხვევაა.

ბასილის იდენტიფიკაციის კვლევა აქ ვერ შეწყდება, რადგანაც, ზემოთ მოყვანილს გარდა, დასტურდება რიგი ისეთი წყარო, რომელნიც არსებითად განამტკიცებენ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში შემუშავებულ თეორიას. ვიდრე ნათქვამს საილუსტრაციო მასალას ვაახლებდეთ, წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ სევანურ სალოცავებში წმინდა ბასილის სახელი გვხვდება „ბაცი(ი)“ და „ბასლი“ ფორმებითაც, რაც კარგა ხანია შეინიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში ([29], 190—191). ამიტომაც სევანურ სალოცავთა გადმოქართულებისას არათუ უხერხული, მიზანშეწონილიც კია მათი ეკვივალენტის — „ბასილის“ მოხმობა. ამასთანავე, — და ესაა ამჭერად ყველაზე მეტად საინტერესო, — ვ. ბარდაველიძეს მოჰყავს მრავალი ისეთი სალოცავი, რომლებშიც ბასილთან ერთად მოხსენიებულია გრიგოლიც (სევანურში დაკანონებული გამოთქმით: გ ი რ გ ო ლ), თანაც როგორც „ძ უ ლ უ ა შ ი“. ასე მაგალითად, იფარში ზ ო მ ხ ა მ ს დღესასწაულზე, ახალ წელიწადს დილით „წამოდგებოდნენ ქორს მგკუშები, ხმამაჟღერებდნენ ზეღპირს დაიბანდნენ კერისი ჯაჭვზე ჩამოკიდებული ქვაბის წყლით, უფროსი ქორს მგკუშნი საუკეთესო ხარს ვაიყვანდა, უმცროსი ლაღაშს წამოიკიდებდა და გადიოდნენ გარეთ, სამჭერ გარს შემოუვლიდნენ კალოზე დადგმულ თოვლის „კოშკს“ და თან ლოცულობდნენ:

„გირგოლ ბასილ ძულტა კალანდშე, გირგოლ ბასილ ძულტა კალანდშე, გირგოლ ბასილ ძულტა კალანდშე! ხოჩა ზნა ენცად, ზნიშ ყერი მგვანდი, ხოჩა ზნა ენცად! ცხამან ი ქამან ან-ხინდ, ნაშლობან ანხინდი!“

გრიგოლ ბასილ ზღვის კალანდისაო, გირგოლ ბასილ ზღვის კალანდისაო, გირგოლ ბასილ ზღვის კალანდისაო! კარგი წელი შეგვიცვალე, წლის ძალს შემცველო, კარგი წელი შეგვიცვალე! ზრდით და მატებით: გაგვახარე, მშვიდობიანობით გაგვახარე!“ ([29], 153).

მურშეკლევი (მულახში) „კტიდოლით დაზურგული ქორა მგჭხში შინ შევიდოდა, საქონელს წერეჭტ-ს დაუყრიდა, კერიას მარჯვნივ გარს შემოუყვლიდა და თან ილოცავდა:

„ხოჩა ზნა ესტად აღ ქორა კუმაშს ი მარა, ხოჩა ჭინხი ნავილტუჲ ჰს ხარქნს, ეჭ მერამდ მამარტნ კუმშიშ ი მარაში ნესგა, გირგოლ ბაცი ძულტა კალანდშე“.

კარგი წელი შეუცვალე ამ სახლის საქონელს და აღამიანს, კარგი ფეხი თუ ვინმეს ჰქონებოდეს, მეორედ მაქონებინე, გრიგოლ ბასილ ზღვის კალანდისაო. ([29], 156).

მულახის თემშივე, ქილაშში, მეკვლეები კერიას სამჯერ გარს შემოუყვლიდნენ ხარით და ლალანშით და თან ასე ლოცულობდნენ:

„ო-ო, ზნაშ ყერი მგვანდი მალდინ, გირგოლ ბაცი ძულტად კალანდშე, ხოჩა ამ ზატ მახა ლანგენ კუმში ნავიშირან, მარაშიშ ნაშტლობან ანხინდ, მაჩქნე ზნა ლიცვანლ ჩუ ას ხარენს, ეჭ მერამდ ნაშ ანაჰ; ხოჩა ამ ზატ. მახა დანგენ, მალილ ყჭრი, მარცხტ ი მატინ ანჭაბინ ნიშტეშ ქორაშ კუმაშს ი მარა, ფთაჲკალგნაჲ, კირი ნაფტცხუნა ქანუმამაგტუმ ანხმრე, ცხამან ი ქამან ანხინდ, ქამან ი აგი ნესგა ხოჩა გარ ანნაღ, ხოლა მგჭაბი ნაყრ“.

ო-ო, წლის ძალის შემცველო, მალდინო გრიგოლ ბასილ ზღვის კალანდისაო, კარგ ამ წელიწადს ახალს მიგვაყენე, საქონლის სიმრავლით და აღამიანის მშვიდობიანობით გაგვახარე, საუკეთესო წლის შეცვლა თუ ვინმეს ჰქონებოდეს, ის მეორედ ჩვენ მოგვასწარ, კარგ ამ წელიწადს ახალს მიგვაყენე, მალე გექნება, მარცხი და მავნე გვაშორე ჩვენი სახლის საქონელს და კაცს, ბალანის ბლუქისა და ჩლიქის ნამცეცის გარდა ნურას მოგვაყლებ, ზრდით და მატებით გაგვახარე, გარეთ და შინ კარგი შეგვახვედრე, ცუდი აგვაშორე. ([29], 149).

კალაში (ხალდე) ზო მ ხ ა დილით მეკვლე კერიას მარჯვნივ გარს შემოუყვლიდა კტიდოლითა და ხარით და თან წარმოთქვამდა:

„ხოჩა ზნაი ლიცანლ, გირგოლ ბაცი ძულტა კალანდშე“.

კარგი წლის შეცვლა, გრიგოლ ბასილ ზღვის კალანდისაო. ([29], 155).

მასალათა მოყვანა კვლავაც შეგვეძლო, მაგრამ ამით სურათი არ შეიცვლება.

არ შეიძლება ორი აზრი არსებობდეს, რომ სვანურ სალოცავებში ბასილთან ერთად დასახელებული გრიგოლ იგივე ბასილის ძმა გრიგოლ ნოსელია, მეორე დიდი კაპადოკიელი (ეთნიკური გაგებით), უდიდესი მოღვაწე ქრისტიანული სამყაროსა. სხვაგვარად ამ სალოცავთა ტექსტი ვერ განიმარტება, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნებოდა ძალმომრეობა პირველწყაროსა და აზროვნებაზე⁷.

7 ნიშანდობლივია ამ მხრივ ე. ბარდაველიძის პოზიცია. იგი თავს ადრინდელ ნაშრომში ([29] 191) სვანური სალოცავის—„გირგოლ ბაცი ძულტა კალანდშის“—ონომასტიკურ ჩვენებას (გრიგოლ ბასილ) საკუთარ სახელთა საქმებელში მხოლოდ ერთი სახელის (ბასილის) ქვეშ განიხილავდა კითხვის ნიშნით: „გრიგოლ ბასილ ზღვის კალანდისა“ (?). გვიანდელ შრომებში კი აქ მან გარკვევით ამოიკითხა ორი სახელი, როცა აღნიშნა: „სვანურ დღეობა შუამტყვამ-საც და ახალწელიწადისა ბასილი მოიხსენიებოდა ზღვისათან...და გრიგოლთან („გირგოლ“) დაკავშირებით“ ([6], 104). აქედან კი ერთი ნაბიჯით მისვლელბოდა ბასილის ძმა გრიგოლთან, მაგრამ, ჩვენთვის გაუგებარი მიზეზით, მეკვლევარს ეს ნაბიჯი არ გადაუდგამს.



დასახელებული სალოცავები უწინარესად სამი ასპექტითაა მნიშვნელოვანი: 1. რაკილა გრიგოლი ბასილის ძმაა, იგი სათუოს არ ზღის ბასილ პონტოელის იდენტიფიკაციას ბასილ „ძულუაშთან“, და პირიქით — ბასილის პონტოელობა, ანუ „ძულუაშობა“, სათუოს არ ზღის აგრეთვე გრიგოლის „ძულუაშობასაც“; 2. ჩანს, თანამემამულეებმა ზღის ღვთაებად წარმოსახეს არა მხოლოდ ბასილ დიდი, არამედ მისი ძმაც — გრიგოლ ნოსელიც; 3. ქართულ სინამდვილეში ბასილთან ერთად მისი ძმის გრიგოლის ამგვარი აღზევება უპრეცედენტოა და იგი ამხელს მათს კუთვნილებას ქართული ეთნიკური სამყაროსადმი.

დასახელებულთაგან მეორე პუნქტის დებულებას კიდევ უფრო განამტკიცებს რიგი პირველხარისხოვანი მასალა, რომლებიც ასახავენ როგორც დასავლურქართულ, ასევე — და ეს მთავარია! — აღმოსავლურქართულ ყოფას. კერძოდ, 1937 წელს ბაღდადის (მაიაკოვსკის) რაიონში პროფ. გ. ჩიტაიას ხელმძღვანელობით მოუწაობდა ეთნოგრაფიული ექსპედიცია, რომლის ანგარიშშიც, ხალხური სარწმუნოების გადმონაშთების ფიქსირებისას, შენიშნულია, რომ მონადირეობისა და მეთევზეობის კომპლექსიდან შემორჩენილია „ნადირის მწყემსი სოლამცახა (ს ი ლ ა მ ც ა ხ ა ნ , ხ ს ნ ი ლ ა მ ც ა ხ ა რ), წმინდა ესტატე, გ რ ი გ ო ლ ზ ღ ვ ი ს ა და წმინდა ლარსა“ ([43], 339). ამ უაღრესად არქაულ მასალაში, რომელიც, ამიტომაც, სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალმხრივ და განსხვავებულადაა ინტერპრეტირებული, არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ ზღვასთან ერთადერთი გრიგოლია დაკავშირებული: აქ ი გ ი ზ ღ ვ ი ს ჯ ვ თ ა ე ბ ა დ , ა ნ უ ზ ღ ვ ი ს „მ წ ყ ე მ ს ა დ ა ა“, დასახული.

ამ ფაქტს საუტყხოდ ადასტურებს იმავე რეგიონში ჩაწერილი სხვა მასალებიც. კერძოდ, იქაური ინფორმატორები თითქოს საგანგებოდ მიუთითებენ კიდევაც: „სილამცახა კი არ არის მწყემსი, მწყემსი გ რ ი გ ო ლ ზ ღ ვ ი ს ა ა რ ი ს . წყალში რომ ჩავალ, ვიტყვი: გ რ ო გ ო ლ ზ ღ ვ ი ს ა წმინდა ლარსა თებზი მომეცი წყლისა“. ან კიდევ, სხვა ინფორმატორი ამგვარ განმარტებას იძლევა: „მე ასე ვიტყვი: „**გრიგოლ ზღვისა წმინდა ლარსა**“ ([44], 189).

მოხმობილ და აგრეთვე რაც სხვა მასალათა ანალიზისას მკვლევარ პ. გაჩეჩილაძის მიერ გამოტანილბა სწორი დასკვნა, რომ „ზღვის გრიგოლის კულტი გავრცელებული უნდა ყოფილიყო ძველ საქართველოში, სადაც ის მიჩნეული უნდა ყოფილიყო ზღვის... მკველად, აქედან თევზის მწყემსად“ ([44], 190). თანაც დღემდე ძალაში რჩება მისი აზრი, რომ საქართველოში „ზღვის გრიგოლის კულტი უფრო დაწვრილებით შესწავლას მოითხოვს“ ([49], 191). რაც შეეხება წმინდა ლარსას, მკვლევარს იგი არ მიაჩნია თევზის მწყემსად. ამ აზრის მტკიცებისას პ. გაჩეჩილაძე ემყარება აკად. ა. შანიძის თვალსაზრისს, რომ „წმინდა ლარსა“ წარმომდგარი უნდა იყოს ორი გამოთქმის კონტამინაციის ნიადაგზე, რომელთაგან ერთია „წმინდა არსა“ („გრიგოლ ზღვისა წმინდა არსა“)... ამ მოსაზრებას აძლიერებს ის გარემოება, რომ მთქმელები წმინდა ლარსას ისე ვერ გამოპყოფენ, როგორც გრიგოლ ზღვისას. ამას გარდა ამბობენ: „გრიგოლ ზღვისა წმინდა ლარსა შენ შემეწიე“, ანდა „გრიგოლ ზღვისა წმინდა ლარსა თებზი მომეცი წყლისა“. აქედან ჩანს, რომ მთქმელთა გავაბში აქ ორი პირი არ უნდა იყოს ნაგულისხმევი, არამედ ერთი: „შენ შემეწიე“, „მომეცი“ (და არა „თქვენ შემეწიეთ“, „მომეცი“ [44], 191).

გრიგოლის „ძულუაშობის“ მტკიცებისას უნიკალური ჩანს კიდევ ერთი მასალა არა მხოლოდ თავისი არქაულობით, არამედ ლოკალური თვალსაზრისითაც. კერძოდ, ქვემო ქართლის უკიდურეს დასავლეთ მხარეში, ჰამამლუში (ბაშქიჩეთის, ახლანდელი დმანისის რაიონი) ბოლო ხანებამდე შემორჩენილი იყო ტაძარი (ეკლესია), რომელიც სპეციალისტთა დასკვნით, „აშენებული ყოფილა ერისთავის კახა სამძივარის მიერ 1190—1 წლების ახლო ხანებში“ ([45], 58). მის ერთ მნიშვნელოვან წარწერაზე ჯერ კიდევ 1947 წელს მკვლევარ პ. გაჩეჩილაძის ყურადღება მიაქცია აკად. ა. შანიძემ ([44], 190). კერძოდ, ლ. მუსხელიშვილის აღწერით, ჰამამლუს ეკლესიის „დასავლეთ კედელში სარკმლის მარცხენა ქვა შემკულია დაბალი რელიეფით გამოყვანილი ორი: ჯვარედინად გადახაზული წრით. ამ სარკმელს ზემოთ ჯვრიანი ქვაა: რელიეფით გამოსახული ჯვარი ჩასმულია თავთხელად ამოღებულ „თახჩაში“ და კვარცხლბეკზე დგას. ჯვარის გასწვრივ, მარცხნით და მარჯვნივ, ამოკოდვილია წვრილი მთავრული ასოებით შემდეგი ოთხსტრიქონიანი წარწერა:

- | | |
|---------|------------------|
| 1. წა | გრაღ |
| 2. ზლსა | მცელი |
| 3. ვრძა | რჩთა |
| 4. მზღვ | რჩა“ ([45], 55). |

ყველა მკვლევარი, ვინც ამ ტექსტს შეხებია ([44], 190—191; [45], 55) მათ შორის აკად. ა. შანიძეც, ერთხმად მიუთითებენ, რომ წარწერის პირველი ორი სტრიქონი სრულიად უცდომლად ამგვარად იკითხება: „წ მი და ა გ რ ი გ ო ლ ზ ღ ვ ს ა მ ც ვ ე ლ ი“ (დანარჩენი ორი სტრიქონის შინაარსის ამოშიფრვა ვერც მაშინ და ვერც შემდეგ ვერ მოხერხდა, თუმცა თვით წარწერის ტექსტის წაკითხვა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს)⁸. აქედან გამომდინარე, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა სავსებით სწორი მოსაზრება, რომ ამ წარწერაში ზღვის წარმართული ღვთაების სახელი ქრისტიანობის წმინდანის (გრიგოლის) სახელითაა შეცვლილი ([46], 177), მაშასადამე, გრიგოლი ღვთაებრიობამდე, კერძოდ, მაინცდამაინც ზღვის ღვთაებრიობამდე აღზევებული.

მართლაც, არ შეიძლება ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ სამძივარის ეკლესიის წარწერის გრიგოლი ქრისტიანული ეპოქის მოღვაწეა და არა ანტიკურისა, რადგანაც ამ სახელის მატარებელი პერსონაჟი, მით უფრო ზღვის მცველი, ანტიკურ სამყაროს არ ჰყოლია. და რომც ჰყოლოდა, მას ვერ მიემართებოდა ეპითეტი: „წ მი და ა“. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ეს „წმიდაა გრიგოლ ზღვისა მცველი“ იგივე იმერეთში დადასტურებული „გრიგოლ ზღვის მწყემსი“, ანუ „გრიგოლ ზღვისა წმიდა არსა“ და სვანური მასალების „გრიგოლ ზღვისაა“ („ზღვის გრიგოლ“), ჩვენი ღრმა რწმენით, იგივე გრიგოლ ნოსელია, მმა ბასილ დიდისა. ქართული აზროვნების ისტორიის გასათვალისწინებლად უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტი ისაა, რომ ოფიციალური ეკლესია, ასე ვთქვათ, თავის ჰერქვეშ სანქციას აძლევს ანტიკურ წარმოდგენებს, ოღონდ ქრისტიანული სახელდებით. შესაძლოა, მასში „ნიეთიერად“ განცხადებული იყოს თამარის ეპოქის

⁸ აკად. შანიძე, ჩვენი თხოვნით, ერთხელ კიდევ (11, I, 1981) შეეცადა მის გაშიფრვას და ვარაუდის სახით წარმოადგინა რამდენიმე ვარიანტი. გადაჭრით პასუხის გაცემა მასაც ძნელდება.



რენესანსული სული, რომელმაც მოიცვა ქართული ყოფის ვე-
ლა სფერო, მათ შორის საეკლესიო-თეოლოგიურიც. თამარის ეპოქის ქართუ-
ლი ეკლესიის ჯვარის წარწერა ჩვენ გვესახება ბიჭვინთის მოზაიკის დეკორა-
ტიული საკულტო რეპერტუარის ლოგიკურ ეროვნულ გაგრძელებად. ზემოთ
თქვა, რომ ეს ძეგლი ადრექრისტიანულ ხანას (IV—VI სს.) ეკუთვნის, როცა
ჯერ კიდევ მძლავრობდა წარმართული ტენდენციები. ახალფეხადგმულმა ქრის-
ტიანობამ არსებულ წარმართულ დეკორში, რომელიც ასახავს ზღვის ღვთაება
ტრიტონს, მთელი თავისი ატრიბუტებით, მოკრძალებით, ალბათ, ერთგვარი
შიშითაც, შეიტანა ქრისტეს ჯვარი⁹ (სწორედ ქრისტეს ჯვარი და არა წინარე-
ქრისტიანული ჯვარი, რასაც ადასტურებს მისი ვანლაგება დეკორში), ხოლო
როცა დაუდგა არნახული აყვავების ხანა, არათუ წარხოცა წარმართული ზღვის
ღვთაების სახე, არამედ მის ნაცვლად დაისვა საკუთარი წმინდანი და ეს ქვე-
ყანას ამცნო სწორედ ერთ დროს წარმართულ დეკორში შიშით შეტანილი
ქრისტეს ჯვარზე წარწერით: „წმიდაა გრიგოლ ზღვისა მცვე-
ლი“. ეს იმასაც ნიშნავს, რომ ბასილი და გრიგოლი, როგორც ქართველთა
დიდი ზღვისპირელი წინაბრები, ზღვის ღვთაებად დასახული ჰყავდა სრული-
ად საქართველოს — დასავლეთსაც და აღმოსავლეთსაც.

ბასილ და გრიგოლის პონტოელობის მტკიცებისას დამატებით უნდა მიე-
თითოს ერთ სრულიად განსაკუთრებულ ჩვენებაზე, რომელსაც ავლენენ რო-
გორც საკუთრივ ქართული, ასევე, და განსაკუთრებით, სვანური მასალები.
კერძოდ, ერთი მხრივ, დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ სვანურ სალო-
ცავეებში წლის ძალის შემცველ ღმერთთან (მეტწილად დიდ ღმერთთან) ჩა-
ნაცვლებულია ბასილი; ამასთანავე სვანის შეგნებაში სრულად არაა წარხო-
ცილი წარმართული ღვთაების სახე. ამიტომაცაა, რომ აქ მოიპოვება დიდი სიმ-
რავლე სალოცავეებისა, რომლებშიც ინტენსიურად ფიგურირებს წლის ძალის შემ-
ცველი წარმართული ღვთაება. ამასთანავე ჩვენს ხელთ არსებულ ამგვარ მასა-
ლათა ფარგლებში არ დასტურდება არც ერთი შემთხვევა, —
ეს ხაზგასმით უნდა ითქვას, — რომ მათში იგი ზღვის
მცველად იყოს მოხსენიებული. ეს ისეთი ქვეშეპირტე-
ბაა, რომ მას არც ვაახლებთ საილუსტრაციო მასალას.

მეორე მხრივ, როცა იმავე წლის ძალის შემცველ ღვთაებას ბასილი ჩაენაცვლება, იქვე უსათუოდ, ყო-
ველგვარი გამოჩაქლისის გარეშე ზღვაც დასახელდე-
ბა. ხატონად რომ ვთქვათ, სვანურ სალოცავეებში ბასილის
მოსვლას ზღვაც თან მოჰყვება, სადაც ბასილია, იქვე
ზღვაცაა, მეორე მიწყობ თან ახლავს პირუელს. სვანის
შეგნებაში ბასილი, განსხვავებით წლის ძალის შემ-
ცველი წარმართული ღვთაებისაგან, რომელიც ზღვას-
თან არაფერ კავშირშია, ზღვის გარეშე ქერც წარმო-
იდგინება.

⁹ ამ კონტექსტში უნდა დასახელდეს მოდინახეს გვიანტიკური ხანის სამაროვნებში
ერთდროულად წარმართული (მოკრუნჩხულად) და ქრისტიანული წესით (პორიზონტალუ-
რად) დამარხვის პრაქტიკა ([47], 55), რაც იმის მაუწყებელია, რომ ანტიკური მსოფლშეგარჩენა
საფუძველმერყეულია, მაგრამ ჯერაც არსებობას განაგრძობს, ხოლო ქრისტიანული მსოფლ-
მხედველობა ჯერ არაა განმტკიცებული და იბრძვის გაბატონებისათვის.

ბასილის პონტოელობის მტკიცების გზაზე ეს უპარესად სიმბოლური ფაქტი გახლავთ. ამასთანავე საინტერესო ისიცაა, რომ მსგავსადვე წყდება გრიგოლის „ძულღამობის“ საკითხიც არა მხოლოდ სვანურ მასალათა ფარგლებში (აქ ამგვარი ჩვენება მაინცდამაინც მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო), არამედ, რაც მთავარია, საკუთრივ ქართულ მასალათა საფუძველზეც: აქაც გრიგოლს ზღვა ახლავს, სადაც გრიგოლია, იქვე ზღვა-ცაა, ისიც, განსხვავებით ხალხური სარწმუნოების სხვა პერსონაჟთაგან, მის გარეშე ვერც წარმოიდგინება (რასაკვირველია, გარკვეულ კონტექსტში). ეს ფაქტი ერთხელ კიდევ და დამატებით განმტკიცებს სვანურ სალოცავთა ჩვენეული ინტერპრეტაციის სისწორეს¹⁰.

ყოველივე ზემოაღნიშნული რომ შევაჯამოთ, საერთო დასკვნის სახით უნდა ითქვას შემდეგი:

1. ბასილ დიდი ხაზგასმულადაა აღზევებული ქართულ სამყაროში. მოღწეულ მასალათა მიხედვით, რომელიც არქაულია და ნდობას იმსახურებს, იგი აღამიანისა და საქონლის, საზოგადოდ ქვეყნიერების მფარველ ღვთაებადაა აღზევებული, მაგრამ უწინარესად, „ძულღამოა“, ზღვის მცველი, ზღვის მფარველი ღვთაება. აქ გამოინაცხვის არ არსებობს მაშინაც კი, როცა მისთვის გამოსათხოვარია, ვთქვათ, საქონლის გამრავლება, რასაც ზღვასთან არსებითად კავშირი არცა აქვს;

2. ქართული ზეპირსიტყვიერება და ეთნოგრაფიული ყოფა ასევე განადიდებს გრიგოლსაც, როცა მას, ბასილთან ერთად, ზღვის მცველად რაცხს. დასახელებული ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ყოფის ჩვენებას განმტკიცებს ძველი ქართული ეპიგრაფიკული მასალაც;

3. თავისთავად ბასილთან ერთად გრიგოლის მოხსენიება საეჭვოს არ ხდის მათს იდენტიფიკაციას ძმებთან — ბასილ დიდთან და გრიგოლ ნოსელთან;

4. ქართულ-ქართველური წერილობითი და ზეპირი მასალა განმტკიცებს აზრს ბასილის (აქედან: გრიგოლისაც) პონტური, ანუ ქართველური, წარმომავლობის შესახებ, ხოლო ქართველთა შეგნებაში მათი აღზევება ზღვის მფარველ ღვთაებამდე, ეროვნულ ტენდენციებთან ერთად, ალბათ, იმანაც განსაზღვრა, რომ ეს წმინდანები პონტოელები, ანუ ზღვის სანაპიროს მკვიდრნი, იყვნენ. მათს ამგვარ აღზევებას უწინარესად ზღვისაგან დაცილებულ კუთხეებში აქვს თავისი ლოგიკა: დროითთან ერთად, და მასზე უმაღლესივრცით დისტანციას ყოველთვის ახლავს მისტიფიცირების შესაძლებლობა მწერლობასა თუ ფოლკლორში. ამ გაგებით, შავიზღვისპირელი ქართველის შეგნებასთან იმთავითვე მაინც ძნელად შესაგუებელი იქნებოდა აზრი თავისი, ასე ვთქვათ, ახლობლის (პონტოელის) ღვთაებრიობის შესახებ, რაც ვერ ითქმის ზემოთ დასახელებული მხარეების მკვიდრთა მიმართ;

¹⁰ აქ შეიძლება იმ საინტერესო ფაქტის აღნიშვნა, რომ ჰამპელუს წარწერაზე მსჯელობისას მკვლევარმა პ. ვაჩიჩილაძემ სვანეთში „ზღვის კულტის დიდ გავრცელებასაც“ მიაქცია ყურადღება და მოახდინა „გრიგოლ ზღვის მცველისა“ და სვანურ სალოცავთა გრიგოლის იდენტიფიკაცია, ოღონდ არტულ სწორად შენიშნა: იქ გრიგოლის კულტი არეული უნდა იყოს ბასილის კულტთან [44], 190). ნამდვილად კი, როგორც ირკვევა, სვანურ ყოფაში გრიგოლისა და ბასილის კულტთა აღრევასთან კი არა ვაკეხს საქმე, არამედ მათს შეგნებულ თანარსებობასთან.



5. ბასილისა და გრიგოლის (განსაკუთრებით პირველის) უპრეცედენტო კულტი ქართულ (უწინარესად სვანურ) სინამდვილეში უნდა მიანიშნებდეს მათსავე ქართულ (ქართველურ) წარმომავლობაზე.

და ბოლოს, ვფიქრობთ, წინამდებარე ნარკვევში მოხმობილი და გაანალიზებული მასალა კიდევ უფრო განამტკიცებს 1962 წელს მკვლევარ ე. ხინთიბიძის მიერ გამოთქმულ მეცნიერულ თვალსაზრისს (მეცნიერულსო — ვამბობთ იმიტომ, რომ ადრეც არსებობდა თვალსაზრისი ბასილისა და გრიგოლის ქართველური წარმოშობის შესახებ, მაგრამ მას შესაფერი დასაბუთება არ ახლდა), ყოველ შემთხვევაში, ბასილისა და გრიგოლის ქართველური წარმომავლობა საბოლოოდ რომც არ დამტკიცდეს, იგი ხელს შეუწყობს მათი კულტის შესწავლას ძველს საქართველოში.

გ ა მ ო უ ე ნ ე ბ უ ლ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ლვთაე-ბა ბარბარ-ბაბარ), თბილისი, 1941.
2. В. В. Соколов, Средневековая философия, Москва, 1979.
3. Г. Г. Майоров, Формирование средневековой философии, Москва, 1979.
4. ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბილისი, 1941.
5. ს. მაკალათია, ახლწელიწადი საქართველოში, თბილისი, 1927.
6. ვ. ბარდაველიძე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბილისი, 1953.
7. Проф. И. А. Воричевский, Митраизм и христианство, Ленинград, 1929.
8. И. Книшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, СПб, 1914.
9. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბილისი, 1970.
10. ს. კაკაბაძე, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, საისტორიო მოამბე, 1924.
11. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VII, თბილისი, 1962.
12. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, თბილისი, 1950.
13. ა. შანიძე, რად არის მთვარეზე შავი ადგილები? (ფშაური ლეგენდა ლექსად), „ნაკადული“ (საყმაწვილო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის), 1908, № 20 (ოქტომბერი).
14. ს. მაკალათია, ლვთაება მითრას კულტი საქართველოში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, III, 1927.
15. ი. ჭავჭავაძე, ქართველი ერის ისტორია, I, თბილისი, 1979.
16. ე. ქეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბილისი, 1945.
17. Л. А. Шервашидзе, Средневековая монументальная живопись Абхазии, Тбилиси, 1980.
18. ე. ხინთიბიძე, ბასილ დიდის საღაურობისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების „მოამბე“, № 3, 1962.
19. ე. ხინთიბიძე, ბასილ კაპადოკიელის „სამოღვაწეო წიგნის“ ქართული რედაქციები, თბილისი, 1968.
20. ე. ხინთიბიძე, ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი, თბილისი, 1969.
21. ს. ყაუხჩიშვილი, წარსულის დიდი ფურცელი, ვაზ. „კომუნისტი“, 23. VII. 1970.
22. ა. ბარამიძე, მნიშვნელოვანი ნაშრომი, ვაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 26. VII. 1970.
23. Р. Гордзиани, Широкая дорога, газ. «Молодежь Грузии» 18. VII. 1970.
24. გ. გოხალაშვილი, ორი ეტიუდი პონტოსა და კაპადოკიის წარსულიდან, თბილისი, 1965.

25. Г. Г о з а л и ш в и л и, Два этюда из истории Понта и Кападокии, Тбилиси, 1967.
26. СМОРПК, т. XXXII.
27. „ნაკადული“, III, 1905.
28. „მოამბე“, № 1, 1897.
29. ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, 1, ახალწლის ციკლები, თბილისი, 1939.
30. ზ. კ ე ი ნ ა ძ ე, შუამდინარული მითოლოგია, თბილისი, 1979.
31. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი А—1.
32. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი А—16.
33. Ф. Ф а р а р, Жизнь и труды святых отцов и учителей церкви, II, 1903.
34. J. P. M i g n e, Patrologia Graece, 32, 1857.
35. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, მეოთხე საუკუნის საზღვარგარეთელი ქართველი მოაზროვნე და მოღვაწე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VII, თბილისი, 1960.
36. Г. М е л и к и ш в и ლ ი, К истории древней Грузии, Тбилиси, 1959.
37. საქართველოს ისტორია, I, 1958.
38. А. Х а х а н о в, Расселения грузин по Малой Азии, 1890.
39. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, თბილისი, 1957.
40. А. Ш а н и д з е, К этимологии названия «Топата», ენიმკის მოამბე, 1, 1937.
41. ლ. ს ა ნ ი კ ი ძ ე, პონტოს სამეფო, თბილისი, 1956.
42. გ. გოზალიშვილი, მითრიდატე პონტოელი, თბილისი, 1962.
43. გ. ჩ ი ტ ა ი ა, ეთნოგრაფიული ექსპედიცია იმერეთში, ენიმკის მოამბე, II, ნაკ. III, 1937.
44. პ. ვ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე, მეზადურთა მისაღმების ფორმულა ხანისწყალის ხეობაში, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXIX-B, 1946.
45. ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური ექსკურსიები, თბილისი, 1941.
46. ზ. კ უ ტ ა ლ ე ი შ ვ ი ლ ი, ნაოსნობა დასავლეთ საქართველოში (ეთნოგრაფიული მონაცემებით), სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 1978 (ინახება თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში).
47. ქ. ნ ა დ ი რ ა ძ ე, არქეოლოგიური ნარკვევები, თბილისი, 1972.

Б. И. КИЛАНОВА

КУЛЬТ ВАСИЛИЯ И ГРИГОРИЯ В ГРУЗИИ

Резюме

В результате сопоставлений религиозного быта грузинских племен, изучения фольклорного материала и его оригинальной интерпретации в статье подкрепляется теория о грузинском происхождении Василия Великого и Григория Нисского. Определенное внимание уделяется вопросу синкретизации язычества с христианством, мифологическому генезису Святого Георгия и некоторых других персонажей.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრა
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ჩიტაიამ

მიხეილ კაკაბია

იურიდიულ ტერმინ „სისხლის“ შემცველი ერთი სტროფის
 გაბეპვისათვის „ვეფხისტყაოსანში“

ძველ ქართულ სამართალში მესისხლეობის ინსტიტუტის შესწავლამ, რაც დაფუძნებულია როგორც საკანონმდებლო, ისე ნარატიულ წყაროებსა თუ ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ მასალებზე, გაგვაბედვინა ჩვენი მოსაზრებანი გამოგვეთქვა „ვეფხისტყაოსნის“ ერთ სტროფში (550-ე) სიტყვა **სისხლის** შინაარსის მართებულ გაგებაზე¹.

გვინდა დავიწყოთ იმით, რომ „ვეფხისტყაოსანში“ სიტყვა **სისხლი** სამართლებრივი შინაარსითაცაა აღჭურვილი, მაშასადამე, იურიდიულ ტერმინსაც წარმოადგენს. მხედველობაში გვაქვს ისეთი შემთხვევები, როცა **სისხლი ნახმარია შურისძიების, სამაგიეროს მიზლის მნიშვნელობით**.

ფატმანი მდევარს ეუბნება, რომ ჩემთან თავს არ აფარებს ნესტან-დარეჯანო. თუ ამას ტყუილს ვამბობდე, „მეფეთა ვიყო შემცოდე და მათა **სისხლთა მზღვეარი**“ (სტრ. 1190,4); სასიძოს მოკვლით განრისხებული დავარი კი ნესტანს მიმართავს: „...**სისხლთა მისთა ჩემი რად მოაზღვევინე?**“, როგორ გადავურჩე ძმის მიერ სამაგიეროს მოზღვასო (სტრ. 571,2). შურისძიების მნიშვნელობითაა სიტყვა **სისხლი** ნახმარი, როცა დაჭრილი ფრიდონი ტარიელს ეუბნება პირველი შეხვედრისას: „ვეჭვ, ჩემი **სისხლი** არ შერჩეს“ მტერსო (სტრ. 600,2). სიტყვა **სისხლის** ასეთი მნიშვნელობით გამოყენება აშკარად ჩანს, როცა სასიძოდ მოყვანილი ხვარაზშმას შეილის მოკვლასთან დაკავშირებით ფარსადან მეფე მიმართავს ტარიელს: თუ ჩემი ქალის ცოლად შერთვა გინდოდა, რად არ გამაგებინე და „ხვარაზშმას **სისხლი** უბრალო სახლად რად დამადებინე?“ (სტრ. 555,1), რაც თანამედროვე ქართულით ასე გადმოიციემა: ხვარაზშმას **უბრალოდ** დაღვრილი **სისხლი** შურისძიებით გადასახდელად რად დამაკისრეო. სასიძოს დაღვრილი **სისხლი** ვალია, რომელიც ამიერიდან შურისძიებისაკენ მოუწოდებს ხვარაზშმელთ, სამაგიეროს მოსაზღვად განაწყობს მათ. მსგავსივე შინაარსითაა ნახმარი **სისხლი** ზემოთ მითითებულ სხვა ადგილებშიც.

ძველ საქართველოში, როცა დაურვებაზე (სისხლის ფასის გადახდაზე) შეუძლებელი იყო ლაპარაკი, მოკლულის თუ დაჭრილის სისხლი შურისძიებას — სისხლებას მოითხოვდა, სისხლი სისხლით უნდა ეზღოთ. უამისოდ მოკლულის თუ დაჭრილის ახლობლებსა და ზოგჯერ თანამებრძოლებსაც კი ლაჩრებად თვლიდნენ და ციხეხადნენ. გამოჩაკლისად არც „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები არ უნდა მივიჩნიოთ. იგი ხომ რაინდთა ცხოვრების ამსახველი ეპოპეაა.

ახლა ვნახოთ, არის თუ არა სიტყვა **სისხლი** სამართლებრივი ტერმინი 550 სტროფში.

¹ სტროფთა ნომერს 1966 წლის საიუბილეო გამოცემის მიხედვით ვუთითებთ. ადრე სხვა სტროფის შინაარსის გაგებაშიც დაგვხმარა სამართლებრივი ხასიათის ძველი (იხ. მ. კ ე ვ ე ლ ი ა, სიტყვა „მემკვიანის“ გაგებისათვის „ვეფხისტყაოსანში“, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1975, № 2.

ნესტან-დარეჯანის დავალებით ტარიელის მიერ ხვარაზმელი სასპირანო
კელის ეპიზოდი ასეა გადმოცემული:

ასა ეუბრძანე მონასა: „საომრად დაეშაღენით!“
შეესხედით, გაველთ ქალაქი, არავის გავცხადენით.
კარავსა შევე, იგი ყმა ვითა წვა, ზარ-მაც თქმად ენით,
უსისხლოდ მოვკალ იგი, გლახ, თუცა ხმდა სისხლისა დენით².

სამეცნიერო ლიტერატურაში ამ სტროფის მეოთხე ტაეპის შინაარსი ძირითადად ასეა გაგებული: ტარიელმა სისხლის დენის გარეშე (უსისხლოდ), ზომზე თავის შეტაკებით, მოკლა სასიძო. მოიპოვება რამდენადმე განსხვავებული განმარტებაც: „იგი უსისხლოდ მოვკალ, თუმცა სისხლით რომ მომეკლა, კი შეეფერებოდა“³. სხვა განმარტებით, თითქოს ტარიელი ამბობს: „1. ხვარაზმელს ჩემგან უარესი ეკუთვნოდა (იგულისხმება რომ სისხლის დადენით მოკვლა უსისხლო მოკვლაზე უფრო დიდი სასჯელია). 2. ჯობდა, ღია ბრძოლაში, სისხლის დადენით მომეკლა“⁴.

ერთ ნაშრომში ნათქვამია, რომ ამ ტაეპში ორი რამაა გაუგებარი: „უსისხლოდ მოვკალ“ და „სისხლისა დენით“. იქ ვკითხულობთ „ტარიელმა სისხლი დაჰღვარა! მაგრამ რატომ ამბობს ტარიელი — უსისხლოდ მოვკალ, თუმცა საჭირო იყო სისხლის დენა? ამას ამბობს მინანიებით! ამ საკითხმა დიდად გამაწვავლა, რადგან „უსისხლოდ მოვკლა“, „სისხლის დენა“ და „თავი სვეტსა შეუტაკე“ — ყველაფერი ეს ერთმანეთს არ ეგუება...“⁵; „ტარიელმა სასიძო მოჰკლა სვეტზე თავის შეტაკებით და ამით მან ბევრი სისხლი დაჰღვარა. მაგრამ იგი მაინც ამბობს, საჭირო იყო სისხლის დენა“⁶; „...ამგვარად, ამ ლექსს ვტოვებ განუმარტებლად? ან იქნებ მე არ მესმის იგი“⁷.

ტაეპის შინაარსში გაურკვეველობამ კიდევ უფრო აშკარად იჩინა თავი თარგმანში: ავტორისეული ჩანაფიქრის ამოუსხნელობამ მთარგმნელთა მოსახრებებს დაუქვემდებარა საკითხის გადაწყვეტა.

ვიდრე საანალიზო ტაეპის შინაარსთან დაკავშირებით ჩვენს შეხედულებას წარმოვადგენდეთ, მიზანშეწონილად მიგვაჩანია გავიხსენოთ ამ ტაეპის ზოგიერთი სიტყვის თანამედროვე შინაარსი.

სიტყვა „გლახ“ ძირითადად „ვგლახ, ვაი, საბრალოს“ მნიშვნელობით იხმარება⁸. „ხმდა“ „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის უახლოეს პერიოდში ესმოდათ „საჭირო იყოს“ მნიშვნელობით⁹. სულხან-საბა განმარტავს: „კამს — ჯერ-არს თუ მართებს“; „ჯერ-არს თუ მართებულა“¹⁰.

² უკანასკნელ გამოცემაში „სისხლისა დენით“ მართებულად არის შეცვლილი ხელნაწერებში დაღსტურებული შემდეგი წაკითხვით: „სისხლთა დენით“.

³ ვ. ბ ე რ ი ძ ე, ვეფხისტყაოსნის კომენტარი, თბილისი, 1974, გვ. 181.

⁴ შ. რ უ ს თ ა ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, განმარტებანი და კომენტარი დაურთო ნ. ნათაძემ, თბილისი, 1976, გვ. 184.

⁵ ვეფხისტყაოსნის საზოგადოებათმეტყველება, სანტიაგო დე ჩილე, 1958, გვ. 220.

⁶ იქვე, გვ. 221.

⁷ იქვე, გვ. 222.

⁸ შ. რ უ ს თ ა ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი, თბილისი, 1937, ლექსიკონი, შედგენილი იუსტაბულაძის მიერ; ი. ა ბ ზ ე ლ ა ძ ე, ძველი ქართული ლექსიკონი, 1973 და სხვ.

⁹ ბ ა ს ი ლ ი დ ი დ ი, ექუსთა დღეთა გიორგი მთაწმიდელის თარგმანი ტექსტი, გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. კახაძემ, თბილისი, 1947, გვ. 185; ივ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, სინური მრავალთავი, გამოკვლევა და ლექსიკონი, თბილისი, 1975, გვ. 268 და სხვ.

¹⁰ სულხან-საბა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებანი, IV 2, ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ილია აბულაძემ, თბილისი, 1966.



ძველ ქართულ სამართალში „სისხლის დენა“ სოციალური შინაარსის მქონე ტარებელი, სისხლის ფასთან დაკავშირებული იურიდიული ტერმინია. მისი მნიშვნელობა ტოლთ ერთნაირი ფასის, „სისხლი სდით“¹¹. მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს გამოთქმა სალაპარაკო ენაში საყოველთაოდ დამკვიდრებულ სისხლის დაღვრას უფრო ნიშნავს. ამ მოსაზრებას ვახტანგ VI სამართლის წიგნიც მხარს უჭერს. აქ ერთვან წერია: თუ თავი გაუტეხოს და „სისხლი აღინოს“ (მუხ. 265). ამავე შინაარსითაა ჩაწერილი „სისხლის დენა“ „ვეფხისტყაოსნის“ 284-ე („სისხლისა კი დენით“) და 949-ე („სისხლისა დენით“) სტროფებში.

ჩვენი აზრით, „უსისხლოდ მოკვალ“ იმას ნიშნავს, რომ ტარელი ამბობს: უდანაშაულოდ მოკვალი, ისე, რომ ჩემი სისხლი არ ემართა, სამაგიეროს მიზლვას არ იმსახურებდაო. სწორედ ამიტომაც ერთი წუთით მაინც დანანებია იგი („გლახ“, „ვეგლახ“), მაგრამ მალე მოგება გონს და დასძენს: თუმცა მართებული, საჭირო იყო („ხმდა“) მისი სისხლის დაღვრაო — მისი მოკვლა „სისხლის დენით“. „უსისხლოდ მოკვალ“ იგივეა, რაც „მოქცევაჲ ქართლისაჲში“: „უბრალო იყო სისხლისაგან ჩუენისა“.

სწორედ ამაზეა საანალიზო ტაეპში ლაპარაკი. ავტორს სურს თქვას, რომ **შურისძიების პრინციპი არ იძლეოდა სასიძოს მოკვლის საბაზს**. ამ მკვლევლობით კი არ გაიბრა მკვლევლობა ან სხვა რამ დანაშაული, როგორც მესისხლეობის წესითაა ნაკარნახევი, არამედ პირიქით, ახალი შურისძიებელი, მესისხლე გაიჩინა სახელმწიფომ. სასიძოდ მოწვეული კაცის დაცვა სამეფოს (და არა ტარიელის) ვალი იყო. ამიტომაც განრისხებული ფარისაღან მეფე ტარიელს მიმართავს: „ხვარაზშმას სისხლი უბრალო სახლად რად დამადებინე?“ (555, 1).

ყოველივე ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით ტაეპი, — „უსისხლოდ მოკვალ იგი, გლახ, თუცა ხმდა სისხლისა დენით“ — ასე უნდა იქნეს გაგებული: ტარელი ამბობს, რომ შურისძიების საბაზის გარეშე, ისე, რომ ჩემი სისხლი არ ემართა, ჩემს მიმართ დანაშაული არა მიუძღოდა რა, მოკვალი ის მოემეო („უსისხლოდ მოკვალ იგი ყმა...“); საბრალოა („ვეგლახ“), თუმცა მართებული, საჭირო იყო („ხმდა“) მისი სისხლის დაღვრაო („სისხლისა დენით“).

ტაეპის შინაარსის ჩვენეული გაგება შუქს ჰფენს იმასაც, რომ ცნობილი აფორიზმი „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“ მხოლოდ ნესტან-დარეჯანის შეხედულებას კი არ წარმოადგენს, არამედ მასში ჩამოყალიბებული პრინციპი იმთავითვე გასაზიარებელი და წარმმართველია ტარიელის მოქმედებისა. თუმცა ჩემი სისხლი არ ემართაო, ამბობს ტარელი, მაგრამ ამ კონკრეტულ ვითარებაში სამართლიანი (მართებული, საჭირო) იყო მისი მოკვლაო. მაშასადამე, თვითონ ტარიელისვე ნათქვამი წარმოადგენს პასუხს სამეცნიერო ლიტერატურაში დამსულ კითხვაზე — სასიძოს მოკვლით უსამართლობა ჩაიდინა, თუ სამართლიანად იმოქმედა? ამდენად, როგორც ტარიელს, ისე ნესტან-დარეჯანის ერთობლივი აზრი სასიძოს მოკვლასთან დაკავშირებით ასეთია: **სამაგიეროს მიზლის, დანაშაულის, ბრალის გარეშე მკვლევლობა გაუმართლებელია, მაგრამ, თუ სხვა გამოსავალი არ არსებობს და უფრო დიდი ბოროტებაა მოსალოდნელი** (ამ შემთხვევაში როგორც ინდოეთის სამეფოს ინ-

¹¹ იხ. ვახტანგ VI, სამართლის წიგნი (35, 46 მუხლები); ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი, 1972, გვ. 272; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, გვ. 533, ჩვენს მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალებით, რომლებსაც გამოსაქვეყნებლად ეამზადებთ, „სისხლის დენა“ („ხისხისი იწერე“) სვანურ ჩვენულების სამართალშიცაა დადასტურებული.



ტერმინების, ისე ტარიელისა და ნესტანის პირადი ბედნიერების საზიაროდ, ასეთი მკვლევარობა სამართლიან მოქმედებად უნდა ჩაითვალოს. რა თქმა უნდა, გაუმართლებელი იქნება, რომ ზემოთქმულის შეფასება ბრალის თანამედროვე კრიტერიუმის მიხედვით მოვახდინოთ.

М. М. КЕКЕЛИА

К ПОНИМАНИЮ СЛОВА «КРОВЬ» КАК ЮРИДИЧЕСКОГО
ТЕРМИНА ПО ОДНОЙ СТРОФЕ ПОЭМЫ
«ВИТЯЗЬ В ТИГРОВОЙ ШКУРЕ»

Резюме

До настоящего времени в научной литературе в строфе 550 (юбилейное издание 1966 г.) слова «без крови убил» понимались так, будто Таризл убил своего соперника без пролития крови.

Основываясь на данных древнегрузинского права, даем новое объяснение этих слов — «бескровное убийство». В новом понимании Таризл говорит: Я убил моего соперника «без крови», т. е. **без мщения, убил так, что он не должник моей крови.**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კათედრა

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა შ. ძიძიგურმა

ნინო მალიკიშვილი

 სიტყვათწარმოება იოსებ ფლავიოსის თხზულების „იუდეველთა
 სიძველეთას“ ქართულ თარგმანში

ჩ.წ.-ის I საუკუნის ძველი ებრაელი ისტორიკოსის, იოსებ ფლავიოსის თხზულების „იუდეველთა სიძველეთას“ ქართული თარგმანი (თარგმანის შესრულების დროდ ივარაუდება XI—XII საუკუნეები) დიდ დამოკიდებულებას იჩენს თავის ბერძნულ დედანზე. ეს განსაკუთრებით ვლინდება ბერძნული რთული სიტყვების თარგმნისას, ხდება ამ სიტყვების კალკირება და ხშირად ამის გამო ტექსტი საკმაოდ ძნელი გასაგებია.

ჩვენ შევეცადეთ მიმოგვეხილა თარგმანში წარმოდგენილი წარმოქმნილი სახელები და გვეჩვენებინა, თუ რა საშუალებებს მიმართავს მთარგმნელი სიტყვათწარმოებისას.

1. კომპოზიცია. სპეციალურ ლიტერატურაში ძველ ქართულ ენაში არსებულ კომპოზიტებს ორ დიდ ჯგუფად ყოფენ: 1. კომპოზიტები, რომელთა ორივე წევრი სახელით არის გამოხატული და 2. კომპოზიტები, რომელთა ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი ზმნაა. გარდა ამ ორი ჯგუფისა დ. მელიქიშვილი გამოყოფს კომპოზიტთა მესამე ჯგუფს — „უფორმო სიტყვებიან კომპოზიტებს“: „კომპოზიტების ერთ მეტად დამახასიათებელ ტიპს და საკმაოდ მრავალრიცხოვან ჯგუფს ძველ ქართულში ქმნიან ზმნისართების, წინდებულებისა და ნაწილაკების მონაწილეობით შექმნილი კომპოზიტები (ფართო გაგებით)“¹.

1. სახელიანი კომპოზიტები. ამ ჯგუფში შედიან ბერძნული რთული სიტყვების ორივე შემადგენელი ნაწილის ცალ-ცალკე თარგმნით მიღებული კომპოზიტები, რომელთა ერთ-ერთი კომპონენტი აუცილებლად სახელია, ხოლო მეორე — მეტყველების რომელიმე სხვა ნაწილი. ამავე ჯგუფში განვიხილავთ იმ კომპოზიტებსაც, რომელთა მეორე შემადგენელი ნაწილი აბსტრაქტული სახელებია (-ება, -ობა სუფიქსებითა და სი—ე პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები). რაც შეეხება კომპოზიტებს, რომელთა მეორე ნაწილი მიმღებობებია (სასუბიექტო ან საობიექტო), მათ ჩვენ შევებებით ქვემოთ, მიმღებობათა განხილვისას.

ა) კომპოზიტები, რომელთა მეორე ნაწილი აბსტრაქტული სახელია. ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს ქმნიან -ობა სუფიქსით ნაწარმოები აბსტრაქტული სახელები, მრავლად დასტურდება -ება სუფიქსიანი წარმოებაც, ხოლო სი—ე პრეფიქს-სუფიქსით სულ რამდენიმე სახელია ნაწარმოები:

¹ დ. მელიქიშვილი, იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, თბილისი, 1975, გვ. 140.



კეთილბედნიერობა² (წ. 2, თ. 6,1; 8,2) || კეთილბედნიერება (წ. 2, თ. 7,1);
 ἡ εὐδαιμονία (A, 2₉₄, 2₁₉₈, 2₁₆₈)³. კეთილგონებობა (წ. 1, თ. 18,2; 19,2);
 εὖνοια (A, 1₂₅₉, 1₃₁₄); კეთილშეიღვივება (წ. 1 თ. 19,7), ἡ εὐ-τεχνία (A, 1₃₀₅);
 კეთილლონიერობა (წ. 3, თ. 1,4), ἡ εὐ-πορία (A, 3₁₈); კეთილსიკდილობა (წ.
 6 თ. 1,1), ἡ εὐμνήστια (A, 6₃); კეთილსასობა⁴ (წ. 8, თ. 11,2), ἡ εὐ-ἐλπίς
 (A, 8₂₇₉); კეთილმოწილება (წ. 2, თ. 6,9; 7,3), ἡ εὐ-μνήτης (A, 2₁₆₁), ἡ εὖνοια
 (A, 2₁₇₃) და სხვ. მრ.

როგორც ვხედავთ, ყველა შესატყვისი ბერძნული ფორმის პირველი ნა-
 წილი არის εὖ, რაც ნიშნავს „კარგს, კეთილს“. უხვად არის ისეთი კომპო-
 ზიტებიც, რომელთა პირველი ნაწილი არის „მრავალი“ და რომელთა შე-
 სატყვისი ბერძნული რთული სიტყვის შემადგენლობაში შედის πῶς: მრავალ-
 სახეობა (წ. 8, თ. 6,5), ἡ πῶς-τέχνη; მრავალწელობა (წ. 1, თ. 10,1; წ. 2, თ.
 15,3), ἡ πῶς-χρησία (A, 1₁₇₈, 2₃₂₄); მრავალგზობა (წ. 1, თ. 4,3), ἡ πῶς-φο-
 ςία (A, 1₁₁₇) და ა. შ.

„ერთს“ რთულ სიტყვებში ბერძნულში შესატყვისება σὺμ-და ἑμ-: ერთ-
 გზობა (წ. 12, თ. 2,4), ἡ σὺμφορία (A, 12₃₉); ნიშნავს: „თანმიმდევრობას, სიმ-
 წყობრივს“. ერთგვობა (წ. 1, თ. 1,4; 4,3), ἑμ-φωσῖα (A, 1₄₁, 1₁₁₈)=ერთ ენაზე;
 ლაპარაკი; სხუენაობა (წ. 1, თ. 5,1), ἀλλογλωσσία (A, 1₁₂₈); სხუაგზობა (წ. 1,
 თ. 4,3), ἀλλοφωσῖα (A, 1₁₁₈). ორივეს აქვს „სხვადსხვა ენაზე ლაპარაკის“ მნიშ-
 ენელობა. ნაცვალმბრძოლობა (წ. 3 თ. 14,4), σὺμ-πρῶσῖα (A, 3₃₀₉)=ღანძ-
 რების აღმოჩენა; ღირსმბრძოლობა (წ. 3, სარჩევი № 9), ἀξί-μᾶχος (A, IV, გვ.
 646)=წინააღმდეგობის გაწევა; რჩეულთმყობელობა (წ. 6, თ. 3,3)||რჩეულთ-
 განგებულება (წ. 4, თ. 8,17), ἡ ἀριστο-κράτεια (A, 6₃₈, 4₂₃)=საუკეთესოთა და-
 ლაუფლება; ეტლითმყობელთა (წ. 6, თ. 3,5), ἡ ἀριστεριότηης (A, 6₄₀).

ასეთივე კალკირებული კომპოზიტებია: სჯულკეთილობა, მკნეკეთილობა,
 ყრმაკეთილობა, ძნელბედობა, დასაბამსიტყუაობა, ჰაეჩუეულება და სხვა მრავ-
 ლი.

სი—ე პრეფიქს-სუფიქსის მეშვეობით სულ ორიოდ აბსტრაქტული სახე-
 ლი არის ნაწარმოები: გულსიქველე (წ. 12, თ. 9,4), ἡ εὐ-κάρδεια
 (A, 12₃₇₃)=სიმახაცე; კეთილსიმშუდე (წ. 2, თ. 6,9), ἡ εὐ-γυμιοσῖνη
 (A, 2₁₆₈)=კეთილგანწყობა.

ბ) არსებითი სახელი + არსებითი სახელი: მღდეულქადაგი
 (წ. 12, თ. 2,12), ὁ ἑρῶ-κῆρυξ (A, 12₉₇)=მაცნე მღვდელი; მღდელმონა
 (წ. 11 თ. 5,1), ὁ ἑρῶ-ჭῆσσις (A, 11₁₂₈)=ტაძრის საკუთრებაში მყოფი
 მონა; ადგილთსამთავრო (წ. 8, თ. 11,3), ἡ ἑ-τοπαρχία (A, 8₂₈₄); წესთმთავარი
 (წ. 7, თ. 14,8), ὁ ταξί-αρχος (A, 7₃₈₈); წიგნისმაცველო (წ. 12, თ. 2,1)
 ἡ βιβλίο-მῆκη (A, 12₁₃); გულისსიტყუა (წ. 2, თ. 3,4), ὁ λῶγισμος=განსჯის

² ყველა ქართული მაგალითი და მათი ბერძნული შესატყვისი კონტექსტის გარეშე მოგვ-
 ყავს უფძის სახით ან სახელობითი ბრუნვის ფორმით.

³ ბერძნული მაგალითები დამოწმებული ვეაქვს შემდეგი გამოცემის მიხედვით: Joseph-
 hus, Jewish Antiquities, with an english translation by H. St. J. Thackeray, M. A. and
 Ralph Marcus. Pp. D. London, MCMLXI—MCMLXIII, volumes IV—V—VI—VII—VIII.

⁴ აბსტრაქტულ სახელებთან ერთად განვიხილეთ ისეთი კომპოზიტებიც, რომელთა მეორე
 ნაწილი არის ება-ზე დასრულებული მსხარი.



უნარი; მზარულთმთავარი (წ. 2, თ. 4,1), *δ ἀρχι-μάγειρος* (A, IV, 32) = მზარულთმთავარი; ჯელოვნთმთავარი (წ. 3, თ. 6,1), *δ ἀρχι-τέκτων* (A, 3104) = მშენებელთა უფროსი.

როგორც დაეინახეთ, კომპოზიტის პირველი შემადგენელი ნაწილი — არსებითი სახელი წარმოდგენილია ფუძის სახით ან დგას ნათ. ბრ.-ში. ყველა მოყვანილი მაგალითი შესაბამისი ბერძნული ფორმის კალკია.

გ) არსებითი სახელი + ზედსართავი სახელი: სულკეთილი (წ. 2, თ. 2,1), *εὐψυχοί* (A, 2); სიტყუაღირსი (წ. 4, თ. 3,2), *ἀξιολογῶτατος* (A, 440) = ერთგული, პატივსაცემი; ჭირმწენ (წ. 5, თ. 1,29), *εὐψυχος* (A, 5118); მღვდელშუენიერი (წ. 11, თ. 8,5) *ἱερο-πρεπής* (A, 1132,9) = სამღვდლო მიზნებისათვის შესაფერისი.

დ) ზედსართავი სახელი + არსებითი სახელი: სუეტნი მარტოქევანი აღჰმართან... (წ. 13, თ. 6,6)... *στέλουσ; μονοκίτους* (A, 13211) = ერთი ქვისაგან გამოთლილი; სწორმოქალაქე (წ. 12, თ. 1,1), *ἰσοπολίτης* (A, 129) = თანაბარი მოქალაქეობრივი უფლებების მქონე; სწორწყირთლი (წ. 8, თ. 5,2), *ἰσο-μετρία* (A, 8133); ძვრისაქმე (წ. 8, თ. 11,2) *ἢ* *δυσ-χέρεια* (A, 8278); კეთილსულნი (წ. 6, თ. 14,4), *εὐψυχοί* (A 6347); კეთილსახე (წ. 7, თ. 14,3), *εὐειδής* (A, 7343); ჰავანზრახვა (წ. 6, თ. 3,5), *ἢ* *κακοβουλία* (A, 642); ცრუწინაწარმეტყუელი (წ. 8, თ. 9,1), *δ* *ψευδοπροφήτης* (A, 8242).

ე) ზედსართავი სახელი + ზედსართავი სახელი: ...წელთა კეთილდენიერთასა... (წ. 2, თ. 5,6) ...*ἐνδαιμονήσαντα* (A, 285); ძნელსათნი (წ. 3, თ. 1,5), *δυσ-ἀρεστος* (A, 323) = უკმაყოფილო; დიდკადნიერი (წ. 6, თ. 14,4), *δ* *μεγαλότολιμος* (A, 6347) = უსაზღვროდ მამაცი; დიდგონიერი (წ. 2, თ. 6,8), *μεγαλόφρων* (A, 2441).

ვ) რიცხვითი სახელი + არსებითი სახელი: ...მამაკენო ერთკრებანო... (წ. 14, თ. 9,4), *ἀδρες σύνεδροι* (A, 14172) = თათბირის, კრების მონაწილე; ერთმონათესვე (წ. 8, თ. 7,5), *δ* *ἕμ-νομος* (A, 8191) = ერთი სჯულის წარმომადგენლები; პირველშობიელი (წ. 2, თ. 8,1), *δ* *πρόγονος* (A, 2198) = წინაპარი; ნახევარეირი (წ. 12, თ. 3,4), *ἢ* *ἡμι-ονος* (A, 12148) = ჯორი; ოთხკედელი (წ. 1, თ. 3,2) *τετρα-στειχος* (A, 177) = ოთხსართულიანი; ორწილი (წ. 2, თ. 6,5), *δι-πλάσιονα* (A, 2118) = გაორმაგებული; სამგზა (წ. 6, თ. 1,2), *ἢ* *τρι-οδος* (A, 611) = სამი გზის გასაყარი; მრავალჯასი (წ. 8, თ. 6,5), *πολυ-τελής* (A, 8187); მრავალღონე (წ. 10, თ. 8,3), *ἢ* *ποικιλία* (A, 10142) = მრავალფეროვანი. მრავალსაცხოვარი, მრავალსახე, მრავალფერი, ერთგანზრახვა, ერთტრაპეზი ...წუთიერთი (წ. 2, თ. 4,4), *πρῶσιονα* (A, 251) = ხანმოკლე (ამ მავალითში რიცხვითი სახელი მეორე ადგილზეა და კომპოზიტის შინაარსია ვიდმოცემული კალკირების ნაცვლად).

ზ) სახელი + მასდარი: ძნელსაგონებელ-ყოფა (წ. 1, თ. 19,9), *ἢ* *δυσ-ελπιστία* (A, 1321) = უიმედობა; დამაგებელ-ყოფა (წ. 1, თ. 20,1) = შერიგება; სმენილ-ქმნა (წ. 6, თ. 4,3), *ἀκούω* (A, 659); კეთილ-თნევა (წ. 13, თ. 13,4), *ἐ-δοικιμήω* (A, 13361) = კარგ აღმიხანდ მიჩნევა; „გონიერებისათვის ჯელ-ყოფათა-მსა განკვრეებული (წ. 2, თ. 10,2)... *τῶν ἐγχειρήσεων* (A, 2232) = საქმე, ნამოქმედარი; ანუღ-ყოფა (წ. 4, თ. 8,16) = ხენა; უჩინო-ქმნა (წ. 2, თ. 3,4), *ἀφανή γεγονέναι* (A, 238) = მოსპობა; ჯურითთ-ცემა (წ. 14, თ. 10,6), *πυρῶν* (A, 14210) = მუშტებით ბრძოლა.



ამ სახის კომპოზიტებში კალკირებას ნაკლებად აქვს ადგილი. ხშირად შესაძლებელია ტყვის ბერძნულ ფორმაში „ქმნა“ და „ყოფა“ არ ფიგურირებს.

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, კალკირების გზით მიღებული კომპოზიტების დიდი ნაწილი არ არის დამკვიდრებული ქართულ ენაში. ეს იმის გამო მოხდა, რომ ქართულ ლექსიკაში არის მათი შემცველი, ენისათვის ორგანული სიტყვები. ამ კალკირებული ფორმების ხმაარება ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანს ძალიან ხშირად ბერძნული დედნის გარეშე ძნელად გასაგებს ხდის.

2. კომპოზიტიზმები. ასეთი სახის კომპოზიტები გავრცელებულია ძველ ქართულში. არც ფლავიოსის თხზულების ქართული თარგმანისათვის არიან ისინი უცხონი. ამგვარი კომპოზიტის პირველი წვერი არის სახელი (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი), ხოლო მეორე — ზმნის პირიანი ფორმა: სიტყუა-უგებდეს (წ. 2, თ. 6,3), ἀπελοιπυτο (A, 2100); დადებულ-იქმნეს (წ. 2, თ. 2,4), ἐπέθεσαν (A, 217); ჯელ-უღვა (წ. 2, თ. 4,1), ἐχχίρξαι (A, 239); ერთგანზრახვა-ვიყენეთ (წ. 3, თ. 14,1); წინააღმდეგობ-ხართ (წ. 2, თ. 6,4); „ხოლო იგინი ...ერის-ძეტყუელებდეს“ (წ. 13, თ. 16,1) ...ἐνηγῆρσιν (A, 13₄₀₆) = სახალხოდ გამოდიოდნენ. ძვრ-ვხელულობთ (წ. 2, თ. 6,3), κακοπραΐσμεν (A, 2103); ნეთშემაყენებელ-იქმნა (წ. 8, თ. 6,4) ...Ἐναπηγῆσται (A, 8163).

3. უფორმო სიტყვიანი კომპოზიტები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „უფორმოსიტყვიანი კომპოზიტები“ არის კომპოზიტები ფართო გაგებით. ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში გვხვდება კომპოზიტები, რომელთა პირველ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ზმნისართი ან წინდებული, ხოლო მეორე ნაწილი არის სახელი, ზმნისართი, მიმღობა, მასდარი, ზმნის პირიანი ფორმა. მთარგმნელი არც ამგვარი კომპოზიტების წარმოებისას ლაღატობს თავის პრინციპს ბერძნული რთული სიტყვების კალკირებისა. ამიტომ სრულიად ნათლად გამოიკვეთება, თუ გარკვეულ ბერძნულ ზმნისართსა და წინდებულს რომელი ქართული ზმნისართი და წინდებული შეესატყვისება. ჩვენც ამ პრინციპით წარმოვადგენთ მასალას:

ა) წინა||წინ. ამ ზმნისართს ბერძნულ დედანში, როგორც წესი, შეესატყვისება ἀντ-, ἀντ- და πρ- წინდებულები. პირველ მათგანს აქვს „წინააღმდეგობის“ გაგება, მეორეს — „წინმდებარეობის, ნადრეგობის“ მნიშვნელობა: წინა-აღლდა (წ. 2, თ. 4,4), ἀντέσχε (A, 230); წინაგანწყობი (წ. 1, თ. 20,2), ὁ ἀντι-στᾶτης (A, 1138) = მოწინააღმდეგე; წინმდგომი (წ. 5, თ. 1,1); πρῶστῶτας (A, 53) = მეთაური; წინა-იპყრობდეს (წ. 2, თ. 11, 2), προκατελάμβανον (A, 2258) = აღრ ჩაიგდეს ხელში; წინაგანგება (წ. 1, თ. 22,1), ἡ πρόνοια (A, 1346) = ზრუნვა; წინსიტყუობა (წ. 6, თ. 12,5), ἀντι-λέψα (A, 6257) = ურჩობა და ა. შ.

ძალიან იშვიათად გვხვდება წინა-ს შემცველი კომპოზიტი თარგმანში, რომელიც არ წარმოადგენს ბერძნული შესატყვისის წინდებულის კალკს: „...ევედრებოდა ...მაკედონელთა სიყუარულსა წინასჯად“ (წ. 11, თ. 8,3) ...τῆν Μακεδόνων φιλίαν ἐλόμηναι (A, 11317). ამ შემთხვევაში წინასჯა „არჩევის, უპირატესობის მინიჭების“ მნიშვნელობით წარმოადგენს ბერძნული ἀρέω-ი (ἐλάμαι aor. opt. ἀρέω-სთვის) თარგმანს.

ბ) გარეშე||გარე||გარ. ამ ზმნისართს ბერძნულ დედანში შეესატყვისება სამი წინდებული: ა) περὶ (= გარეშე, მახლობლად), ბ) ἀπὸ (= უარყოფა), გ. მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1981, № 4



გ) **ἐκ** (ხმოვნების წინ **ἐξ**) (= გამოყოფა, რაიმესაგან განთავისუფლება)

„ირწყევების მტილი ესე ერთისა მდინარისა მიერ, გარემომდინარისა ყოველსა ქუეყანასა მომრგულებით“ (წ. 1, თ. 1,3), **περιρρέοντος** (A, 1₃₈). „ხოლო არს შესამოსელი ესე პოლირი მოსასხმელი, გარეშემოწერილი სხეულსა“ (წ. 3, თ. 7,2) ...**περιγεγραμμένος** (A, 3₁₅₃). გარეკაცი (წ. 6, თ. 13,6), **ὁ ἀπανθροπος** (A, 6₂₉₈) = არადაძიანი; გარემიქცევა (წ. 2, თ. 4,3), **ἀποστρέφω** (A, 2₄₈) = უარის თქმა; გარეშე-ქმნა (წ. 3, თ. 11,6), **ἐξ**—**αργέω** (A, 3₂₇₁) = მწყობრიდან გამოსვლა, გაუქმება; „მონათათს განრისხებულმან, რამეთუ გარგონებასა კაცისა მყენებელ არიან მის შორის, უბრძანა დავითის... განღევნა“ (წ. 6, თ. 12,2) ...**αφρίω** (A, 6₂₄₆) = გიფი, ქუვიდან გადასული; „ეგრეთვე და მამისა ჭირწინებულსა თანყოფა და მაწოვნებელთა და დათა და შვილთა ცოლებისა, ვითარ გარენათესვად ქონებული უსამართლოებაჲ, მოიძულა“ (წ. 3, თ. 12,1) ...**ἐκψισον** (A, 3₂₇₄) = არაბუნებრივი, მათი სჯულისათვის მიუღებელი.

გ) **უჟუნ**. ამ ზმნისართს რთულ სიტყვებში ბერძნულ დედანში შეესატყვისება შემდეგი წინდებულები: ა) **ἀντι**-, **ἀντ**- (=საწინააღმდეგო), ბ) **ἀντι**- (უკან დაბრუნების მნიშვნელობით), გ) **ἀπο**- (დაბრუნების და უარყოფის მნიშვნელობით). „იაკოვოს, არცა უკუნსიტყუად შემძლებელი ღირსებისათს მვედრებელისა“ ... (წ. 1, თ. 21,1) ...**ἀντιλέγειν** (A, 1₃₃₈) = უარის თქმა; „იწყობს თნებისა მისისა უკუნსიტყუად“ (წ. 8, თ. 9,1) ...**ἀναλύειν** (A, 8₂₄₃) = უკან დახევა; უკუნ-აქცინა (წ. 2, თ. 4,3) **ἀντέκρουσε** (A, 2₄₇) = უარყო; უკუნლტოლვა (წ. 3, თ. 1,4), **ἀναφάξις** (A, 3₁₂) = უკან დაბრუნება; უკუნეცინ (წ. 4, თ. 8,27), **ἀποτινέω** (A, 4₂₇₁) = გადაუხადე, დაუბრუნე. „შეკრებიან თანად უკუნმქცეველი ადგილისა და მომსყიდელი“ (წ. 3, თ. 12,3). **ἀποδύμενος** (A, 3₂₈₈) = გამყიდველი; უკუნ-თქუნა (წ. 6, თ. 7,4), **ἀπειπειν** (A, 6₄₄₄) = უარი თქვა; უკუნბრჭობა (წ. 2, თ. 6,8), **ἀπεψήφισμαι** (A, 2₁₅₇).

დ) **ქუეშე|ქუეშე**. ამ ზმნისართის შესატყვისი ბერძნულ დედანში არის ა) **ἀπο**- (ქვეშ მყოფის მნიშვნელობით. მასში შედის „დამორჩილებულობის“ ნიუანსი) და ბ) **κατα**- (მომართობა ქვედა მიმართულებით): ქუეშეშეხარკენი (წ. 4, თ. 5,3), **ἀποστειλεις** (A, 4₉₈); ქუეშეშეხარკელებული (წ. 8, თ. 8,2), **τῶν ἀπηκόων** (A, 8₂₁₅); „...ქუეშეშეაღმდეგებელ მან მისმან... თან-დაიწუთა თავი თვის“ (წ. 8, თ. 12,4), **ἀποπρήσας** (A, 8₃₁₁) = ცეცხლის წამკიდებელმან; ქუეშეშეშეაღმდეგობა (წ. 4, თ. 8,33), **κατακλίσεως** (A, 4₂₇₇) = წოლა.

ე) **ნაცვალ**. **ἀντι**-, **ἀντ**- წინდებულნი „საწინააღმდეგოსა და საპირისპიროს“ მნიშვნელობით შეესატყვისება ბერძნულ დედანში **ნაცვალ** ზმნისართს: „პირველსა უკუე მოსლვასა არა მომთმენელნი **ნაცვალ**-დაღვომად და შეწყნარებად ევრაელთა, უკუნ-იქცევიან“ (წ. 4, თ. 5,2), **ἀντιστηγαι** (A, 1₄₈₉) = წინააღმდეგობის გაწევა; „ელეაზაროს ნანდულ **ნაცვალ**მცა-თქუა, უკუეთუ არა მამულებრივი იყო ჩუენდა არას კეთილთაგანისა ქონებაჲ“ (წ. 1, შეს. № 3), **ἀντειπῶν** (A, 1₁₁₁) = საწინააღმდეგოს თქმა; „...მკედრობანი ...**ნაცვალ**-განეწყობვოდეს“ (წ. 8, თ. 11,2), **ἀντιπαρτάσαστο** (A, 8₂₇₅) = ერთმანეთის საპირისპიროდ განლაგება.

ვ) **ზეშთ|ზესთ ზედა|ზედა|ზედა**. ამ ზმნისართთა შესატყვისად ბერძნულ დედანში დასტურდება წინდებულები: **ἀπέρ** (= ძალიან, ზემოდან), **ἐπί** (ხმოვნების წინ **ἐπ**), **κατά**, **περι**- (= ზე, ზემოდან): „სოლომელნი, სიმდიდრითა და სიმრავლითა საკმარათათა **ზეშთ**მბრძნობნი, თანად და კაცთა იყვნეს

მაგინებელ“ (წ. 1, თ. 11,1), *ἀπεργονοῦντες* (A, 1₁₄₄) = ქედმაღლანი; *ἡμετέρας* (წ. 3, თ. 6,4), *ἀπερήσαν* (A, 3₁₃₂) = ზემოდან დაღებულნი, განკვრდებოდა (წ. 8 თ. 6,5), *ἀπερθεύματα* (A, 8₁₇₀) = უღარესად გაუკვირდებოდა; „სამღელვოთა შინა და ზესთსახელთა დღეთა მსხერბლთა შემწირველნი ღმრთისანი... ვევესრებით ძას“ (წ. 13, თ. 5,8), *καὶ ἐπὸνμοῖς ἡμέραις* (A, 13₁₈₈) = მოსახსენებელი სახელი, ზედწოდება; „ღრუბელი აუწყებდა... ზედ გამოჩინებდასა ღმრთისასა“ (წ. 3 თ. 14,4), *τὴν ἐπιφάνειαν* (A, 3₃₁₀) = გამოჩენა, „მიმსჯავსებით თქუას ვინმე გამოქრილი ზეადღვომილთა მქონებელი ნაკუეთთაჲ“ (წ. 3, თ. 7,6) ... *ἀπερανεστῶσας* (A, 3₁₇₆) = ამალღებლი; „შთამოვიღოდა წყალი ვიდრემე ზედ აღს ღვადმდე ქუეყანისა წყრათსა ათხუთმეტსა“ (წ. 1, თ. 3,5) ... *κατεφέρετο* (A, 1₈₉) = ამალ ღებანი; ზესთქონებულება (წ. 4, თ. 4,7), *περιέχοντος* (A, 4₈₃) = ამალღება.

ზ) თანა||თან. წინდებულთაგან მხოლოდ „თან“ გვხვდება უფორმოსიტყვიანი კომპოზიტების პირველ შემადგენელ ნაწილად. მისი ბერძნული შესატყვისი რთულ სიტყვებში არის წინდებულები: 1. *συν* - (*γ*, *κ*, *ξ* და *χ*-ს წინ *σ*-ს; *β*, *μ*, *π*, *φ* და *ψ*-ს წინ *σ*-ს და *ζ*-ს წინ *σ*-ს). ამ წინდებულებს ბერძნულში აქვთ მნიშვნელობა ერთობლივი მოქმედებისა, კრებითობისა, ერთდროულობისა და მოქმედების დასრულებულობისა. 2. *παρὰ* (= გვერდით მყოფობა), 3. *ἐν* (*ἐν*-ს, *ἐν*-ს) (= ერთი და იგივე, ერთნაირი, საერთო).

συν-: თანა-განხიზნებოდა (წ. 4, თ. 6,9), *συνδιεφθίροντο* (A, 4₁₄₀); თანდაეღვა (წ. 6, თ. 6,2), *συντίθηται* (A, 6₁₀₇) = შეუთანხმდა; თანაიუსამართლოების (წ. 2, თ. 3,1), *συναδικείται* (A, 2₂₂); თანემკვდრე (წ. 1, თ. 19,9), *συνιοκούντας* (A, 1₃₁₈) = ქმარი; თანშესჯილი (წ. 5, თ. 1,21), *συγκρινόμενα* (A, 5₇₇) = შედარებულნი.

παρὰ (= გვერდით მყოფობა): ...თანაწარვჭდე (წ. 8, თ. 2,5) ... *παρὰ* *ἑσθιαί* (A, 8₄₃) = გვერდით ავლარო; თანამღვომელი (წ. 2, თ. 7,3) *ἐπάρᾳ* *σάτης* (A, 2₁₇₂) = დამხმარე; თანამღებარე (წ. 2, თ. 3,2), *παρά* *κείμαι* (A, 2₃₁) = იქვე მყოფი.

ἐν (*ἐν*-ს, *ἐν*-ს) (= ერთი და იგივე, ერთნაირი, საერთო). „საქა სიმრავლემან თანემკვდრედ მათდა ყოფა ღმრთისაჲ...“ (წ. 3, თ. 8,10) ... *ἐν* *σκηνοῦν* (A, 3₂₁₉) = მათთან ერთად მცხოვრები; „მიიღოს საღმრთო თანმონათესვისაჲ“ (წ. 2, თ. 9,5) *ἐν* *κοίτης* (A, 2₂₂₆) = ნათესავი, ერთი და იმავე ტომის წარმომადგენელი; თანჯელოვანი (წ. 8, თ. 13,4) *ἐν* *τεχνος* (A, 8₃₃₄) = კოლეგა; თანმოყუასი (წ. 2, თ. 6,4) *ἐν* *ἡρώς* (A, 2₁₁₀) = მძევლი.

როდესაც დ. მელიქიშვილი განიხილავს რთულ სახელებს იოანე პეტრიწთან, რომელთა პირველი შემადგენელი ნაწილი არის წინდებული „თანა“, იგი წერს: „ამგვარი კომპოზიტი ზოგჯერ ბერძნული *συν*- წინდებულისი სიტყვების კალია“⁵.

რაც შეეხება ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანს, როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ქართულ თანა||თან წინდებულს ბერძნულ დედანში არა ზოგჯერ, არამედ როგორც წესი შეესაბამება *συν*-, *παρὰ*- და *ἐν*-ს წინდებულები.

ცხრილის სახით ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში უფორმო-

⁵ დ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 147.



სიტყვიან კომპოზიტებში ნახმარი ზმნისართები და წინდებული და
ტყვისი ბერძნული წინდებულები შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:

წინა წინ	გარეშე გარე გარ	უკუნ	ქვეშე ქვეშ	ნაცვალ	ზემო ზეის ზელა ზელ ზე	თან თან
ἀντι-ἀντ- πρὸ-	პერი პიო- ქი-	ἀντι-ἀντ ἀντ- პიო-	ἀπο κατα	ἀντι- ἀντ-	ἀπὲρ ἐπί- κατα παρ:	συν-συγ- συ-) συμ- παρὰ πρός (ἐπι-ἐπι-)

დღეს სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილად ითვლება, რომ იოსებ ფლავიოსის „იუდეველთა სიძველეთას“ ქართველი მთარგმნელი არის XI—XII საუკუნეთა გამოჩენილი ფილოსოფოსი და მწერალი — იოანე პეტრიწი. იმის შესახებ, თუ რა უდევს საფუძვლად ამ აზრს, ჩვენ დაწვრილებით ვმსჯელობთ სტატიაში: „საკუთარი სახელები იოსებ ფლავიოსის ერთი თხზულების ქართული თარგმანის მიხედვით“⁶. ამავე სტატიაში საკუთარ სახელთა მონაცემებზე დაყრდნობით გამოვთქვამთ ეჭვს, რომ ეს თხზულება მართლაც პეტრიწის ნათარგმნი იყოს⁷. ამავე დასკვნამდე მივიღვართ ამჟამად, ვაკანალიზებთ რა სიტყვათწარმოება ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში. ჩვენი აზრით, ქართული და ბერძნული ენების ისეთი ბრწყინვალე მცოდნე, როგორც იყო იოანე პეტრიწი, ასე მონურად არ წაჰყვებოდა ბერძნულ ტექსტს და არ მოახდენდა აბსოლუტურად ყველა რთული სიტყვის კალკირებას, მაშინაც კი, როდესაც კალკირების არავითარი აუცილებლობა არ არსებობდა (და ასეა ძირითად შემთხვევებში), რადგან ქართული ენის მდიდარი ლექსიკა მას საშუალებას აძლევდა ბერძნული კომპოზიტების ნაცვლად ეხმარა მათი შესატყვისი ქართული სიტყვები. საქმე იმაშია, რომ ძალიან ხშირად კალკირების შედეგად მიღებული ქართული ფორმა ვერ ახერხებს იმ შინაარსის გადმოცემას, რომელიც მას ეკისრება და ქართული ტექსტი ბერძნული დედნის მოშველიების გარეშე გაუგებარი ხდება. ეს ვითარება გამოწვეულია იმით, რომ ბერძნულ სიტყვებს, როგორც წესი, აქვთ რამდენიმე, ერთიმეორის სრულიად გამომრიცხავი მნიშვნელობა. მთარგმნელი, ვაკეთებს რა ბერძნული კომპოზიტის კალკს, დააკისრებს მას ყველა იმ მნიშვნელობის გადმოცემას, რომლებიც აქვს შესატყვისი ბერძნულ ფორმას. მაგ: „წ ი ნ მ ო უ რ ნ ე ო ბ ა“, რომელსაც ბერძნულ დედანში შესატყვისება ყოველთვის ერთი სიტყვა — ἡ πρόσις, თარგმანში სამი სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება, რადგან ბერძნულ ἡ πρόσις-ს აქვს სამივე ეს მნიშვნელობა: ა) წინდახედულება, ბ) განგება (ღვთიური), გ) ზრუნვა. ასევე, ზ ე დ მ დ ე ბ ა რ ე ო ბ ა წარმოადგენს ბერძნულ ჯუ-ჯაქსის კალკს და აქვს ორი მნიშვნელობა: ა) ყოფნა, წოლა, ბ) დაქინებით მოთხოვნა. ორივე ეს მნიშვნელობა აქვს ბერძნულ ჯუ-ჯაქსის-საც: „ხოლო ზ ე დ მ დ ე ბ ა რ ე ო ბ ა ს ა ანგელოზისასა ვირმან, გუმულმან, მუკლო-იღვანა“ (წ. 4, თ. 6,3) ... ἡ ψαυμένησ (A,4109) = იქ მყოფობისას. „ხოლო მაღიანიტელთა, ვალაკოას ფრიად ზ ე დ მ დ ე ბ ა რ ე ო ბ ა ს ა და ვედრებისა მკურ-

⁶ „მაინე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1980, № 3, გვ. 10.

⁷ იქვე.

ვალისა მომღებლობასა, ...წარავლინნეს...“ (წ. 4, თ. 6,3) ... ἐγκατέλειπον
(A₁ 4₁₀₇)=დაყენებითი მოთხოვნის შედეგად.

არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ერთ სიტყვას თხზულების ქართულ თარგმანში აკისრია რამდენიმე მნიშვნელობის გადმოცემა, ბერძნულ დედანში კი ყველა ეს მნიშვნელობა სხვადასხვა სიტყვით არის გადმოცემული. ესეც აძნელებს ტექსტის გაგებას. მაგ.: სიტყვს გება ქართულ თარგმანში იხმარება სამი მნიშვნელობით: ა) თავის მართლება; ბ) ურთიერთობა; გ) წინააღმდეგობის გაწევა. ბერძნულ დედანში კი მას სამი სხვადასხვა შესატყვისი აქვს: „იოსიპოსს საუწყებთმპყრობელისა მიმართ ფრიადასა სიტყვს გებასა საჰოფდეს“ (წ. 2, თ. 6,6) ... ἀπολογία (A, 2₁₂₀)=თავს იმართლებდა; „ხოლო ლმერთი რაჲ მტილად მოვიდა, ადამოს, პირველად ვიდრემე სიტყვს გებად მისდამი მავალი, და მცნობელი უსამართლოებისა თვისისაჲ, განეშორებოდა“ (წ. 1, თ. 1,4) ... δμίλιαν (A, 1₄₅)=საურთიერთოდ (ქართულ თარგმანში აქ „სიამოვნებით ურთიერთობა“ იგულისხმება). „და რამეთუ უკუეთუ დედოფლისა მონად მყოფსა უქმს არარაჲს წინააღმდეგობისა ქმნაჲ, უფროსდა ამათ ბრძანებათა მიმართსა სიტყვს გებასა მრავალი აქუნდეს ჯმნულობაჲ“ (წ. 2, თ. 4,2) ... ἀντιλογία... (A, 2₄₃)=წინააღმდეგობის გაწევა, უარის თქმა.

განვიხილოთ სიტყვა „დიდგონიერი“, რომელიც ქართველი მკითხველისათვის ნიშნავს დიდად გონიერს, ბრძენს, ჭკვიანს. თხზულების ქართულ თარგმანში (და, რა თქმა უნდა, ბერძნულ დედანში) ამ სიტყვას აქვს „დიდსულოვნის, კეთილშობილის“ მნიშვნელობა: „...იქმენ მისა მიმართ დიდგონიერ“ (წ. 2, თ. 6,8) ... μεγαλόφρων (A, 2₁₄₁). საქმე იმაშია, რომ ბერძნულ ენაში ἢ φρόνησις გარდა „გონებისა“ ნიშნავს „გაგებას, გადაწყვეტილებას, სიამაყეს“. ამიტომ ბერძნული კომპოზიტი შეიძლება ნიშნავდეს „დიდსულოვანს“, ხოლო ქართულ „დიდგონიერს“ გაუჭირდება ამ მნიშვნელობის გადმოცემა.

ასევე: „ავეიმელებოს ...არასადა გარე შემწერე იყო ძალსა, უკუეთუ არა ყოველნი წარწყმინდა“ (წ. 5, თ. 7,5), ბერძნულ დედანში ამ ადგილას არის περιγράφω (A, 5₂₅₁). ამ სიტყვას, გარდა „გარშემოწერის“ (შემოფარგვლა, შემოხაზვა) მნიშვნელობისა, რაც მისი ზუსტი კალკირებით მიიღება, აქვს „შეწყვეტის, დამთავრების“ მნიშვნელობაც. მართალია, „შემოფარგვლა“ რამდენადმე გულისხმობს რაიმეს დამთავრებას, წერტილის დასმას, მაგრამ მკითხველისათვის მაინც საკმაოდ ბუნდოვანი რჩება, რომ „ავეიმელებმა არ შეწყვიტა ბრძოლა, სანამ ყველა არ დაიღუპა“.

„ქუე შ-იმოქმედნა რაჲ მალიადთა მიერ მეფემან...“ (წ. 4, თ. 6,4), ... ἄπιστοι ἄστυχοι (A, 4₂₂₃). ἄπιστοι ნიშნავს დახმარების აღმოჩენას. „ქუეშ-იმოქმედნა“ ზუსტი კალკია ბერძნული ἄπιστοι ἄστυχοι-ი და ქართველი მკითხველისათვის ძნელი გასაგებია, რომ იგი „დახმარებას“ ნიშნავს. თან-გნებულება (წ. 7, თ. 10, 5) ქართულ თარგმანში იხმარება „სიმპათიის, თანაგრძნობის, სიყვარულის“ მნიშვნელობით. ეს მნიშვნელობა აქვს ბერძნულ ἢ συμ-πάθειαι-ს (A, 7₂₅₃), რომლის კალკიც გააკეთა მთარგმნელმა (παθήη = ტკივილი, ვნება, ტანჯვა).

ამასთან, თარგმანში არის რიგი კომპოზიციებისა (ძირითადად „კეთილ“ და „ქუეშ“-ით ნაწარმოებნი), რომლებიც სრულიად გასაგებნი და გაცილებით ორგანულნი იქნებოდნენ ქართული ენისათვის თავიანთი პირველი შემადგენელი ნაწილის გარეშე. მაგრამ ამ შემთხვევაშიც მთარგმნელმა არ უღალატა ფორმათა კალკირების თავის პრინციპს, მაგ.: კეთილბედნიერება, კეთილდიდებაჲ,



კეთილნაყოფიერება, ქუეშმოხარკე, ქუემდამორჩილებული, ქუეშეულდამორჩილებული ქუეშეალმდებელი (= ცეცხლის წამკიდებელი).

«Можно только удивляться тем неисчерпаемым ресурсам, тем прямо-таки чародейским силам, которыми он располагал, чтобы с избытком находить в грузинской речи нужные материалы для передачи всех оттенков и переливов мыслей по образцу греческого языка, для преодоления всех трудностей в высшей степени отвлеченной и сложной диалектики»⁸.

ზემოთ მოყვანილი მასალა აშკარად ამ აზრის საწინააღმდეგოა. ფლავიოსის თხზულების ქართული თარგმანის ავტორი ყველაზე ნაკლებ სწორედ ქართულ ენაში ეძებდა საჭირო მასალას და ყველაზე ადვილი გზით, ფორმათა კალკირებით, თარგმნიდა.

უსამართლონი რომ არ ვიყოთ მთარგმნელის მიმართ, უნდა დავძინოთ, რომ ზოგჯერ კალკირების პროცესში წარმოიქმნება საკმაოდ საინტერესო კომპოზიტები, რომლებიც მათში ჩადებულ აზრს ხატოვნად ვადმოსცემენ. ასეთებია: „ვაკქიდი, ... აღმკედრებული იუდელთა ზედა, უსაქმოდ უქუნ-იქცა მეფისა მიმართ“ (წ. 11, სარჩ. № 17) *ἀπραχτος* (A, VII, გვ. 768) = უშედეგოდ (ე. ი. საქმის გაუკეთებლად). „კეთილმდენიერსა სრულ-ვკყოფდეთ ცხორებასა... ქუეყანასა მიმდებელნი ნაყოფიერსა და ზღუასა უზამთროსა“ (წ. 3, თ. 5,3) ... *ἀχευμάτων* (A, 3₈₈) = წყნარსა (*τό χειμα, ατος* = ზამთარი, უამინდობა, ქარიშხალი). დასაბამსიტყუაობა (წ. 1, თ. 3,9), *ἡ ἀρχαιο-λογία* (A, 1₁₀₇) = მოთხრობები ძველი ამბების შესახებ, ისტორია. სუბუქსიტყუაობა (წ. 2, თ. 6,7), *ἡ αἰσθη-λογία* (A, 2₁₃₀) = დაუფიქრებელ საუბარი. ნამეტაგმეტყულება (წ. 14, თ. 7,2), *ἡ περιτολογία* (A, 14₁₁₁) = ზედმეტი ლაპარაკი, ლაყბობა.

ნასახელარი ზმნები. ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში საკმაოდ ხშირია არაზმნური ძირებისაგან ზმნების წარმოება. ეს მოვლენა ძველ ქართულში ფეხმოკიდებულ ნეოლოგიზმად არის მიჩნეული⁹.

დ. მელიქიშვილს იოანე პეტრიწის როგორც ნათარგმნი, ასევე ორიგინალური თხზულებიდან მოჰყავს მაგალითები, როდესაც ნასახელარი ზმნის ფუძედ გამოყენებულია არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი სახელები, ნაცვალსახელი, მიმღეობები, ზმნიზედები, შორისდებულები, კავშირები და თხზული სახელებიც კი¹⁰.

ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში ნასახელარი ზმნების წარმოებას ასეთი ფართო ასპარეზი არა აქვს. ფუძედ ამგვარ ზმნებში გამოყენებულია არსებითი და ზედსართავი სახელები, მიმღეობები, აგრეთვე კომპოზიტები, რომელთა მეორე ნაწილი არის მიმღეობა (ზოგჯერ უარყოფითი).

1. ნასახელარი ზმნის ფუძეა არსებითი სახელი: შემდინარეობდეს... (წ. 2, თ. 6,1), *συνέρρεον* (A, 2₉₃). *συρ-რ-εω* = ერთად ჩამდინარეობა; მოიგელოვნა (წ. 1, თ. 15,1), *μυχανάται* (A, 1₂₃₉) = ჩაიღინა; იმოქალაქნა (წ. 4, თ. 2,1), *ἐπαλιεύσασα* (A, 4₁₃) = ილვაწა; მოქალაქობ-

⁸ Март Н. Я., Иоани Петрицкий, грузинский неоплатоник XI—XII века (ЗВО, т. XIX), СПб., 1910, გვ. 86.

⁹ ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ქართულში, თბილისი, 1954, გვ. 109.

¹⁰ დ. მელიქიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 133—139.



დედ (წ. 12, თ. 3,3), *πολιτευέσθωσαν* (A, 12₁₄₂)=საკუთარ სახელმწიფოში იცხოვრეთ. „...წერილი შევარიცხეთ“ (წ. 1, შეს.), *τὴν γράφην συνεμέτρησα* (A, 1₉)=გავაწონასწორე; „ესე შესამოსელი ვიდრემე არა სადაათ იუბეების“ (წ. 3, თ. 7,2), *κοιποῦται* (A, 3₁₆₈), *ὁ κίλπας*=ნაეკე, უბე; დაასაჯუმიონეს (წ. 12, თ. 6,2)=დაწვევს; „ხოლო მოვსი, და რამეთუ მრავალთავან შეკრებად ესმოდან შფოთისაჲ, შეშინებულან, ნუსადა კულად განიჭაბუკონ რაჲვე და იქმნეს დიდი რაჲმე და ბოროტი...“ (წ. 4, თ. 4,2) ...*νεωτερισωσι* (A, 4₈₃), *νεωτέρως*=სიახლეების შემოტანა, 2. სახელწიფო გადატრიალების მოწყობა; აღიჯვარეოდეს (წ. 12, თ. 5,4); ნისლოვნობდა (წ. 3, თ. 8,5); „ხოლო ველლეთს მენიშეობდა, მეტყუელი, ვითარმედ არა ჯაცთავან საკონებელ მიზან, არამედ ღმრთისა რომლისაჲ მიერ ქმნულნი,“ (წ. 15, თ. 2,6) ...*ἐτερχεῖσθε* (A, 5₂₇) *τερχεσθαι*=სასწაულების მოყოლა.

2. ნასახელარი ზმნის ფუძე არის ზედსართავი სახელი: „...ენენი რაჲმს თმათა თვსთა განუსაკუთრებდნენ...“ (წ. 4, თ. 4,4), ...*ἀπειρώσω* (A, 4₂) (=შესწირადენ, სხვის საკუთრებად გადააქვედნენ), *ἀφ—ἐρῶσαι*, *εἰς ἧ=მიძღვანა*; *ἀφ—ἀπο—* წინდ. დაშორების მნიშვნელობით. „...სკაროს... არისტოვლუსს შეესაკუთრა...“ (წ. 14, სარჩ. № 5), *προσέθετο* (A, V11, გვ. 718) (=შეუერთდა, მიემხრო), *προσ-τίθειμι*=შეერთება, ვინმეს მხარეზე გადასვლა. „...ელვარეობდეს თავნი მათნი ბრწყინვალეებისაგან ოქროსა...“ (წ. 8, თ. 7,3).

3. ნასახელარი ზმნის ფუძე არის მძმლეობა: მიმოქადულობდა (წ. 1, თ. 4,2); მყოფობდა (წ. 5, თ. 1,28); მიმსროლობდეს (წ. 3, თ. 14, 3); დადგრომილობდეს (წ. 13, თ. 1,5); ემონაცვლა (წ. 8, თ. 2,6; წ. 3, თ. 13,1); მომთხრობლობს (წ. 12, თ. 3,3); მელონეობენ (წ. 7, თ. 1,5); მფრინვალეობდა (წ. 3, თ. 1,5); მოთმინეობდეს (წ. 2, თ. 6,8); მემწყეშესეობს (წ. 1, თ. 19,3); ასაწყალობელეს (წ. 5, თ. 2,12); შეუჯდემელობდენ (წ. 4, თ. 8,26); უდარესობდა (წ. 3, თ. 11,4); უცალოობს (წ. 13, თ. 5,2); იუსჯულოებ (წ. 7, თ. 8,1); იკაცთმოყუარა (წ. 13, თ. 2,3); ძლუნისმრთუმელობდეს (წ. 3, თ. 6,1) ისიბრძინისმოყუარა (წ. 8, თ. 2,5) (*ἐφιλοσώφησε* A, 8₄₄); ნაცვალმელონეობდეს (წ. 12, თ. 9,5).

უქონლობის სახელთა წარმოება. იოსებ ფლავიოსის თხზულების ქართული თარგმანის ავტორი უქონლობის სახელებს ძირითადად უ-ო პრეფიქს-სუფიქსის მეშვეობით აწარმოებს, თუმცა გვხვდება ოდენ უ- პრეფიქსიანი წარმოებაც და წარმოება არა ნაწილაკის მეშვეობითაც: „უმაღლოდ მყოფმან... განიზრახა ვინებამ ქორწილისაჲ შენისაჲ“ (წ. 2, თ. 4,5) ...*ἀχάριστος* (A, 2₈₈)=უმაღლრად. „ვაქილი, ... აღმკვდრებული იუდეელთა ზედა, უსაქმოდ უკუნ-იქცა მეფისა მიმართ“ (წ. 12. სარჩ. № 17), *ἀπρακτος* (A, V11, გვ. 708)=უშედეგოდ. „ქალაქიცა უმკვდრო იქმნენ...“ (წ. 8, თ. 12,2) *ἀνάστυτοι* (A, 8₂₉₇). „ქეთილბედნიერსა სრულ-ჰყოფდეთ ცხორებასა... ქუეყანასა მიძღებულნი ნაყოფიერსა და ზღუასა უზამთროსა“ (წ. 3, თ. 5,3), *ἀχευμάστου* (A, 3₈₈); უსიტყო (წ. 2, თ. 6,5; წ. 5, თ. 8,3; წ. 8, თ. 1,4), *ἄλιος* (A, 2₁₁₇ 5₂₈₀ 8₁₃)=უაზრო, საფუძველსმოკლებული.

ეს სიტყვა სხვა მნიშვნელობითაც გვხვდება ქართულ თარგმანში: „ხოლო



არა ესრეთ მბრძნობნი და მრწმუნებელნი უსიტყუად განსაჯნა“ (წ. 4), *ἀπαραιτήτως* (A, 123) = დაუნდობლად, უყოყმანოდ. „...უნუგეშინისცემოსა განსაცდელსა შთავარდა“ (წ. 7, თ. 6,1). *ἀπαρηγορήτως* (A, 7119) = გამოუსწორებელი. უჭამადი (წ. 5, თ. 6,4), *ἀβρωτον* (A, 5219) = შეუქმელი; უცნაურყოფადი (წ. 1, თ. 18,5); უსაქმოობა (წ. 4, თ. 5,2), *ἡ ἀπραξία* (A, 487) = უმოქმედობა; უძვედროობა (წ. 14, თ. 10, 12), *ἀπραξία* (A, 14227) = საზღვრო სამსახურისაგან განთავისუფლება. უსართულო (წ. 1, თ. 19,1) = უსახურაუ. უსამართლობებულო (წ. 2, თ. 11,2); განუწილებელა (წ. 3, თ. 6,6); უკდემელი (წ. 13, თ. 11,3).

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, უქონლობის პრეფიქს უ-ს ბერძნულ დედანში ყოველთვის უარყოფის ნაწილაკი ა შეესატყვისება. ამ სახელთა დიდი ნაწილი დღეს არ იხმარება იმ მნიშვნელობით, რომელიც მათში ჩადებულთა ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში.

ხარისხის ფორმების წარმოება უფროობითი ხარისხის საწარმოებლად თხზულების ქართულ თარგმანში იხმარება უ—ეს პრეფიქს-სუფიქსი, რომელიც დაერთვის არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი სახელების ფუძეებს, მიმღობას, ზმნიზებას, კომპოზიტებს: უბრძოლესნი (წ. 3, თ. 2,1); უსიტყუერესი (წ. 2, თ. 5,4); უუგბილესი (წ. 13, თ. 14,2); უუყანამსკენელესი (წ. 3, თ. 1,1); უმკმუნეარესი (წ. 2, თ. 2,4); უგანთუსებულესი (წ. 4, თ. 2,4); უსაჭიროესი (წ. 7, თ. 6,1); უსაკუთრესი (წ. 10, თ. 4,2); უდასარწმუნებელესი (წ. 12, თ. 9,1); უშინაგანესი (წ. 8, თ. 7,2); უქუნეანესი (წ. 8, თ. 6,1), სიტყუაუღირსესი (წ. 3, თ. 2,3; წ. 4, თ. 3,1); უკეთილყამიერესი (წ. 3, თ. 8,9); უღირს-სიტყუესი (წ. 2, თ. 13,1).

—რე ნაწილაკი უფროობითი ხარისხის ფორმებთან, რომელსაც იოანე პეტრიწი საკმაოდ ხშირად ხმარობს¹¹, ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში თითო-ორორჯერ დასტურდება: „ამის ჩუენებისა მინდობილი უგულსმოდ გინესად რე ეგვპტედ ქეთა თანა და ყოველთა მისთა გარდაიცვალე-ბოდა“ (წ. 2, თ. 7,4), *πρὸς ὑμᾶς* (A, 2178).

ამასთან, როგორც იოანე პეტრიწთან¹², ასევე ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანშიც დასტურდება რამდენიმე მაგალითი, რომლებშიც უფროობითი ხარისხის ფორმები მხოლოდ —რე ნაწილაკით იწარმოება: „ამით ძლითი ვიდრემე უკუე სიტყუაე გამოწულილვითრე კულად მოვასწაოთ“ (წ. 3, თ. 10,7), *ἀκριβέστερον* (A, 3257) = უფრო დაწვრილებით. გამოწულილვითრე (წ. 3, თ. 9,3). „და მიმყვანებელმან მოფარულსარე კერძოსა ბჰისასა... სცა ქუეშე გუერდსა“ (წ. 7, თ. 1,5), *εἰς τὸ βῆρυπτερον τῆς πάλης* (A, 735) = უფრო დაშორებული.

—რე ნაწილაკის ხმარებას უფროობითი ხარისხის ფორმათა საწარმოებლად გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება მთარგმნელის ვინაობის მიახლოებით მაინც დადგენის საქმეში: „თუმცა თავდაპირველად უფროობითი ხარისხის ფორმებზე დართულ —რე ნაწილაკს „ოდნავ, მცირედ“ მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა,

¹¹ დ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 96.

¹² იქვე, გვ. 99.



მაგრამ დროთა განმავლობაში ... მოხდა მისი მნიშვნელობის გადაწევა „კიდევმნიშვნელობისაყენ. დაბოლოს, -რე ნაწილაკმა დამოუკიდებლადაც შესძლო ხარისხის ფორმების წარმოება. მაგრამ ეს მოვლენა მაინც კერძოობითის ფარგლებში უნდა განიხილებოდეს და არა ზოგადობის, რადგანაც მას გავრცელება არ ჰქონია. როგორც ჩანს, იგი გარკვეული ლიტერატურული სკოლების დამახასიათებელ მანერას წარმოადგენდა“¹³. (ერთ-ერთი ამ სკოლათაგანი უმუშევრად „პეტრიწონული“ უნდა ყოფილიყო).

სახელთა წარმოქმნა ბრუნვის ნიშანთა მეშვეობით.

1. მოქმ. ბრ-ის -ით ფორმანტი: „მიაწვინა მკვეალი მისი და იქმნა ზელფაისგანცა ძე ლადას, ბედებრიობითად ვინმე უწოდოს მას“ (წ. 1, თ. 19,7), *τῆς αἰῶνος* (A, 1306)=ბედი. „ხოლო იუდა, მამისა მარწმუნებელმან წარვლინებად ყრმასა და სხუათაცა შინა მოქმედებითად მყოფმან მამაკაცმან...“ (წ. 2, თ. 6,8), *ἡ πατριάρχης* (A, 2139)=ენერგიული, ვაჟეცური. „მქონებელმან ვბოსა ერთსა ჩუეულეებითსა, და სახლსა შინა ზემოურნეობისა და ზრდისა ღირსქმნილსა მის მიერ...“ (წ. 6, თ. 14,3), *συστήμῃ* (A, 6339)=მოჩვეული, მოშინაურებული. „და, მიახლებულნი მათნი სიტყუად, ევედრებოდეს არა შურვებად მათდა მილებასა შეუნიერებისა მათისასა, არცა ჩუეულეებითისა მიახლებისასა“ (წ. 4, თ. 6,7)... *πλησιάζειν συστήματι* (A, 4131). *ἡ συστήματι*=ახლო ურთიერთობაში ყოფნა, ფიზიკური კავშირის დამყარება. „მნებავს შენი, არა შეძრწუნებულისაა შიშისაგან, თნებად ჩემდა მომართუე ვილითისა სიტყუასა“ (წ. 2, თ. 5,5), „სასჯელისაგან უკუე მოკველოებითისა ზედაჲს განუტევა იგი“ (წ. 1, თ. 2,1), *τῆς ὀφθῆς* (A, 1588). „ხოლო მარცხენითისა, და შეემთხეოდა ყოფაჲ დიმიტროსს, იძლია“ (წ. 13, თ. 2,4)=მარცხენა მხარე.

2. ვითარებითი ბრუნვის -ად ფორმანტი: ვით. ბრ-ის -ად ნიშანი თარგმანში საკმაოდ ხშირად დაერთვის მასდარის ფუძეს. ამ გზით მიღებულ ფორმას დ. მელიქიშვილი განიხილავს როგორც „შესაძლებლობის მიმღობას“¹⁴. ასეთსავე კვალიფიკაციას აძლევს ამ მოვლენას ნ. ნათაძე¹⁵.

იოანე პეტრიწი ხშირად მიმართავს ამგვარ წარმოებას¹⁶. მოვიყვანთ მსგავს მაგალითებს განსახილველი თარგმანიდან: გულსავსებადი (წ. 2, თ. 2,4); კელთდასხმადი (წ. 5, თ. 7,2)=არჩეული; კელითპყრობადნი (წ. 2, თ. 10,2)=ადვილად მოსათენიერებელნი; წინამძღუარყოფადი (წ. 2, თ. 7,3)=ის, ვინც წინამძღვარი უნდა გახდეს. მარჯუეყოფადი (წ. 3, თ. 7,5)=მოსახერხებელი; მღლექმნადი (წ. 4, თ. 2,3); კელყოფადი (წ. 2, თ. 12,4); უცნაურყოფადი (წ. 1, თ. 18,5); დაცვადი (წ. 2, თ. 6,8)=ის, ვინც იცვება. ქმნადი (წ. 11, თ. 6,10); მიმართებადნი (წ. 3, თ. 2,3)=მიმართულნი; მიმცემადნი (წ. 12, თ. 7,3); წარწყმედადი (წ. 11, თ. 6,8)=ის, ვისაც დაღუპვა ელის. შემთხუევადი (წ. 11, თ. 6,10); მოსვლადი (წ. 8, თ. 13,4); მბრძოლადნი (წ. 8, თ. 11,2); მიმღებელადნი (წ. 8, თ. 11,2); მსმენადი (წ. 8, თ. 8,2); უცხოებადი (წ. 8, თ. 9,1).

სიტყვათა წარმოქმნა თანდებულეების მეშვეობით

-ებრ-ებრივ: „რაოდენნი და ამის წინაწარმეტყუელისათჳს ეპოვენი

¹³ დ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 99.

¹⁴ დ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 130.

¹⁵ ნ. ნათაძე, შესაძლებლობის მიმღობათა წარმოებისათვის თანამედროვე ქართულში, იკე, XIII, 1962.

¹⁶ დ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 131.



ევრაელებრთა წიგნთა შინა აღწერილინი (წ. 9, თ. 10,2); „სიმრავლესა მკედრებრივისა... შეჭკრებდა“ (წ. 11, თ. 8,3); „მუშაკებრივად მყოფი ფრიად მოუტრნე იყო“ (წ. 9, 10,3); „უმეტეს მთავრებრივი ცხოვნებაჲ სასჯელისაჲ“ (წ. 2, თ. 6,8); „წუთითლებითა თავისუფლებრივითა წუთითა“ (წ. 2, თ. 4,1).

- თანა: „რამეთუ არა შეერთებოდეს ხანანელთა ისაკოასთანანი“ (წ. 1, თ. 18,8) *ὁ παρὶ τὸν Ἰσαακ* (A, 1277) = ისაკის მახლობლები. „ამასთანა მხილველნი მტერთა დასჯილთანი“ (წ. 2, თ. 16,4), *πρωτεύ* (A, 2346) = ამასთან ერთად.

- ქუე შე: „ღმერთსა... მრავალნი ნათესავნი მიეცნეს მათდა კელღს-ქუე შედ“ (წ. 8, თ. 6,3), *ἐπιχοίρα* (A, 8161) = ქვეშევრდომად; *კელისქუეშე* (წ. 2, სარჩ. № 3) (წ. 8, თ. 6,3).

ზედა: „შეკრულ არს ესე პეტეფრის მიერ. მზარაულთზედა დასა“ (წ. 2, თ. 5,4)... *ἐπὶ τὸν μαυρίαν* (A, 278) = მზარეულების უფროსი. „მისცეს მომრგულებული ყელისზედა ოქროსაჲ“ (წ. 10, თ. 11,2), *περιεσχύναν* (A, 10225) = ის, რაც ყელზეა შემოხვეული, აქ: ჯაჭვი. „მბრძანებელმან წიგნთა მიცემად წესისზედათათეს, მაშინლა მამაკეთა ამბორს-უყო“ (წ. 12, თ. 2,11), *ἐπὶ τῆς τάξεως* (A, 1292) = ის, ვისაც ეხება შესაბამისი საქმე.

ყველა მოყვანილი მაგალითი ბერძნული ფორმების კალკია: ცალკეა თარგმნილი ბერძნული წინდებული და სახელადი ნაწილი.

ხელობის სახელების წარმოება. დღეს მე—ე პრეფიქს-სუფიქსი ხელობის სახელებს აწარმოებს. ამავე ფუნქციით გვხვდება ის ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში, როდესაც დაერთვის არსებით და ზედსართავ სახელებს, აგრეთვე ზმნიზედას და აწარმოებს მათგან სახელს, რომელსაც აქვს რაიმე საქციელის ჩამდენის მნიშვნელობა: მელდესასაულთ (წ. 3, თ. 5,1) (წ. 12, თ. 4,7); მეცხედრე (წ. 8, თ. 9,1) = ლოგინად ჩავარდნილი; მეთერთე (წ. 8, თ. 7,3); მეკმე (წ. 11, თ. 3,9); მეუნებლ (წ. 11, თ. 6,12) = დამნაშავე. ნაცვალმეველოვნე (წ. 1, თ. 19,7); მდღელმეწიგნე (წ. 2, თ. 9,2; 10,2); მუცილითმეზლაპრე (წ. 6, თ. 14,2); კეთილმემდღელე (წ. 8, თ. 4,2).

იოანე პეტრიწთან მე—ე პრეფიქს-სუფიქსი დაერთვის ზმნის სუფთა ფუძეს და აწარმოებს მათგან გასუბსტანტივებულ მიმღობას¹⁷. დ. მელიქიშვილი ვარაუდობს, რომ ეს მე—ე პრეფიქს-სუფიქსის უძველესი ფუნქცია უნდა ყოფილიყო.

მიმღეობათა წარმოება. აქ განვიხილავთ როგორც მარტივი სახით არსებულ მიმღეობებს, ასევე იმათაც, რომლებიც კომპოზიტის მეორე შემადგენელი ნაწილებია. ცალ-ცალკე გამოვყოფთ სასუბიექტო და საობიექტო მიმღეობების წარმოებას და შევეცდებით იმის ჩვენებას, თუ რამდენად მისდევს ფლავიოსის თხზულების ქართული თარგმანი ამ მხრივ ძველი ქართული ენის დადგენილ ნორმებს.

1. სასუბიექტო მიმღეობების წარმოება.

ა) მ-: მ- პრეფიქსი სასუბიექტო მიმღეობების წარმოებისას დაერთვის თემისნიშნით გავრცობილ ფუძეს, პირიანი ზმნის სუფთა ფუძესა და მასდარის სუფიქსიან ფუძეს: მმეუარობი (წ. 7, თ. 8, 2); დიდმბრძნობი (წ. 5, თ. 6,4);

¹⁷ დ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 119.

თანშემწყობი (წ. 1, თ. 8,2); ზემთმბრძნობი (წ. 1, თ. 11,1); წინაგანმწყობი (წ. 1, თ. 20, 2); თანამდები (წ. 2, თ. 6,8); თანამქცევი (წ. 2, თ. 5,1); ნაეის-მმართნი (წ. 8, თ. 6,4); თანგანმზრახი (წ. 2, თ. 6,8); ზრახვათმბრძობი (წ. 13, თ. 5,5); ნაცვალმკდომნი (წ. 13, თ. 14,2); წინმდგომი (წ. 5, თ. 1,1); წარმ-სრბოლი (წ. 1, თ. 2,3); თანამყოფი (წ. 2, თ. 3,1; 9,5; წ. 3, თ. 3,1).

ბ) მ—არ: მღღელმწიგნობარი (წ. 2, თ. 9,2); წარმდინარი (წ. 3, თ. 7,2); წინამგებვარნი (წ. 6, თ. 10,1); გარემომდინარი (წ. 1, თ. 1,3); თუთომკუდარი (წ. 3, თ. 11,2).

გ) მ—არე: თანამდებარე (წ. 2, თ. 3,2); თანამსდრენი (წ. 12, თ. 4,9).

დ) მ—ე. თხზულების ქართულ თარგმანში სასუბიექტო მიმღეობის ამგვარი წარმოების სულ რამდენიმე მაგალითს ვხვდებით: მიმლოდე (წ. 3, თ. 1,7); თანაშემწე (წ. 4, თ. 6,5); განმგონე (წ. 2, თ. 6,8).

ე) მ—ელ. მ—ელ პრეფიქს-სუფიქსიანი წარმოება ძველ ქართულში ძალიან იყო გავრცელებული. ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანშიც მიმღეობათა წარმოების ყველაზე მეტი მაგალითი სწორედ ამ სახის წარმოებაზე მოდის. მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმე მათგანს. შემწეველი (წ. 2, თ. 16,4) (ძეგლში დასტურდება პარალელური ფორმა: თანაშემწე. წ. 4, თ. 6,5); განმპობელი (წ. 8, თ. 7,7); მიმსყიდელი (წ. 3, თ. 12,3); მომყურძნველი (წ. 4, თ. 8,21); სიტყუამყოფელი (წ. 11, თ. 7, 1); შემნდობელმქმნელი (წ. 2, თ. 6,8); მღღელმგალობელი (წ. 11, თ. 5,1); ყრმისმყვანებელი (წ. 9, თ. 6,5); შემსაკუთრებელი (წ. 1 4, თ. 1,3); წინაგანმცემელი (წ. 2, თ. 7,5) = მოლაღატე...

ვ) მა—ელ. საკმაოდ ნაყოფიერი მაწარმოებელია სასუბიექტო მიმღეობისა როგორც ძველ ქართულში, ასევე ჩვენს ძეგლშიც: მარწმუნებელი (წ. 4, თ. 8,38); ფვნიტმაცენებელი (წ. 3, თ. 1,3); თანშემაწყობელი (წ. 2, თ. 9,6); თანმახლობელი (წ. 6, თ. 3,6) = მეზობელი; წარმავლენელი (წ. 12, თ. 8,5); წინამომასწავებელი (წ. 2, თ. 7,3); წინამაუწყებელი (წ. 2, თ. 2,2); გარემიმამქცეველი (წ. 2, თ. 4,3).

ზ) მე—ელ. პრეფიქს-სუფიქსი მე—ელ იოანე პეტრიწთან დასტურდება მიმღეობის მხოლოდ ორ ფორმაში: „მეტყუელი“ და „მეძიებელი“¹⁸.

ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში მე—ელ პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოებია მიმღეობის ერთი ფორმა: „მეტყუელ“: ნაცვალმეტყუელი (წ. 4, თ. 8,26) = უარისმთქმელი; ცრუხმეტყუელნი (წ. 11, თ. 4,4); ზედმეტყუელი (წ. 6, თ. 13,9).

თ) მო—. ოდენ მო- პრეფიქსით ნაწარმოებია ორიოდ სასუბიექტო მიმღეობა: „თუთ რჩეულქმნილმან მო ბ ა ძ ა ვ ა დ მისდა მისგან შობილნი დაუტენვა“ (წ. 1, თ. 2,3) = მიმზამველად. „ფვნიკნი... ძნელმოზარდნი იყვნეს“ (წ. 3, თ. 1,3).

ი) მო—არ. მიმღეობის მო—არ პრეფიქს-სუფიქსური წარმოება ძველ ქართულში სულ რამდენიმე ძირში გვხვდება (მოცინარ, მოძღუარ, მოციხარ, მომზირალ). ეგვევ ფორმები დასტურდება იოანე პეტრიწთანაც¹⁹. ჩვენს ძეგლში ძალიან ხშირია „მოძღუარ“ ფორმა როგორც თავისთავად, ასევე კომპოზიტის შემადგენელ ნაწილად: „მღღელმოდღუარ“.

ი) მო—ე. საკმაოდ გავრცელებული წარმოებაა თხზულების ქართულ თარგმანში: მონატრე (წ. 1, თ. 19,7) = ბედნიერი (ის, ვისაც შენატრიან);

¹⁸ იქვე, გვ. 119.

¹⁹ იქვე, გვ. 120.



მონაცე (წ. 9, თ. 10,2)=მეზღვაური; მოვიწყენი (წ. 2, ^{მეზღვაური} 2, ^{მეზღვაური} 2, ^{მეზღვაური} 2); კეთილმოცალე (წ. 8, თ. 2,6); პათივისმოყუარე (წ. 8, თ. 6,5); ნაწლევთმოყუარე (წ. 7, თ. 10,5)=თავისიანების მოყვარული; მიზეხთმოყუარე (წ. 3, თ. 1,5)=გაკიცხვის მოყვარული; ძერმოქსენე (წ. 2, თ. 8,1); კეთილმოწლე (წ. 1, თ. 13, 2)=კეთილგანწყობილი; თანმოპასაკე (წ. 2, თ. 11,1)...

ია) მო—ედ. კეთილმოქმედი (წ. 2, თ. 8,1; თ. 6,8)=კეთილი საქმის ჩამდენი; პურისმოქმედი (წ. 2, თ. 5,3); ბოროტისმოქმედი (წ. 2, თ. 6,6; 6,7); თანამოქმედი; (წ. 1, თ. 18,5)=შემწე; თანამოქმედნი (წ. 4, თ. 8,21)=ერთად მომუშავენი.

არის ერთი საინტერესო ფორმა, რომელიც ნაწარმოებია როგორც სასუბიექტო, მაგრამ აქვს გავება საობიექტო მიმღეობისა: „ოისიოს, რაქილას შვილმოქმედი, იაკოვოს... უმეტეს უყუარდა“ (წ. 2, თ. 2,1)=რაქილას შვილი, ნაშობი.

იბ) მო—ურ (მო—ულ). ეს მაწარმოებელი ძველ ქართულში რამდენსამე ფორმაშია მხოლოდ შენარჩუნებული, ასევე იოანე პეტრიწთანაც²⁰. ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში დასტურდება ამგვარი წარმოების ორი მაგალითი: ნაცვალმოსაჯული (წ. 8, თ. 2,2)=მოწინააღმდეგე მხარე სასამართლო პროცესის დროს. პირველმოწვევნი (წ. 2, თ. 14,4)=ადრე მომხდარი.

იგ) იელ(<—იერ). „ღმერთმან წინაგანგებამ აღუთქუა და მინიჭებამ იზეხსა, რომელსამე სურვიელ არიან“ (წ. 1, თ. 3,5)=მსურველ.

ამგვარად, ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში სასუბიექტო მიმღეობები შემდეგი აფიქსებით იწარმოება: მ-, მ—არ, მ—არე, მ—ე, მ—ელ, მა—ელ, მე—ელ, მო-, მო—არ, მო—ე, მო—ედ, მო—ურ (მო—ულ), -იელ,

სასუბიექტო მიმღეობის ყველა ამ სახის წარმოება ჩვეულებრივია ძველი ქართულისათვის. თარგმანში არ გვხვდება ისეთი სახის წარმოებები სასუბიექტო მიმღეობებისა, რომლებიც დასტურდება იოანე პეტრიწთან და რომლებიც რამდენადმე განასხვავებენ პეტრიწის ენას ძველი ქართული ენისაგან. ესენია: წარმოება სასუბიექტო მიმღეობებისა -ო სუფიქსით (სხვადასხვა პრეფიქსთან კომბინაციაში); წარმოება მა—ე პრეფიქს-სუფიქსით (ძვ. ქ. „მაცხონე“ ფორმას პეტრიწი უმატებს „მაუწყე“ მაგალითს); მე- პრეფიქსიანი წარმოება, რომელიც უძველესი ვითარების ამსახველად არის მიჩნეული²¹ და რომელსაც არცთუ იშვიათად მიმართავს პეტრიწი. რაც შეეხება მე—ე პრეფიქს-სუფიქსს, იგი დღეს ხელობის სახელებს აწარმოებს მხოლოდ და თხზულების ქართულ თარგმანში სწორედ ამ დანიშნულებით გამოიყენება (მუცლითმელაპრე, ნაცვალმეპელოვნი, მღდელმეწიგნი...). რაც შეეხება იოანე პეტრიწს, იგი ამ პრეფიქს-სუფიქსს ურთავს ზმნის სუფთა ფუძეს და მისი მეშვეობით აწარმოებს სასუბიექტო მიმღეობებს (მეცნიე, მეუწყე, მეტრფე...) ²².

იოანე პეტრიწი სასუბიექტო მიმღეობების წარმოებისას იყენებს მი- პრეფიქსსა და მი—ე მი—ურ პრეფიქს-სუფიქსებს, რომელშიც მას მი- გავებული

²⁰ დ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 121.

²¹ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942, გვ. 126.

²² დ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 119.



აქვს პრეფიქსად, რომელსაც მო- პრეფიქსის შენაცვლება შეუძლია²³. ფლავიოსის თხზულების მთარგმნელი სასუბიექტო მიმღეობის წარმოების ამგვარ ბერძნულს არ მიმართავს.

2. საობიექტო მიმღეობების წარმოება.

წარსული დროის საობიექტო მიმღეობების წარმოება. წარსული დროის საობიექტო მიმღეობა ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში იწარმოება -ილ, -ულ სუფიქსებითა და ნა- პრეფიქსით. ამგვარივე წარმოება წარსული დროის საობიექტო მიმღეობებისა დასტურდება იოანე პეტრიწთანაც²⁴. რაც შეეხება ძველ ქართულს, იქ წარსული დროის საობიექტო მიმღეობის მაწარმოებელი აფიქსები უფრო მრავალფეროვანია (ნა-პრეფიქსი გვხვდება -ილ, -ულ, -ურ, -არ სუფიქსებთან კომბინაციაში; გვხვდება ნე- სუფიქსიც გაქვევებულ ფორმებში)²⁵.

-ილ: აღდნობილი (წ. 8, თ. 11, 1); ერთსიტყუაქმნილი (წ. 4, თ. 7,3); კეთილქმნილი (წ. 2, თ. 9,3); ბოროტქმნილი (წ. 2, თ. 6,8); შვილქმნილი (წ. 2, თ. 12,1); მდაბალქმნილი (წ. 1, თ. 10,4); პირველშობილი (წ. 1, თ. 4,2); მწუერვალდაპირილი (წ. 5, თ. 2,21) = ხელ-ფეხ მოჭრილი; ძლევაშემოსილი (წ. 6, თ. 10,1); გაყოფილი (წ. 1, შეს. № 1); თანმორჩილი (წ. 5, თ. 1,21)... კიდევ მრავალი მაგალითის მოყვანა შეგვიძლია.

-ულ: შეზრუნევებული (წ. 10, თ. 2,1); მოქმედებული (წ. 1, შესავ. № 2); მიმლაგრებული (წ. 12, თ. 2,3); დაკარგებული (წ. 9, თ. 3,1); გარდასახეებული (წ. 8, თ. 11,1) (ამ მაგალითში ფუძისეული ე შენარჩუნებულია თემისნიშნისეული ე-ს გვერდით), აღმოსულებული (წ. 8, თ. 11,1); ცრუვებული (წ. 8, თ. 9,1); ჩინებული (წ. 8, თ. 4,6); მეფობული (წ. 6, თ. 3,4) და სხვა მრავალი.

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, -ულ სუფიქსით იწარმოება მიმღეობები -ებ, -ავ და -ევ თემისნიშნისანი ზმნებიდან, აგრეთვე ნასახელარი -ევ თემისნიშნისანი ზმნებისაგან (ვერმომთხუეული).

ნა-. ამგვარი წარმოება საობიექტო მიმღეობისა ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში არ არის პროდუქტიული. სულ რამდენიმე მაგალითს ვხვდებით: „...სრულიად დაკვეა ტაძარი და განწესებულთა მსხუერპლთა შეწირვაჲ დააყენა და განძარცუა იგი აღნადებთა“ (წ. 9, თ. 12,3) = შეწირული τὸν ἀναθημάτων (A, 9257); „რომელი შობს ესევითართა ცვალებათა და სხეულთაცა და ქუეყანისა და ნერგთა და ყოველთა მის მიერ შენადგამთა გარემოქცევასა შინა წელთა“ (წ. 6, თ. 1,2) = ყველაფრის ერთიანობა, ყველაფერი დანარჩენი: συνησταῖς (A, 6₉).

3. მომავალი დროის მიმღეობათა წარმოება. მომავალი დროის საობიექტო მიმღეობების მაწარმოებელთაგან ფლავიოსის თხზულების მთარგმნელს გამოყენებული აქვს სა- პრეფიქსი და სა-ელ და სა-ო პრეფიქს-სუფიქსები.

სა-: „ხოლო პომპიოს შინაგან დაიბანაკა ვორიოთ კერძო სამღდელოჲსა, რომლით საბრძოლცა იყო“ (წ. 14, თ. 4,2) = ადვილად დასამორჩილებელი (ἐπιμαχῶν A, 14₆₁); „ხოლო იყო ფრიალ ძნელსაბრძოლ ადგილი“... (წ. 2, თ. 10,2) = ძნელად ასალები, δυσπολιόρητος (A, 224₉). „ამისა შემდგომად სამსკუალთა მიერ და შესაჯრშავთა შეაქრნეს იგინი...“ (წ. 12, თ.

²³ იქვე, გვ. 121.

²⁴ დ. მელოქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 123.

²⁵ ევ. ოსიძე, მიმღეობის წარმოება ქართულში, თბილისი, 1957.



2,9) ...περόνας (A, 1270) = დასამაგრებელი (ჭანჭიკი). შესამსგავსი (წმინდული მისაქუმელი) 15,3) = მსგავსი; შორისასროლი (წ. 4, თ. 5,2); ზედააღსავალი (წ. 3, თ. 7,7); ἐπίβαρα (A, 3181) = მისაწვდომი.

სა—ელ: „იონათის... აუწყნა მას კეთილნი და საცხოვრებელნი მამისაგან“ (წ. 6, თ. 11,2) ...σάρψια (A, 6212) = გადასარჩენი; „და ნაცვალანწერიცა ბრძანებისაჲ, საუწყებელად გონიერებასა მეფისასა, დამარხვად აგრძნეს“ (წ. 12, თ. 2,3) = დამამტკიცებელად; კმასაყოფელნი (წ. 1, თ. 15, 1); მრავალწარსაგებელი (წ. 8, თ. 9,1) = ძვირად ღირებული; ღირსსარწმუნებელი (წ. 5, თ. 1,27); ძნელსაკურნებელი (წ. 2, თ. 5, 6); თანამისაქუმელი (წ. 4, თ. 7,3) = თან წასაღები.

სა—ო.

ა) საჭირო (წ. 2, თ. 6,8) = ის, რაც სჭირდება ადამიანს; ბ) საჭირო (წ. 7, თ. 14,10) = ძნელი; ადვილსარიცხო (წ. 2, თ. 15,1); ძნელსამთავრო (წ. 4, თ. 2,1); ძნელსარწმუნო (წ. 4, თ. 2,1); საუმჯობესო (წ. 8, თ. 2, 1); სამეცნიერო (წ. 11, თ. 6,12) = ცნობილი.

ამგვარად, განვიხილეთ რა ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში მიმღეობათა წარმოება და გზადაგზა შევეცადეთ შეგვედარებინა იგი მიმღეობათა წარმოებისათვის იოანე პეტრიწთან, მივედით იმ დასკვნამდე, რომ სასუბიექტო მიმღეობათა წარმოების ის თავისებურებანი, რომლებიც ახასიათებს პეტრიწის ენას და რამდენადმე განასხვავებს მას ძველი ქართულისაგან, არ დასტურდება ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში. მთარგმნელი ძველ ქართულ ენაში არსებულ მაწარმოებლებს არ ხპარობს იმისათვის, რომ ახალი, ენისათვის მანამდე უცნობი ფორმები აწარმოოს. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორც ეკ. ოსიძე წერს: „შესაძლებელია, მიმღეობის ფორმათა ხელოვნურად წარმოება იოანე პეტრიწთან განსაკუთრებული, ფილოსოფიური ტერმინოლოგიის შექმნის მიზნით იყოს გამოწვეული“²⁶. ფლავიოსის თხზულების ქართულად თარგმნისას კი ფილოსოფიურ ან სხვა რომელიმე ტერმინოლოგიის შექმნის აუცილებლობა არ არსებობდა და, ამდენად, არც მიმღეობათა ხელოვნური ფორმების შექმნის აუცილებლობა იყო. თუმცა, ჩვენი აზრით, ეს ახსნა მაინც ვერ გამოგვადგება იმის დასასაბუთებლად, რომ ერთ მთარგმნელს შეეძლო მიმღეობათა ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებული წარმოება მოეხდინა ორ სხვადასხვა ძეგლში.

ამგვარად, განვიხილეთ რა რთული სახელების გადმოღება ბერძნულიდან ქართულ ენაზე და სასუბიექტო მიმღეობების წარმოება ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში, მივედით იმ დასკვნამდე, რომ მთარგმნელი ძეგლისა არის არა იოანე პეტრიწი, არამედ ერთ-ერთი მისი მიმღევართაგანი, ეგრეთ წოდებული „პეტრიწონული სკოლის“ წარმომადგენელი.

²⁶ ეკ. ოსიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 89.

Н. Г. МЕЛИКИШВИЛИ

СЛОВООБРАЗОВАНИЕ В ГРУЗИНСКОМ ПЕРЕВОДЕ
 «ИУДЕЙСКИХ ДРЕВНОСТЕЙ» ИОСИФА ФЛАВИЯ

Резюме

В статье изучены три группы композитов, представленных в грузинском переводе памятника Иосифа Флавия «Иудейские древности»: 1. именные, 2. глагольные, 3. композиты, составленные из бесформенных слов. Показано, что эти композиты являются кальками греческих форм и очень часто не передают того содержания, которое имеют соответствующие греческие сложные слова. Поэтому иногда затрудняется правильное понимание перевода без привлечения греческого подлинника.

Изучены отымённые глаголы и слова, образованные посредством отрицательных аффиксов. Показано, что переводчик образует превосходную степень посредством прибавления частицы -რე [re] к основе слова, что является особенностью только некоторых литературных школ. Изучены также способы образования новых имен посредством падежных окончаний и предлогов.

В статье показано, что переводчик образует причастия посредством только тех аффиксов, которые были хорошо известны в древнегрузинском языке.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ძველი ქართული ფილოლოგიის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა

მ ა ი ა რ ა ვ ა ვ ა

 ა მონ ი ო ს ე რ მ ი ა ს ი ს თ ხ ზ უ ლ ე ბ ე ბ შ ი დ ა დ ა ს ტ უ რ ე ბ უ ლ ი
 ბ რ ა მ ა ტ ი კ უ ლ ი ხ ა ს ი ა თ ი ს ც ნ ო ბ ე ბ ი .

ამონიოს ერმიასის ფილოსოფიური თხზულებები საყურადღებოა იმით, რომ იქ, გარდა წმინდა ფილოსოფიური პრობლემებისა, მოცემულია სხვადასხვა ზასიათის მსჯელობა მათემატიკის, მუსიკის, გრამატიკის, ფიზიოლოგიის თუ სხვა სფეროდან. მსგავსი მეცნიერული შეხედულებანი, როგორც ცნობილია, მყარ საფუძველს წარმოადგენდნენ შუასაუკუნეობრივი მეცნიერული პროგრამებისათვის.

ამიტომ სავსებით გასაგებია ის ინტერესი, რასაც ამ ძეგლებში დაცული მეცნიერული ტერმინოლოგია იწვევს. იგი საინტერესოა მეცნიერებათა ისტორიული განვითარების თვალსაზრისით, ასევე წმინდა ლიტერატურულ-ენათმეცნიერული თვალსაზრისით. როგორ არის ესა თუ ის ტერმინი შეხამებული ქართულ სინამდვილეს? ქართულ თარგმანში არსებული ბევრი ტერმინი უთარგმნელად არის გადმოსული ბერძნულიდან, ბევრისთვის კი დაძებნილია ქართული შესატყვისი. ზოგი მათგანი სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა და დღესაც არის მეცნიერულ სიტყვათხმარებაში.

ჩვენ ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ გრამატიკულ ტერმინებზე, რომლებიც ტექსტში დასტურდება ფილოსოფიურ, უფრო ზუსტად ლოგიკურ, ცნებებთან დაკავშირებით.

მეცნიერებათა ამონიოს ერმიასისეულ კლასიფიკაციაში გრამატიკა ტრივიუმის ერთ-ერთი წევრია რიტორიკისა და დიალექტიკის გვერდით. მოცემულია საყურადღებო დასკვნები გრამატიკის რაობის, ასევე ზოგი გრამატიკული მოვლენის შესახებ. ჩვენთვის ისინი იმდენად არის საყურადღებო, რამდენადაც მათი სახით საქმე გვაქვს გრამატიკული აზროვნების საწყისებთან ქართულ სინამდვილეში, ადრინდელი ხანის ქართულ-გრამატიკულ ტერმინოლოგიასთან.

ქართული გრამატიკული ლიტერატურის ჩამოყალიბებას, როგორც ცნობილია, მე-18 ს. მიაკუთვნებენ, როცა შეიქმნა ანტონ I-ის „ქართული გრამატიკა“. ანტონის გრამატიკამ დასაბამი მისცა ქართული გრამატიკული აზროვნების შემდგომ განვითარებას. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია ანტონის გრამატიკის მეცნიერული თუ ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა, დაძებნილია მისი წყაროები და შეფასებულია მისი როგორც დადებითი, ისე უარყოფითი როლი ქართული გრამატიკული მეცნიერების ისტორიის განვითარების საქმეში (2).

ანტონის გრამატიკამდე რამდენიმე წლით ადრე ქართული გრამატიკის შექმნის პირველი ცდა ეკუთვნის ზურაბ შანშოვანს. შანშოვანის გრამატიკას მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვს. სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული აზრის თანახმად, „ქართული გრამატიკული ლიტერატურის ძეგლთაგან XVIII ს-ის დამდეგზე ადრინდელი ჯერხნობით არ მოიპოვება“ (1, გვ. 141). ეგვივე აზრი გამოთქმული აქვს პირველი ქართული გრამატიკის ავტორს ანტონ



I-ს: „ღრამმატიკა არა სადა ვისმინეთ, არცა ნაშთთა წიგნთა შინა მყოფ, შემყენული დგომად ოკრებისა, და არცა პირველ, რათა იყომცა ჩუენსა ზედა ენისა“ (8, 4 V).

ანტონის ასეთი განცხადება, როგორც ალ. ცაგარელი შენიშნავს, სამართლიან გაკვირვებას იწვევს, რადგან ანტონი სხვა შრომებში, კერძოდ „წყობილ-სიტყვაობაში“, რამდენიმე ძველი დროის ქართველ მოღვაწეს გრამატიკოსად მოიხსენიებს: იოანე პეტრიწი, არსენი იყალთოელი, ეფრემ მცირე „საღმრთო გრამატიკოსად“ და სხვა ეპითეტებით არიან შემკული მის მიერ (11, გვ. XI). ეს ყურადსაღები ფაქტია. ანტონ კათალიკოსისათვის უცხო არ იქნებოდა ის წვლილი, რაც კლასიკური ხანის მოღვაწეებს შეეძლოთ დაემჩნიათ გრამატიკული აზროვნების ისტორიისათვის. სრულიად გამორიცხულია, რომ მრავალმხრივსა და მრავალდარგოვან ძველ ქართულ-მწერლობაში აღრეული პერიოდიდანვე თავი არ ეჩინა გრამატიკული ხელოვნებით, ანუ მეცნიერებით, დაინტერესებას. ამის უტყუარი საბუთია თუნდაც იოანე პეტრიწის „განმარტებებში“ გახვეული ცალკეული გრამატიკული შეხედულებანი, მისი ენობრივი ხასიათის დაკვირვებანი.

ასეთივე მშვენიერი საბუთია სულ ახლახან პროფ. მზ. შანიძის მიერ გამოვლენილი გრამატიკული ტრაქტატი „ართრონათეს“, რომელიც საყურადღებო გრამატიკულ ნაშრომს წარმოადგენს.

ჯერ კიდევ საძებნია და მისაკვლევი ჩვენს ლიტერატურულ ძეგლებში დადასტურებული ცალკეული გრამატიკული ხასიათის ცნობები, როგორც აუცილებელი წინაპირობა ქართული ენათმეცნიერული აზრის შესწავლის ისტორიისა.

სწორედ ამ მხრივ იმსახურებს ყურადღებას ამონიოსის თხზულებათა ქართული თარგმანები, რომლებიც შესრულებულია მე-13 ს-ში¹.

ძეგლში გარკვეულია გრამატიკის, როგორც ხელოვნების, ფუნქცია. რას სწავლობს გრამატიკა? ეს ზოგადი საკითხია, რომელსაც უკავშირდება სხვა კონკრეტული საკითხები: ფლექსიის განსაზღვრა, ბრუნება და ბრუნვები, ეკფონეტიკური ნიშნები. ტექსტში დადასტურებული გრამატიკული ტერმინების შინაარსისა და ბუნების წარმოჩენის მიზნით ისინი შედარებული იქნება იოანე პეტრიწისა და ანტონ I-ის თვალსაზრისთან.

თავიდანვე მხედველობაში უნდა ვიჭონოთ, რომ ამონიოს ერმიასი გრამატიკულ ცნებებს, როგორც დამოუკიდებელ ფენომენს, არ განიხილავს. ისინი მჭიდრო კავშირშია ლოგიკურ ცნებებთან, მათი შინაარსი ლოგიკით არის განპირობებული. ამდენად სახეზე გვაქვს ლოგიკისა და გრამატიკის, აზროვნებისა და მეტყველების ურთიერთმიმართების ისეთი სახე, რომელიც არისტოტელის ლოგიკისა და მისი კომენტარებისათვის იყო ნიშანდობლივი.

ამონიოსის შეხედულებით, „ღრამმატიკოსობაა არს გამოცდილებაა სიტყუსმოქმედთა და აღმწერელთამიერი, ვითარ სამრავლოდ სათქუმელ არს“ (10, 70 V), რაც ნიშნავს იმას, რომ გრამატიკა არის პოეტთა და მწერალთა (რომელთა შორის იგულისხმება გადამწერიც) უნარი მრავლის მიმართ თქმისა

¹ ორივე თხზულება — „მოსახსენებელი „ხუთთა კმათადმი“ პორფირი ფილოსოფოსისათა“ და „მოსაქსენებელი „ათთა კატილორიათადმი“ არისტოტელისთა“ დაუტულია რამდენიმე ხელნაწერის მიხედვით, რომელთაგან უძველესია S 2562 (XIII—XIV სს.). ამ თხზულებათა მთარგმნელად იოანე ტარიჭისძე ითვლება (ზოგი მკვლევარი მათ თარგმნას იოანე პეტრიწს მიაწერს). 9. ნაკნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1981, № 4

(ანუ გარკვეული წესებისა და ნორმების მრავალზე გადატანისა). ეს განმარტება ამონიოსისა ორიგინალური არ არის. ეს აზრი დიონისე თრაკიელს ემყარება. ამონიოსი დიონისეს გრამატიკით სარგებლობს.

სხვათა შორის, დიონისე თრაკიელის ამავე განმარტებას მიმართავს იოანე პეტრიწი, ოღონდ, რასაკვირველია, იგი განსხვავებულ თარგმანს იძლევა: „ღრამატიკოსობა არს გამოცდელი მოქმედთა და აღმწერელთა, ვითარცა მრავალთა რათმე ზედა გამოთქუმელობისა“ (5, გვ. 223). აშკარაა იოანე პეტრიწისა და ამონიოსის თარგმანს შორის განსხვავება.

ანტონ I, რომელიც თავისი გრამატიკის წყაროდ მხითარ სებასტიელის გრამატიკას იყენებს, გრამატიკის ორგვარ განსაზღვრებას იძლევა: ერთია: „ღრამატიკა არს კელოვნება წრფელთქმობისა და უცთომელქსუსა“ (8, 101 r), ხოლო მეორე მსგავსია ამონიოს ერმიასის ზემომოყვანილი განსაზღვრებისა, ეყარება დიონისე თრაკიელის განმარტებას: „ღრამატიკა არს გამოცდილება სიტყუსმოქმედთა და აღმწერელთა ზედამიწვენილთა მიერი“ (8, 83 r).

ამონიოსის განმარტებით, გრამატიკის ფუნქცია მდგომარეობს იმაში, რომ იგი სწავლობს წინადადებას და მის შემადგენელ ნაწილებს: „ს ი ტ ყ ვ ა მ ს ა ხ ე ლ თ ა მიმართ და თ ქ უ მ ა თ ა, და ამათი მ ა რ ც უ ა ლ თ ა მიმართ, და მათი ასოთა მიმართ, და ამას უკუე [ასწავებენ] ღრამატიკოსნი (10, 121r) — შდრ. *Οἷον τὸν λόγον εἰς ὀνόματα καὶ ῥήματα καὶ ταῦτα εἰς συλλαβὰς καὶ ταῦτα εἰς τὰ στοιχεῖα κα' ταῦτα μὲν οἱ γραμματικοί*: (13, გვ. 36—3).

ამ ფრაზაში შემდეგი გრამატიკული ცნებები გვხვდება: „ს ი ტ ყ ვ ა“ იხმარება დღევანდელი „წინადადების“ შინაარსით; „სახელი“ უდრის დღევანდელ „სახელს“; „თ ქ უ მ ა“ ცნებით გადმოცემულია დღევანდელი „ზმნა“. გვხვდება „მ ა რ ც ვ ა ლ ი“ და „ასო“, რომელიც დღევანდელ ბგერას გამოხატავს. რა აზრია აქ?

სიტყვა ანუ წინადადება იშლება სახელებად და ზმნებად, ეს უკანასკნელნი — მარცვლებად, ხოლო მარცვალი — ასოებად. ამრიგად, მარტივიდან რთულისაკენ რიგი ასეთია: ასო — მარცვალი — სახელი//თქუმა — სიტყვა. ასე გაერთიანდა გრამატიკის ქვეშ ფონეტიკა, მორფოლოგია და სინტაქსი.

ეგვევ აზრი ამონიოსის მეორე შრომაში, „კატეგორიების კომენტარებში“, ისევ მეორდება: „ვითარ ინებოს თუ ვინმე სწავლება, ვითარ ჯერ-არს შეწყობა ს ი ტ ყ უ ა თ ა მ, პირველად წარმოიტყუს სახელთათუს და რიმათა, და უწინარეს მათსა მ ა რ ც უ ა ლ თ ა თ უ ს და მერმე მათსაცა უწინარეს ასოთათუს (10, 236 r).

განსხვავებას მხოლოდ ერთი სიტყვა იძლევა ტერმინთა გამოყენების მხრივ. „ზმნის“ გაგებით ერთგან არის „თქუმა“, ხოლო მეორეგან ბერძნული სიტყვაა: „რიმა“. ორივე შესატყვისია ბერძნ. *ῥήμα*-სი.

ამრიგად, 1. სიტყვა (*λόγος*) არის წინადადება, 2. სახელი (*ὄνομα*) — სახელი, 3. თქუმა // რიმა (*ῥήμα*) — ზმნა, 4. მარცვალი (*συλλαβή*) — მარცვალი, 5. ასო (*στοιχεῖον*) — ბგერა.

გრამატიკის ზოგადი ფუნქციის აღნიშვნის შემდეგ, ამონიოს ერმიასის მიერ არაერთგზის არის აღსანილი წინადადების ნაწილები: სახელი და ზმნა. ავტორი მკვეთრად მიჯნავს იმ პრინციპულ ნიშნებს, რომლებითაც ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან.

აი, ეს ადგილი ტექსტიდან: „იგივე ქმნეს ღრამმატიკოსთა ვმათა ზედა, რამეთუ მნებებელთა უზომოებისა ვმათაჲსა წარმოთქუმასა და ვერ შემძლებელთა, შეკრიბნეს რომელნიმე უკუე ვმანი ზიარობისა რაჲსმე მიმართ სახელისაჲსა, ხოლო რომელნიმე ეგვეითარისა ზიარობისა რაჲსმე მიმართ სიტყუასაჲსა და ესრეთ ყვენს რვა მითმიერნი ნაწილნი სიტყუასანი, რომელთა მიმართ აღვლენ ყოველნი თითოეულად ნიშნოვნობითნი ვმანი“ (10, 101 r). ავტორის სიტყვებით, ყველა ხმა, ე. ი. დანაწევრებული ბგერებით გამოთქმული სიტყვები (φάση), გრამატიკოსთა მიერ დაყოფილია 2 ჯგუფად: ერთნი განეკუთვნებიან სახელებს („ზიარობისა რაჲსმე მიმართ სახელისაჲსა“), ესენი არიან (ზოიμα), ხოლო მეორენი — ზმნებს („ზიარობისა რაჲსამე მიმართ სიტყუასაჲსა). ესენია რჩიμα. ასე იქმნება სიტყვის, ანუ მეტყველების, 8 ნაწილი.

აღნიშნულ კონტექსტში ისევ ნაცნობი ტერმინები გვხვდება. ესენია: „სახელი“ (ზოიμα) და მისი საპირისპირო შინაარსის მქონე „ზმნა“ (რჩიμα), რომელიც ამჯერად სხვა ქართული შესატყვისით არის გადმოცემული. ეს არის „სიტყვა“. აღნიშნულ კონტექსტში ორჯერ მეორდება ტერმინი „სიტყვა“. მეორეჯერ ნახმარ „სიტყვას“ სხვა მნიშვნელობა აქვს. ეს არის „მეტყველება“. იგი შესატყვისია ზერძნული გრჯიჲსა. როცა სიტყვის რვა ნაწილზეა საუბარი, იგულისხმება მეტყველების რვა ნაწილი. „მეტყველების“ მნიშვნელობით ჩვენს ტექსტში სხვა ტერმინიც იხმარება. ეს არის „ლექსი“. იგი შეესატყვისება ბერძნულ ჰქჲჲს-ს. „ღრამმატიკოსნი“ ლექსთა ყოველთა რვათა რათმე ზოგადობათა ქუეშე აღიყვანებენ“ (10, 246 v).

მეტყველების რვა ნაწილის გამოყოფა დამახასიათებელია ტრადიციული გრამატიკებისათვის, რომელთა წყაროს დიონისე თრაკიელის გრამატიკა წარმოადგენს.

ამრიგად, ქართული თარგმანის „სიტყვა“ პოლისემიურია. იგი იხმარება სხვადასხვა მნიშვნელობით:

1. წინადადება (გრჯიჲს).
- სიტყვა—2. მეტყველება (გრჯიჲს),
3. ზმნა (გრჯიჲს, რჩიმა).

ირკვევა, რომ ბერძნული დედნის სინონიმები — ჰ გრჯიჲს და რ ჩიმა — ქართველმა მთარგმნელმა ერთი შესატყვისით გადმოსცა. ეს არის „სიტყვა“. როგორც ჩანს, ქართველი მთარგმნელი სინონიმურ მნიშვნელობათა უნიფიცირებას ახდენს ერთი ტერმინის გამოყენების გზით.

ეს რომ ასეა, ჩანს შემდეგი ორი ადგილის შედარებიდან:

„თითოეული საქმეთაგანი ერთცა არს და მრავალ. და ამისთვის დაინიშნვის თითოეული სახელისა მიერცა და სიტყუა მიერ. სახელისა მიერ ვიდრემე, ოდეს ერთისა რაჲსმე შორის იხილვებოდის, ხოლო სიტყუასა მიერ, ოდეს ვითარცა მრავალკერძოდ, ვითარ-იგი კაცსა დაჲვნიშნავთ სახელითაცა „კაკი-საითა“ და სიტყუათაცა, მეტყუელთა: „ცხოველი სიტყვერი, მოკუდავი“ (10, 142 v).

სრულიად აშკარაა „სახელისა“ და „სიტყვის“ მნიშვნელობა. სახელი აღნიშნავს ერთ რამეს, იგი არის ზოიმა. „სიტყვას“ კი აქვს ზმნის, ლოგიკური პრედკატის მნიშვნელობა. იგი არის გრჯიჲს. ნიმუშად მოყვანილია: სახელია „კაკი“, სიტყვა — „ცხოველი სიტყვერი, მოკუდავი“.



მეორეგან დაახლოებით ამავე აზრის მსჯელობა დასტურდება სახელწოდებით განმარტებულია, როგორც სუბიექტი ან ობიექტი, ხოლო სიტყვა ბრძნის სიტყვად აღიარებულია, ანუ ის აზრი, ის პრედიკატი, რაც სუბიექტ-ობიექტზე ითქმის: „სახელებთანადა უკუე შორის მოქმედება შეუღლებილ არს და კმაა, ხოლო სიტყუათადა — ძალი“ (10, 109 v). ბერძნულ ორიგინალშია: *τοις μὲν ὀνόμασι ἐνεργεία συσχεύεται ἢ ἔστι φωνή, τοις δὲ πράμασι δυνάμει* (13, 27 — 7). შედარებამ ნათელყო, რომ ეს ფრაზა ქართველი მთარგმნელის მხრივ სწორად არ არის გაგებული. სახელებთან მოქმედება და ხმა კი არ არის შეუღლებილი, არამედ უნდა იყოს ასე: სახელებთან მოქმედებით შეუღლებილ არს ხმა, ხოლო სიტყვებთან — ძალი; ანუ სახელები, გამოხატავენ ხმას, სახელწოდებას, ხოლო სიტყვები — აზრს, პრედიკატს.

ორსავე შემთხვევაში ქართულ „სიტყვას“ აქვს აზრის, ლოგიკური პრედიკატის მნიშვნელობა, ოღონდ პირველგან იგი შესატყვისება ჯერჯერ-ს, მეორეგან — *პრამა*-ს.

როგორც ვხედავთ, ქართველი მთარგმნელი ამა თუ იმ გრამატიკული ცნების გადმოსაცემად ტერმინთა ძიებისა და შერჩევის პროცესის წინაშე იდგა. ჯერ კიდევ არ ჩანს ერთი გარკვეული სტაბილური სურათი.

აღნიშნული ტერმინები იოანე პეტრიწის მიერაც არის გამოყენებული: „ნაწილი თქუმისანი, თუ რაა სახელი და რაა სიტყუა“ (5, გვ. 220). განსხვავება მხოლოდ „თქუმა“ მნიშვნელობაშია: თუ „თქუმა“ ამონიოსის ტექსტში გამოიყენებოდა „ზმნის“, „პრედიკატის“ მნიშვნელობით, პეტრიწი მას ხმაოლბს „მეტყველების“ გაგებით.

სხვა სურათია ანტონის გრამატიკაში. გრამატიკის ობიექტი ანტონის მიხედვით არის: 1. წიგნი, 2. მარცვალი, 3. ლექსი, 4. სიტყუა (8, 62 r). შდრ. ამას ამონიოსის თარგმანი. იქ არის: 1. ასო, 2. მარცვალი, 3. სახელი|თქუმა|რიომა, 4. სიტყუა. განსხვავებულია ანტონის „წიგნი“, რომელიც სომხური დედნით არის განპირობებული, სადაც წერია *ყბრ* და „ლექსი“, რომლის ნაცვლად ამონიოსის თარგმანში გვაქვს: სახელი|თქუმა.

გრამატიკული ტერმინოლოგიის თვალსაზრისით საინტერესოა ბრუნებასა და ბრუნებებთან დაკავშირებული ტერმინები. მთარგმნელი თანმიმდევრული არც აქ ჩანს. იგი ერთი და იმავე ტერმინის გადმოსაცემად ხან ბერძნულ სიტყვას იყენებს, ხან ქართულ შესატყვისს უძებნის მას.

ფლექსია გადმოცემულია ორი ტერმინით. ესენია: ქართული ძირიდან ნაწარმოები „დაკუთვა“ და ბერძნული ნასესხობა „პტოსი — *πῶσις*. პტოსის არსი, ავტორის გაგებით, მდგომარეობს სიტყვის სუფიქსაციის ცვლაში; მისი სიტყვებია: „სთქუა რაა განყოფილთაო პტოსითა, ცხად-ყო გარდანაკუთულემა დასასრულისა მარცულისა“.

ამ ნიშნით პტოსის ქვეშ ბრუნებაც უნდა გავიგოთ. მითითებულია ორგვარი პტოსი: მართლისაებრ პტოსი და იგურდიობისა პტოსი.

„ხოლო რამასამართსა რომელსამე მართლისაებრ პტოსისა ვიტყვთ, ხოლო რომელსამე — იგურდიობისა რამსაებრმე. ვითარ მამაა ძისა მამაა“. „მართლისაებრ პტოსი“ არის *χάρισμα* *πῶσις*-ის ადგილას და ნიშნავს „პირდაპირ ბრუნვას“, ხოლო „იგურდიობისა პტოსი“ (*πλάγιον πῶσις*) უღრის ირიბ ბრუნვას.

დაახლოებით ამავე შინაარსის კონტექსტში ქართულ თარგმანში სხვაგვარად გილას სხვა ტერმინი იხმარება. კერძოდ, პტოსის ნაცვლად არის „დაკუეთვა“: „ოდეს საქმეთაჲ უკუე გუენებოს დანიშნაჲ, კატეეთიამსა დაკუეთვი-საებრ დავჰნიშნავთ: კაცი, ცხენი, ვარი. ხოლო ოდეს კერძოჲ რამეჲ საქმეთაჲ ანუ საქმეთაძლითი იყოს რამეჲ, გენიკისა მიერ დავჰნიშნავთ, ვითარ უკუე თქუათ: სოკრატისი“ (10, 112 v).

როგორც ვხედავთ, კატეეთიამსა დაკუეთვიის ნიმუშად მოხმობილია ასეთი მაგალითები: კაცი, ცხენი, ვარი, ანუ სახელობითი ბრუნვის ფორმები. „კატეეთია“ სიტყვით ბერძნული *κατά* წინდებულნიანი *εμφύει* სიტყვა არის გადმოტანილი, *εμφύει* კი ნიშნავს „სწორს“. ქართველი მთარგმნელი ამ ფორმას სხვა ადგილას „ვეთია“ სიტყვითაც გამოხატავს.

„ვეთია“ და „კატეეთია“ ერთმანეთის სინონიმებია და გამოიყენება სახელობითი ბრუნვის აღსანიშნავად. „ვეთია“ || „კატეეთისა“ ქვეშ სახელობითი ბრუნვა რომ იგულისხმება, ჩანს მაგალითებიდან: „კაცი“, „ვარი“, რომელთაც უპირისპირდება „გენიკი“ ანუ ნათესაობითი ბრუნვა: „სოკრატისი“.

სახელობით ბრუნვას მესამე შესატყვისიც აქვს ქართულ თარგმანში. ეს არის ისევ ბერძნული სიტყვა „ორთი“ (*ἑξήκει*).

ქართულ თარგმანში დასახელებულია სხვა ბრუნვებიც: ნათესაობითი, მიცემითი და მიზეზობითი.

ნათესაობითი ბრუნვა გადმოცემულია ხან ბერძნული სიტყვით: „გენიკი“ „ოდეს კერძოჲ რამეჲ საქმეთაჲ ანუ საქმეთაძლითი იყოს რამეჲ, გენიკისა მიერ დავჰნიშნავთ“ (10, 112 v), ხანი კი საკუთრივ ქართული შესატყვისით, როგორცაა: „ნათესაობითი“: „ანაგები რომელ არს, ნათესაობითისა მძმართ გარდაეცემის, რამეთუ ეკტისაჲ ითქუმის ექის“ (10, 335 v). მიცემითი ბრუნვისათვისაც ორმაგი ტერმინია: „დოტიკი“ (*δοτική*) და „მიცემითი“: „ღრამბატიკონსი ორთისაგან გენიკისა მიმართ და დოტიკისა“ (236 v). „გარდაეცემისო...“ ანუ ვითარ რამეჲ სხუებრ“, ესე იგი არს ანუ მიცემითისა მიმართ ანუ მიზეზობითისა“ (10, 334 v).

„მიზეზობითი“ ტერმინი შესატყვისია ბერძნ. *ἡ αιτιατική*, ანუ აკუსატივი ბრუნვისა. ამრიგად:

სახელობითი — ვეთია, კატეეთია, ორთი;

მიცემითი — მიცემითი, დოტიკი;

ნათესაობითი — ნათესაობითი, გენიკი;

აკუსატივი — მიზეზობითი.

ბრუნვათა აღნიშვნა ისევ „პტოსის“ გაგებას უკავშირდება, ხოლო მთლიანად ეს გრამატიკული ხასიათის მსჯელობა მოყვანილია თანმოსახელეს, ანუ ომონიმების, კომენტირებასთან დაკავშირებით.

ომონიმების ავტორისეული ანალიზი საინტერესოა იმ მხრივ, რომ იგი საყურადღებო ცნობებს შეიცავს პროსოდის ნიშნებზე.

როგორც ვიცით, ამ პერიოდის წერილობითი ძეგლები ძალზე მწირ ცნობებს გვაწვდიან პროსოდის ნიშნებზე. როგორც მუსიკალური ინტონაციის აღნიშვნელი ეეფონეტიკური ნიშნები, ისინი დადასტურებულია H—1349 და Q—908 ხელნაწერებში (3, გვ. 54—56). პროსოდის ნიშნებს იცნობს იოანე პეტრიწი (5, გვ. 221). „ტონი“, როგორც პროსოდის სინონიმური ტერმინი, და „წერტილი“, როგორც პუნქტუაციის ფარდი სიტყვა, ნახსენებია S—1463



(XII ს.) ხელნაწერის ანდერძში. პროსოდის ნიშნებს ამ პერიოდის მე ხელნაწერში მიუთითებს ლ. ჭაჭაია (6, გვ. 189—190).

მაგრამ არსად (გარდა იოანე პეტრიწის შრომებისა) აღრინდელ ლიტერატურულ წყაროებში არ არის განმარტებული მათი შინაარსი და მნიშვნელობა, ე. ი. არ არის გახსნილი მათი ენობრივ-გრამატიკული ფუნქცია. ასეთ ვითარებაში საგანგებო მნიშვნელობას იძენს ამონიოსის შრომებში დადასტურებული თეორიული მსჯელობა პროსოდის ნიშანთა ფუნქციებზე.

პროსოდის ნიშნები გვხვდება ომონიმების განხილვისას.

ავტორის შეხედულებით, თანამოსახელეა სიტყვები, რომელთაც ერთი და იგივე ტონოა, პტოსი და პნეემატოსი||პნეემა აქვთ. რას ნიშნავს ტონოა, პტოსი და პნეემატოსი?

ქართულ თარგმანში ვკითხულობთ: „თანმოსახელეთა უკმან სამნი ესე: ტონოა, პტოსი, პნეემატოსი. რამეთუ უკუეთუ ვპოვნეთ რადმე სახელნი ერთითა რომლითამე ამათგანითა განყოფილად, არა არიან თანმოსახელებ, ვითარ-იგი ამას ზედა, ვითარმედ არლოს და არლოს. აჰა, აჰა ტონოს-მან განყენა, რამეთუ პაროქსუნომენი დაპნიშნავს პელოპონნისონს შინასა ქალაქსა, ხოლო ოქსუნომენი დაპნიშნავს უგვანესსა კაცსა, რამეთუ ვიტყუთ მრავალ-გზის ვისთვისმე არლოსი არსო.“

ეგრეთვე პტოსისაცა ზედა ვიტყუთ უკუჲ: ო ელატის და ი ელატი. და ონისა მიერ ვიდრემე აბორონისა დაენიშნეთ მარბეველი, ხოლო ონისა მიერ დაენიშნეთ ხე ელატი. ვინაჲცა ამისთვის არ იყვენ თანმოსახელე შეცვალებისათჳს პტოსისა.

ამათვე ვიტყუთ, ვითარმედ ო უონ. დასუნომენი სადმე დანიშნავს „გეგვითარსა“, ხოლო ფსილომენი „მარტოსა“, რომლისათჳს არცა ესე არს თანმოსახელე.

ხოლო ამას კმასა ზედა, ვითარმედ „ეას“ ტონოსიცა იგივე არს და პტოსი გეგთივე, არამედ პნეემატოსიცა ზიარი ორთავე ზედა და შეემთხუევის მათვე თანამოსახელე-ყოფაჲ“ (10, 255 v—256 r).

კონტექსტიდან ირკვევა, რომ ტონოა არის გრამატიკული მახვილი (ῥόνη), რომელიც სიტყვის სემანტიკურ მნიშვნელობას ცვლის. ქართულში ბერძნულიდან გადმოსული სიტყვა გვაქვს. დასახელებულია მახვილის ორი სახეობა: ოქსუნომენი და პაროქსუნომენი. ერთიცა და მეორეც არის ბერძნულის მკვეთრი მახვილი (accentus acutus), ოღონდ ისინი განსხვავებულია იმის მიხედვით, თუ ბოლოდან რომელ მარცვალზე არიან. ოქსუნომენი (ἄκυστος) სიტყვას, დაესმის ბოლოდან პირველ მარცვალზე, ხოლო პაროქსუნომენი (παροξυσμῆστος) ბოლოდან მეორე მარცვალზე. მოხმობილი მაგალითები თვალნათლივ აჩვენენ იმას, რომ იმის მიხედვით, რომელ მარცვალს მოუდის მახვილი, იცვლება სიტყვის მნიშვნელობა: არლოს (ἀρῶς), რომელსაც ოქსუნომენი მოუდის, ნიშნავს „ზანტს, დაგვიანებულს“. ხოლო პაროქსინომენიანი არლოს (ἄρως) არის ქალაქის სახელწოდება პელოპონნისში. ოქსინომენი და პაროქსინომენი მახვილთა წყალობით ეს სიტყვები ომონიმებად არ ჩაითვლება.

მეორე პირობა, რომელიც განაპირობებს ომონიმების არსებობას, არის ის, რომ შეცვლილი არ უნდა იყოს პტოსი. პტოსი, რომელიც ბერძნ. πῶμαჲ სიტყვაა, როგორც აღვნიშნეთ, ნიშნავს ფლექსიას. ნიმუშად მოყვანილია „ო ელატის“ და „ი ელატი“ სიტყვები. „ო ელატის“ არის ბერძნ. ὀ ἐλάτης-ის შესატყვისი (სახეზეა იტაციზმი). ავტორის განმარტებით, სიტყვის ო

(ბ) ართრონიანი ფორმა ნიშნავს „მარბეველს“. მართლაც, ὁ ἐλάτης მდევარის, გამრეკვის, მტყორცნელის მნიშვნელობა. ხოლო მეორე სიტყვაში „ი ელატი“ (ἡ ἔλατη) ი(ჩ) ართრონიან ფორმას სხვა მნიშვნელობა აქვს. იგი ნიშნავს ხე ელატს, ანუ ნაძვს. „ო ელატის“ და „ი ელატი“ ომონიმებად არ ჩაითვლება, რადგან შეცვლილია პტოსი: „არ იყვენ თანმოსახელე შეცვალები-სათუს პტოსისა“.

ერთგვარ გაუგებრობას ბადებს ამ მაგალითებში ართრონზე ყურადღების გადატანა. გამოდის, რომ ὁ (ბ) და ი(ჩ) ართრონების, ე. ი. განსხვავებული გრამატიკული სქესის გამო, არ არის დასახელებული სიტყვები ომონიმები. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ პტოსის ავტორისეულ განმარტებას, რომელსაც იგი სხვა ადგილას იძლევა, რომ პტოსი უკანასკნელი მარცვლის შეცვლას გულისხმობს — „გარდანაკუთლებით დასასრულისა მარცვლისა“, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ „ო ელატის“ და „ი ელატი“ ომონიმები არ არის იმიტომ, რომ სხვადასხვაა მათი ბრუნვის ფორმა.

მესამე პირობა ომონიმების გამოყოფისა არის პნევმატოსი. პნევმატოსი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს სიტყვის შემართვას, знаки придыхания. პნევმატოსის ნიმუშად დასახელებულია დასუნომენი და ფსილომენი. დასუნომენი არის ბერძნ. δασυσμένον და ნიშნავს „ძლიერ შემართვას“ (spiritus asper), ხოლო ფსილომენი უდრის ბერძნ. ψιλόμην — და ნიშნავს „სუსტ შემართვას“ (spiritus lenis). მათ ნიმუშად დასახელებულია სიტყვა „ო კონ“. დასუნომენი შემართვით ამ სიტყვას აქვს „ეგვეითარის“ მნიშვნელობა და, მართლაც, ὀσιν-ის მნიშვნელობაა „ასეთი“, „მსგავსი“, „ხოლო ფსილომენი შემართვით ὀσιν სიტყვა ნიშნავს „მარტოს“.

ამკარაა, რომ სხვადასხვა პნევმატოსი, ანუ სხვადასხვა შემართვა, განაპირობებს იმას, რომ ეს სიტყვები ომონიმები არ არის.

იმის შემდეგ, რაც ავტორმა დაამტკიცა, რომ პტოსით, ტონოათა და პნევმატოსით განსხვავებული სიტყვები ომონიმები არ არიან, მას მოჰყავს ნამდვილი ომონიმის ნიმუში: ეას — Αἴξ, რომელშიც ტონოა (მახვილი), პტოსი (დაბოლოება) და პნევმატოსი (შემართვა) ერთი და იგივეა. (ეას არის სალამინის მეფის ძე და ეას არის ლოკრთა მეფის ძე).

როგორც ვხედავთ, მახვილის, ფლექსიისა და შემართვის ფუნქციონალური არის საკმაოდ ზუსტად არის მითითებული ამონიოს ერმიასის მიერ. ქართულ მთარგმნელს ეს გრამატიკული ტერმინები უთარგმნელად გადმოაქვს თავის თარგმანში. ასევე უცვლელად არის განმარტებული მათი შინაარსი ბერძნული ენის მონაცემების საფუძველზე.

აღნიშნული გრამატიკული ცნებები გარკვეულ პარალელს პოულობენ პროსოდის იმ ნიშნებთან, რომლებიც აღნიშნულია იოანე პეტრიწის მიერ. იოანე პეტრიწი ტერმინთა ქართული შესატყვისების პარალელურად მათ ბერძნულ სახელწოდებასაც ასახელებს: მის მიერ დასახელებულია პროსოდის 10 ნიშანი, რომელთაგან ჩვენ გამოვყოფთ სამს, რომელთაც პარალელი ეძებნებათ ამონიოსის ტექსტში. ესენია: პეტრიწთან: ოქსია, დასია, ფსილი; ამონიოსთან: ოქსუნომენი, დასუნომენი, ფსილომენი.

ოქსია მკვეთრი მახვილია (მახვილი, რომელ არს ოქსიაჲ), დასია და ფსილი კი ფშვინის ნიშნებია. პეტრიწის განმარტება: „დასია, რომელ არს წყნა-



რად წარსავლელი სიტყვასაჲ; „ფსილი, რომელ არს წული“ (5. გვ. 221) მარტავს 'spiritus asper-ისა და spiritus lenis-ის მნიშვნელობას დასაწყისად წყნარად წარვლა, ფშვინვიერ შემართვას გადმოსცემს, ხოლო ფსილი — წულ ანუ მარტივ შემართვას.

პროსოდის ამ ნიშანთა პეტრიწისეული განმარტება გამოყენებული აქვს სულხან-საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში. მხოლოდ სულხან საბას ფსილის განმარტება არაზუსტად მოუღია. საბა წერს: „ფსილი სადა სიტყვას უჯდეს, წულილად ანუ უკუსაქცეველად“. საქმე იმაშია, რომ „უკუსაქცეველი“ პეტრიწის ტექსტში ეკუთვნის მომღვენო ნიშანს, ტროფოსს და საბას იგი შეცდომით მიუწერია ფსილისათვის. პეტრიწის განმარტებანი ასე უნდა წავიკითხოთ: „ფსილი, რომელ არს წული; ანუ უკუსაქცეველი, რომელ არს ტროფოს“... ფსილი რომ როგორც წული უნდა განიმარტოს, ამას მხარს უჭერს ანტონისეული განმარტებაც. ანტონი პროსოდის ყველა ნიშანს თარგმნის ქართულად.

მ ო მ რ გ უ ლ ე ბ ი თ ი ს (ჩვენი გაკებით მახვილი) ერთ-ერთი სახეობაა ნ ა ხ ლ ი. ეს იგივეა, რაც ჩვენი ოქსუნომენი. (accentus acutus). ს უ ლ ი ს კ უ ე თ ი თ ი ს (ჩვენი გაკებით ფშვინვა) სახეებია: ბ რ ჯ გ უ, რომელიც დასუნომენის ფარდია, და ლ ი ტ ო ნ ი, რომელიც ფსილომენს უდრის. ამრიგად, ფ ს ი ლ ო მ ე ნ ი | პეტრიწის ფ ს ი ლ ი, ანტონის განმარტებითაც არის ლ ი ტ ო ნ ი. (8, 192 r).

როგორც განხილული მასალიდან ჩანს, ქართულ წერილობითს ძეგლებში აღრეული პერიოდიდან დაეკუთვნა გრამატიკული ხასიათის ცნობები მახვილის, ფშვინვის, ასევე მარცვლის ბუნებისა და რაობის შესახებ. ყველგან შესამჩნევია ბერძნული წყაროების გავლენა.

ცნობილია, რომ ბერძნულ საღვთისმსახურო ძეგლებში დადასტურებულია ეს და სხვა ფონეტიკური ნიშნები?

კიდევ ორმა გრამატიკული შინაარსის ტერმინმა მიიპყრო ჩვენი ყურადღება. ესენია: დასუნტაქსება და შესაკრავი | საკრველი.

დასუნტაქსება ტერმინით აღნიშნულია წინადადებაში წვერთა განლაგება. ასე რომ, ცნება „სინტაქსი“ ჯერჯერობით ყველაზე აღრე ამ ძეგლშია დადასტურებული.

რას ნიშნავს შესაკრავი | საკრველი? ამ ტერმინებით აღნიშნულია დღევანდელი კავშირი. „შესაკრავი“ ცალკე არ გვხვდება, იგი იხმარება მეორე სიტყვასთან ერთად: „შესაკრავი დონანი“.

„ხოლო შესაკრავი დონანი დამინიშნავს ჩუენ, ვითარმედ არა „კატილო-რიათა“ მიერსა ხოლო მასწავლელობასა შინა შემეწევის წიგნი ესე, არამედ ყოველსა ფილოსოფოსობასა“ (10, 108 v). ბერძნულში „შესაკრავი დონანის“ ადგილას წერია: $\delta \beta \lambda \alpha \iota \sigma \alpha \nu \theta \epsilon \mu \alpha \iota \sigma \epsilon \sigma \mu \alpha \nu \iota \varsigma \eta \mu \iota \nu$ (13, 26—9), ე. ი. „შესაკრავი დონანი“ არის გაქართულებული ფორმა $\alpha \iota \iota \sigma \alpha \nu \theta \epsilon \mu \alpha \iota \sigma \epsilon \sigma \iota$.

ავტორი განმარტავს: სათაურში არსებული „და კავშირი“ მიგვიითიებს, რომ პორფირის წიგნი განმარტავს არა მხოლოდ არისტოტელეს კატეგორიებს, არამედ მთელ ფილოსოფიას. „დონანი“ არის $\delta \alpha \iota \sigma \iota$ -ის თარგმანი. S2562 ხელნაწერის აშიაზე მე-18 ს. ნუსხურით წერია ამ სიტყვის ქარაგმიანი ფორმა:

² საყურადღებოა, რომ ამონიოსის ტექსტების შემკველად რინდელ ხელნაწერში, S—2562-ში, დასტურდება ზოგი ეკონეტიკური ნიშანი, რომელთა არსებობა ისევ ბერძნულ გავლენაზე მიგვანიშნებს.

დნანი. „დონანი“, როგორც ცნობილია, არის „და“ მაჭგუფებელი კავშირის აღმნიშვნელი ტერმინი, შედგენილი ასოთა სახელწოდებების მიხედვით: დონ(დ) + ანი(ა). ამ სიტყვას წააფუძვლით ერთ მოგვიანო პერიოდის ძეგლში. ეს არის დავით უძღვევის „პორფირის შესავლის“ განმარტების ქართული თარგმანი, შესრულებული მე-18 ს-ში.

S-266 ხელნაწერში (XVIII ს.) ვხვდებით ამ ტერმინს: „დონანსა კავშირად ჰსდებს“. „დონანი“ რომ ნამდვილად „და“ კავშირის გულისხმობს, ჩანს იქიდან, რომ ამ ტექსტის სომხურ დედანში მის შესატყვისად არის *գևն* (12, გვ. 268), ე. ი. *ს* კავშირი.

„კავშირის“ მნიშვნელობით ქართველი მთარგმნელი „საკრველ“ სიტყვასაც ზმარობს. „თანშეთხზეთისაცა საკრველსა“, შესატყვისია *και* *საუძმჱჟ* *საჟლჱჟი* *აჟ*-სი, რაც ნიშნავს „მეორთიანებელი და კავშირი“. ოღონდ ქართველ მთარგმნელს *και* უთარგმნია ცა ნაწილაკით. კონტექსტში კი ხაზგასმით „და“ მეორთიანებელ კავშირზე, მის ფუნქციაზეა საუბარი.

ამრიგად, *ი* *აჟ* *საუძმჱჟ* ერთგან თარგმნილია როგორც „შესაკრავი დონანი“, მეორეგან კი — „საკრველი“ და ცა ნაწილაკი. ორსავე შემთხვევაში „შესაკრავისა“ და „საკრველის“ ქვეშ იგულისხმება დღევანდელი კავშირი.

ზემოგანხილული ცალკეული გრამატიკული ცნებების ანალიზი საყურადღებოა, როგორც საყურადღებო გრამატიკული აზრის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით, ასევე იმ მხრივაც, რომ მას გარკვეული სიცხადე შეაქვს ზოგი ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის საკითხის გარკვევის საქმეში. მაგ.: 1. არის თუ არა ამონიოსის შრომების მთარგმნელი იოანე პეტრიწი. გრამატიკულ ტერმინთა ვადმოცემის მხრივ პეტრიწისა და ამონიოსის შრომები სხვაობენ ერთმანეთისგან. ამდენად პასუხიც უარყოფითი იქნება. 2. პროსოდის ნიშნების ანალიზი, მათი არსებობა ამონიოსის შრომის ხელნაწერში (S—2562), ვფიქრობთ, ნაწილობრივ პასუხობს აკად. აკ. შანიძის მიერ ანტონის გრამატიკასთან დაკავშირებით დასმულ საკითხს: სასვენი ნიშნების ზმარება ძეგლისა და საშუალო ქართულის ძეგლებში გამორკვეული არ არის, რომ გამორკვეულ იქნეს ამ შემთხვევაში სომხურის გავლენა“. (7, გვ. 25). ჩვენი ძეგლის მონაცემები ბერძნულ გავლენაზე მიუთითებენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ილ. აბულაძე, ქართული გრამატიკული ლიტერატურის ადრინდელი ძეგლები. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, X—B, თბ., 1940.
2. ელ. ბაბუნაშვილი, ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970.
3. ვ. გვახარია, ქართულ მუსიკალურ სისტემათა განვითარება, თბ., 1962.
4. სულხან საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. IV, 1—2, თბ., 1905—1966.
5. იოანე პეტრიწი, შრომები, ტ. II, ტფილისი, 1937.
6. ლ. ქაჯაია, პუნქტუაცია V—XII საუკუნეების ქართულ ხელნაწერებში, საკანდიდატო დისერტაცია (ხელნაწერი), 1969.
7. ა. შანიძე, ანტონ I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე..., ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 9, თბ., 1964.
8. A ფონდის ხელნაწერი № 531.
9. S ფონდის ხელნაწერი № 266.
10. S ფონდის ხელნაწერი № 2562.



11. А. Цагарели, О грамматической литературе грузинского языка, 1873.
12. Կորիւն վարդապետի Մամբրէի վերծանողի եւ Գաւրի Աննադրի Մասնագրութիւնք, Վենետիկ, 1833.
13. Ammonii in Porphyrii Isagogen sive V voces, ed. A. Busse, [CAG, 4, 3], Berolini, 1891.

М. А. РАПАВА

СВЕДЕНИЯ ГРАММАТИЧЕСКОГО ХАРАКТЕРА ИЗ СОЧИНЕНИЙ АММОНИЯ — СЫНА ЕРМИЯ

Резюме

Грузинские переводы философских сочинений Аммония — сына Ермия (V в.) представляют собой большой интерес для изучения средневековых научных воззрений. В этих сочинениях наше внимание привлекли суждения грамматического характера, охватывающие: 1. сущность грамматики; 2. 8 частей речи; 3. некоторые падежные формы; 4. знаки просодии: ударение, артикль, придыхание; 5. союз «да» (и).

Их анализ имеет значение как для истории грамматических учений и соответствующей терминологии, так и для решения следующих вопросов историко-литературного характера: данные нашего памятника подтверждают возможность заимствования некоторых грамматических понятий из греческого; передача грамматических терминов показывает, что переводчиком сочинений Аммония — сына Ермия не является Иоани Петрици, как предполагают некоторые ученые, так как гермины эти отличаются от соответствующих терминов, встречающихся в произведениях, чья принадлежность перу Петрици не подлежит сомнению.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის
ქველი ქართული ფილოლოგიის განყოფილება
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა
ინსტიტუტმა

აბაკი შანიძე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

უნიველიობის კატეგორია, თუ უნიველიობის ვნებითი?¹

თბილისის უნივერსიტეტმა გიორგი ახვლედიანს მისი დაბადების 80 წლის-თავზე მიუძღვნა კრებული, სადაც ა. ფოცხიშვილმა დაბეჭდა წერილი ამ სათაურით: „უნიველიობის კატეგორია ქართულ ზმნაში“². ავტორი ამტკიცებს, რომ „ქართულ ზმნას მოეპოვება ერთი მეტად თავისებური ლექსიკურ-გრამატიკული კატეგორია, რომელსაც ჩვენ უნიველიობის კატეგორია ვუწოდეთ“ (გვ. 153). ავტორის აზრით, „უნიველიობის კატეგორია გადმოგვცემს ისეთ მოქმედებას, რომელიც რეალურმა სუბიექტმა — მოქმედების რეალურმა ჩამდენმა — შეასრულა უნიველით, წინასწარ განუსაზღვრელად. შემთხვევით, ისე, რომ მას ამის გაკეთება არ სურდა. საკითხს აშკარას გახდის დაპირისპირება: კაცი მოვკალი|კაცი შემომაკვდა; ფული დაეხარჩე|ფული შემომეხარჩა; ფული შეეკამე|ფული შემომეკამა; მეზობელი გავლანდე|მეზობელი შემომე-ლანდე და სხვა“ (გვ. 153).

ავტორი დარწმუნებულია, რომ „უნიველიობის კატეგორია მეტად მყარი და საკმაოდ გავრცელებულია ჩვენს ენაში. აწმყოს მწკრივებიც რომ გამოვრიცხოთ, რვა მწკრივი მაინც დაგვრჩება, ისინი მშვენიერად აწარმოებენ ამ კატეგორიას. და თუ იმასაც ვიგულისხმებთ, რომ ყოველ მწკრივს ორი კონვერსიული ფორმა (პასივი — „შემომაკვდა“ და აქტივი — „შემომაკლა“) აქვს სუბიექტ-ობიექტის ჩვეულებრივი კომბინაციით, აშკარა გახდება მისი გავრცელების არე“ (გვ. 154).

ავტორი სერიოზულად მსჯელობს იმის შესახებ, რომ თითქოს უნიველიობის კატეგორია მოქმედებითი გვარის ზმნასაც მოეპოვებოდეს: „საინტერესოა ის გარემოება, რომ „შემომაკვდა“ ორპირიან პასიურ ფორმას გვერდით უდგას „შემომაკლა“ სამპირიანი აქტიური ფორმა. ეს უკანასკნელიც მსგავს მოქმედებას გადმოგვცემს: — მე, რეალურ სუბიექტს, არ მქონდა სურვილი, გადაწყვეტილება კაცის მოკვლისა. მოქმედება მოხდა ჩემი ნება-სურვილის გარეშე; მოქმედების გამომწვევი მიზეზი რეალურ ობიექტში — მოკლულში — უნდა ვეძიოთ. იქნებ ამიტომაც ზმნამ იგი სუბიექტური ნიშნით წარმოგვიდგინა: „შემომ-მ-აკლ-ა“ ფორმაში მ პირველი ობიექტური (ირიბ-ობიექტური) პირის მაჩვენებელია, ბოლოკიდური ა კი — სუბიექტურისა მესამე პირში (შემომ-მ-აკლ-ა: მან მე იგი)“ (გვ. 153).

ასეთი განცხადება უთუოდ გაუგებრობის ნაყოფია. არ შეიძლება, რომ გარდამავალ ზმნას, მოქმედებითი გვარის ზმნას (მაგ., „შემომაკლა“ ფორმას)

¹ წაკითხულია მოხსენებად 27 თებერვალს 1981 წელს საქართველოს სსრ-ის უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენის კათედრათა მე-9 რესპუბლიკურ სამეცნიერო-მეთოდურ კონფერენციაზე, რომელიც მიმდინარეობდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-60 წლის-თავს.

² „თბილისის უნივერსიტეტი გიორგი ახვლედიანს“, თბილისი, 1969, გვ. 152—155.



უნებლიე მოქმედების გადმოცემის ძალა ჰქონდეს. ეგრე რომ იყოს საქმის თარება, როგორც ა. ფოცხიშვილი ფიქრობს, მაშინ გარდამავალი ზმნის ყოველგვარ სამპირიან ფორმას, რომელშიც ირიბი ობიექტის პირიც შედის, ენებოდა ძალა უნებლობის გაგების გამოხატვისა (მაგ., „შემომიტანა“-ს, „გამომიგზავნა“-ს, „მომიც“-ს და სხვას). ა. ფოცხიშვილი შეცდომაში შეჰყავს, მე მგონია, ისეთ წინადადებას, როგორიცაა მის მიერ „შაჰნამედან“ მოყვანილი ერთი ტაეპი:

იმან თავი შემოგვაცლა, არ გვინდოდა ჩვენის ნებით“ (3494,3)3.

აქ რაკი ნათქვამია „არ გვინდოდა ჩვენის ნებით“, ა. ფოცხიშვილს ჰგონია, რომ იგი გამომდინარეობს „თავი შემოგვაცლა“-ს შინაარსიდან: „შესანიშნავადაა დახასიათებული ზმნით გადმოცემული მოქმედება“-ო, ამბობს იგი. მაგრამ საქმე ის გახლავს, რომ „თავი შემოგვაცლა“-ს მსგავსად შეგვიძლია ვთქვათ: ძმა შემოგვაცლა, შვილი შემოგვაცლა, მამა შემოგვაცლა, ბიძა შემოგვაცლა და სხვა. მოყვანილი ობიექტები (ძმა, შვილი, მამა, ბიძა) ყველა პირდაპირი ობიექტია. პირდაპირი ობიექტია აგრეთვე თავი-ც, რომელიც ამ შემთხვევაში უქუქცევითი ნაცვალსახელის როლს ასრულებს. აქ არსად უნებლობის გაგება არ არის წარმოდგენილი. რომ შევადგინოთ მსგავსი წინადადება, მაგ., ასეთი: იმან ქრთამი მოგვითანა (ან: ჩვენ შემოგვძღვნა), არ გვინდოდა ჩვენის ნებით, განა „მოგვითანა“ (ან „შემოგვძღვნა“) აქ უნებლობის გადმოცემი იქნება? რა თქმა უნდა, არა.

მაშასადამე, მოქმედებითი გვარის ზმნათა ფორმები უნდა სავსებით გამოვრიცხოთ ამ საკითხის კვლევისას. უნდა მივმართოთ მხოლოდ ვნებითი გვარის ფორმებს4. სტატისტიკური ვნებითი ამ შემთხვევაში არ არის მისაღები მხედველობაში, რადგანაც უნებლიე მოქმედების გადმოცემა მას არ შეუძლია. დაგვრჩა, მაშასადამე, დინამიკური ვნებითი.

აქ ერთი ამბავი უნდა მოვიგონო სასამართლოს პრაქტიკიდან.

სადაც აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთ ტყეში ერთ გლეხს ზე მოეჭრა თავისი ოჯახის საჭიროებისათვის. მას ამ დროს თავს წასდგომოდა ტყის მცველი (მეტყევე), რომელსაც უსიამოვნო ცხარე საუბარი მოსვლოდა უნებართვოდ ხის მომჭრელ გლეხთან და ამას შედეგად გლეხის მოკვლა მოჰყოლოდა. საქმე ირჩეოდა სასამართლოში, სადაც დაკითხვა და საქმის წარმოება რუსულად წარმოებდა (ეს ხდება ცარიზმის დროს). — Так, значит, вы убили крестьянина? შეეკითხა სასამართლოს თავმჯდომარე მეტყევეს. შეკითხვა გადაუთარგმნეს და მან პასუხად ეს თქვა: შემომაკვდაო. ეს კი ასე უთარგმნეს სასამართლოს: Да, убил. ამ დროს ჩაერია საქმეში მეტყევის დამცველი ადვოკატი, რომელმაც განაცხადაო: нет, обвиняемый не сказал моего имени (я убил его), а შემომაკვდა (мне пришлось невольно убить его). არ ვიცი, რა დადგენილება გამოიტანა სასამართლომ ამ საქმის გამო, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ადვო ატის განცხადება სრული ჭეშმარიტებაა: „შემომაკვდა“ ნიშნავს არა я убил его, არამედ я убил его невольно, უფრო ზუსტად რომ ვთარგმნოთ: он убит мной невольно.

³ დედანია: „ფროდომ თავი შემოგვაცლა“ (და არა „იმან თავი შემოგვაცლა“), მაგრამ ასეთი შეცვლა საქმეს არ აშავებს.

⁴ ზ. ფოქტმა თავის ქართული ენის გრამატიკაში დამოწმა ა. ფოცხიშვილის წერილი, მაგრამ აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში ზმნას აქვს რელატიური³ პასივის ფორმაო (H. Vogt, Grammaire de la langue géorgienne, 1971, გვ. 178).



რა ფორმაა „შემომაცვდა“? როგორც აღნიშნული მაქვს „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“, ზოგიერთ ზმნას არ მოეპოვება კონვერსიული ფორმა იმავე ფუძისა, მაგრამ შეიძლება, რომ ეს ნაკლი შევსებულ იქნეს სხვა ფუძის ზმნით. ერთი ასეთთაგანია „კლავს“ ზმნა. თუ ის „დაკვლავს“ გულისხმობს, ვნებითად „იკვლება“-ს გვაძლევს, მაგრამ „მოკვლის“ შემთხვევაში ვნებითი არ იხმარება და მას „კვდება“ ენაცვლება. ამიტომ „კლავს“ და „კვდება“ ისე ეფარდებიან ერთმანეთს, როგორც სვანური ადგარი („კლავს“) და იდგარი („კვდება“) (§ 380). ამიტომ ცხადია, რომ „შემომაცლა“ აქტივია და „შემომაცვდა“ — მისი პასივი.

„მეტყვევს კაცი შემოკვდა“. ამ წინადადების გრამატიკული სუბიექტია „კაცი“, „მეტყვევს“ კი ირიბი ობიექტია. ამიტომ, რომ აქ „კაცი“ გვეჩვენება მოქმედების ჩამდენად: კაცი მოკვდა მეტყვევის ხელით: человек убит лесником.

„შემომაცვდა“-ს მსგავსი შინაარსი აქვს რამდენიმე სხვა ვნებითი გვარის ზმნას:

შემომეკამა: სადილი უნდა წამელო მუშისთვის ყანაში, მაგრამ ძალიან მშოიდა და შემომეკამა.

შემომეხარჯა: ფული მომხარჯეს შესანახავად, მაგრამ გაჭირება მადგა და შემომეხარჯა.

შემომელანძღა: ამ დაეაში ჩემი მეზობელი ტყუოდა, ეს ვერ მოვიტომინე და შემომელანძღა.

შემომეტყობა: ბავშვებს ჩხუბი გაუხდათ, გასაშველებლად მივეარდი, ერთი მათგანი გამიძალიანდა, რის გამოც შემომეტყობა.

შემომელახა: ერთმა ბიჭმა თოვლის გუნდა თვალში მომარტყა და გაიქცა. დავეწიე, დავიჭირე და შემომელახა.

შემოატყდა, შემოეფშვნა: აგრონომს რაც ხელში მოხვდა, ყველაფერი შემოატყდა და შემოეფშვნა (ს. კლდიაშვილი, კრებ., თბილისი, 1948, გვ. 198, 1). ეს მაგალითი ა. ფოცხიშვილს მოჰყავს.

შემოეჭრა: თუ ფათერაკად კაცს კაცი შემოაკუდეს ან შემოეჭრას ან დაშადეს რისაც ფათერაკით (სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა, § 92. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 1, თბილისი, 1963, გვ. 504). ეს მაგალითიც ა. ფოცხიშვილს მოჰყავს.

ა. ფოცხიშვილს „უნებლიობის კატეგორიის“ მაგალითად მოჰყავს კიდევ მოქმედებითი გვარის ფორმა **შემოაჭამეს** („მე ჩემს გოგონას ხელუხლებლად დავეტოვე მამამისის ქონება და თუ ნათესაებმა **შემოაჭამეს**, რა ჩემი საქმეა“), მაგრამ, როგორც ზემოთ განვმარტეთ, მოქმ. გვარის ზმნას არ შეუძლია უნებლიე მოქმედების გადმოცემა.

ა. ფოცხიშვილს ვერც იმაში დავეთანხმებით, რომ ვნებითი გვარის ფორმა „შემოგვაჭრება“ იყოს უნებლიე მოქმედების გამოხატველი (ამ ფრაზიდან: „დღე პატარაა. თუ არ დავეჩქარებთ, მზის სინათლე ლაპარაკში **შემოგვაჭრება**“. ბ. ჩხეიძე, „ცისკარი“, 1958, გვ. 26).

არ არის მართალი ა. ფოცხიშვილი იმაშიც, თითქო ასეთ ზმნებში **შემო** ზმნისწინს არ შეედლოს ასპექტის კატეგორიის წარმოება (გვ. 154). შემომელანძღა, შემომეკამა, შემომაცვდა, შემომელახა და სხვა, რომლებიც ზემოთ მოვიყვანეთ, ყველა სრული ასპექტისაა. მართალია, მათ პირისპირ არ მოიპოვება უსრული ასპექტის ფორმები, მაგრამ ასეთი სხვა ზმნებიც გვაქვს: თქვა, უთხრა, ჰკითხა, სცემა, უშველა, უჩივლა და სხვ.



ა. ფოცხიშვილი ამტკიცებს, რომ უნებლიობის კატეგორიის მაწარმოებელი ზმნისწინი **შემო**: „სწორედ მას უნდა ეკისრებოდეს უნებლიობის უპასუხისმგებლობა წარმოება, რადგან სწორედ ამ აფიქსის მიმატება აძლევს ორივე შემთხვევაში (შემო-მ-ა-კვლ-ა, შემო-მ-ა-კლ-ა) ზმნას უნებლიობის მნიშვნელობას“ (გვ. 154). ასეთი მტკიცება რომ საცილობელია, ეს ჩანს იქიდან, რომ მოიპოვება **შემო** ზმნისწინ-დართული ვნებითი გვარის ზმნათა ფორმები, სადაც არავითარი უნებლიობა არ ჩანს. მაგალითებად მოვიყვანოთ ისეთი ზმნები, რომელთაც ჩვეულებრივ სხვა ზმნისწინები აქვთ, მაგრამ **შემო**-საც დაირთავენ.

და: და-მაკლდა: დახლში ფული დამაკლდა. ახალგაზრდა რომ ვიყავ, ფულს უთავბოლოდ ეხარჯავდი და მალე შემომაკლდა. „დამაკლდა“ და „შემომაკლდა“ ერთისა და იმავე მნიშვნელობის მქონეა.

სოფელში შემოგარდნილ მგელს ძაღლები **დაესია**. კრუსხე წიწილები **შემო-ესია**. არ ჩანს, რომ „შემოესია“ ზმნას უნებლიობის მნიშვნელობა ჰქონდეს.

ითქმის **დაღევა, გამოღევა**. ანდაზა: ზღვა კოვზით **დაიღევა**. ითქმის აგრეთვე: **სარჩო გამომელიაო**.

აკაკი წერეთელს შეჩვეული ჰყავდა ქუთაისში ერთი მეეტლე, გვარად მელია, რომელიც დიდ პოეტს ხშირად ნისიად დაატარებდა. ერთხელ აკაკის მიუმართავს მეეტლისთვის:

შენ რომ გინდა, მელიაო,
იგი შემომელიაო.

„შემომელია“-ს ნაცვლად პოეტს შეეძლო ეთქვა „გამომელიაო“ და აზრი იგივე იქნებოდა.

გა: გათენდა. ღამით ვიარე და ამასობაში გათენდა. შეგვიძლია ვთქვათ: ამასობაში გამითენდა, ამასობაში შემომათენდა, რომელშიც არავითარი უნებლიობა არა ჩანს.

ჩემი ახალნაყიდი ტანისამოსი მალე **გაცვდა**, მალე **გამიცვდა**; ახალნაყიდი ტანისამოსი მალე **შემომაცვდა**. არის აქ რაიმე ნიშანი უნებლიე მოქმედებისა? რა თქმა უნდა, არა.

ვნებითი გვარის ზმნათა მსგავსი ფორმები საკმაოდ მოიპოვება: შემომალაღდა, შემომამტერდა, შემომამერდა, შემომამშრა, შემომამცოცდა, შემომამერტყა, შემომამესმა, შემომამფეთა, შემომამწყრა და მისთ.

დაგვრჩა განსაზღვრელი საკითხი, თუ სად უნდა იყოს საუბარი გრამატიკაში „უნებლიობის“ ფორმათა შესახებ. ა. ფოცხიშვილი ამის შესახებ შემდეგს წერს: „უნებლიობის კატეგორიამ თავის ადგილი უნდა დაიკავოს ქართული ზმნის წარმოქმნის კატეგორიების გვერდით და შეტანილ იქნეს გრამატიკაში გვარის კატეგორიის შემდეგ“ (გვ. 155). ამის გამო უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: დინამიკური ვნებითი გვარის ზმნათა ფორმებს სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. შეიძლება ზმნას ფორმა ჰქონდეს პასივისა, მნიშვნელობა კი — აქტივისა: იკბინება, იღანძვლება, იმუქრება, ისწავლება და სხვა. ეს არის ე. წ. დეპონენსები (ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, § 366); არის შესაძლებლობის ვნებითი: ისმევა, იქმევა (იქვე, § 360); არის მიჩნევის ვნებითი: მეცოტაება, მემწარება (იქვე, § 361); არის გუნების ვნებითი: მემლერება, მეტირება (იქვე, § 362). ამათ უნდა მივმატოს უნებლიობის ვნებითი, რომელიც ათიოდე ზმნას გააჩნია. მაშასადამე, მისი ადგილია არა გვარის შემდეგ, არამედ ვნებით გვარში.

А. Г. ШАНИДЗЕ

КАТЕГОРИЯ НЕВОЛЬНОСТИ ИЛИ ПАССИВ НЕВОЛЬНОСТИ?

Резюме

А. Поцхишвили в статье «Категория невольности в грузинском глаголе», напечатанной в сборнике, посвященном Тбилисским университетом профессору Г. С. Ахвледiani по поводу его 80-летия, утверждает, что «у грузинского глагола имеется одна весьма своеобразная лексико-грамматическая категория, которую мы назвали категорией невольности». Она передает такое действие, которое реальный субъект совершил без умысла, невольно: კაცი შემობაკვდა ḡaci šetomaḡvda, «я убил человека невольно», точнее: «человек убит мной невольно».

Автор полагает, что эта «категория» имеется как у глаголов действительного залога, так и у глаголов страдательного залога, что неверно, ибо «невольное действие» могут передать лишь глаголы страдательного залога, да и то не все, а только весьма ограниченное количество динамических глаголов (около десяти).

А. Поцхишвили полагает, что «катеґорию невольности» надо поместить в грамматике после категории залога, а в настоящей статье доказывається, что в данном случае налицо не грамматическая категория, а один из нюансов глаголов страдательного залога, каковы: пассив «можно» (მესმევა mesmeva «мне можно пить», ეჭმევა eḡmeva «ему можно есть»), пассив «казаться» (მეცოტაება mecoṭaveba «мне кажется малым», მემწარება metṡareba «мне кажется горьким»), пассив настроения (მემღერება memḡereba «я настроен петь, мне хочется петь», მეტირება metireba «мне хочется плакать» и т. п.).

Р. А. КОМАХИДЗЕ

ЭКВИВАЛЕНТЫ РУССКИХ ГЛАГОЛОВ И ОТГЛАГОЛЬНЫХ СУЩЕСТВИТЕЛЬНЫХ В ГРУЗИНСКОЙ ФИЗИЧЕСКОЙ ТЕРМИНОЛОГИИ

В современной лингвистике серьезное внимание уделяется сравнительно-типологическому изучению родственных и неродственных языков, которое может служить и методом исследования, и методом обучения. В наше время, характеризующееся интенсивным развитием научно-технической революции, подобный подход к изучению языков играет большую роль и в области терминологии точных наук, особенно физики.

В данной статье поставлена задача выяснить структурно-семантические свойства терминов физики, выражаемых простыми лексемами — формами глагола и отглагольными существительными в русском языке, и установить соответствующие им эквиваленты в грузинской физической терминологии. Необходимость данной работы вызвана тем, что сопоставительное изучение научной терминологии до сих пор не нашло должного отражения в лингвистической литературе.

Материал для работы взят из словаря физической терминологии, изданного Академией наук ГССР в Тбилиси.

Сложность выполнения этой задачи связана с тем, что русский и грузинский языки являются разносистемными: русский принадлежит к индоевропейской семье языков, а грузинский — к иберийско-кавказской. Естественно, указанные языки существенно различаются грамматическим строем и в частности системой лексико-грамматических категорий. Так, например, в грузинском языке глагол обладает более богатой и более емкой системой форм, чем в русском языке¹.

Физические термины в русском языке могут иметь форму инфинитива, который называет действие, не показывая его отношения к лицу, времени или реальности (ирреальности)², например: **излучать**, **заряжать** и др.

В качестве соответствия русскому инфинитиву в грузинском языке выступает своеобразная грамматическая категория — масдар. В современных грамматиках грузинского языка для этой грамматической категории употребляются разные термины: *სახელზემბა* (имя— глагол), *საწყობი* (начальная форма), *მოქმედების სახელი* (имя действия). В сопоставительной грамматике в основном употребляется интернациональный термин масдар.

¹ Г. Г. Голетнани, Сопоставительная грамматика русского и грузинского языков, ч. I, Морфология, Тбилиси, 1970, с. 207.

² Грамматика современного русского литературного языка, под ред. Н. Ю. Шведовой, М., 1970, с. 310.

Разнобой в терминологии связан с тем, что масдар обладает категориями как глагола, так и существительного. В качестве глагола он имеет лексическое значение, связанное с глагольной основой, употребляется с теми же префиксами, что и соответствующие глаголы, имеет также категории словообразования: направление, ориентацию, вид, контакт, реже залог. Масдар в современном грузинском языке, как инфинитив в русском языке, не имеет таких категорий спрягаемого глагола, как категория лица, числа, времени, наклонения. Как существительное, масдар склоняется.

Из рассматриваемых 648 физических терминов — простых и производных лексем в форме инфинитива — в русском языке зафиксировано 88. Остальные представлены отглагольными существительными.

Среди простых и производных лексем-инфинитивов различаются термины, употребляющиеся только в сфере специальной терминологии, и лексемы общеупотребительного языка, выступающие как термины в контекстах научной литературы, т. е. отличающиеся сферой своего функционального употребления.

В зависимости от словообразовательной структуры терминов-инфинитивов можно выделить две группы: префиксально-суффиксальную (63%) и суффиксальную (37%).

Термины префиксально-суффиксального образования представляют в рассматриваемой терминологии наиболее распространенный словообразовательный тип. Суффикс служит показателем видового значения глагола, а префикс может служить для образования вида, либо модифицировать значение глагола. В изучаемых терминах русского языка выступают почти все имеющиеся в нем суффиксы и префиксы. В обоих языках наблюдается примерно одинаковое количество терминов указанной группы.

Рассмотрим некоторые структурные типы терминов-инфинитивов и их соответствий в грузинском языке. Наиболее значительную группу представляют собой термины со значением конкретного действия, оформленные с помощью разных префиксов.

В качестве эквивалента этим терминам в грузинском языке выступает масдар совершенного вида: ввинчивать — ჩახრახჩა, вывинчивать — ამოხრახჩა, завинчивать — ჩახრახჩა, отвинчивать — ამოხრახჩა, привинчивать — მიხრახჩა. Как видно из вышеприведенных примеров, для парных русских терминов ввинчивать — завинчивать — ჩახრახჩა и вывинчивать — отвинчивать — ამოხრახჩა в грузинском языке имеем один общий термин. В рассмотренных грузинских терминах различаются все глагольные категории словообразования, кроме категории залога и контакта. Все термины имеют направление, только термин ხრახჩა без направления из-за отсутствия в нем префикса. В этих терминах обозначены три из пяти видов направления. В термине ჩახრახჩა префикс ჩა- показывает действие, направленное сверху вниз, в термине ამოხრახჩა префикс ამო- — снизу вверх, а в термине მიხრახჩა префикс მი- обозначает действие, направленное снаружи во внутрь. Префиксы ჩა-, მი- в терминах ჩახრახჩა, მიხრახჩა указывают



также на отдаляющуюся ориентацию, а префикс აბ- в термине აბმობა на приближающуюся. В грузинском языке понятие направления отличается от понятия ориентации. Направление, как грамматическая категория, охватывает движение в пространстве к какому-нибудь пункту, не имея в виду позицию говорящего, а ориентация подразумевает только такое движение, которое принимает во внимание позицию говорящего. Поэтому в грузинском языке имеется приближающаяся и отдаляющаяся ориентации. Термин ბრბბა не имеет категории ориентации, имеет только несовершенный вид, а все остальные названные выше термины в грузинском языке совершенного вида.

Отсутствие точного соответствия в оформлении префиксами грузинских и русских терминов-инфинитивов связано с особенностями рассматриваемых языков.

Приведем еще примеры: термин-инфинитив **заряжать** со значением изменения состояния относится к глаголам несовершенного вида и оформлен с помощью префикса **за-** и суффикса **-а-**. В словаре к этому термину приводится как параллель существительное **зарядка**.

В грузинском языке в качестве эквивалента к терминам **заряжать** и **зарядка** приведен масдар: ბუბტვა, но в словаре дано и префиксальное образование დამუბტვა, отличающееся только по виду. Это обстоятельство свидетельствует о двоякой природе формы масдара.

В качестве примера можно привести термины-инфинитивы **излучать**, **испускать** несовершенного вида, которые относятся к одному структурному типу с префиксом **из-/ис-** и с суффиксом **-а-**. С первым из этих терминов в грузинском языке соотносится масдар совершенного вида გამოსხივება с префиксом გამო-. В русском языке параллельно дается синоним — отглагольное существительное **излучение**, которому в грузинском соответствует тот же самый масдар. Это обстоятельство снова подтверждает промежуточное положение масдара между именем и глаголом.

Что касается термина **испускать**, то в словаре дается и отглагольное существительное **испускание**. В грузинском языке для обоих этих терминов приводится тот же масдар, что и для терминов **излучать**, **излучение** — გამოსხივება. Однако к терминам **испускать**, **испускание** дается два синонима გამოშვება, ამოტრქვევა. Термин-масдар გამოსხივება без префикса не употребляется. В термине გამოსხივება, გამოშვება префикс გამო- указывает на действие, направленное изнутри, а префикс აბ- в слове ამოტრქვევა — на действие, направленное снизу вверх.

II. Многокомпонентные глагольные фразеологические единицы. ФЕ абазинского языка, включающие в свой состав три и более компонентов и соответствующие глаголу, как части речи, многочисленны и весьма разнообразны. Их многообразию способствует, с одной стороны, наличие большего числа компонентов, чем у бинарных структур, и, следовательно, возможность образования большего числа различных моделей с одними и теми же составными компонентами, основанные на разных видах фразеологической вариантности. С другой стороны, сравнительно богатому арсеналу фразеологических моделей в данном случае способствует и возможность включения в состав аналогичных глагольных ФЕ таких форм глагола, которые не являются естественными для бинарных структур, например, причастие, деепричастие.

⁵ К. В. Ломтатидзе, указ. раб., с. 160—161; е е же, К образованию отрицательных форм глагола в абхазско-абазинских диалектах. «Иберийско-кавказское языкознание», V, Тбилиси, 1953.



Таким образом, многообразие структурных моделей многокомпонентных ФЕ объясняется и качественным и количественным составом компонентов, т. е. теми же факторами, что и в свободных многочленных сочетаниях.

Как у бинарных структур, так и у многокомпонентных ФЕ абазинского языка продуктивность (количество ФЕ, имеющих определенную структурную модель) различных моделей неодинакова. Не претендуя на всестороннюю и законченную характеристику этих моделей, приведем наиболее употребительные из них, чтобы яснее представить грамматические параметры многокомпонентных фразеологизмов абазинского языка и их отношения к грамматической характеристике свободных сочетаний.

а) **Имя существительное + имя существительное + глагол.** Представленная структурная модель объединяет большое число абазинских ФЕ и является самой многочисленной среди моделей многокомпонентных фразеологизмов. Составные компоненты аналогичных ФЕ сохраняют живые грамматические связи и могут оформляться аффиксами различных категорий, как и в свободных сочетаниях. В отличие от слов в свободных словосочетаниях или предложениях, парадигматические характеристики составных компонентов ФЕ в определенных случаях ограничены в той или иной степени, а иногда до минимума, т. е. компоненты ФЕ в таких случаях могут существовать только в одном виде, одной форме относительно какой-либо грамматической категории.

Примеры: *waž°a shamač jġga* «отстань», «отцепись» (досл.: вынеси свое слово из моего хлеба), *alah hč°a waġjž°a at* «пронесло», «повезло нам» (досл.: аллах умыл, помыл наше лицо), *až°w°andi adg °eli amajrasiť* «он везде бывает», «где только он не бывает» (досл.: он соединяет небо с землей), *jəla qat waqirsať* «обворожил его» (досл.: он засыпал ему глаза жаренной кукурузной мукой), *sla бага g°amķəť* «не повезло», «не вышло, как было задумано» (досл.: моя собака не поймала лису), *ali ah°i 'jərgiť* «богатый урожай» (досл.: его уносят и собака, и свинья), *alaga jš°ka jətar* «дуракам закон не писан» (досл.: у него документ дурака), *jqa arš°a asiť* «у него в голове ветер гуляет» (досл.: по его голове ветер бьет), *jqa k°čis tač°ar* «он болтлив» (досл.: у него в голове сидит цыпленок), *jh°a ač°əla jg°najərgizim* «очень исполнительен, выполняет просьбу мигом» (досл.: он не дает дойти до земли тому, что ему сказано), *jca ah°əpark°a taq°mariť* «его закром пуст», «он беден» (досл.: в его закроме мышки резвятся), *š°ajtan z°w°a waġax°t* «сошел с ума» (досл.: он взял (заболел) болезнь шайтана) и т. д.

Глагольные трехкомпонентные ФЕ абазинского языка, как это показывает материал, обладают большей парадигматической свободой. Именные компоненты принимают аффиксы категорий определенности, числа, посессивности, инструменталиса (*ač°əla*, *a-pš°a*, *a-li a-h°i j-ga*, *mg°ač°a-qa-la*). Глагольный компонент во всех случаях, как и у бинарных структур, занимает абсолютный конец формально-предикативной единицы и



так же, как и в свободных сочетаниях, может изменяться по временам и наклонениям. Он принимает аффиксы различных категорий и спрягается по лицам, изменяется по числам и классам в зависимости от характера именных компонентов. Например: $\xi\text{ajtan } z\omega^{\circ}a \ \omega\text{-s-ax}^{\circ}\xi$ ($\omega\text{-w-ax}^{\circ}\xi$, $\omega\text{-b-ax}^{\circ}\xi$, $\omega\text{-h-ax}^{\circ}\xi$, $\omega\text{-s-ax}^{\circ}\xi$, $\omega\text{-r-ax}^{\circ}\xi$...) Надо отметить, что такая кажущаяся полной парадигматическая характеристика глагольного компонента часто бывает ограниченной. В частности, в вышеприведенной ФЕ изменяться по классам, числам и лицам может лишь формант субъекта. Формант объекта в данном случае имеет единственно возможную форму, потому что является показателем впереди стоящего слова $z\omega^{\circ}a$ «болезнь». Изменение форманта ближайшего объекта по классам, лицам и числам возможно лишь при соответствующем изменении и того слова, показателем которого он является, а последнее не представляется возможным, ибо влечет за собой дефразеологизацию ФЕ. Такие случаи не единичны. Более того, в некоторых идиомах глагольный компонент лишен возможности изменяться даже по временам. Так, во ФЕ $ali \ ah^{\circ}i \ j\text{ərgi}\xi$ «богатый урожай» и в его двухкомпонентном структурном варианте $ala \ ja\text{gi}\xi$ глагол лишен почти всякой возможности грамматически видоизменяться, не разрушая указанного фразеологизма. Одно только изменение времени этого компонента с настоящего на прошедшее дает нам идиому совершенно иного значения: $ala \ ja\text{ga}\xi$ «пропало бесполезно, бесследно». Однако надо учесть, что аналогичные ФЕ не составляют большинства глагольных фразеологизмов и судить по ним о всей группе нельзя.

В структуре ФЕ анализируемого типа встречаются своеобразия и иного характера, в частности, в функции одного из именных компонентов (а иногда и обоих) может выступать субстантивированное слово: $jh^{\circ}a \ a\xi^{\circ}ala \ jg^{\circ}pa\text{-jərgi}\xi$ «очень исполнительен», $j\text{ə} \ \xi\text{-}\xi \ \text{təp}$ «он ветренный, легкомысленный» (досл.: в его голове есть + звукоподражательное слово), $ho\omega\text{g}^{\circ}i \ \xi\text{əx}^{\circ}g^{\circ}i \ g^{\circ}id\text{ə}ram$ «хоть кол на голове теши», т. е. ничего не понимает (досл.: он не знает ни «вперед», ни «назад») и др.

И, наконец, надо отметить, что в зависимости от характера отношений именных компонентов, а также именных и глагольного компонентов первые отражаются в структуре последнего по-разному. С этой стороны взаимоотношения компонентов в структуре ФЕ полностью соответствуют нормам современного абазинского языка, нормам, которые соблюдаются в свободных сочетаниях слов. В частности, когда между именными компонентами наблюдаются атрибутивные отношения, в структуре глагольного компонента отражается только второй (постпозитивный) именной компонент: $\xi\text{ajtan } z\omega^{\circ}a \ (j)\text{-}\omega\text{ajax}^{\circ}\xi$ «сошел с ума»; когда именные компоненты выступают как равноправные, в глаголе мы находим форманты обоих компонентов: $j\text{ə} \ a\text{r}\xi^{\circ}a \ (j)\text{-}a\text{-si}\xi$ «он легкомысленный»; если же именные компоненты являются однородными членами предложения и, как обычно, связаны соединительной связью, то в структуре глагольного компонента они представляются одним формантом и обязательно во множес-



твенном числе: *azi apʃi də-d-lərgiʃ* «сильно ругает», «ругает на чем свет стоит» (досл.: заставляет воду и ветер нести его).

б) **Имя существительное + наречие + глагол**. При анализе моделей глагольных ФЕ абазинского языка обнаруживается одно интересное явление: двухкомпонентные и многокомпонентные ФЕ могут обраться по многим разнообразным моделям, но при этом и здесь и там по продуктивности, по количеству фразеологизмов, составляющих ту или иную группу, резко выделяются по одной модели. У бинарных единиц—это модель «имя существительное + глагол», у многокомпонентных — «имя существительное + имя существительное + глагол». Количество ФЕ, совпадающих по своей структуре с той или иной моделью, в других случаях резко снижается. К числу таких немногочисленных групп относится и фразеологическая группа, состоящая из фразеологизмов с моделью «имя существительное + наречие + глагол»: *apʃ^oa jɾnə jʃtascaʃ* «оставил чем-либо заниматься», «положился на бога» (досл.: я положил то у бога), *maʃ^o mɕəgala dbqʃiʃ* «переливает из пустого в порожнее» (досл.: он молотит пустым гумном), *jəpasəɾ jəɾqala jcaʃ* «его счастье обошло» (досл.: его счастье ушло вперед), *jq^oə ɾfan-ɕəq^oa daɟ an* «задержался», «долго отсутствовал» (досл.: он был там до тех пор, пока не съели его долю), *ar wɕəq^oa jtagəluma?* «куда торопишься?» (досл.: разве за тобой гонится войско), *jan qaɕata dɔalɾiʃ* «храбрый, настоящий мужчина» (досл.: его мать родила мужчиной) и др.

В трехкомпонентных ФЕ рассматриваемого типа именной и глагольный компоненты характеризуются теми же особенностями, что и в вышерассмотренных структурных моделях. Третий компонент—наречие—может быть производным и непроизводным (*pɕ^oa*, *wɕəq^oa*, *jɾnə*, *parəla*, *mɕəgala*, *jəɾqala*, *qaɕata*...). Производные наречия образуются в основном суффиксом *-la*, который является наряду с *-ta*-весьма продуктивным словообразовательным аффиксом. В ряде случаев во ФЕ представленной модели место наречного компонента занимают так называемые «наречия-последлоги»⁶ (*jɾnə*, *jəɾqala*, *wɕəq^oa*). Аналогичные наречия-последлоги в структуре ФЕ так же, как и в структуре свободных словосочетаний, оформляются классно-личными аффиксами.

в) **Имя существительное + глагол + глагол**. Особенностью ФЕ аналогичной структуры можно назвать то, что второй глагольный компонент в них всегда имеет инфинитивную форму. Инфинитивные глагольные формы в этой модели не всегда одинакового строения. Среди них чаще встречаются формы с обстоятельственными частицами и временные инфинитивные формы. Постпозитивный глагольный компонент в этих ФЕ не несет особой семантической нагрузки, он грамматически оформляет все сочетание в одно целое и придает ему форму законченного предложения. Именно этим можно объяснить такое явление, что в аналогичных ФЕ в качестве глаголь-

⁶ А. Н. Генко, Абазинский язык. М., 1955, с. 175; В. Н. Амичба, ука з. раб., с. 17.

ного компонента, имеющего финитную форму, встречается ограниченное число единиц, основным из которых является глагол *aɣazaɣa* «быть», «находиться». Примеры: *jan dʃəwəlrijəz daɣar* «цел и невредим» (досл.: он таков, каким его мать родила), *abazar jʃəwakʰərgaz jaɣar* «то непристойно», «ругаться непристойными словами» (досл.: то таково, каким его с базара принесли), *agʰəgrəpca jʃəwa* «совершенно новая», т. е. «иголочки» (досл.: то таково, каким соскочило, упало с кончика иголки), *jɾəskʰa jxəp dʃʰar* «сидит в ожидании с кем-нибудь поругаться, к кому—нибудь пристать, что-нибудь натворить» (досл.: он наточил свои зубы и сидит), *wəla jəwəɣaxwa gʰuɸɸ* «ни зги не видно» (досл.: не видишь то, что колется в глаз) и др.

г) **Имя существительное + имя прилагательное + глагол.** Характерной особенностью этой немногочисленной группы ФЕ является то, что имена существительные в их структуре не могут оформляться посессивными префиксами, суффиксами числа, инструменталиса и т. д., как это наблюдалось в других структурных моделях. Имена существительные во ФЕ аналогичной модели оформляются, в основном, аффиксом категории определенности *a-*. Второй и третий компоненты не проявляют никаких, присущих только им в этой структурной разновидности ФЕ, особенностей. Они потенциально обладают полной парадигмой формоизменений, но фактически, как это наблюдалось и в вышеприведенных структурных типах, ограничены определенными рамками. Так, для ряда ФЕ естественным является употребление только в отрицательной форме, для других более характерны формы прошедшего и будущего, настоящего и будущего времен. В единичных случаях встречаются ФЕ, которые не могут употребляться в настоящем времени. Все это можно проиллюстрировать на нескольких примерах: *atwə iʃʰa dʃajərgəɬ* «задал перцу» (досл.: он поставил его в узкую обувь), *ala gʰəbzəɣa gʰəwʰpaɣəɬ* «грязно» (говорится о помещении) (досл.: умная собака не станет есть там), *ala gʰəbzəɣa gʰtaɣəɬ* «грязно» (говорится о посуде) (досл.: умная собака не станет есть из него), *alaba pa-wa dgʰaqəswat* 1) «слаб, болен», 2) «очень послушен» (досл.: он не переходит через наклоненную палку) и др.

д) **Трехкомпонентные ФЕ, содержащие в своей структуре имя числительное, немногочисленны.** Аналогичное положение наблюдалось и у бинарных структур. В трехкомпонентных ФЕ имя числительное может стоять на первом или втором местах, следовательно, возможны две структурные модели, в состав которых включаются числительные: **имя числительное + именной компонент + глагол, имя существительное + имя числительное + глагол.** *jazʰa wʰba jgʰiɕɾɸɸ* «исполняет беспрекословно, точно, вовремя» (досл.: он не делает из его слова два), *awəs azʰəwʰ jərtap* «плохи дела» (досл.: дело находится в двенадцати, внутри двенадцати), *bəʃ psəɣaqar* «живуч, вынослив» (на нем семь душ), *abəʃba awi jəkʰsʰiɬ* «на бедного Макара все шишки валятся» (семерка падает на него), *aʃʰaba awi jekʰsʰiɬ* «все шишки на него валятся» (досл.: десятка падает на него), *awʰazʰa awi jəkʰsʰiɬ* «все сваливают на него» (досл.: двадцатка падает на него) и др.



Из нескольких приведенных примеров можно уже заметить фразеологическая вариантность в пределах этих структурных моделей не редкое явление. Больше остальных распространена лексическая вариантность, но надо отметить, что вариантность здесь наблюдается не только в пределах представленных трехкомпонентных структур, но и между трехкомпонентными и двухкомпонентными ФЕ. Лексический вид вариантности в структурной модели «имя числительное+именной компонент+глагол» получается не только за счет взаимозамены числительных, но и за счет варьирования и второго компонента. Он, именной компонент, обладает сравнительно большой свободой заменяться другими компонентами, не нарушая значения фразеологизма. На его месте может стоять местоимение, имя существительное, субстантивированное слово. Именно поэтому в данной модели второй компонент приходится обозначать через «именной компонент», не конкретизируя его.

Среди трехкомпонентных глагольных ФЕ абазинского языка обнаруживаются и некоторые другие модели, по которым построены эти фразеологизмы. В количественном отношении они довольно малочисленны, и потому можно ограничиться простым перечислением самих структурных моделей.

е) **Деепричастная форма+имя существительное+глагол.** *djək^opša* *basta g^oifum* «ненавидит его», «не терпит его» (досл.: он, заметив его, не ест пасту), *dəlbata basta g^oəlfum* «не выносит, ненавидит, преследует его» (досл.: она, увидев его, не может есть пасту) и др.

ж) **Причастная форма + имя существительное + глагол.** *dəz-tu aʒə g^oqzəgəʃ* «скандалист» (досл.: вода, в которой он находится, не станет чистой, не будет отстаиваться).

з) **Глагол + имя существительное + глагол.** *dəamsan jɾəŋca* *dəakəliʃ^otʃ* «он похож на него как две капли воды» (досл.: чихнул и он выпал из его носа.).

и) **Сравнительное слово aršə + имя существительное + глагол** (*awi*) *jaršə ak^otuk^oa^ogi dəg^orəlam* «он большой хвостун» (досл.: таких, как он, и среди кур нет) и т. д.

ФЕ, построенные по последним четырем моделям, не выделяются какими-нибудь характерными особенностями. Глагольные компоненты в них обладают довольно широким диапазоном формоизменений. Единственное, что можно отметить, это то, что часть из них имеет открытую структуру, т. е. имеет обычно какое-нибудь слово-сопроводитель. Это слово не является составным компонентом ФЕ, но играет определенную роль в конкретизации направленности значения фразеологизма. Слова-сопроводители чаще всего встречаются в наречно-обстоятельственных фразеологизмах и, как обычно, ими являются глаголы. В данном же случае в качестве слов-сопроводителей выступают чаще всего указательные местоимения, которые, естественно, могут быть заменены именами существительными. Следует отметить и такое обстоятельство: если в наречно-обстоятельственных ФЕ слова-сопроводители

выступают в постпозиции по отношению к ФЕ, которую они конкретизируют, то в рассматриваемых типах глагольных фразеологизмов слова-сопроводители занимают в основном препозицию. Такое положение, например, в последней модели диктуется наличием в структуре ФЕ сравнительного слова ар̄ḥ «такой», «похожий».

Глагольные ФЕ в абазинском языке могут иметь четыре и более составных компонента, но число таких единиц сравнительно невелико. Все они имеют структуру предложения и по своему значению соответствуют глаголу. Среди них можно выделить, в основном, три структурные модели, включающие в свой состав по четыре компонента и одну, состоящую из пяти компонентов. Многокомпонентные ФЕ с более расширенной структурой не являются неестественными для абазинской фразеологии, но они встречаются в большинстве своем в группе коммуникативно-предикативных ФЕ.

Многокомпонентные ФЕ, включающие в свой состав четыре компонента, имеют следующие структурные модели: к) **имя существительное + глагол + имя существительное + глагол**, л) **имя существительное + имя существительное + наречие-послелог + глагол**, м) **имя существительное + имя существительное + имя существительное + глагол**, а ФЕ, состоящие из пяти компонентов: н) **имя существительное + глагол + имя существительное + деепричастная форма + глагол**. Примеры: ala jaḡaṭ, aḥ^a jaḡaṭ «пропало бесследно, бесполезно» (досл.: собака унесла, свинья унесла), jpsə jəḡq^aak^a ḡpḡ jəat «испугался», «перепугался» (досл.: его душа ушла к его пяткам), jwasaxča laba alə^gra jḡajəḡs^alxṭ «разорился», «обанкротился» (досл.: он свою пастушью палку забросил на чердак), ʒəḡ^gra dʒərcan ʒə jjəmrəḡ^wa dwajdxṭ «обманул», «перехитрил» (досл.: он повел его на водопой и привел обратно, не напоив) и др.

Среди ФЕ, включающих в свою структуру четыре компонента, можно отметить еще две модели: о) **имя существительное + глагол + местоимение + глагол**: ala wasərk^əp awat jrək^sit «их много» (обычно о большом роде, фамилии, людях часто встречающейся профессии) (досл.: если кинешь палку в собаку, попадешь в них) и п) **наречие + глагол + наречие + глагол**: waḡ^ḡagⁱ ciṭ cwaḡ^g ciṭ «с концами ушел» (взял, пропал и т. д.) (досл.: и сегодня идет, и завтра идет). ФЕ, имеющих такие структурные модели, совсем немного. Характерной чертой фразеологизмов, в основе которых лежит первая модель, является возможность свободной замены местоименных компонентов существительными.

Таким образом, даже неполный анализ структурно-грамматических характеристик глагольных ФЕ абазинского языка показывает, что в абазинской фразеологии составные компоненты фразеологизмов обладают относительно большой грамматической лабильностью, что, в свою очередь, дает полное основание не соглашаться с мнением о том, что грамматические категории в идиомах затушевываются. Речь может идти об ограниченности реализации парадигматических форм той или иной ФЕ. Во многих случаях мы наблюдаем реализацию только



определенного числа парадигматических форм, а не всех возможных естественных для аналогичного свободного сочетания. Но ограниченность реализации грамматических форм не есть затушевывание грамматических категорий. Аналогичная ограниченность обусловлена структурными и семантическими особенностями той или иной ФЕ, а не забыванием значений грамматических категорий. Она (ограниченность) в определенной мере проявляется и в свободных сочетаниях.

Структурно-грамматический анализ ФЕ абазинского языка показал, что в основе фразеологизмов лежат структурные модели, характерные для словосочетаний и предложений современного языка, что они достаточно многочисленны и разнообразны, что одни только глагольные ФЕ обнаруживают таких моделей более 20 и, наконец, что при установлении определений ФЕ, идиомы, фразеологического сочетания, при определении границ абазинской фразеологии выдвигать на первое место факторы грамматического порядка неправомерно. Они у разных групп ФЕ, а также во фразеологизмах и смежных явлениях, вплоть до свободных словосочетаний, во многом идентичны и потому скорее объединяют их, чем отграничивают друг от друга. Сказанное не означает, что при решении ряда вопросов факторами грамматического порядка можно вообще пренебречь. Из проведенного анализа видно, что во многих случаях парадигматические характеристики ФЕ (особенно идиом) и свободных сочетаний отличаются друг от друга. Это является надежным основанием для использования факторов грамматического порядка при, например, семантической (или структурно-семантической) классификации ФЕ абазинского языка как критериев вспомогательного (не основного, не единственного) характера.

И, наконец, надо отметить, что структурно-грамматический анализ глагольных ФЕ абазинского языка выявляет и ряд других интересных явлений. Например, из всех грамматических категорий больше всего в образовании фразеологического значения принимает участие категория отрицания. Нередки случаи, когда все значение фразеологизма строится на отрицании, когда переводение глагольного компонента из отрицательной формы в положительную разрушает весь фразеологизм.

При помощи структурно-грамматического анализа, при помощи выявления основных структурных моделей, которые лежат в основе глагольных ФЕ, выясняется также, что частотность употребления различных частей речи в структуре ФЕ неодинакова. Выше всего она у глагола. За ним следует имя существительное. Аналогичное положение наблюдается и в свободных словосочетаниях и предложениях абазинского языка.

Отдел горских иберийско-кавказских языков
 Института языкознания АН Грузинской ССР
 Представила академик АН Грузинской ССР
 К. В. Ломтатидзе

მენარა კავთიაშვილი

ქართული ლიტერატურული თემატიკა ჟურნალ „KAUKASISCHE POST“-ის ფურცლებზე

გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში სავაჭრო კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად სწრაფი ტემპით იზრდებოდა უცხოელ მოსახლეთა რიცხვიც. მათ შორის მნიშვნელოვანი წილი მოდიოდა გერმანელებზე, რომლებმაც ცალკე კოლონიებიც კი შექმნეს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ასეთი პროცესი მიმდინარეობდა არა მარტო ჩვენში, არამედ მთელს ამიერ- და იმიერკავკასიაში, რუსეთში, ახლო აღმოსავლეთში და სხვა. ჩვენი საუკუნის დასაწყისში გერმანულ მოსახლეთა რიცხვმა იმდენად სერიოზულ რაოდენობას მიაღწია, რომ საჭირო გახდა მათთვის სპეციალური ბეჭდვითი ორგანოს შექმნა და, მართლაც, 1906 წლიდან გამოცემა დაიწყო ყოველკვირეულმა ჟურნალმა «Kaukasische Post» — მა. მართალია, იგი თბილისში გამოდიოდა, მაგრამ, როგორც ჟურნალის სათაურზე დართული განმარტება გვაძეცნობს, იგი გამოზნული ყოფილა არა მარტო საქართველოში მცხოვრები გერმანელებისათვის, არამედ მთელ ამიერ- და იმიერკავკასიასა, ამიერ- და იმიერკასპიისპირეთსა, სამხრეთ რუსეთსა და სპარსეთში მცხოვრებ გერმანელთათვის («Insertionsorgan für Cis und Trans Kaukasus, Trans-Kaspien, Südrussland und Persien»). პირველი მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით, 1914 წლის აგვისტოდან, ჟურნალმა დროებით შეწყვიტა არსებობა. 1918 წელს კი კვლავ განახლდა მისი გამოცემა, თუმცა ამჯერად იგი გამოდიოდა როგორც ყოველკვირეული გაზეთი. 1922 წლიდან ამ გაზეთმაც შეწყვიტა არსებობა.

ჟურნალი მეტად მდიდრულად იყო გაფორმებული. ექვსი გვერდი დათმობილი ჰქონდა რეკლამებს, ხოლო ძირითადი ნაწილიც საესე იყო ილუსტრაციებით.

ჟურნალის დანიშნულება, როგორც მასში გამოქვეყნებული მასალებიდან ჩანს, იყო: ერთი, აღნიშნულ ტერიტორიაზე გერმანელი დასახლებებისათვის გერმანიის (სამშობლოს), მსოფლიოს და ადგილობრივი ცხოვრების, მისი ეკონომიკის, კულტურისა და პოლიტიკური ყოფის ამსახველი ინფორმაციის მიწოდება; მეორე, ზრუნვა იმაზე, რომ სამშობლოს მოწყვეტილ გერმანელებში არ ჩამჭარალიყო ეროვნული გრძნობა (ამ თვალსაზრისით, ჟურნალი ზოგჯერ ვიწროეროვნულ ინტერესებზე უფრო შორსაც მიდიოდა და შოვინისტური განწყობილებების დანერგვასაც ცდილობდა). დაბოლოს, საინტერესოა ჟურნალის თავგამოდებული ზრუნვა გერმანული მოსახლეობისათვის მაქსიმალურად ხელსაყრელი საცხოვრებელი პირობების შექმნისათვის. ამ მხრივ აღსანიშნავია ჟურნალის ინიციატივით გერმანული სკოლებისა თუ სხვადასხვა ორგანიზაციის გახსნა. როგორც ჟურნალის ინფორმაციებიდან ჩანს, რედაქცია ფართო მუშაობას ეწეოდა სპეციალურად გერმანიაში შექმნილი დიდძალი ლიტერატურით გერმანული კოლონიების მოსამარაგებლად. ყოველნაირად ცდილობდა ხელი შეეწყო მათ შორის ლიტერატურული საქმიანობის გაჩაღებისათვის. თით-



ქმის ყოველ ნომერში იბეჭდებოდა კოლონიებში მცხოვრები გერმანელები ლექსები თუ პროზაული ნაწარმოებები, რაგინდ მდარე ხარისხისაც არ უნდა ყოფილიყო იგი.

ჟურნალში მასალა იბეჭდებოდა შემდეგი რუბრიკებით: 1. Politische Rundschau (პოლიტიკური მიმოხილვა), აქ ცალ-ცალკე იყო მიმოხილული საშინაო და საგარეო საქმეები. 2. Nachrichten aus Kaukasus (ცნობები კავკასიიდან), 3. Aus den kolonien (კოლონიებიდან). 4. Landwirtschaft und Gartenbau (სოფლის მეურნეობა და მეხალეობა), 5. Handel und Gewerbe (ვაჭრობა და ხელოსნობა), 6. Literatur und Kunst (ლიტერატურა და ხელოვნება), 7. Feuilleton (ფელეტონები), 8. Küche und Haus, Erziehung und Gesundheitspflege (სამზარეულო და ბინა, აღზრდა, ჯანმრთელობის მოვლა). 9. Tbilisser Plauderei (თბილისური ხუმრობები), 10. Lustige Ecke (მზიარული კუთხე), 11. Reklamen (რეკლამები).

მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალს მეტად მრავალი საკითხი ჰქონდა გასაშუქებელი, მაინც დიდი წვლილი გაიღო ქართული ლიტერატურისა და, საერთოდ, ქართული ყოფის გერმანელი მკითხველისათვის გაცნობის საქმეში.

ჟურნალში გამოქვეყნებული ქართული მასალა შეიძლება ასე დაჯგუფდეს:

1. ქართულიდან თარგმნილი ლიტერატურა; 2. ქართული თემა გერმანელ ავტორთა შემოქმედებაში; 3. საქართველოს ისტორიისა და მისი ყოფა-ცხოვრების ამსახველი მასალა; 4. თბილისური ხუმრობები, რომელშიც ყოველდღიური საზრუნავი და გასაჭირი იუმორისტული საღებავებით იყო გადმოცემული; 5. თბილისში მიმდინარე თეატრალური და სხვა კულტურული ღონისძიებანი.

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალი მთელი ამიერ- და იმიერ-კავკასიის ცხოვრებას ასახავდა, მაინც, გარკვეულ წილად, ქართული სულით სუნთქავდა.

ჟურნალის სალიტერატურო კორესპონდენტები კარგად იცნობდნენ ქართულ მწერლობას და აქ მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებს (ქართული მწერლობის შესახებ მასალებს ძირითადად არტურ ლისტი აქვეყნებდა).

როგორც ცნობილია, გასული საუკუნის დასასრულს ჩვენს ლიტერატურაში მომძლავრებულმა ნატურალიზმმა 90-იანი წლების ბოლოს რღვევა დაიწყო და აშკარად იჩინა თავი ევროპის ახალი ლიტერატურული მოვლენებით დაინტერესებამ. კერძოდ, ამ დროს ფეხს იდგამს ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური მიმართულება. იმდროინდელი ქართული კრიტიკის უსაჩინოესი წარმომადგენელი კიტა აბაშიძე წერდა: „ნატურალიზმის ხანა ახლა გადასულია... მშრალი რწმენა ეჭვს ქვეშ არის დაყენებული, აღარავისათვის არაფერ საინტერესოს შეადგენს... მეცნიერებამ და ფილოსოფიამ ისე გაგვიფართოეს ჩვენი მხედველობის არე, რომ ძნელად დაგვანტერესებს ვინმე რაიმე მოვლენის ფორტოგრაფიული გადმოღებით... ამიტომაც, ყოველი მწერალი, რომელიც ვერ მიხვდება დღევანდელი იჭვითა და გამოურკვევლობით შეპყრობილი ადამიანის მოთხოვნილებას და მისი სულიერი ტანჯვის დაამებას არ მოისურვებს, ფონს ვერ გავა“¹. იმდროინდელი ლიტერატურის „ტონის მიმცემებს“ უწოდებდა კიტა აბაშიძე შ. არაგვისპირელს, ი. დეკანოზიშვილს, ი. ზურაბაშვილს, ცინცაძესა და

¹ კიტა აბაშიძე, ცხოვრება და ხელოვნება, თბილისი, 1971, გვ. 261—262.

სხვებს. სწორედ მათ განიცადეს ყველაზე უფრო მეტად ევროპული ფსიქოლოგიური პროზის გავლენა.

ქართულ მწერლობაში ახალი ლიტერატურული მიმართულების ქროლვა მაშინვე იგრძნო ჟურნალ „კაუკაზიშე პოსტმა“ და უკვე 1906 წელს გამოაქვეყნა ა. დეკანოზიშვილის ფსიქოლოგიური ნოველა „პეპელა“, რომლის გერმანული თარგმანი შესრულებულია არტურ ლაისტის მიერ. აღნიშნულმა ნოველამ მაშინვე ფართო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო და მის ავტორს სახელი მოუხვეჭა. მას ქართველ მოპასანს უწოდებდნენ². მართლაც, „პეპელას“ ფორმა, ფრაზათა კონსტრუქცია, თვით დასაწყისიც კი ძალაუნებურად მოპასანს გაგახსენებთ, კერძოდ, მის ნოველა „დასაფლავებას“. აღნიშნულის დასადასტურებლად გავაგვლებთ რამდენიმე პარალელს ამ ორ ქმნილებას შორის. ორივე შემთხვევაში ლირიკულ გმირს უკვდება სატრფო. სწორედ სატრფოს დაკარგვით გამოწვეულ სულიერ განცდებზეა აგებული ორივე ნაწარმოები. მოპასანის „დასაფლავება“ იწყება ასე: „გაგიყვებით მიყვარდა!“³ დეკანოზიშვილი კი თავის „პეპელას“ ასე იწყებს: „დაკვარგე, ვინც ყველაზე მეტად მიყვარდა“⁴. ამ უბედურების გამო ორივე გმირი მძიმე ფიქრებმა შეიპყრო, მაგრამ არც ერთს არ ახსოვს, თუ რას ფიქრობდნენ ისინი ამ დროს. მოპასანის გმირი ამბობს: „...აღარ მაგონდება, ყველაფერი დამავიწყდა, ყველაფერი“⁵. დეკანოზიშვილის გმირი კი ჩივის: „ახლაც არ ვიცი, რა ფიქრი იყო ის ფიქრი“⁶. ამ თავზარდამცემი უბედურების დროს ორივეს მოუნდა გასცლოდა უბედურების ადგილს. ერთი ამბობს: „სადღაც მომინდა გაქცევა, შორს, შორს გადაკარგვა... ვარედ გამოვედი, გონებადაბნელებული, გრძნობაშიხდილი, აქეთ-იქით დავეხეტებოდი უაზროდ“⁷. მეორე გმირიც უმაღლესად იქაურობას: „მე გამოვიქეცი, მოვრბოდი, დიდხანს დავდიოდი ქუჩებში“⁸. ბოლოს ერთი სასაფლაოზე მოხვდა, მეორე — ტრიალ მინდორზე. მოპასანის გმირი მარტო იყო უამრავ მიცვალებულთა შორის, გაურკვეველი ხმაური ესმოდა; „ისე შემეშინდა, მზად ვიყავ დამეღრილა“⁹. დეკანოზიშვილის გმირიც მინდორში მარტო დარჩა, პაერში რაღაც გუგუნნი იღვა: „ერთხანს მომეჩვენა, რომ ჩემს მეტი ცოცხალი და იმის მეტი მკვლარი ქვეყანაზე აღარავინ არის... შემეშინდა არ გავგიყვებულყავ და თავში ხელი ჩავივლი. მინდოდა დამეყვირა“¹⁰. მაგრამ ეს არის და ეს. ა. დეკანოზიშვილის ამ პატარა ნოველაში ძალიან ბევრია ორიგინალური ხედვა, ბუნებისა და ადამიანის ურთიერთდამოკიდებულების შეცნობის სურვილი, ღრმა ფსიქოლოგიზმი.

ბუნებისა და ადამიანის ურთიერთდამოკიდებულების ძიება ახალი არ ყოფილა ქართულ ლიტერატურაში; ვაჟა-ფშაველა და შიო არაგვისპირელიც უდიდეს დანიტერესებას იჩენდნენ ამ საკითხისადმი. განსაკუთრებით ვაჟა-ფშაველა, რომლისთვისაც ბუნება ცოცხალი თანამოაზრე და გულთამხილველია ადა-

² იქვე, გვ. 87.

³ გიღეშოპასანი, ნოველები, თბილისი, 1962, გვ. 30.

⁴ „კვალი“, 1893, № 41, გვ. 11.

⁵ გიღეშოპასანი, ნოველები, გვ. 30.

⁶ „კვალი“, 41, გვ. 11.

⁷ „კვალი“, გვ. 12.

⁸ გიღეშოპასანი, ნოველები, გვ. 32.

⁹ იქვე, გვ. 33.

¹⁰ „კვალი“, გვ. 12.



მიანისა. აქ დეკანოზიშვილი საწინააღმდეგო მოსაზრებას აეთარება. თუ ვა-
ჟასთან ბუნება ისე თანაურადნობს თუშ-ფშავ-ხეცსურებს თავს დამტყდნე-
დურებაში, რომ „ცრემლი სდით ალაზნისა“, დეკანოზიშვილის გმირი შფო-
თავს, ღელავს და რაც ძალი და ღონე აქვს ებრძვის ბუნების უღმობელ გულ-
გრილობას, რომელმაც არ გაიზიარა მისი მწუხარება.

გასაკვირი არაა, რომ ქართული ფსიქოლოგიური პროზის ერთ-ერთმა პირ-
ველმა ნიმუშმა არტურ ლაისტის ყურადღება მიიპყრო და ხელი მოჰკიდა მის
თარგმნას. უნდა აღინიშნოს, რომ თარგმანი უთუოდ კარგ შთაბეჭდილებას ტო-
ვებს. ფრაზათა უბრალოება, გამჭვირვალეობა და გრძობათა სიმძაფრე ძირი-
თადად კარგად იკვეთება გერმანულ თარგმანშიც, თუმცა გვხვდება გარკვეუ-
ლი სახის ხარვეზებიც.

ორიგინალში საინტერესოა ის მომენტი, როდესაც ლირიკული გმირი (კაცო)
უკვე ვეღარ ბედავს მომაკვდავის ოთახში შესვლას: „მძნელებოდა, მეშინოდაო“, —
—ამბობს იგი. აქ ორი მომენტია მნიშვნელოვანი, ეძნელებოდა მომაკვდავთან
შესვლა და თანაც რაღაც გაურკვეველი შიშიც დაუფლებოდა. შიში მომაკვ-
დავის ცქერისათუ შიში საყვარელ არსებასთან სამუდამო ვანშორებისა. რატომ-
ღაც არტურ ლაისტს გამოუტრევიბია ეს სიტყვები და დაკმაყოფილებულია იმის
აღნიშვნით, რომ აღარ შემძლო მის ოთახში დაბრუნებაო (Ich vermochte nicht,
in ihr Zimmer Zurückzugehen).

დეკანოზიშვილისათვის დამახასიათებელია სიტყვათა ხშირი გამეორება,
ჩართულებისა და განკერძოებული განსაზღვრებების გამოყენება. ამით უფრო
აკონკრეტებს და სიმძაფრეს მატებს სათქმელს. მაგალითად: „მის სახეზე ამო-
ვიციხე საყვედური, ჩუმი საყვედური“; „მან იგრძნო ესა, უთქმელად, უსიტ-
ყვოდ იგრძნო“; „ეს ჭია, ეს მწერი, ეს უგუნური არსება ათასჯერ და ათათას-
ჯერ ბედნიერი იყო, ვიდრე მე“. „დიდხანს ვუყურე მე მას, დიდხანს“; „ნერ-
ვებმა ვეღარ შეძლეს, ვეღარ აიტანეს“; „ბევრი ვიტირე, ბევრი“.

არტურ ლაისტი ამ კონსტრუქციებს ყოველთვის არღვევს: ან მარტო გა-
ვრცობილ წინადადებად გადააკეთებს ასეთ თქმებს; ან სრულიად გამოტოვებს.
ეს ამბავი შეიძლება სხვადასხვა ენის ნიშანდობლიობით ახსნან, მაგრამ, ალბათ,
არც ერთი ენა ისე კარგად არ იგუებს ჩართულებსა და ყველა სახის გავრცო-
ბებს, როგორც — გერმანული.

მიუხედავად აღნიშნულისა, არტურ ლაისტის თარგმანი მშვენივრად აგრ-
ძნობინებს გერმანულ მკითხველს ლირიკული გმირის განწყობილებას, მისი
აფორიაქებული სულის შფოთვისა და დააფიქრებს კიდევ ბუნებისა და ადამიან-
ის ურთიერთობის მარად ამოუცნობ საკითხზე, რისი გააზრებაც სცადა ავტორ-
მა ამ მცირე მოცულობის, მაგრამ მეტად საინტერესო ქმნილებაში.

ყურნალ „კაუკაზიშე პოსტმა“ 1907 წელს ილია ჭავჭავაძის მკვლელობას-
თან დაკავშირებით გამოაქვეყნა ვრცელი ნეკროლოგი და მისივე სამი ლექსის
თარგმანი. ესენია: „გაზაფხული“, „არავს“ (ნაწყვეტი პოემიდან „აჩრდილი“) და
„შემოღამება ალაზნის ველზე“ (ნაწყვეტი პოემიდან „კაკო ყაჩაღი“).

ნეკროლოგში არტურ ლაისტი გერმანულ მკითხველს აცნობს ილია ჭავჭავა-
ძის პიროვნებას, მის დამსახურებასა და როლს ქართველი ხალხის სულიერი ცხოვ-
რების ამაღლების, მისი ეროვნული გამოფხიზლებისა და თვითმყვანების განვი-
თარებას საქმეში. „ი. ჭავჭავაძე თვით უმცირესი ზომის ნაწარმოებებშიც უდიდეს
იღვებს დებლაო“, —წერს ავტორი და ნათქვამის დასადასტურებლად მოაქვს ორ-

სტროფიანი ლექსი „გაზაფხული“. მიუხედავად იმისა, რომ სიტყვიერი ქსოვილი საგრძნობლად შეცვლილია („ტყემ მოისხა ფოთოლის“ ნაცვლად ვითხურობს: «Wieder lacht die milde Sonne» — ევლავ იციანს რბილი, მსუბუქი მზე; მერცხლის ნაცვლად ტოროლა ჭყვივს — «die Lerche singt» და სხვა), მაინც გაზაფხულზე ახლადგამოღვიძებული ბუნების სურათი, მისი სიციხისა, ფრინველთა ყვილ-ხივილი და ამ ფონზე ავტორის რიტორიკული შეკითხვა — ზუსტად აღიქმება თარგმანშიც. დანარჩენი ორი ნაწყვეტიც ილიას პოემებიდან დაახლოებით ასეთივე თარგმანია. საინტერესოა, რომ არტურ ლაისტს ილია ჭავჭავაძის ქმნილებებიდან სათარგმნელად ერთნაირი განწყობილებისა და ერთი იდეის მატარებელი მასალა შეურჩევია. კერძოდ, სამივე ლექსს წითელ ზოლად გასდევს საშობლოს უნუგეშო მდგომარეობით გამოწვეული პოეტის უდიდესი წუხილი.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას ევლავაც შეეხო არტურ ლაისტი, როცა 1913 წელს აღნიშნულ ურნალში გამოაქვეყნა სტატია «Zur Unterhaltung und Belehrung. Ein georgischer Prachtwerk» („მსჯელობისა და სწავლისათვის. შესანიშნავი ქართული ქმნილება») ¹¹. სტატია დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის ილუსტრირებული კრებულის გამოცემასთან დაკავშირებით. ავტორი აღტაცებით ლაპარაკობს წიგნის გაფორმების იმ დიდ კულტურაზე, რაც ქართველ ხალხს საერთოდ აქვთ და რის ცხად მაგალითსაც სარეცენზიო კრებული წარმოადგენს. შემდეგ კი შეფასებას აძლევს ილია ჭავჭავაძეს, როგორც პიროვნებასა და როგორც შემოქმედს. იგი წერს: «Tschawtschawadse war für sein Volk wirklich ein führender Geist, ein hervorragender Mann, der aber auch in jedem andere Volke auf ansehnliche hohe gestanden hatte». (თავისი ხალხისათვის ჭავჭავაძე იყო ნამდვილი მამოძრავებელი სული, უდიდესი ადამიანი, რომელიც ნებისმიერი ხალხის ცხოვრებაშიც ასეთსავე თვალსაჩინო სიმაღლეზე დადგებოდა).

აკაკი წერეთლის სამწერლო მოღვაწეობის ორმოცდაათი წლისათვის აღსანიშნავად ურნალმა 1908 წელს გამოაქვეყნა არტურ ლაისტის წერილი და მის მიერვე თარგმნილი ლექსები: „სურვილი“, ნაწყვეტი ლექსიდან „სალამური“ და „ხალხური“ (მინდვრად ეგდო თეთრი ქვა) ¹². საიუბილეო წერილში ვითხურობთ: «...oft ist ihr poetischer Zauber geradezu hinreißend und der hehre, feierliche Ton, welchen er manchmal anschlägt, klingt wie ein weichevolles, an die ewige Schönheit gerichtetes Gebet aus... Das Lied von der Schönheit der Welt klingt zwar heiter und hell durch die gesamte georgische Poesie, aber wohl kein Dichter hat es so verschiedenartig gesungen, wie Akaki Zereteli. In seinen Dichtungen kommt alle Eigenart des georgischen Volkes zum Ausdruck, seine Tugenden und Gebrechen, sein Schalten und Walten, Den Zereteli ist ein echter, unversälichter Georgier» (ხშირად მისი პოეტური თილისმა მომაცდობებელი და ამაღლებულია. საზეიმო ტონი, რომელსაც მისი პოეზია გამოსცემს ხოლმე, ისე უღერს, როგორც მარადიული მშვენიერებისაკენ მიმართული ლოცვა... მართალია, მშვენიერებისადმი ხოტბა ნათლად და მკაფიოდ ისმის მთელ ქართულ პოეზიაში, მაგრამ მაინც არც ერთ ქართველ პოეტს ისე მრავალფეროვნად არ უმღერია მისთვის, როგორც აკაკი წერეთელს. მის პოეზიაში აღბეჭდილია ქართველი ხალხის ყველა თავისებურება, მისი სათნოება თუ ნაკლი, მისი თვითმყოფადობა, რადგან წერეთელი არის ნამდვილი, ქეშმარიტი ქართველი).

¹¹ «Kaukasische Post», 1913, № 13, გვ. 9—11.

¹² იქვე, 1908, № 24, გვ. 12.



ყურნალში გამოქვეყნებული აკაკის ლექსების გერმანული თარგმანები წინმშოდ ვერ ჩაითვლება. ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ ლექსში უდიდესი მნიშვნელობა მის ფორმას, რითმს, რიტმს, განწყობილებას ენიჭება და მისი დაკარგვა ლექსისათვის სულის წართმევას უდრის. ასე მოხდა აღნიშნული ლექსების თარგმანშიც, მაგრამ, მიუხედავად აღნიშნულისა, არტურ ლაისტმა საიუბილეო წერილითა და რამდენიმე ლექსის თარგმანით ჩვენი სასიქადულო მწერლის შემოქმედებით დაინტერესა გერმანელი მკითხველი და მასთან უფრო ახლოსა და კარგად გაცნობის სურვილიც აღუძრა.

1906 წლის „კაუკაზიშე პოსტის“ სამ ნომერში (1, 2, 3) დაიბეჭდა არტურ ლაისტის მოთხრობა „რღვევა“ (Ein Zusammenbruch), რომელიც ქართულ თემაზეა დაწერილი. კერძოდ, მასში აღწერილია, თუ როგორ შთანთქა თავად გერანელის ქონება ხელგაშლილმა ცხოვრებამ და დაუსრულებელმა ქეიფებმა. დიდ ვალში ჩაჯარდა იგი და ერთ დღესაც, როცა გამოუცხადეს, ბანკის ვალის გადაუხდელობის გამო, შენი სახლ-კარი იყიდებო, გული გაუსკდა და მოკვდა. ყოფილი ბრწყინვალე თავადის სამოსახლოზე ახალი ცხოვრება დაიწყო ერთმა თბილისელმა ვაჭარმა. თემა საკმაოდ ცნობილია ქართული მწერლობისათვის. ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ცნობილმა ქართველმა მწერლებმა გიორგი ერისთავმა და გიორგი წერეთელმა აღწერეს ახალი სოციალური ძალის—სავაჭრო კაპიტალის შემოჭრით გამოწვეული თავდაზნაურული ცხოვრების რღვევის სურათები, მაგრამ განსხვავება იმაშია, რომ არტურ ლაისტი მეტ ყურადღებას უთმობს ქართული ყოფითი სურათების, ზნე-ჩვეულებების ჩვენებას. კერძოდ, მოთხრობაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მიცვალებულის დატირებისა და დაკრძალვის ცერემონიას, და სხვა.

არტურ ლაისტმა აღნიშნული ყურნალის 1908 წლის მთელ რიგ ნომერებში (41, 43, 45, 46, 47, 48, 49, 50, 51, 52) გამოაქვეყნა ვრცელი მოთხრობა იმერული ცხოვრებიდან „მარო“ («Maro. Erzählung aus Imeretien»), მასში ყურადღებაა გამახვილებული იმერელი კაცის ხალას ბუნებაზე, მის სტუმართმოყვარეობაზე, ცხოვრებისადმი ხალისიან დამოკიდებულებაზე. ისე რომ, დიდია არტურ ლაისტის ღვაწლი ქართული კულტურის წინაშე. იგი ყურნალში აქვეყნებდა არა მარტო წერილებსა და თარგმანებს ქართველი მწერლებისა და მათი შემოქმედების ნიმუშების გერმანელი მკითხველისათვის გასაცნობად, არამედ თვითვე ღრმად სწავლობდა ქართულ ცხოვრებას და თავის ორიგინალურ ქმნილებებში ხორცს ასხამდა მას.

„კაუკაზიშე პოსტის“ 1907 წლის მე-14 ნომერში (გვ. 12, 13) გამოქვეყნებულია ედუარდ იენის ნარკვევი სათაურით: „ერთი წელი აჯანყებულ გურიაში“. საქმე ისაა, რომ ამ ნარკვევის ავტორი სამხედრო პირია. იგი იმ დამსჯელი ჯარის ოფიცერია, რომელიც გურიაში აჯანყების ჩასახშობად გაუგზავნიათ. მას ერთი წლის მანძილზე კარგად შეუსწავლია გურული ხალხის ცხოვრება, ზნე-ჩვეულება, ხალასი ბუნება, იუმორის დიდი გრძობა, რასაც დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია და ცდილა ნანახი და განცდილი მხატვრულად აეწერა.

იმავე წლის 25-ე ნომერში გამოქვეყნებულია არტურ ლაისტის წერილი სათაურით „ქართული ლიტერატურა“. ავტორი გერმანელ მკითხველს აცნობებს, რომ პეტრე მირიანაშვილმა დაამთავრა გოეთეს „ფაუსტის“ თარგმნა და მას მალე იხილავს ქართველი მკითხველი. აქვე წერილის ავტორი გამოთქვამს ზოგიერთ მცდარ მოსაზრებას. იგი წერს: «... es beweift, das die Georgier endlich daran denken, ihr noch armes Schrifttum mit den Meisterwerken der Weltliteratur



zu bereichen» (... იგი მიუთითებს იმაზეც («ფაუსტის» თარგმნა.—ვ. კ.), რომ მდებარეობს ლოს და ბოლოს ქართველები იმაზე ფიქრობენ, რომ თავიანთი ჯერ კიდევ ღარიბი მწერლობა მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ქმნილებებით გაამდიდრონ). მაშინ, როცა ავტორი ამ სტრიქონებს წერდა, საკმაოდ კარგად იყო, თუ მეცნიერულად შესწავლილი და დამუშავებული არა, აღნუსხული მაინც უმდიდრესი ძველი ქართული ლიტერატურა. ვარდა ამისა, ვფიქრობთ, ერს, რომელსაც რუსთაველი, ბარათაშვილი და ვაჟა-ფშაველა ჰყავდა, არ ეთქმოდა მწერლობის სიღარიბე, მითუმეტეს იმისგან, ვისაც ახლო მეგობრობა აკავშირებდა ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელთან.

ეურნალოში ხრისტიან ჰაანი აქვეყნებდა ხოლმე ისტორიული ხასიათის ნარკვევებს საქართველოში. კერძოდ 1909 წლის მე-10, 11, 12, 13, 14 ნომრებში დაიბეჭდა თბილისის ისტორია სათაურით «Aus der Vergangenheit der Tiflis. Von deren Anfängen bis zur Ankunft der Russen» (თბილისის წარსულიდან. მისი დასაწყისიდან რუსების მოსვლამდე). 1912 წელს მოსე ჯანაშვილის მასალებზე დაყრდნობით იგი აქვეყნებდა სტატიას „თამარი, საქართველოს მეფე (1179—1213)“¹³. ხოლო 1914 წლის მე-6—7 ნომრებში—«Ärzte und Heilmittel in Kolchis (Mingrelia) in der ersten Hälfte des 16. Jahrhunderts» (მედიცინა და სამკურნალო საშუალებები მე-16 საუკუნის პირველი ნახევრის კოლხეთში (სამეგრელოში)). სტატია ამოღებულია ლეოპოლდ. ფორტის ეურნალიდან: «Mitteilungen zur Geschichte der Medizin und der Naturwissenschaft» (მედიცინისა და ბუნებისმეტყველების საკითხებზე აზრთა გაზიარების ეურნალი). ხოლო 1909 წლის 34-ე ნომერში (გვ. 11) განხილულია ადოლფ დირის მიერ ვენასა და ლაიპციგში გამოცემული თანამედროვე ქართული ენის თეორიულ-პრაქტიკული გრამატიკის სახელმძღვანელო.

ჩვენ მიერ აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ეურნალ „კაუკაზიშიე პოსტმა“ დიდი როლი შეასრულა ქართული ცხოვრების, მისი ისტორიის, მისი ლიტერატურის გერმანელი მკითხველისათვის გაცნობის საქმეში. მან გარკვეული საფუძველი მოამზადა იმისათვის, რომ გერმანელ სპეციალისტებს უფრო ფართო მასშტაბით მოეკიდათ ხელი ქართული ცხოვრების ყველა სფეროს კვლევისათვის.

¹³ «Kaukasische Post», 1912, № 1, გვ. 15.

В. Т. КAVTIAШВИЛИ

ГРУЗИНСКАЯ ЛИТЕРАТУРНАЯ ТЕМАТИКА НА СТРАНИЦАХ ЖУРНАЛА „KAUKASISCHE POST“

Резюме

В статье рассмотрены и проанализированы грузинские литературные материалы, которые печатались в журнале с 1906 г. по 1922 г., именно немецкие переводы произведений И. Чавчавадзе, А. Церетели, Ан. Деканошвили и других. Здесь же рассматриваются на грузинской теме созданные произведения немецких авторов А. Лейста, Э. Юна, Х. Хаана, посвященные грузинской литературе.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ქართულ-საზღვარგარეთულ ლიტერატურათა ურთიერთობის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

12. მაი 1981, ენისა და ლიტერატურის სერია, 1981, № 4

ნიკოლოზ ნახუცრიშვილი

პრემირიტთან bi- პრეფიქსის ფუნქციის შესახებ
კლასიკურ სპარსულში

თანამედროვე სპარსულ ენაში პრეფიქს *be-*ს (კლასიკური სპარსული *bi-*, საშუალო სპარსული *bē-*) მკაფიოდ განსაზღვრული ფუნქციები აკისრია: იგი წარმოადგენს მარტივ მორფოლოგიურ საშუალებას ზმნის აწმყოს ფუძესთან კავშირებითი და ბრძანებითი კილოს გამოსახატავად და მოკლებულია ყოველგვარ ლექსიკურ მნიშვნელობას¹.

დღევანდელ სალაპარაკო სპარსულ ენაში დადგენილია *be-*ს ხმარების სინტაქსური პირობები², ასევე გარკვეულია მისი გავრცელების სფეროები სალიტერატურო ტაჯიკურ ენაში³.

სამაგიეროდ, ჯერ კიდევ საბოლოოდ არაა დადგენილი სალიტერატურო ახალი სპარსულის ადრეული პროზაული ძეგლების ენაში *bi-*პრეფიქსის მნიშვნელობა. მართალია, ამ საკითხს მრავალი მკვლევარი შეეხო, მაგრამ არათუ აზრთა ერთიანობის მიღწევა არ მოხერხდა, არამედ გამოითქვა დიამეტრალურად საწინააღმდეგო მოსაზრებანიც. ცხადია, *bi-*პრეფიქსის ფუნქციის გარკვევისათვის არაა საკმარისი მხოლოდ აღნიშნული პერიოდის ძეგლების ენით შემოფარგვლა. აქ მოშველიებული უნდა იქნეს სხვა ირანულ ენათა (განსაკუთრებით, საშუალო სპარსულის), თანამედროვე სპარსული და ტაჯიკური ენების დიალექტთა მონაცემები. ჩვენთვის ხელმისაწვდომი სამეცნიერო ლიტერატურიდან საკითხისადმი ამნაირი ფართო მიდგომა გამოაეღინა კ. მაკკინონმა, მაგრამ მკვლევარი არ იცნობს მრავალ საბჭოთა და ზოგი უცხოელი მეცნიერის შეხედულებებს და ამიტომ ჩვენ საქიროდ მივაჩნია, წარმოვადგინოთ *bi-*პრეფიქსის შესწავლის ეტაპები, მოვახდინოთ არსებული მოსაზრებების კლასიფიკაცია და თან შეძლებისდაგვარად ზოგიერთი საკუთარი დაკვირვებაც ვაჩვენოთ.

*bi-*ს ეტიმოლოგიის დადგენის ისტორია მოცემულია ა. ფრეიმანისა და ი. ორანსკის სტატიებში⁴. თვით ა. ფრეიმანმა შემოგვთავაზა ახალი ეტიმოლოგია, ევრძოდ, აღნიშნა რა საშ. სპარსულში პრეფერბ *bē-*ს კავშირი ნაწილაკ *bē-*სთან, მან აჩვენა, რომ მათი სემანტიკური საფუძველია „მოშორების“, „მოცილების“ ცნება და წარმოადგინა *bi-*პრეფიქსის განვითარების შემდეგი სურათი: აბ. სპ. *bi-* <საშ. სპ. *bē* < *bēw* < **ba*+*it* || *ba*+*ič*. ინდურ-ირანული **ba* უკავშირდება ი. ე. **bē-*ს, რომელსაც იგივე მნიშვნელობა გააჩნია. *-it* და *-ič* არიან განმზოგადებელი ნაწილაკები. *bē-*ს ხედავს ა. ფრეიმანი სიტყვებში *betum* „უკიდურესი“ (*bē-*ს აღმატებითი ხარისხი) და *bērōn* „გარეთ“ (*-rōn* სუფიქსით). აქვე მოპყავს მას შესაბამისად სანსკრიტული *bahiḥ* „გარეთ“, ლიტვური *bē* „გარეშე“, სლავური *бѣхъ*⁵. ეს ეტიმოლოგია გაიზიარა ი. ორანსკიმ⁶. ყ. ლაზარი, რომელიც არ იცნობს ა. ფრეიმანის აღნიშნულ სტატიას, არც ერთ ეტიმოლოგიას დამაჯერებლად არ თვლის⁷. *bi-*ს მნიშვნელობის საკითხს ჩვენ ვზადავგზა კიდევ დავეუბრუნდებით. ასევე საკამათოა კიდევ ერთი საკითხი: საშუალო სპარსულში გვაქვს ერთი *bē-*, რომელსაც აკისრია როგორც ლექსიკური (პრეფერბი), ისე გრამატიკული (ე. წ. მაპერფექტივებელი) ფუნქციები, თუ არსებობს ორი ჰომოფონური *bē-*, ერთი—ზმნური ნაწილაკი, ხოლო მეორე—პრეფერბი?

პრეტერიტან bi-პრეფიქსის ფუნქციის შესახებ გამოთქმულია სამი განსაზღვრება: 1. bi- პრეფიქსი გრამატიკულად უფუნქციო ელემენტია და მოკლებული ასპექტის გამოხატვის უნარს. იგი მოწოდებულია მხოლოდ ატაროს მახვილი ზმნურ ფორმაში. 2. bi- არის დურატიული მოქმედების აღმნიშვნელი. 3. ამ პრეფიქსს თვლიან ასპექტური (მაპერფექტივებელი) მნიშვნელობების გამომხატველად. თანმიმდევრულად განვიხილოთ თითოეული მოსაზრება.

1. ვიდრე ე. ლაზარის „მახვილის პიპოთეზას“ შეეცხებით, მოვიყვანო სხვა მკვლევართა გამოთქვამებს bi- პრეფიქსის შესახებ:

„დაკვირვება პრეტერიტის ხმარებაზე bi- ნაწილაკით და მის გარეშე განხილულ ტექსტში (Asrar ut-tavhid) საშუალებას იძლევა მივიღოთ დასკვნამდე, რომ ერთჯერადობისა და დასრულებულობის მნიშვნელობა თვითონ პრეტერიტს ახასიათებს და ნაწილაკი bi- ამ შემთხვევაში უნდა განვიხილოთ, როგორც გრამატიკული შინაარსისაგან დაცლილი ბევრითი კომპლექსი“⁸.

„სიასათ-ნამეს“ ენის მოკლე ნარკვევში პ. დარკე წერს: „პრეფიქსი bi- ზმნას ერთვის მხოლოდ გაწონასწორებისა (موافق) და კეთილხმოვანებისათვის“⁹.

ირანელი გრამატიკოსები იფარგლებიან იმით, რომ ამ ნაწილაკს უწოდებენ „მახვილის ba-ს“ (ba-ye ta'kid) ან „მორთულობის ba-ს“ (ba-ye zinat)¹⁰.

ე. ლაზარმა ახალი სპარსული პროზის პირველი ძეგლების ენის შესწავლის შემდეგ ასეთი დასკვნები გამოიტანა: მისი აზრით, bi-ს, როგორც მაპერფექტივებელის, ინტერპრეტაცია აწყდება დიდ სიძნელეებს, რადგან, ერთი მხრივ, bi- და (ha)mē ერთსა და იმავე ზმნასთანაც გვხვდებიან; მეორეც, იგი ამჩნევს bi-პრეფიქსიან ისეთ ფორმებს, რომლებიც დურატიულ (იტერატიულ) მოქმედებებს გამოხატავენ, დამოუკიდებლად იმისა, აღნიშნულია თუ არა მისი დასასრული. ამ უკანასკნელი შემთხვევის საილუსტრაციოდ მოჰყავს შემდეგი მაგალითები: Bahram yak sal bibūm — „ბაჰრამი ერთ წელს დარჩა“¹¹. čand rōz hama šahr bigardiā — „რამდენიმე დღეში მთელი ქალაქი მოიარა“¹². bisiyār bigirist — „ბევრი იტირა“¹³.

ეს ზმნები თავისი სემანტიკით ისედაც გამოხატავენ განგრძობად მოქმედებას. ამავე დროს განგრძობადობაზე მიუთითებენ სიტყვები yak sal, čand rōz, bisiyār. bi-, ჩვენი აზრით, აქ გამოხატველია არა დურაციისა, არამედ იმისა, რომ ეს განგრძობადი მოქმედება გარკვეულად შემოსაზღვრულია.

ე. ლაზარი ასკვნის: ეს ფაქტები გვარწმუნებენ, რომ bi-ს ფუნქცია არ შეიძლება განისაზღვროს მისი ოპოზიციით (ha)mē-სთან; იგი არ გამოხატავს იმას, რასაც უწოდებენ ასპექტს¹⁴.

შემდეგ მკვლევარი სამ ზმნაზე (raftan, āmadan, guftan) დაკვირვების საფუძველზე საზღვრავს bi-ს ხმარების პირობებს, აღგენს, რომ bi-იანი და bi-ს გარეშე ფორმების გამოყენება დამოკიდებულია სინტაქსურ გარემოცვაზე. bi არ არის, როდესაც ზმნას ახლავს პრევერბი ან სახელადი ელემენტი (რთული ზმნის შემთხვევაში); როცა დამხმარე ზმნასთან გვაქვს საქმე; როცა ზმნა თანხლებულია ობიექტებით; თუკი მოძრაობის ზმნებთან არის დამატება, რომელიც მოძრაობის დასასრულს აღნიშნავს და ა. შ. ყველა ამ პირობის საერთო ნიშანი ისაა, რომ აქ ზმნა იმყოფება სუსტ, მოზორებულ პოზიციასში, მეორე პლანზე, დამოკიდებულა სემანტიკურად სხვა ელემენტებზე, რომლებიც ატარებენ ფრაზაში ლოგიკურ მახვილს.

საპირისპიროდ, თუ ზმნა წარმოადგენს წინადადების ერთადერთ წევრს ან არის მხოლოდ სუბიექტთან, თუ არ ახლავს მოძრაობის (მოქმედების) დასა-



სრულის აღნიშვნელი დამატებანი, ანუ გვევლინება წინადადების უფრო მნიშვნელოვან წევრად, მაშინ იგი აღჭურვილია bi- პრეფიქსით. „...პრეფიქსის ხმარება პირდაპირ კავშირშია ზმნის ავტონომიის დონესთან წინადადების შიგნით“. ზმნები პრეფიქსის გარეშე იმყოფებიან „სუსტ“ პოზიციაში, bi-ახლავს ზმნას „ძლიერ“ ანუ ემატაციურ პოზიციაში.¹⁵

შემდგომ მკვლევარი იშველებს თანამედროვე სპარსულში be- პრეფიქსზე მახვილის მოსვლის ფაქტს და, თან უშვებს რა ფრაზის რიტმული სურათისა და ზმნის აქცენტუაციის წესების უცვლელად დარჩენას ათი საუკუნის მანძილზე, მოცემული ეპოქის ენაშიც bi- პრეფიქსის ხმარებას პირდაპირ აკავშირებს აქცენტთან, ანუ bi-იანი და bi-ს გარეშე ფორმები ერთმანეთს უპირისპირდებიან, როგორც აქცენტირებულნი (პრეფიქსიანი) და არააქცენტირებულნი (ან სუსტად აქცენტირებულნი—უპრეფიქსო). ე. ლაზარის დასკვნით, bi- პრეფიქსის ფუნქცია გამოიხატება ზმნაზე მახვილის ტარებაში.¹⁶

ვლინდება თუ არა ეს ოპოზიცია სემანტიკურ პლანშიც? ე. ლაზარის აზრით, ზმნათა მნიშვნელობებში bi- პრეფიქსს მეტ-ნაკლები ცვლილებები შეაქვს, ზოგში ძალზე ძნელად შესამჩნევი, ზოგში კი (მაგ., raftan, şudan, afgandan) მეტად საგრძნობი. ცხადია, ბევრი რამ დამოკიდებულია კონტექსტზეც. მნიშვნელობის თვალსაზრისით ცვლილებების შემთხვევებს იგი სამ. სპ. be-ს პრევერბული ხასიათის გამოვლენად თვლის.¹⁷

ე. ლაზარის მოსაზრებებს ძირითადად იზიარებენ ე. შაროვა და შ. კარიევი¹⁸, მაგრამ იმავე პერიოდის ძეგლებში ისინი პროულობენ მაგალითებს, რომლებშიც ე. ლაზარის დიდგენილი ზოგიერთი კანონზომიერება (მაგ. bi-ს პრეფიქსაცია „სუსტ“ პოზიციაში და მისი არყოფნა „ძლიერ“ პოზიციაში) არტუთ ისე იშვიათად ირღვეოდა.¹⁹

ე. ლაზარის „მახვილის პიპოთეზას“ ეყრდნობა ფ. ჟინიუც²⁰.

II. bi-ს ამგვარი ინტერპრეტაციის გარდა გამოთქმულია მოსაზრებანი, რომ bi-პრეფიქსი აღნიშნავს დურატიულ ან განმეორებად მოქმედებას²¹. ე. კურილოვიჩი ხაზს უსვამს: „ნაწილად bi-ს უნდა შეესრულებინა იგივე როლი, რაც შემდგომ დაეკისრა hamē-ს, ანუ ემსახურა აწმყო დროისა და იმპერფექტის განვრძობადი ხასიათის გამოსახატავად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, bi- არის hamē-ს ფუნქციური წინაპარი“²². ე. კურილოვიჩის ეს მოსაზრება, ისევე როგორც მის მიერ წარმოდგენილი სპარსული დრო-ასპექტის განვითარების სურათი მთლიანად, არაა გაზიარებული მკვლევართა მიერ²³. ასევე მცდარი უნდა იყოს სპარსული bi-ს გაიგივება ავღანურ ha-სთან, რომელიც პრეტერიტს აქცევს ჩვეულო, მრავალგზისი მოქმედების გამომხატველად²⁴. რაც მკვლევართა მიერ დამაჯერებლად არის ნაჩვენები სპარსული bi-ს მატერიული კავშირი ავღანურ პრეფიქს wa-სთან²⁵. მათი ფუნქციებიც მეტ-ნაკლებად ემთხვევა. ავღანური ha-ს ანალოგიური ფუნქციის მატარებელია სპარსულში პრეფიქსი mi(hamē) და სუფიქსი -ē, რომლებიც გამომხატვენ განვრძობად, მრავალგზის და ჩვეულო მოქმედებას. ამავე დროს ე. კურილოვიჩი ერთმანეთისაგან არ ასხვავებს სპარსულში ზღვრადობა | არაზღვრადობის (ამაზე დაწვრილებით—ქვემოთ)—ავღანურში სრული | უსრული ასპექტისა და ჯერობის კატეგორიებს²⁶. არადამაჯერებლად თვლის ე. კურილოვიჩის ვარაუდს ე. ლაზარიც.²⁷ მცდარად არის ჩათვლილი აგრეთვე გ. ვილენგრენისა და ლ. გრეის მოსაზრებანიც²⁸. როგორც აღნიშნული აქვს ლ. სმირნოვას, bi- პრეფიქსიანი

ფორმები შეიძლება განგრძობადი იყოს და მეყსეულიც.²⁹ მსგავსი მოვლენა გვაქვს ავლანურშიც³⁰.

III. მკვლევართა რიგი bi- პრეფიქსს უკავშირებს ასპექტს.

მ. ფაზილოვი: „პრეფიქს bi-ს ძირითადი მნიშვნელობაა მოქმედების დამთავრების, დასრულების, ერთგზისობის გამოხატვა“. ეს მნიშვნელობა განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება ნამყო დროის ფორმებთან...; bi- პრეფიქსის ხმარება ნამყო დროის ფორმებთან ფაკულტატურია, ამ პრეფიქსის არყოფნას არ შეუძლია ზმნური ფორმის მნიშვნელობის შეცვლა³¹.

ლ. სმირნოვს აზრით, „თარიხე სისტანის“ ენაში bi- პრეფიქსის ძირითადი მნიშვნელობა არის მოქმედების დასრულებულობის გამოხატვა, რაც ყველაზე მეტად შესაძრწევია ნამყო დროის ფორმებთან. თვით მოქმედება შეიძლება იყოს განგრძობადი და მეყსეული, ერთგზისი ან მრავალგზისი: *ō rā haft bār bišustand-* „იგი შეიდეჯერ დაბანეს“³².

მოქმედების დასრულებულობის, ზღვრულობის მნიშვნელობას bi- პრეფიქსი განსაკუთრებით გამოკვეთილად ავლენს ნამყო დროის ფორმებთან, რომელთაც ახლავს პოსტპოზიციური ნაწილაკი-ე. მაგრამ რიგ შემთხვევებში, ლ. სმირნოვს დაკვირვებით, bi- არ გამოხატავს არც ასპექტურ, არც მოდალურ მნიშვნელობებს და ამრიგად პრეფიქსიანი და უპრეფიქსო ფორმები არ განირჩევიან. ზოგჯერ bi- პრეფიქსიანი ფორმების ხმარებას ლ. სმირნოვა ხსნის სტილისტური მიზნებით, რომ არ იყოს ერთი და იმავე ზმნური ფორმის განმეორება³³. „ფარსნამეს“ ენაში კი bi-ს ფუნქცია, მკვლევრის დაკვირვებით, უფრო ნაკლებ განსაზღვრულია, თუმცა მაინც ნამყო დროის ფორმას პრეფიქსი უნდა აძლევდეს დასრულებულობისა და ერთგზისობის მნიშვნელობას. აღნიშნულია აგრეთვე პრეფიქსიანი და უპრეფიქსო ფორმების სინონიმური ხმარება³⁴.

ბ. სიავეის აზრით, „ბალამის ისტორიის“ ენაში bi- პრეფიქსს იგივე ფუნქციები აკისრია. პრეფიქსიანი და უპრეფიქსო ფორმები გამოხატავენ ნამყოში მომხდარ ერთგზის და სრულ მოქმედებას, ოღონდ bi- პრეფიქსის მეშვეობით დასრულებულობისა და ერთგზისობის მნიშვნელობა უფრო მკვეთრად არის ხაზგასმული³⁵.

ვ. ლივშიცი იმავე ძეგლში bi-ს ასევე თვლის მოქმედების დასრულებულობის აღმნიშვნელად³⁶.

ი. ორანსკი, აკავშირებს რა სპ. bi-ს ავლ. wu-სთან გენეტიკურად, მათ ფუნქციებშიც აბსოლუტურ იდენტურობას ხედავს, ე. ი. bi- პრეფიქსსაც სრული ასპექტის გამოხატვის უნარს მიაწერს³⁷.

კოლექტიურ მონოგრაფიაში bi- პრეფიქსის შესახებ კითხულობთ, რომ იგი „ისევე, როგორც საშუალო სპარსულში, გამოიყენება ზღვრადობის, დასრულებულობის, აგრეთვე, მოქმედების განხორციელების კატეგორიული მტკიცების გამოსახატავად, თუ იგი ნამყო დროის ფორმას უერთდება... მაგრამ ზღვრადობის ელფერი bi-იან ფორმებს გარკვეულად ეკარება და ისინი გამოიყენებული არიან bi-ს არამქონე ფორმების სინონიმურად“³⁸.

უპირისპირდება რა ე. ლაზარს, კ. მაკერნონი წერს, რომ რეალური ფაქტორი, რომელიც წარმართავს bi-ს ქცევას, არის სემანტიკური და არა ფონოლოგიური და ბალამის თხზულების ენაში შემდეგ კანონზომიერებებს ამჩნევს, რომლებიც, ცხადია, ავტორის თქმითვე, აბსოლუტური არ არის:

1. bi- პრეფიქსი არ არის, თუ მოძრაობის ზმნა აღნიშნავს მიმართულებას „კენ“ .*pas Ardašēr sōy-i ēšān āmad* — „შემდეგ არღამირი მათკენ წავიდა“. არის, თუკი მოძრაობის მიმართულება „გან“: *az Ardašēr bigurēxt* — „არღამირ-



რისაგან გაიქცა“. bi-ს ყოფნას მნიშვნელოვნად აპირობებს წინადადებებში წინდებულის არსებობა. იგივე კანონზომიერება შემჩნეულია საშუალო სპარსულში³⁹.

2. bih წინდებული ძალზე ზღუდავს ზმნების პრეფიქსაციას bi-თ. ლუნ bimurd... bidīn sih pisar dād—„როცა მოკვდა, იმ სამ შვილს მისცა“.

3. როდესაც -rā თანდებული აღნაშნავს პირდაპირ ობიექტს, bi- თავისუფლად ვლანდება ზმნებთან, ხოლო თუ -rā ირიბ ობიექტს ერთვას, რომლისკენაც (-კენი) არის მიმართული მოქმედება, bi- მეტწილად არ გვხვდება.

უკავშირებს რა ახ. სპ. bi-ს, საშ. სპ. ხე-ს, რომლის ძირითადი მნიშვნელობაა „მოცილების“ ცნება, კ. მაკინონი ამ კანონზომიერებებით აჩვენებს, რომ bi- ახალა სპარსულს პერიოდშიც ინარჩუნებს მიმართულებითს მნაშველობას, ანუ არის პრევერბი⁴⁰. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჟ. ლაზარი საშუალო სპარსულში bi-ს თაობაზე ამბობს, რომ მას იგივე სინტაქსი აქვს, რაც სხვა პრევერბებს⁴¹. საკითხი—ერთი ხე- პრევერბი გვაქვს საშუალო სპარსულში, თუ ორი—პროფონური ზმნური ნაწილაკი (მაპერფექტივებელი) და დამოუკიდებელი პრევერბი (ლექსიკური მნიშვნელობით), ხე-ს ერთიანი ინტერპრეტაციის სასარგებლოდ უნდა წყდებოდეს, რადგანაც: პრევერბების მეტ-ნაკლები გრამატიკალიზაციის შემთხვევებს საკმაოდ ვხვდებით როგორც ირანულ ენებში, ისე სხვაგანაც⁴².

რა შემთხვევებში ერთვის bi- ზმნის ნამყოფ ფუძეს?

ა) თუ ზმნა გამოხატავს პროცესს, რომელაც მიმდინარეობდა ზუსტად განსაზღვრულ დროით სეგმენტში, ან ბ) ერთ, მარტივ მოქმედებას, წარსულში ერთხელ მომხდარს, ან გ) თუ რთული ზმნა თანხლებულია რაიმე მაინდივიდუალისტული ნიშნით:

ა) bar sar-i an čāh sih rōz bibud—„იმ წყაროს (ქის) თავზე სამი დღე ღარჩა“.

ბ) pas biraft va zafar yaft—„შემდეგ წავიდა და გაიმარჯვა“.

გ) Giyomars kōh-rā lagad-ē bizad—„გაიომარსმა მთას წიხლა კრა“.

მაგალითში: pēšinagān raftand va jahān bih mā bāz dāstand —„წინაპრები წავიდნენ და ქვეყანა ჩვენ დაგვიტოვეს“. bi- პრეფიქსის ყოფნისათვის ხელისშემშლელი არაფერია (არც პრევერბი, არც უარყოფა, არც მიმართულებითი წინდებულება). კ. მაკინონი bi-ს არყოფნას ხსნის იმით, რომ, თუმცა მოქმედება დასრულებულია (შეესაბამება ინგლისურ present perfect-ს), მაგრამ აქლია მოქმედების დროის ზუსტა განსაზღვრა.

ამრიგად, ერთი მხრივ, გვაქვს სრულა, ასპექტურად ერთგზისი ან შემოსაზღვრულა მოქმედება, მის შედეგზე განსაკუთრებულა აქცენტს ვარეშე (bi-იანი ფორმა) და, მეორე მხრივ, სრულა, მაგრამ დროის თვალსაზრისით ზუსტად გაუმიჯნავი და შემოუსაზღვრავი მოქმედება, რომლის შედეგიც აწმყოში ინტერესს იწვევს. bi-: ∅ ოპოზიცია, კ. მაკინონის აზრით, არის ოპოზიცია ერთგზისობა: პერფექტულობა (Punctuality: Perfectivity)⁴³.

როგორ შეიძლება საბოლოოდ იხსნას ოპოზიცია bi-: ∅ ნამყოფ დროის ფუძესთან? ჟ. ლაზარის მიერ საშუალო სპარსულში და კ. მაკინონის მიერ ახალ სპარსულში ნაჩვენები მეტ-ნაკლები სემანტიკური სხვაობანი პრეფიქსიან და უპრეფიქსო ფორმებს შორის იმაზე მიგვათითებენ, რომ ეს ოპოზიცია არ არის სრული: უსრულა ასპექტა, რადგანაც ასეთი ოპოზიციისათვის დამახასიათებელია დაპი-

რისპირებულ ფორმათა აბსოლუტური ლექსიკური იგივეობა⁴⁴. ასპექტის განსაზღვრა „გრამატიკა ულობა“, მის მიერ ზმნური ლექსიკის ფართოდ მოცვა, „წმინდა ასპექტური“ დაპირისპირებულობის შესაძლებლობა უნდა ჩაითვალოს ასპექტის არსებით ნიშნად.

სლავური ენების მავალითი სხვადასხვა ენაში ზმნისწინებისათვის მავარეფექტივებელი ფუნქციის მიწერას ფართო გაქანება მიეცა ერთხანს. ამნარი შეხედულებები გამოითქვა, მაგალითად, გოთურისათვის, ავსტრას ენისათვის⁴⁵.

ცხადია, ზმნისწინს ზმნაში შეაქვს გარკვეული დროითი ან ლოკალური საზღვრები, მაგრამ მისი გაიგივება სრულ ასპექტთან ყოველთვის არაა მართებული. გოთურ ენაში ზმნისწინების პერფექტულობის საპირისპიროდ ი. მასლოვმა შემოიტანა ზღვრადი. ა | არაზღვრადობის ცნება, რომელიც წარმოადგენს ზმნისწინებით გამოხატულ მოქმედების სახეთა სფეროში უმაღლეს აბსტრაქციას, რომელიც გარკვეულად გამოდის ზმნათა ლექსიკური დაჯგუფებების ჩარჩოებიდან და თითქოსდა დგება გრამატიკის „ზღურბლზე“. ამ თვალსაზრისით მას შეიძლება ეწოდოს „ასპექტისმავარი“ („видо-образная“) კატეგორია⁴⁶. ზმნისწინთა უმეტესობას გოთურ ენაში შეაქვს კონკრეტული ზღვრის მნიშვნელობა, რაც დაკავშირებულია პროცესის მიმდინარეობის სივრცობრივ შემოსაზღვრულობასთან ან აზუსტებს ამა თუ იმ კერძო მოქმედების სახეს. ამათ პარალელურად გამოიყოფა ისეთი ზმნისწინებიც, რომლებშიც ზღვრის მნიშვნელობა უფრო აბსტრაქტული ხასიათისაა. ეს კანსაკუთრებით ეხება ga- ზმნისწინს⁴⁷.

ჩვენი აზრით, სპარსული bi- (<საშ. სპ. bē-) ფუნქციითაც და თავისი განვითარების თვალსაზრისითაც ერთობ უახლოვედება გოთურ ga- ზმნისწინს. საშუალო სპარსულში პრევერბება ემსახურებთან ზმნით გამოხატული მოქმედების ლოკალიზაციას სივრცესა და დროში. უმეტეს შემთხვევაში მათ ამ მოქმედების განვითარებაში გარკვეული მიჯნა შეაქვთ, მაგრამ, ცხადია, ეს არაა ასპექტი. უმჯობესია აქაც შემოვიტანოთ ზღვრადობა | არაზღვრადობის ცნება. ამავე დროს ამ ზმნისწინთა შორის გამოიყოფა ერთი (bē), რომელიც თანდათან იძენს აბსტრაქტულ მნიშვნელობას. იგი ხშირად ჩნდება ნამყო დროის ფუნქციონთან⁴⁸. „მოშორების“, „მოცილების“ ცნებიდან იოლად გამოიყვანება მოქმედების დასრულების, საერთო შეწყვეტის ცნება⁴⁹. ახალ სპარსულში bi-ს მნიშვნელობა საკმაოდ შესუსტებულია, მაგრამ მისი თავდაპირველი მიმართულებითობა მაინც იგრძნობა. bi- უკვე გვევლინება ზღვრადობის გამომხატველ აბსტრაქტულ ნიშნად. მართალია, ზღვრადობას სხვა ზმნისწინებიც გამოხატავენ, მაგრამ bi-ს ხმარების თითო-ორილა შემთხვევა პრევერბიან და, ასევე, უარყოფიან ზმნებთან მიუთითებს, რომ იგი სულ უფრო მეტად განზოგადებული ზღვრულობის აღმნიშვნელია⁵⁰. ამრიგად, bi-იანი და უპრეფიქსო ნამყო დროის ფორმები წარმოგვიდგენენ ოპოზიციას ზღვრადობა | არაზღვრადობის მიხედვით. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს būdan, mīdan, dāstan, istādan ზმნებთან. ამ სტატეკურ, შინაარსით განგრძობადი მოქმედების გამომხატველ ზმნებზე bi-ს დართვა პრეტერიტთან იწვევს ამ მოქმედების მოქცევას გარკვეულ დროითა სეგმენტში. ამიტომ ძნელია დავეთანხმოთ ე. ლაზარს, როდესაც იგი აიგივებს bi- და (ha)mē- პრეფიქსიანი ფორმების მნიშვნელობებს⁵¹. (ha)mē būd მეტწილად უნდა ითარგმნოს, როგორც „იყო“, ხოლო bibūd—როგორც „დაჰყო“.

ასევე, მიუხედავად სპ. bi-ს და ავლ. wu-ს ერთი წარმომავლობისა, მათი ფუნქციების გაიგივება არ შეიძლება. თუ ავლანურის უპრეფიქსო ნამყო დროის ფორმა უსრული ასპექტისაა, ხოლო wu- პრეფიქსიანი სრულისა, სპ. biraft და



raft ორივე სრულ, ერთგზის მოქმედებას გვიჩვენებს, ოღონდ ერთი ზღვრად მხოლოდ — არაზღვრადი.

bi- პრეფიქსმა ვერ შეძლო სპარსულში ასპექტის უმაღლეს აბსტრაქციამდე ასვლა, რისი მიზეზებიც საკმაოდ კარგად არის ნაჩვენები⁵².

კლასიკურ სპარსულში იყო ტენდენცია bi- პრეფიქსის ნამყო დროის მიმღობებთან დამკვიდრებისა, მაგრამ თანამედროვე სალიტერატურო სპარსულში ამნაირ მიმღობებს ალარ ვხვდებით, სამაგიეროდ სპარსულ და ტაჯიკურ დიალექტებში, აგრეთვე, ზოგ ირანულ ენაში bi- და მისი ფონეტიკური ვარიანტები იხმარება რთულ მიმღობიან ფორმებში. ამ მხრივაც შეიძლება გარკვეული მსგავსების მონახვა ვერმ. *ge* (<*ga*)-სთან. გილანური *binivište bum | სპ. neveste budam* პლუსკვამპერფექტია⁵³.

სპარსულ-ტაჯიკური დიალექტებისა და ზოგიერთი ირანული ენის მონაცემების დალაგება სინქრონულ პლანში ისე შეიძლება, რომ წარმოვადგინოთ საშუალო სპარსული *hē-* ზმნისწინის ისტორიული განვითარების გზა bi- პრეფიქსამდე — მარტვე მორფოლოგიურ ელემენტამდე.

შენიშვნები და დამოწმებანი

1. G. Lazard, *Grammaire du persan contemporain*, Paris, 1957, გვ. 131;
2. C. MacKinnon, *The new persian preverb bi-*, *Journal of the American Oriental Society*, 97, 1, 1977, გვ. 8.
3. В. С. Расторгуева, А. А. Керимова, *Система таджикского глагола*, М., 1964, გვ. 27.
4. А. А. Фрейман, *К этимологии персидской частицы bi-*, *Записки Коллегии Востоковедов при азиатском музее Российской АН, Ленинград*, 1925, გვ. 372-374; И. М. Оранский, *Афганское hu- — персидское bi-*, *КСИНА*, 67, 1963, გვ. 95—98.
5. А. А. Фрейман, *დასახ. შრომა*, გვ. 372—374.
6. И. М. Оранский, *დასახ. შრომა*, გვ. 96. აგრეთვე Н. S. Nyberg, *Hilfsbuch des Pehlevi*, II, *Glossar*, Uppsala, 1931, გვ. 35.
7. G. Lazard, *La langue des plus anciens monuments de la prose persane*, Paris, 1963, გვ. 298.
8. Р. Джуроев, *Грамматическое описание Asrār ut-tavhid—таджикско-персидского памятника XII в.*, автореферат кандидатской диссертации, Л., 1964, გვ. 8.
9. *Siyar al-Mulūk also known as Siyāsat-nāma of Nizām al-Mulūk*, edited by Hubert Darke, Tehran, 1962, გვ. 1361.
10. С. MacKinnon, *დასახ. შრომა*, გვ. 13.
11. G. Lazard, *La langue...*, გვ. 299.
12. იქვე, გვ. 291.
13. იქვე, გვ. 293.
14. იქვე, გვ. 299.
15. იქვე, გვ. 304—305.
16. იქვე, გვ. 306.
17. იქვე, გვ. 306, 314. იხ. აგრეთვე *შენიშვნა*, № 42.
18. Е. Н. Шарова, *К вопросу об использовании глагольного префикса bi- в классическом персидском (таджикском) языке*. Индийская и иранская филология, *Вопросы грамматики*, М., 1976, გვ. 275—276; Ш. З. Кариев, *К вопросу об употреблении глагольного префикса bi- в языке дари (наблюдения по материалам памятника XII в. «Самак-е айяр»)*, *Исследования по восточным языкам*, М., 1973, გვ. 97.
19. Е. Н. Шарова, *დასახ. შრომა*, გვ. 277; З. Ш. Кариев, *დასახ. შრომა*, გვ. 97—98.

20. P. Gignoux, Notes sur la redaction de l'Ardāy Virāz Nāmag: L'emploi de ha-mē et dē be, Zeitschrift der Deutschen morgenländischen Gesellschaft, 1969, Supplementa. 1.
21. B. U t a s, Verbs and preverbs in the Ayyātkār i Zarērān, Acta Orientalia, 1976, Copenhagen, გვ. 80, შენიშვნა მე-20, С М а с К и н н о н, დასახ. შრომა, გვ. 16, შენიშვნა, მე-15.
22. Е. Курилович, Вид и время в истории персидского языка, Очерки по лингвистике, М., 1962, გვ. 154.
23. Опыт историко-типологического исследования иранских языков, т. II, М., 1975, გვ. 354—355.
24. Е. Курилович, დასახ. შრომა, გვ. 155.
25. И. М. Оранский, დასახ. შრომა, გვ. 96. Опыт..., т. II, გვ. 376 და სხვ.
26. И. М. Оранский, Грамматические категории вида и кратности в глагольной системе современного афганского языка (пашто), автореферат кандидатской диссертации, Л., 1951, გვ. 16—18; Опыт..., т. II, გვ. 376—378.
27. G. L a z a r d, La langue..., გვ. 299.
28. С. М а с К и н н о н, დასახ. შრომა, გვ. 16; В. U t a s, დასახ. შრომა, გვ. 80.
29. Л. П. Смирнова, Язык «Та'рихи Систан», Труды АН Таджикской ССР, т. 110, вып. 1, Сталинабад, 1959, გვ. 64; აგრეთვე, G. L a z a r d, La langue... გვ. 299.
30. И. М. Оранский, Грамматические категории вида и кратности..., გვ. 16.
31. М. Ф. Фазылов, Некоторые особенности таджикского литературного языка эпохи Саманидов (по одной старинной рукописи «Та'рих-и Табард» Бал'ами), Труды АН Таджикской ССР, т. XXVII, 1954, Сталинабад, გვ. 179.
32. აქ უნდა აღნიშნოს, რომ ჭერადობა ლექსიკურად არის გამოხატული.
33. Л. П. Смирнова, Язык «Та'рих-и Систан», გვ. 64—65, 77.
34. Л. П. Смирнова, Особенности языка «Фарс-нама», КСИИА, 1963, № 72, გვ. 110—111.
35. Б. Сияев, Глагольные особенности таджико-персидского литературного языка IX—X вв. (на материале «Та'рих-и Табард», Бал'ами), автореферат кандидатской диссертации, Душанбе, 1964, გვ. 16.
36. В. А. Лившиц, О внутренних законах развития таджикского языка, Известия отделения общественных наук АН Таджикской ССР, 1954, № 5, გვ. 96—97.
37. И. М. Оранский, Афганское wu- — персидское bi-, გვ. 95—98.
38. Опыт..., т. II, გვ. 387.
39. В. U t a s, დასახ. შრომა, გვ. 84—85.
40. С. М а с К и н н о н, დასახ. შრომა, გვ. 14—16.
41. G. L a z a r d, Le préverbe moyen-persé bē/ba, Monumentum H. S. Nyberg, II, 1975, Leiden, გვ. 3.
42. ამ საკითხის ფართო განხილვას ჩვენ ახლა არ შევუძლებთ. იგი ცალკე გამოყოფის ღირსია. აღნიშნავთ მხოლოდ, რომ საშუალო სპარსულის bē-ს ერთიან ინტერპრეტაციას ემხრობიან: H. S. N y b e r g, Hilfsbuch des Pehlvi, II, Glossar; A. A. Ф р е й м а н, დასახ. შრომა, გვ. 372; D. N. M а с К е n z i e, A concise Pahlavi dictionary, London, 1971, გვ. 18; С. M а с К и н н о н, დასახ. შრომა, გვ. 16. შენიშვნა მე-15; В. С. Р а с т о р г у е в а, Среднеперсидский язык, М., 1966, გვ. 82, 86, 131; Опыт..., II, გვ. 385.
- პოპოფონურ პრევერბსა და ზმნურ ნაწილას ვარაუდობენ: W. H e n n i n g, Das Verbum des Mittelpersischen der Turfanfragmente, Zeitschrift für Indologie und Iranistik, b. 9, 1933, გვ. 231—232, 247; В. U t a s, დასახ. შრომა, გვ. 80, 109—110; G. L a z a r d La langue..., გვ. 298, 306, 314. მკვლევარი ოლონდ აღნიშნავს, რომ X—XI სს. ახალი სპარსული ენის პროზაულ ძეგლებში ყოველთვის აღარ ზერხდება მათი გამოყენება და სპარსული bi- გადმოსცემს როგორც საშუალო სპარსულ ზმნურ ნაწილას, ისე მეტად კონკრეტული მნიშვნელობის პრევერბს. მის ეთანხმება Е. Н. Ш а р о в а, დასახ. შრომა, გვ. 278, 280. შემდგომში (1975 წ.) ე. ლაზარი იცვლის შეხედულებას და ისიც საშუალო სპარსული be-ს ერთიანი ინტერპრეტაციის სასარგებლოდ იხრება: G. L a z a r d, Le preverbe moyen-persé bē/ba, გვ. 2, 12.
- სხვადასხვა ირანულ ენაში პრევერბების მეტ-ნაკლები გრამატიკალიზაციის შესახებ იხ.: Грамматика осетинского языка, т. I, Орджоникидзе, 1963, გვ. 237—247; С. М а с К и н н о н, დასახ. შრომა, გვ. 20—21; Т. Н. П а х а л и н а, В. С. С о к о л о в а, Мазендеранский язык,



- ცნობარში «Современный Иран», М., 1957, გვ. 85; Опыт., II, გვ. 381—382, 401—402, 405—406; Д. И. Эдельман, Язгулямско-русский словарь, М., 1971, გვ. 89, დასახ. შრომა, გვ. 16—18.
43. С. Маскинноп, დასახ. შრომა, გვ. 16—18.
44. Ю. С. Маслов, Вопросы глагольного вида в современном зарубежном языкознании, შიგნით: Вопросы глагольного вида, М., 1962, გვ. 7, II; შიგნითვე, Категория предельности/непредельности в готском языке, ВЯ, 1959, № 5, გვ. 76; А. В. Бондарко, Теория морфологических категорий, М., გვ. 168.
45. ეს შეხედულებანი განხილულია კრეტივის სხვადასხვა ნაბიჯი ხარისხით: В. И. Абаев, Превербь и перфективность, შიგნით: Проблемы индоевропейского языкознания, М., 1964, გვ. 90—93; Ю. С. Маслов, Вопросы глагольного вида, გვ. 26; D. Zbavite I, A contribution to the problem of the verbal aspect in Avesta, Archiv Orientalni, XXIV, 1956, გვ. 20—22.
46. Ю. С. Маслов, Категория предельности/непредельности..., გვ. 76.
47. იქვე, გვ. 79; И. А. Сизова, Становление германского глагольного словообразования, М., 1978, გვ. 14—15.
48. H. S. Nyberg, Hilfsbuch des Pehlevi, II, Glossar, გვ. 34—35.
49. И. М. Оранский, Афганское wú—персидское bi-, გვ. 96; С. Маскинноп, დასახ. შრომა, გვ. 21.
50. В. U tas, დასახ. შრომა, გვ. 86;
51. იქვე, გვ. 326.
52. В. А. Лившиц, დასახ. შრომა, გვ. 96—97; С. Маскинноп, დასახ. შრომა, გვ. 17, 25; Опыт., II, გვ. 410—411.
53. Гилянский язык, М., 1971, გვ. 167.

Н. Г. НАХУЦРИШВИЛИ

О ФУНКЦИИ ПРЕФИКСА bi- С ФОРМОЙ ПРЕТЕРИТА В КЛАССИЧЕСКОМ ПЕРСИДСКОМ

Резюме

О функции префикса bi- при форме претерита в классическом персидском языке существуют различные мнения:

I. Префикс bi- лишен грамматической функции и не может выражать видовых значений. Его единственная функция—носить ударение в глагольной форме (Ж. Лазар, Ф. Жинью, Х. Дарке, Р. Джураев и др.).

II. bi- выражает дуративное действие (Е. Курилович, Г. Виденгрэн, Л. Грей).

III. Префикс bi- выражает разные видовые значения, в том числе и перфектирующее (К. Маккинноп, В. Лившиц, Л. Смирнова, И. Оранский и др.).

В статье дана следующая интерпретация функции префикса bi- с претеритом. Классический персидский bi- является рефлексом среднеперсидского преверба bē-, который уже начинал терять свое лексическое значение («удаление», «отделение», «отрезанность») и выступал как показатель предельности. В классическом персидском значение bi- становится еще более трудноуловимым и является уже почти совершенно абстрактным показателем предельности, т. е. выступает как формальный элемент. Лексическое значение иногда проявляется с глаголами движения. Эти случаи можно

отнести к проявлению изначального превербного характера bi- (<ср. перс. bē-).



Функция показателя предельности у префикса bi- особенно заметна со статическими глаголами būdan, māndan, daštan, istādan. Посредством добавления префикса bi- действие, выраженное формой претерита этих глаголов, оказывается заключенным в определенный временной сегмент. Формы с префиксом bi- и без префикса представляют собой оппозицию по признаку предельности/непредельности.


В современном персидском языке префикс be- (<кл. перс. bi-) с претеритом больше не употребляется и, лишенный всякого лексического значения, выступает только с основой настоящего времени как показатель сослагательного и повелительного наклонений.

Случаи грамматикализации превербов встречаются как в иранских, так и в других языках. С этой точки зрения классический персидский bi- проявляет довольно заметное сходство с готским превербом ga- (>совр. нем. ge-), который также постепенно превратился в абстрактный показатель предельности.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად.
გ. შერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის
ინსტიტუტის ინდურ-ირანული ენების განყოფილება
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
აკადემიკოს გ. შერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის
ინსტიტუტმა

მეცნიერთა იუბილე

ჰ ი თ ე მ ა ნ ლ ო მ თ ა თ ი ძ ე



იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენელს, ქართველურ და აფხაზურ-ადიღურ ენათა გამოჩენილ მკვლევარს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, პროფ. ქეთევან ბესარიონის ასულ ლომთათიძეს დაბადების 70 და სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 45 წელი შეუსრულდა.

ქ. ლომთათიძე დაიბადა 1911 წ. 9 თებერვალს ჩოხატაურის რაიონის სოფ. ხიდისთავში, გლეხის ოჯახში; პირველდაწყებითი განათლება მიიღო ხიდისთავის შვიდწლიან შრომის სკოლაში, 1924 წ. კი გადმოვიდა თბილისის მე-8 შრომის სკოლაში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1926 წ.

1927 წ. ქ. ლომთათიძე ჩაირიცხა თბილისის უნივერსიტეტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ენათმეცნიერების დარგზე, რომელიც წარმატებით დაასრულა 1931 წელს.

1931—32 წ. იგი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნაბეჭდ წიგნთა განყოფილების უმცროსი მეცნიერ თანამშრომელია, ხოლო 1932—34 წ. ამავე თანამდებობაზეა მაშინდელი ქართული ლიდი საბჭოთა ენციკლოპედიის რედაქციაში.

ქ. ლომთათიძე 1934 წ. ჩაირიცხა თბილი-

სის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში კავკასიური ენების (აფხაზურის) სპეციალობით. მან წარმატებით გაიარა ასპირანტურის კურსი პროფ. ს. ჯანაშიას ხელმძღვანელობით. 1937 წლიდან იგი საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ თანამშრომელია. ამ დროიდან მოყოლებული დღემდე ქ. ლომთათიძე კითხულობს აფხაზური ენის კურსს (რომელიც მანამდე ებარა პროფ. ს. ჯანაშიას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში).

1938 წ. ქ. ლომთათიძემ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ძირითად დროთა წარმოებისათვის აფხაზურში“, ხოლო 1945 წ. — სადოქტორო დისერტაცია, სადოქტორო დისერტაციად მეცნიერმა წარადგინა მონოგრაფია „აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი“.

ეს იყო პირველი სადოქტორო დისერტაცია ჩვენში — დაუცული მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა მსაღაზზე, ხოლო დისერტანტი — პირველი ქალი, რომელსაც წილად ზედა პატივი საქართველოში სადოქტორო დისერტაციის დაცვისა ენათმეცნიერებაში.

ქ. ლომთათიძე 1940 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, ხოლო 1952 წლიდან — პროფესორი.

1953—63 წ. ქ. ლომთათიძე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორია. ამ წლებში დაიბეჭდა პროფ. არნ. ჩიჭობავის ხელმძღვანელობითა და საერთო რედაქციით III—VIII ტომები ქართველი ხალხის ეროვნული საუნჯის — რეატომიანი „ქართული ენის განმარტებითი“ ლექსიკონისა, რომლის მოვლარი რედაქციის წევრი და VII ტომის ერთ-ერთი რედაქტორიც იგი არის. სწორედ ამისათვის მიენიჭა მას სხვა რედაქტორებთან ერთად 1971 წ. საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში. ქ. ლომთათიძე იყო რედკოლეგიის თავმჯდომარე სამტომიანი აკადემიური ლექსიკონისა, რომელიც 1956—59 წ. გამოსცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ. იგი იყო სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების

ინსტიტუტის მიერ 1967 წ. ქ. მოსკოვს გამოცემული „იბერიულ-კავკასიური ენების“ სარედაქციო კოლეგიის წევრი და თანარედაქტორი. მისივე რედაქტორობით გამოვიდა და გამოდის „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ რიგი ტომი. ქ. ლომთათიძე კავკასიოლოგ-ენათმეცნიერთა საერთო-საკავშირო ორგანიზაციის — „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწადულის“ მთავარი რედაქტორის მოადგილეა.

ქ. ლომთათიძე, როგორც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი საბელმწიფო კომისიის წევრი, დიდ ყურადღებას აქცევს ქართული მეტყველების კულტურის ამაღლების, ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა მოწესრიგებისა და დაცვის საბელმწიფოებრივ საქმეს.

ქ. ლომთათიძე მუდმივი კონსულტანტია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. გულის სახ. აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტისა. მასთან საკონსულტაციო ჩამოიღან არა მარტო სპეციალისტები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან, არამედ — უცხოელი ლინგვისტიკოსიოლოგები საფრანგეთიდან, პოლანდიდან, ინგლისიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან...

ქ. ლომთათიძე დიდ დროსა და ენერჯიას ახმარს ახალგაზრდა მეცნიერთა კადრების აღზრდას. სად არ ნახავთ მის აღზრდილებს — მოსკოვსა თუ ლენინგრადში, სოხუმსა თუ მიკოპში, ჩერკესკსა და ყარაბაგესკში... ქ. ლომთათიძის აღზრდილებს შორის 20 მეცნიერებათა კანდიდატი და სამი დოქტორია. ამიტომაც აქვს მას მინიჭებული საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ მეცნიერების დამსახურებელი მოღვაწის წოდებანი.

1955 წ. ქ. ლომთათიძეს ირჩევენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრობის კორესპონდენტად, ხოლო 1979 წ. — ნამდვილ წევრად.

ქ. ლომთათიძე სკვპ წევრია 1952 წლიდან. 1976 წლიდან იგი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სარევიზიო კომისიის წევრი იყო, ხოლო 1981 წლიდან — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი. ქ. ლომთათიძე არჩეული იყო სსრკ უმაღლესი საბჭოს IV და V, ასევე თბილისის მშრომელთა საქალაქო საბჭოს II, III და IV მოწვევათა დეპუტატად. 1955—62 წ. იგი სსრკ საპარლამენტო კომიტეტის წევრია. ქ. ლომთათიძე მონაწილეობდა მშვიდობის მომხრეთა II და IV საკავშირო კონფერენციების მუშაობაშიც.

პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ სათანადოდ დააფასეს ქ. ლომთათიძის სამეცნიერო-მედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. იგი დაჯილდოებულია ლენინის (1960 წ.), ოქტომბრის რევოლუციის (1981 წ.) და საპარტიო ნიშნის (1953 წ.) ორდენებით, ოთხი მედლითა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელებით (1961, 1965 წ.).

ქ. ლომთათიძემ თავის პირველ ნაშრომში „ნაშთები მესამე პირის ობიექტურ პრეფიქსისა გვრულსა და აქარულში“ ნათლად წარმოაჩინა ძველი ქართულიათვის დამახასიათებელი მოვლენების ნაშთები აღნიშნულ დიალექტთა ცოცხალ მეტყველებაში. იმ დროდან მოყოლებული დღემდე მკვლევარმა გამოაქვეყნა ასოცზე მეტი შრომა, ამთგან — სამი მონოგრაფია: „აფხაზური ენის ტრანსლუციური დიალექტი“ (1944 წ.), „აშხარული დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტებს შორის“ (1954 წ.), „აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი“ (1976 წ.).

ქ. ლომთათიძე აფხაზურ და აბაზურ ენებს იკვლევს 1935 წლიდან. მრავალი წლის განმავლობაში სწავლობდა იგი ამ ენებს ადიღზე — დიალექტების, თქმებისა და კილოაქვეების მიხედვით. მას აღნიშნული ენები სოფელ-სოფელ აქვს ნაკვლევი; გათვალისწინებულია ამ ენათა მეტყველება ასაკობრივი თვალსაზრისითაც. ამიტომაცაა მის მიერ ჩაწერილი და გამოქვეყნებული გამბული მეტყველების ნიმუშები მეტად ფასეული — იქ ფიქსირებული ენობრივი მოვლენები ზნირად თანამედროვე დიალექტებში არცაა ხოლმე შემოხანული. ამდენად, ქ. ლომთათიძის მიერ ამ ორმოცდასუთიოდ წლის წინ ჩაწერილი ტექსტები დღეს აფხაზური ენის ისტორიული დოკუმენტაციაა.

ქ. ლომთათიძემ გამოიკვლია აფხაზური ენის როგორც სამხრული დიალექტები (აბუჯური და ბზიდური), ასევე — ჩრდილოური (ტრანსლუციური და აშხარული), მაშინ როცა პ. უსლარის მონოგრაფია აფხაზური ენის შესახებ მხოლოდ ბზიდურ დიალექტს ეყრდნობოდა. მკვლევარმა ცალკე აწარმოა ვაფანეთი მოსახლე აშხარელთა მეტყველებაზე დაკვირვება. ამ სახის კვლევა კი აუცილებელი წინაპირობა უმწერლობო და ახალი დამწერლობის მქონე ენათა მეცნიერული შესწავლისა და მათი ნამდვილი ისტორიის დადგენისათვის.

გადუქარბებლად შეიძლება ითქვას, რომ არც ერთი მთის იბერიულ-კავკასიური ენა ასეთი გამოწვლავითი შესწავლის საგანი ჯერ არ გამოდგა.

ქ. ლომთათიძემ აფხაზური და აბაზური ენები გამოიკვლია როგორც სინქრონიული,

ასევე დიპტრონიული თვალსაზრისით. არ არსებობს აფხაზური და აბაზური ენების ფონეტიკის, ფონოლოგიის, გრამატიკისა ან ლექსიკის კერძობითი თუ ზოგადი საკითხი, რის შესახებაც მას გადამწყვეტი სიტყვა არ ეთქვას.

ჯერ კიდევ 1938 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში „ძირითად დროთა წარმოებისათვის აფხაზურში“ მკვლევარმა ნათლად წარმოაჩინა, რომ აფხაზურში ზმნა ეს მორფოლოგიის ღერძია: „აფხაზური ზმნა არის მთელი წინადადება“ და რომ იგი „იმდენად მორფოლოგიური კატეგორია არაა, რამდენადაც რთული სინტაქსური მთლიანობა, მთელი წინადადება“. ამ ნაშრომიდან მოყოლებული ქ. ლომთათიძემ დაადგინა ან დააზუსტა აფხაზურ და აბაზურ ენათა ზმნისა თუ სახელის ისეთი კარდინალური საკითხები, როგორცაა: სტატიკურობა და დინამიკურობა, ფინიტობა ან ინფინიტობა, განსაზღვრულობა-განუსაზღვრულობა სახელებში, გარდამავლობისა და გვარის საკითხები, რთულფუძიან ზმნათა ავებულება, ზმნის უარყოფით ფორმათა წარმოება და ბევრი სხვა.

ხუთიოდე წლის წინ დასტაბულები მონოგრაფიაში „აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი“ სპეციალისტთა მიერ სამართლიანად აღიარებული არა მარტო როგორც დიდი მოვლენა აფხაზურ-ადილურ ენათა შესწავლაში, არამედ — მიჩნეულია საერთოდ იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების თვალსაჩინო მიღწევად. სწორედ ამ სახის გამოკვლევები განსაზღვრავენ დღეს იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების მაღალ დონესა და ავტორიტეტს.

მეტად საყურადღებოა აღნიშნულ მონოგრაფიაში წამოყენებული ზოგადი სახის დებულება: აფხაზურ-აბაზურში „ხ მ ო ვ ა ნ ს ც ა ლ კ ე ფ ო ნ ე მ უ რ ი მ ი ნ ი შ ე ნ ე ლ ო ბ ა არ ჰქონდა; იგი თ ა ნ ხ მ ო ვ ნ ის თ ა ნ მ ხ ლ ე ბ ი ი ყ ო“. იქვე ნაჩვენებია ზმონის, როგორც ფონემის, ჩამოყალიბების გზაც. ასევე მეტად საინტერესოა ავტორის მიერ დადსტურებული სპონტანური ფონეტიკური პროცესის შედეგად მიღებული ახალი ფონემა (და არა მისი ვარიანტი), როცა მისსვე გვერდით შემონახულია ამოსავალი ფონემა. აქ გამოთქმულ მოსაზრებებს პრინციპული მნიშვნელობა აქვს ზოგადენათმეცნიერული თვალსაზრისითაც, კერძოდ, თეორიული ფონოლოგიის რიგი პრობლემის გადასაწყვეტად.

აქვე უნდა ითქვას ქ. ლომთათიძის ზოგადენათმეცნიერული ხასიათის ნაკლებეზებზე (იგი 1951—57 წლებში ენათმეცნიერების ინსტიტუტში განაგებდა ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილებას), რომლებიც, როგორც წესი,

კონკრეტულ ენათა მასალის ანალიზზეა დაკონცხებული. ასეთებია: „ენის განვითარების კანონზომიერების შესახებ“, „ბგერათშესატყვისობათა საკითხისათვის ყველაზე მცირე ენობრივი კოლექტივის მეტყველებაში“, „დიალექტთა გამოყოფის კრიტერიუმთა საკითხისათვის“, „სახელთა განსაზღვრული ფორმის ისტორიიდან აბაზური ენის აშხარულ დიალექტში“ და სხვ.

აფხაზურ-ადილურ ენათა სტრუქტურისა და ისტორიის კვლევა ქ. ლომთათიძისათვის არასოდეს ყოფილა თვითმიზანი. იგი იმავე თვალსაზრისზე დგას, რაც ჯერ კიდევ ამ ორმოცდახუთი წლის წინ წამოაყენა დიდმა ივანე ჯავახიშვილმა: „ჭარბულისა და ქართულურ ენათა მეცნიერულს კვლევა-ძიებასთან ერთად მთავარი ყურადღება ე. წ. კავკასიური ენების საფუძვლიანსა და გაღრმავებულს შესწავლას უნდა მიექცეს, თუნდაც იმიტირება, რომ ამას უდარესი მნიშვნელობა თვით ქართულის თავდაპირველი ბუნებისა და მერმინდელ ცვლილებათა ვასაგებადაც აქვს“. ამიტომაც, რომ იმ მრავალრიცხოვან გამოკვლევებში, რომლებიც ქ. ლომთათიძემ ქართველურ ენათა ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსისა თუ ლექსიკის საკითხებს უძღვნა, ხშირია აფხაზურ-ადილურ ენათა სათანადო მოვლენებთან პარალელები.

ნაშრომებში „ღ/რ-ს მონაცვლეობისათვის ქართველურ ენებში“, „წინაენისმიერ სპირანტთა უძველესი სისტემისათვის ქართველურ ენებში“, „ხშულ-ლაბილურ კომპლექსთა შერწყმით მიღებული ბ ფ ზ ქართველურ ენებში“ და სხვ. ქართულისა და ქართველური ენების ფონემატური სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებანი განალიზებულია სხვა იბერიულ-კავკასიური ენათა (განსაკუთრებით აფხაზურ-ადილურ ენათა) სათანადო მასალის გათვალისწინებით. აქ მიღებულ დასკვნებს მნიშვნელობა აქვს არა მარტო კონკრეტულ ენათა ფონოლოგია-ფონეტიკის საკითხთა რკვევისას, არამედ საერთოდ—იბერიულ-კავკასიური ენების ფონოლოგია-ფონეტიკისათვის.

ქ. ლომთათიძის მიერ აფხაზური ენის გრამატიკული სტრუქტურის გარკვევამ ისიც ცხადყო, თუ რა პრინციპული მნიშვნელობა აქვს ამას იბერიულ-კავკასიურ ენებში რიგი საკითხის დასმისა თუ ახსნისათვის. ეს განსაკუთრებით წარმონჩდა ქართველურ და აფხაზურ-ადილურ ენათა ისტორიულ-გენეზისური საკითხების ურთიერთმიმართებათა კვლევისას. ამ რიგის საკითხები ასახულია ნაშრომებში: „თხება ტიპის ზმნათა ისტორიისათვის ქართულში“, „ზმნის ინფინიტური წარმოების კვალი ძველ ქართულში“, „სუბლექტურ ზმნათა წარმოება-

გამოყენების საერთო პრინციპი ქართულსა და აფხაზურში“...

ქართველურ და აფხაზურ-ადილურ ენათა ურთიერთმიმართება სხვადასხვა ასპექტშია წარმოდგენილი შრომებში: „ბგერათა პროცესებისა და ბგერათა შესატყვისობების ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში“, „პოტენციალის კატეგორია ქართველურსა და აფხაზურ-ადილურ ენებში“, „ქართულ-აფხაზური ბგერათფარდობიდან: ქართ. წ: აფხ. შჷ“ და ბევრი სხვა.

ქ. ლომთათიძის ამ სახის გამოკვლევები იმისი ნათელი ნიმუშია, თუ როგორ უნდა ეიკლიოთ იბერიულ-კავკასიურ ენათა ჭგუფთაშორისი მიმართებანი. ასეთ მიმართებათა კვლევა კი შესაძლებელი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც საფუძვლიანად იქნა შესწავლილი თვით ჭგუფებში შემავალი ენები. დღეს კი, როცა ქართველ კავკასიოლოგთა მიერ თითქმის ყველა იბერიულ-კავკასიური ენაა შესწავლილი, სხვა ჭგუფებს შორის მიმართებათა კვლევაც რეალურია.

ამ ოცდახუთზე მეტი წლის წინათ ეტრნალ „ვოპროსი იზიკონანის“ ფურცლებზე გამართულ დისკუსიაში იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესახებ ზოგმა მკვლევარმა იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობა სარ-

წმუნოდ არ მიიჩნია. ამ ენათა ნათესაობის იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების პრინციპების ერთ-ერთი დამცველი მაშინ ქ. ლომთათიძე იყო. მან სტატიაში „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ზოგი საკითხი“ ნათლად აჩვენა, რომ იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობა რეალობაა იმ მუშაობის შედეგად, რაც ჩატარდა ქართველურ, აფხაზურ-ადილურ, ნახურ და დაღესტნურ ენათა მასალის მიხედვით. მართლაც, კვლევის შემდგომმა წლებმა მეცნიერულად დასაბუთებული ეს თვალსაზრისი კიდევ ერთხელ დაადასტურეს.

1975 წლიდან ქ. ლომთათიძე კვლავ უღვას სათავეში ენათმეცნიერების ინსტიტუტს. იმ დიდ ამოცანათა განხორციელებაში, რაც ენათმეცნიერების ინსტიტუტის კოლექტივს ეკისრება დღეს, თვალნათლივ ჩანს და, უეჭველია, მომავალში გაათქვამული ძალით გამოჩნდება ქეთევან ლომთათიძის დიდი მეცნიერულ-ორგანიზატორული როლი და დიდი ნიჭი და ფართო ენათმეცნიერული ვრუდიცია. ჩვენს იუბილარს „ძალი შესწევს ქაღილსა“. იგი თავისი შემოქმედებითი ნიჭიერებისა და ინტელექტუალურ შესაძლებლობათა გაფურჩქვნის ხანაშია და, ბუნებრივია, ქართული მეცნიერული საზოგადოებრიობა მისგან ახალ გამარჯვებებსა და ახალ წარმატებებს მოელოს.

ივანე გიგინეიშვილი
 ბენადი ბურბულაძე



თვალსაჩინო მეცნიერი, ორბანიზატორი



თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც ნაყოფიერ სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა ცნობილი ქართველი ენათმეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი შოთა ძიძიგური.

მისი დიდი ამაგისა და გარჯის თვალსაჩინო აღიარებაა ის, რომ მინიჭებული აქვს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება და მიღებული აქვს მრავალი ჯილდო, მათ შორის შრომის წითელი დროშის ორდენი, ახლახან კი მისი ცხოვრების საიუბილეო თარიღი აღინიშნა მთავრობის მაღალი ჯილდოთი — ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.

შ. ძიძიგური დაიბადა 1911 წლის 15 აგვისტოს ცნობილი პედაგოგის ვარლამ ძიძიგურის ოჯახში; საშუალო და უმაღლესი განათლება მიიღო თბილისში; ჯერ კიდევ თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი იყო, როცა პროფესორ ა. შანიძის დაავლებით შეკრიბა დიალექტოლოგიური მასალა, რომლის შესახებაც მოხსენებები წარუდგა „ქართულ საენათმეცნიერო საზოგადოებას“. მალე მისი ნაშრომი ცალკე წიგნად გამოვიდა, — ეს იყო ქართული ენის სახელმძღვანელო პროფაქტივის კურსების მსმენელთათვის.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ერთ-

ხანს მუშაობდა ვახუთ „ნორჩი ლენინელის“ ლიტერატურულ რედაქტორად. ლენინგრადში გაიარა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურის კურსის გამოჩენილი მეცნიერების აკადემიკოს ნ. შარის, აკადემიკოს ლ. შჩერბას და პროფესორ კ. დონდუას ხელმძღვანელობით. ლენინგრადშივე წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ქართული ენის ცილოების კლასიფიკაციის ცდა“.

ახალგაზრდა მეცნიერი დაბრუნდა თბილისში და უნივერსიტეტში ქართული ენის კათედრის დოცენტად, ხოლო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალში უფროს მეცნიერ თანამშრომლად დაიწყო მუშაობა. ამ დროიდან მოკიდებული შ. ძიძიგური მუშაობდა მრავალ სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებაში: კიბულაში ლექციებს თბილისის, ქუთაისის, თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტებში, ხელმძღვანელობდა ქართული ენის კათედრას ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტისა და თბილისის კონსერვატორიაში, იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სამეცნიერო პროპაგანდის განყოფილების გამგე, ეურნალ „მნათობის“ მეცნიერების განყოფილების გამგე.

1926 წელს შ. ძიძიგურმა დაიცვა დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „კავშირები ქართულ ენაში“. იმავე წელს აირჩიეს თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის გამგედ და მიენიჭა პროფესორის წოდება. 1967 წლიდან შ. ძიძიგური სათავეში უდგას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრას, რომელიც ქართველოლოგიური კვლევა-ძიებების ერთ-ერთ მძლავრ ცენტრს წარმოადგენს. ამ დროიდან მოყოლებული იგი წარმატებით ხელმძღვანელობს ამ კათედრას და აგრძელებს მის მიღიარ სამეცნიერო ტრადიციებს. კათედრასთან არსებობს ტოპონიმის სამეცნიერო ლაბორატორია, რომელსაც აგრეთვე კათედრის გამგე უწევს მეცნიერულ ხელმძღვანელობას.

ღვაწლმოსილი სწავლული საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი და ენისა და ლიტერატურის განყოფილების აკადემიკოსი-მდიანია.

შ. ძიძიგური ავტორია 300-მდე ნაშრომისა, რომელთაგანაც სამ ათეულზე მეტი ცალკე

წიგნად არის გამოცემული. ამ ნაშრომების თემატიკა ფართო და მრავალმხრივია: მათში გამოქვეყნებულია ქართული ენის გრამატიკის, მისი ისტორიის, დიალექტოლოგიის, ლექსიკოლოგიის, ლექსიკოგრაფიის, ონომასტიკის, აგრეთვე ზოგადი ენათმეცნიერების, ფოლკლორისტიკის, ლიტერატურათმცოდნეობის საკითხები.

მკვლევარი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის, მწერლის ენისა და სტილის საკითხებს. ამ მხრივ აღსანიშნავია ცალკე წიგნებად გამოცემული ნაშრომები: „მწერლის ენა“, „ენა და ლიტერატურა“, „იაკობ გოგებაშვილი და ქართული საერთო-სახალხო ენა“, „რუსთაველის ენის საკითხები“, „ილია ქვეკვიციას ენა“, „დავით გურამიშვილის ენა“, და სხვ. მეცნიერული ძიებანი ამ სფეროში თავმოყრილია წიგნში „ქართველ კლასიკოსთა ენობრივი მემკვიდრეობა“, რომელსაც გვერდს ვერ აუღლის ქართველ მწერალთა ენის საკითხებით დაინტერესებული ვერც ერთი მკვლევარი. აღსანიშნავია, რომ მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს, სწორედ იმ მწერალთა ენაზე, რომლებიც განსაზღვრეს ქართული სალიტერატურო ენის განვითარების მაგისტრალური ხაზი მეოთხეტიდან მეოცე საუკუნემდე.

შ. ძიძიგურმა გარკვეული ენობრივი დასახულებები მოუძებნა იმ ფაქტს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ენაში ორგანოდაა შერწყმული აღმოსავლურ-ქართული და დასავლურ ქართული ენობრივი ფორმები და ლექსიკური ერთეულები. მისი დასკვნით, ამის გასაღებს იძლევა სამხრეთ საქართველოს დიალექტური წრე — მესხური მეტყველება, რომელიც სტრუქტურულად აერთიანებს ჩვენი ენის შინაგან განშტოებებს... ამიტომ საფიქრებელია, რომ რუსთაველის ენას ასაზრდოებს, უპირველეს ყოვლისა, სწორედ სამხრეთ საქართველოს მეტყველება“.

ვაჟა-ფშაველას ენის პრობლემის განხილვისას მკვლევარმა უარყო ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში გაბატონებული აზრი, თითქმის ვაჟა თავის ლექსებსა და პოემებს ფშაურ კილოზე წერდა და სალიტერატურო ენის ნაცვლად დიალექტის გაბატონებას ცდილობდა მწერლობაში. მან დაასაბუთა, რომ ვაჟას პოეტური მეტყველება თავის არსებითს ნაწილში სალიტერატურო ენას ეყრდნობა, ხოლო დიალექტიზმებს მის ნაწერებში სტილისტიკური ფუნქცია აქვს.

შ. ძიძიგურმა მოიხილა და შეისწავლა დიდი ილიას მიერ შეგროვილი სალექსიკონო მასალის ფრაგმენტები, დაადგინა ამ მასალის წყაროები და გაარკვია მისი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიის ერთ-ერთი

თული ლექსიკოლოგიის ისტორიისათვის. მკვლევარმა აღწერა ენის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი მემკვიდრეობა, რომელიც ერთვის მწერლის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში. ჩვენი შესანიშნავი ბელეტრისტიკის ლექსიკას მკვლევარმა უძღვნა აგრეთვე პატარა, მაგრამ ფრიალ საყურადღებო გამოკვლევა, სადაც დადგენილია რამდენიმე სიტყვის ეტიმოლოგია და გასწორებულია ადრინდელ გამოცემებში დაშვებული შეცდომები.

შ. ძიძიგურის ეკუთვნის საყურადღებო გამოკვლევა ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდისათვის ბრძოლის ისტორიიდან. საერთოდ, ენის სიწმინდის დაცვას, სალიტერატურო ენის ნორმების მოწესრიგებასა და დანერგვას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მის სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში. ის არის ხსენებული ნორმების დამდგენი სახელმწიფო კომისიის წევრი, აგრეთვე — მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი.

მკვლევარის ალღოსა და ქართული ლექსიკის სიმდიდრისათვის ზრუნვის დასახასიათებლად საინტერესოა ასეთი ფაქტი: ქართული გავრდილი სიტყვა შინაბერა მან შესთავაზა ჩვენს სახელოვან მწერალს კ. გამსახურდიას, რომლის წყალობითაც ეს მოხდენილი სიტყვა დღეს სალიტერატურო ენაში უკვე მტკიცედ არის დამკვიდრებული.

თვალსაჩინოა შ. ძიძიგურის წვლილი ქართული ენის დიალექტების შესწავლის საქმეში. მან ერთ-ერთმა პირველმა დააჯგუფა ეს დიალექტები ფონეტიკური პროცესების საფუძველზე, მოიარა საქართველოს თითქმის ყველა კუთხე და შეკრიბა დიდძალი დიალექტოლოგიური მასალა, რომელიც წარმოდგენილია „ქართული დიალექტების ქრესტომათიაში“. დიალექტოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები თავმოყრილია წიგნში „ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან“. შ. ძიძიგურის ამ დიალექტოლოგიურ შტუდებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართველურ ენათა შედარებით-ისტორიული შესწავლის თვალსაზრისითაც.

შ. ძიძიგურმა პირველმა მიაქცია ყურადღება სამთლილო ენობის კვალს ქართულ ფოლკლორში და ჭერ კიდევ 1944 წელს უძღვნა ამ საკითხს საგანგებო გამოკვლევა. 1971 წელს კი ცალკე წიგნად გამოიცა შემაჯამებელი ნაშრომი ამ თემაზე: ნართული ენობის ქართული ვარიანტები (გამოკვლევა, ტექსტები რუსულ ენაზე)“.

ქართული ენის ისტორიისადმი მიძღვნილ ნაშრომთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია „კავშირები ქართულ ენაში“, რომელშიაც მონოგრაფიულად არის განხილული ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის ერთ-ერთი



მნიშვნელოვანი პრობლემა. აკადემიკოსი ა. შანიძე წერდა: „ავტორმა ამ ნაშრომში მიზნად დაიხაზა, ეჩვენებინა კავშირები ქართულში სალიტერატურო ენის ძეგლებისა და თანამედროვე ცოცხალი მეტყველების მიხედვით, გამოველინა მათი ფუნქციები, ურთიერთდამოკიდებულება, მორფოლოგიური შედგენილობა და, ამასთანავე ერთად, ნათელყო, თუ რა გვეუბნება კავშირების სემანტიკურ-მორფოლოგიური ანალიზი ქართული რთული წინადადების ისტორიისათვის. ავტორმა სათანადო მასალის შესწავლასა და დამუშავებას წლები მოანდომა და ნაყოფიც ჩინებული მიიღო: ვერც ერთი სპეციალისტი, რომელიც ქართული სინტაქსის საკითხებს იკვლევს, ვერც ვერც აუვლის შ. ძიძიგურის წიგნს, რომელიც მას უთუოდ დაეხმარება. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ქართული სინტაქსის საკითხები ნაკლებად და დამუშავებული, უნდა ვთქვათ, რომ ეს წიგნი უთუოდ კარგი შენაძინა მეცნიერებისათვის და თვალსაჩინო ადგილი უკავია ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში“. ჩვენი მხრივ, უნდა დავძინოთ, რომ ეს ნაშრომი შესანიშნავად ეხმარება თანამედროვე თეორიულ ენათმეცნიერებაში სინტაქსურ-სემანტიკური პრობლემებისადმი გაზრდილ ინტერესს.

დიდი მოწონება ხვდა წილად შ. ძიძიგურის ნაშრომს „ქართული ენა“, რომელშიაც მოცემულია ძირითადი და არსებითი ცნობები ქართული ენის შესახებ, სხარტად და გასაგებად არის დახასიათებული მისი სტრუქტურა, განვითარების გზა, შესწავლის ისტორია. ამ წიგნმა პირველი პრემია დაიმსახურა საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში. მას რეკენზიები უძღვნეს ცნობილმა უცხოელმა ქართველოლოგებმა: რ. ლაფონმა, ე. ბუიონმა, რ. გრუნიხმა, პ. ფენრიხმა და სხვებმა.

შ. ძიძიგურმა რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა ბასკური და კავკასიური ენების ურთიერთობის პრობლემას, რომელიც დიდი ხანია ცხოველ ინტერესს იწვევს. ამ პრობლემის ასპექტები საინტერესოდ არის განხილული და წარმორჩენილი წიგნში „ბასკები და ქართველები“.

სავანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ შ. ძიძიგური არის ქართული ენათმეცნიერების მონაპოვართა დაუცხრომელი პროპაგანდისტი. მის კალამს ეკუთვნის ფართო ერულიცობა და

ამავე დროს მიშვიდველად დაწვერულე ქაქცი-ერულ-პოპულარული ნაშრომებში „საქართველოს წარმოშობა და განვითარება“, „საენათმეცნიერო საუბრები“, „ქართული ენის თავდასადალი“. აქვე აღსანიშნავია მონოგრაფიები ჩვენს გამოჩენილ მეცნიერებზე — ნიკო მარზე, აკაკი შანიძეზე, გიორგი ახვლედიანზე.

შ. ძიძიგურის ცალკეული ნაშრომები გამოქვეყნებულია რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, ესპანურ ენებზე. თვითონ მას არაერთი მოხსენება აქვს წაკითხული საზღვარგარეთ (გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, პარიზში, ჩეხოსლოვაკიაში, საფრანგეთში, ესპანეთში). მისი მეცნიერული კონსულტაციებით ხშირად სარგებლობენ როგორც საბჭოთა, ისე უცხოელი კოლეგები. მის მოწაფეთა შორის ბევრი უკვე ცნობილი მეცნიერია.

მეცნიერულ მუშაობასთან ერთად შ. ძიძიგური მუდამ აქტიური საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწევა: ის არის საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის განყოფილების გამგობის თავმჯდომარე, ენათმეცნიერების დარგში დოქტორის ხარისხის მიმნიჭებელი საენივერსიტეტო სპეციალიზებული საბჭოს თავმჯდომარე, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის საბიბლიოთეკო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის თავმჯდომარე, ბასკური ენისა და კულტურის საზოგადოების თავმჯდომარე, იენის უნივერსიტეტისა (გლრ) და თბილისის უნივერსიტეტის ერთობლივი ყურანლის „გეოგრაფიის“ რედაქტორი, ყურანლ „მაცნეს“ რედაქტორის მოადგილე, სვანეთის კომპლექსური შესწავლის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, უნგრეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარის მოადგილე, ქართული ენციკლოპედიის რედკოლეგიის წევრი, „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის წევრი და სხვ.

სოლიდური ასაკის მიუხედავად იუბილარი პირად ცხოვრებაში მუდამ ხალისიანი, ენერგიით სავსე და ახალი საქმის წამოსაწყებად შემართული. იმედოვნებ, ის კიდევ ბევრი ნაშრომით გაამდიდრებს ჩვენს მეცნიერებას და წარმატებით დაავიგრძენებს არაერთ მნიშვნელოვან საქმეს მთელი ქართული მეცნიერების სასახლად და საკეთილდღეოდ.

მ. გამაყალიძე

წ. მუშაბერიძე

ქრონიკა და ინფორმაცია

მეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში*

1978 წ. 1 დეკემბერი

სხლმას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გვიგენიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 1038; 1039; 1040; 1041 (პროექტი მოამზადეს ც. კიკვიძემ, ნ. ავალიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუშმალიშვილმა, ნ. კოტეტიშვილმა, ნ. ცქიტიშვილმა); 1042; 1043 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გერიტიშვილმა, ლ. კიკვიძემ, ბ. მასხარაშვილმა, ე. ტურაბულიძემ).

1038 ძელი მოსტყდა და ავთანდილ დარჩა ნავდაულეწული;
შეშინდეს იგი ლაშქარი, გზა ძებნეს გარდასახტეწული;
ველარ გარდესწრნეს, გარდუხლტა მტერთა მი და მო მლეწული;
და არ დარჩა კაცი ცოცხალი მუნ მისგან დაუფრეწული.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1031) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. ს. ცაიშვილი: სტროფი არ არის A და D რედაქციის რიგ ხელნაწერში; შენაარსობრივად ახალს არაფერს იძლევა, შეიცავს ტავტოლოგიურ რითმას (ნავდაულეწული — მლეწული). ყველაფერი ეს მიუთითებს მის ჩანართობაზე. მიუხედავად ამ არგუმენტებისა, რედაქციას შესაძლებლად მიაჩნია სტროფის ძირითად ტექსტში დატოვება.

დაადგინეს: სტროფი დარჩეს ძირითად ტექსტში (წინააღმდეგი — ს. ცაიშვილი). პროექტი მიღებულ იქნა. ი. გვიგენიშვილის აზრით, პირველი ტაეპი, რიგი ხელნაწერის ჩვენების მიხედვით, ასე უნდა იკითხებოდეს: ძელი მოსტეხა, ავთანდილ დარჩა ნავდაულეწული.

სტროფის შენაარსი: ძელი მოსტყდა და ავთანდილი დარჩა ხომალდდაულეწული (დაულეწული გადაარჩა ვაჭრების ხომალდი); შეშინდნენ მოლაშქრენი, ეძებდნენ გასაქცევ გზას; ველარ გადასწრეს, გადაუხტა მტერთა მიმლეწ-მომლეწი (ავთანდილი); იქ არ დარჩა ცოცხალი კაცი, მისგან (ავთანდილისგან) დაუშავებულ-დაუფრეწული.

1039 მათ ლაშქართა გულუშეშრად ასრე ჰკოცდა, ვითა თხასა;
ზოგი ნავსა შეანარცხის, ზოგსა ჰყრიდა შიგან ზღუასა;
ერთმანერთსა შემოსტყორცის, რვა ცხრასა და ცხრა ჰყრის რვასა;
და დაყოლილნი მკუდართა შუა იმაღვიან, მალევე კმასა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1032) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ჰკოცდა (ხოცდა). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შენაარსი: იმ ლაშქარს გულუშეშრად ისე ხოცავდა, როგორც თხებს; ზოგს ხომალდს შეანარცხებდა, ზოგს ზღვაში ყრიდა; ერთმანეთს შემოსტყორცინდა, რვას ცხრას და ცხრას რვას შემოჰყრავდა; დაჭრილები მკვდრებს შორის იმალებიან ხმაგაყმედლინ.

ც. კიკვიძესა და გ. კარტოზიას მიაჩნიათ, რომ მეოთხე ტაეპის აზრი ასე უნდა გადმოიცეს: დაჭრილები მკვდრებს შორის იმალებიან, ხმას კმედენ.

1040 გაუმარჯუდა ომი მათი, ვითა სწაღდა მისსა გულსა.
ზოგთა ჰკადრეს ზენარბი: „ნუ დაგტყოცო, შენსა სჯულსა!“
არ დატოცნა, დამონნა, დარჩომოდა რაკა წყულუსა.
და მართლად იტყუის მოციქული: „შიში შეიქს სიუჭარუსა“.

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია“, 1974, №№ 3,4; 1975, №№ 1,3,4; 1976, №№ 1,3,4; 1977, №№ 3,4; 1978, №№ 1,2,3,4; 1979, №№ 1,2,3,4; 1980, № 4; 1981, № 3.



საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1033) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებები შეიქმნა (შეიქმნა). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: გაიმარჯვა მათთან ომში, როგორც ეწადა მის გულს. ზოგიერთებმა შეკადრეს დაფიცება: „ნუ დაგვხოცავ, შენს სჯულს გაფიცებით!“ არ დახოცა, დამონა, ვინც კრილობას ვაღარჩენოდა. სწორად ამბობს მოციქული: „შიში ქმნის სიყვარულს“.

1041 კაცო, ძალსა ნუ იქადი, ნუცა მოჰკეტებ ვითა მორვალი!
არას გარგებს ძლიერება, თუ არ შეგწვეს ღმრთისა ძალი!
დიდთა ხეთა მოერევის, მცირე დასწუავს ნაბერწვალი,
და ღმერთი გფარავს, სწორად გაჰკეთეს, შეშა ვის ჰკრა, თუნდა კრმალი.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1034) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ადამიანო, ძალსა ნუ იქადი, ნურც იყვებნი მთვრალივით! ძლიერება არაფერს ვარგებს, თუ ღვთის ძალა არ შეგწვეს! დიდ ზეგბს მოერევა, დასწუავს მცირე ნაპერწვალი, (თუ) ღმერთი გფარავს, ერთნაირად გაკეთეს, ჯობს ჰკრავ. თუ ხმაღს ვისმე.

1042 მუნ ავთანდილ საჰურტლენი მათეულნი დიდნი ნახნა,
ნავი ნავსა შეაბყუბა, ქარავანსა დაუზახნა.
უსამ ნახა მზიარულმან, — გავზარნეს, არ იახნა,
და ჰადარა ხობტა ქებად მისად, სასახავნი დიდნი სახნა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1035) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: იქ (შეკობრეთა ხომალდში) ავთანდილმა მათეული (=შეკობრებულ-სეული) დიდი ვანძი ნახა, ხომალდი ხომალდს შეაბყუბა (მიუყვანა), ქარავანს (შექარავნებს) დაუძახნა. უსამმა ნახა მზიარულმა, — გავზარდა, არ იოზრა, ხობტა მოახსენა მის საქებად, დიდი გამოსახტავი გამოხატა.

1043 ავთანდილის მაქებელთა ათსიმცა ენა ენდა,
ვერცა მათ თქუნან, ნაომრობა რაგჳარ ტურფად დაუშქენდა;
ქარავანმან იზრილა, თქუეს: „უფალო, მადლი შენდა!
და მზემან შუქნი შემოგჳადგნა, ღამე ბნელი გაგჳითენდა“.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1036) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ათსიმცა (ათასიცა), თქუნან (თქვეს); პირველი ტაგვის პოლოს ძახილის ნიშნის ნაცვლად დასმულია მიძიმე.

პროექტი მიღებულ იქნა.

ი. ვიკინეიშვილი მხარს უჭერს საიუბილეო გამოცემის წაყობას: ავთანდილის მაქებელთა ათასიცა ენა ენდა, ვერცა მათ თქუეს, ნაომრობა რაგჳარ ტურფად დაუშქენდა (=ავთანდილის მაქებართა ათასი ენა გაენდა, მაგრამ ვერც მათ თქვეს, თუ რა ღამაზად დაშვენდა ნაომრობა).

სტროფის შინაარსი: ავთანდილის მაქებართა ათასი ენა რომ გაენდეს (ენად იქცეს) (=ათასი ენა რომ ღამაზაგობდეს), ვერც ისინი იტყვიან, თუ რა ღამაზად დაშვენდა ნაომრობა; ქარავანმა იხუვლა, თქვეს: „მადლობა შენდა, უფალო! მზემ შუქი მოგვფინა, ბნელი ღამე გავიფთენდა“.

გ. კარტოზიას აზრით, ათასიმცა ენა ენდა = ათასი ენა რომ ენობდეს (=ღამაზაგობდეს).

1978 წ. 15 დეკემბერი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. ვიკინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განხილეს სტროფები: 1044; 1045; 1046; 1047; 1048 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გვრიტიშვილმა, ლ. კიკნაძემ, ბ. მასხარაშვილმა, ე. ტურაბელიძემ).

1044 მოეგებნეს, აკოცებდეს თავსა, პირსა, ფერკთა, ჴელსა;
ჰადრეს ქება უსაზომო მას ტურფასა საქებელსა, —
მისი ჴურტეა გააშმაგებს კაცსა ბრძენსა, ვითა ხელსა, —
და „შენგან დაერჩით ჩუენ ყუელანი ფათერაკსა ეზომ ძნელსა“.



საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1037) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებები შეიტანეს: სი (ვისი); მეორე ტაუპის ბოლოს მძიმის შემდეგ დასმულია ტირე, მესამე ტაუპის ბოლოს ორწერტილის ნაცვლად დასმულია მძიმე და ტირე. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მოეგებნენ, ჰკონინდნენ თავზე, პირზე, ფეხზე, ხელზე, უზომო ქება მოახსენეს მშვენიერ საქმეებს, — მისი ჰერეტა ხელივით (გივივით) აშმაგებს ბრძენ კაცს, — „შენი წყალობით გადაფურჩით ჩვენ ყველანი ასე ძნელ ფაფურაქს“.

1045 ყმაჰან უთხრა: „მადლი ღმერთსა, შემოქმედსა, არსთა მხალსა, ვისგან ძალნი ზეციერინი გააგებენ აქა ქმნადსა, იგი იქმან ყუტელაქასა, იღუმალსა, ზოგსა ცხადსა; და ვაჰს ყოვლისა დაჭერება, ბრძენი ჟერა მოწვენადსა.“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1038) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: გააგებენ (განაგებენ), ჟერა (სჯერა).

რედაქციის წევრებს მიანიჩით, რომ პირველი ტაუპის მხაღი ნაწარმოებია ხად- („მოხმობა, დაძახება“) ჰმნიდან.

აზროთა სხვაობას იწვევს მესამე ტაუპის წაკითხვა და გაგება.

ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ს. ცაიშვილი იცავენ პროექტის წაკითხვას და მიანიჩით, რომ ტაუპის აზრია: ისინი აკეთებენ ყველაფერს, ზოგს იღუმალს, ზოგს ცხადს.

ც. კიციძის აზრით, ტაუპი ასე უნდა წაიკითხოს: იგი იქმან ყუტელაქასა იღუმალსა, ზოგსა ცხადსა (=აკეთებენ ყველაფერს სიღუმლოს, ზოგს კი ცხადს).

ე. მეტრეველი მხარს უჭერს ამგვარ წაკითხვას და ტაუპის აზრი ასე ესმის: ისინი აკეთებენ ყველაფერს იღუმალს, რომელთაგან ზოგი ცხადია.

ი. გვიგინიშვილს საჭიროდ მიანიჩა ტაუპში მძიმის გაღასმა: იგი იქმან ყუტელაქასა, იღუმალსა ზოგსა, ცხადსა.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს პროექტის წაკითხვა.

სტროფის შინაარსი: მოყმემ უთხრა: „მადლობა ღმერთს, შემოქმედს, არსთა გამჩენს (არსთა მხმობელს), ვისგანაც ზეციური ძალები განაგებენ ამქვეყნად მოსახლენს, ისინი (ზეციური ძალები) არიან ყველაფრის, ზოგის იღუმალის, ზოგის ცხადის, მქნელნი; საჭიროა ყველაფრის დაჭერება (საჭიროა ყველაფერს დაეჭვრდეთ), ბრძენი სჯერდება მოსახლენს.“

1046 ღმერთმან სულსა ეგოდენსა თქუენ გათინა სისხლი თქუენი.

მე, ვაგლახ, რა ვარ? მიწა ცუდი; თავით ჩემით რამეა ექმენი?

აჲ დავტოცენ მტერნი თქუენნი, გავასრულენ, რაჲა ვთქუენი;

და ნავი სრულად საქონლითა მომიღია, ვითა ძღუენი“.

საიუბილეო გამოცემასთან (1039) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ღმერთმა თქვენ, ამდენ სულს, გააბატათ თქვენი სისხლი (შეგიწარუნუნათ სიცოცხლე). მე, ვაგლახ, რა ვარ? ფუჭი მიწა; ჩემით რას ვიზამ? ახლა დავხოცე თქვენი მტრები, შევასრულე, რაჲ ვთქვი; ნავი მთლიანად საქონლით მომიერთმევია, როგორც ძღუენი.

1047 ამოა, კარგსა მოყმესა რა ომი გამარჯუბოდეს,

ამხანავათოჲის ეჯობნოს, ვინცა მას თანახლებოდეს,

მიულოციდენ, აქებდენ, მათ აგრე მყოფთა სწებოდეს,

და შტენოდეს დაყოლიობა, ცოტაი რამე ენებოდეს.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1040) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გვიგინიშვილის აზრით, პირველ ტაუპში უკეთესია წაკითხვა: ამოა, კარგსა მოყმესა რომ ომი გამარჯუბოდეს.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს პროექტის წაკითხვა (რა ომი გამარჯუბოდეს), რომელსაც რედაქციულად განსხვავებული ხელნაწერები უჭერენ მხარს.

სტროფის შინაარსი: რა საამოა, კარგი მოყმე ომში რომ გამარჯვებს, თავის თანხლებს ამხანავებს აჯობებს, მიულოცვენ, შეაქებენ, მათ ასე მყოფებს (ნაჯობნებს) შერაცხვებით, დაშვენდება დაჭრილობა, მსუბუქად დაჭრილი იყოს.

ს. ცაიშვილის აზრით, პირველი ტაუპის შინაარსი ასე უნდა გადმოიცეს: რა საამოა, როდესაც კარგი მოყმე ომში გამარჯვებს.

1048 იგი ნავე მეკობრეთა მას დღე ნახეს, არ ახელეს,
 მუნ დებულთა საჭურჭლეთა ამარიცა ვით დათალეს!
 მათსა ნავსა გარდმოიღეს, ნავე სრულად გარდმოცალეს;
 და დაღწეს და ზოგი დაწუეს, შუშა დრამად არ გაცვალეს.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1041) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მეკობრეების ის ხომალდი (ვაჭრებმა) იმავე დღეს დაათვალიერეს, ჭვალისთვის არ გადადეს, იქ დაგროვებულ სიმდიდრეს როგორ დათვლიდნენ! თავიანთ ხომალდში გადმოიტანეს, (მეკობრეთა) ხომალდი მთლიანად დაცალეს, დაღწეს და ნაწილი დაწუეს, შუშა არ გაუყიდიან (დრამაში არ გაუცვლიათ).

1078 წ. 22 დეკემბერი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ს. ციციშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 1049; 1050; 1051; 1052 (პროექტი მოაშზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გვრიტიშვილმა, ლ. კიკნაძემ, ბ. მასხარაშვილმა, ე. ტურაბელიძემ).

1049 ავთანდილს უსამ მოართვა ვაჭართა შემოთვლილობა:
 „შენგან ვართ გამაგრებულნი, ჩუენ ვიცით ჩუენი ფრდილობა;
 რაცა გუაქუს, იგი შენია, ამას არ უნდა ცილობა,
 და რასაცა მოგეცემ, გუბოძე, გუბქენია აქა ყრილობა“.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1042) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ჩუენ ვიცით ჩუენი ფრდილობა (ჩვეცა გვაქეს ამის ზრდილობა).

პროექტი მიღებულ იქნა. რედაქციის წევრებმა აღნიშნეს, რომ ამ სტროფის მეორე ტაეპის სარითმო სიტყვად **ფრდილობა** ვტ-ის ხელნაწერებში თუმცა არ დასტურდება, მაგრამ კონიექტურის მიღების აუცილებლობა სარწმუნოდ არის დასაბუთებული ლიტერატურაში (ი. გიგინეიშვილი, ი. ლოლაშვილი).

სტროფის შინაარსი: უსამმა ავთანდილს გადასცა ვაჭრების შემონათვალი: „შენ მიერ ვართ გამაგრებულნი, ჩვენ ვიცით ჩვენი სისაწყლე (განწირულობა); რაც გვაქეს, ის შენია, ეს არაა სადავო, რასაც მოგეცემ, გვიბოძე, აქა ვართ შეყრილი“.

1050 ყმამან შესთქალა: „ჰე, ძმანო, წელანცა მოგისმენია,
 ღმერთსა შეესმა, ნაკადი რაცა თქუენ თქალთა გღენია,
 მან დაგარჩინნა; მე რა ვარ? მე, გლახ, რა მომიღხენია!
 და რა გინდა მომცეთ, რას ვაქნევ? მე ვარ და ჩემი ცხენია!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1043) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ჰე, ძმანო (ჰე ძმანო). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მიყემე შეუთვალა: „ჰე, ძმებო, წელანცა მოისმინეთ, ღმერთმა გაიგონა, რა ცრემლთა ნაკადი გღენიათ თვალებიდან, მან (ღმერთმა) გადაგარჩინათ; მე რა ვარ? თქვენთვის რა სიყეთე (რა ღებნა) მომიტანიო! რაც უნდა მომცეთ, რად მინდა? მე ვარ და ჩემი ცხენი!

1051 მე თუმცა რაცა მინდოდა საჭურჭლე დასადებელი,
 ჩემსაცა შქონდა ურციხტი, უსახო ღარ-საგებელი;
 რას ვაქნევ თქუენსა რას გინდა? ოდენ ვარ თანამხლებელი;
 და სხუგან რამე შიც სხუა საქემ თავისა წასაგებელი.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1044) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მე რომ მნდომოდა რამე შესანახი სიმდიდრე, შინაც ბევრი მქონდა ძვირფასი ქსოვილები და ნახ-საგებელი; რად მინდა თქვენი რამე? მხოლოდ თქვენი მხლე-



ბელი ვარ (მსხლებლობა მყოფენის); სხვაგან მაქვს რალაც სხვა თავგასაწირავი საქმე (საქმე რომელსაც შესაძლოა დასჭირდეს თავის გაწირვა).

1052 აწ რაცა აქა ეიშოვე საკურტულე დაუთნალავი,
რაცა ვის გინდა, წაიღეთ, არვისი ვიყო მლაღავი,
ერთსა ვიჯი, მიაჭეთ სააჯო არსაკრძალავი:
და საქმე რამე მიც თქვენშივა თავისა დასამალავი.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1045) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: თქვენშივა (თქვენშივან). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ახლა რაც აქ ეიშოვე აურაცხელი განძი, ვისაც რა გინდათ, წაიღეთ, არავისი მოშულარი არა ვარ (არავის გიშლით), ერთს გვეწვევებით, მათხოვინეთ არმოსარიდი სათხოვარი: რალაც საქმე მაქვს, რაც თქვენ შორის ჩემს დამალვას მოითხოვს.

1978 წ. 29 დეკემბერი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 1053 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გერიტიშვილმა, ლ. კიკვიძემ, ბ. მასხარიაშვილმა, ე. ტურაბელიძემ); 1054; 1055; 1056; 1057; 1058 (პროექტი მოამზადეს ც. კიკვიძემ, ნ. ავალიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუშმელიშვილმა, ნ. კოტიეშვილმა, ნ. ცქერტიშვილმა).

1053 ეამადის ჩემსა ნუ იტყვით არ თქვენსა პატრონობასა,
თუთი თვაღია ჩუენი-თქუა, ნუ მიკმობთ ჰაბუკობასა.
მე სავაჟროსა დაიწყებ, ჩაეიცუამ ჭუბაჩობასა:
და თქუენ შემინახეთ ნამუსი, თქუენსა და ჩემსა ძმობასა!"

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1046) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: დაიწყებ, ჩაეიცუამ (ჩაეიცვამ, დაიწყებ).

გ. კარტოზია: მესამე ტაეში ზნეები პროექტში წარმოდგენილი თანმიმდევრობით მხოლოდ A3 A4 ხელნაწერებში გვხვდება (მე ვაჟრობასა დაიწყებ, ჩაეიცუამ ჭუბაჩობასა), რაც ძველ წაითხვა ჩანს. ხელნაწერთა უმრავლესობაში ტაეპის გადაკეთება, ალბათ, სავაჟრო (=ვაჟრობა) სიტყვის ძველი მნიშვნელობის დაჩრდილვამ გამოიწვია (ამავე მიზეზით უნდა იყოს გამოწვეული A3 A4-ში სხვაგვარი ცვლილება: სავაჟროსა>ვაჟრობასა). ტაეპში რომ ჭუბაჩობის (=ჭუბაჩების) ჩაცმაზე ლაპარაკი და არა ჭუბაჩობის დაწყებაზე, პოემის ტექსტი მოწმობს. შდრ. ავთანდილ ტანსა ჭუბაჩი ჩაიციუნა, დაჯდა სკამითა. 1057ჟ. -ობა სუფიქსის გამოყენება მრავლობითის ფორმანტის ფუნქციით ქართულში სხვაგანაც დასტურდება. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ვერაწერობით ნუ იტყვით, რომ თქვენი პატრონი (უფროსი) არა ვარ, თვით ჩვენი უფროსია-თქო, ნუ ახსენებთ ჩემს რაინდობას. მე ვაჟრობას დაიწყებ, ჩაეიცვამ ჭუბაჩებს (ვაჟრულ ტანსაცმელს); თქვენ შემინახეთ საიღუმლო, გაფიცებთ თქვენსა და ჩემს ძმობას!"

1054 ესე საქმე ქარავანსა გაეზარნეს მეტად დია;
მოვიდეს და თაყუანისცეს, ჰკადრეს: „ჩუენი იმედია,
რაცა აქა ჩუენ გუმართებდა, იგი თქუენვე გიჯიჯია,
და მას ვმსახუროთ, ვისი პირი მზისა პირად გაგუიცილია“.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1047) შედარებით შემდეგი ცვლილებაა: გიჯიჯია (გიჯიჯია).

ც. კიკვიძე: გიჯიჯია გრამატიკულად გაუმართავი, უაზრო ფორმაა, თანაც სულ რამდენიმე ხელნაწერში იკითხება. ხელნაწერთა უმრავლესობაში წარმოდგენილი გიჯიჯია საესეებით დამაკმაყოფილებელი წაითხვაა, როგორც ენობრივად, ისე რითმის თვალსაზრისითაც. რითმაა ია და არ არის საჭირო ენობრივი ნორმების დარღვევა რითმის გამიღივებისათვის.

რედაქციის წევრებმა გაიზიარეს ეს თვალსაზრისი.

პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ეს საქმე მოქარავენებს ძალიან გაუხარდათ; მივიდნენ და თაყვანი სცეს (ავთანდილს), უთხრეს: „(ეს) ჩვენი იმედია (სურვილია), რა სათხოვარიც ჩვენ გემართება, ის თქვენვე გითხოვიათ, მას ვემსახუროთ, ვისი სახეც მზის სახედ მიგვიჩნევია“.

1055 მუნით წავიდეს, იარეს, არ თურე ხანსა ზმიდიან,
მიხუდეს ტაროსსა ამოსა, ნიდაგ ამოდ ვლიდიან;
შუპრფინვიდიან ავთანდილს, ქებასა შესახმიდიან,
და მას მარგალიტსა მას ყმასა, კბილთავე ფერსა, სძლუნდიან.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1048) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: იქიდან წავიდნენ, იარეს, კი არ ყოვნდებოდნენ, კარგი ამინდი შეხედათ, სულ საამურად მიდიოდნენ; ავთანდილს შეხაროდნენ, ქებას ასხამდნენ, იმ მოყმეს (ავთანდილს) კბილისფერ მარგალიტებს უძღვნდნენ.

1056 ზღუა გაიარა ავთანდილ, მივა ტანითა მქვერითა.
ნახეს ქალაქი, მოცული გარე ბალისა ტვერითა,
გუარად უცხონი ყუაილნი ფერთა ბევრის ბევრითა.
და მის ქუეყანისა სიტურფე რა გაგავონო შეე რითა!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1049) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

მესამე ტაეპში ბევრისხვერითა დაიწერა ერთად. მეოთხე ტაეპში მიღებულ იქნა წაკითხვა: რა გაგავონო შე რითა. აღინიშნა, რომ მეფე I გამოცემის კონიექტურაა და გამოწვეულია რითმის გამართვის საჭიროებით. რედაქციას შესაძლებლად მიაჩნია არაზუსტი რითმის დატოვება.

სტროფის შინაარსი: ზღვა გაიარა ავთანდილმა, მიდის წერწყეტი ტანით. ნახეს ქალაქი, გარემოცული ხშირი ბაღებით, უცხო გვარის მრავალფერი ყვავილები. იმ ქვეყნის სილამაზე შე როგორ რა გაგაგებინო!

1057 მათ ბალთა პირსა დააბეს ნავი საბლითა სამითა;
ავთანდილ ტანსა ჯუბანი ჩაიციუნა, დაჯდა სკამითა;
მოსახნეს კაცნი მზიდავნი, დამიზღებულნი ღრამითა;
და იგი ყმა ვაჭრობს, თავადობს და თავსა მალავს ამითა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1050) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: იმ ბალის განაპირას დააბეს ნავი სამი თოკით; ავთანდილმა ტანს ჯუბა ჩაიციუნა, დაჯდა სკამზე; მოსახნეს ფულით დაქირავებული მტვირთავეები; ის მოყმე (ავთანდილი) ვაჭრობს, უფროსობს (მოქარავენებს) და ამით მალავს თავის ვინაობას.

1058 მოვიდა მისი მებაღე, ბალსა ეახლნეს რომელსა,
მას ყმასა უჭურეტს შეფრთხვით პირსა, ელვათა მკრთომელსა;
ავთანდილ უყმო, ეუბნა კაცსა არ სიტყუამეთომელსა:
და „ვისინი ხართ, ვინ ხართ, რა ჰქვიათ მეფესა აქა მქდომელსა?“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1051) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. რედაქციამ გაიზიარა ი. გიგინეიშვილის აზრი, რომ მესამე ტაეპში კაცსა არ სიტყუამეთომელსა ნიშნავს „კაცს, რომელსაც სიტყვა არ დასცდენია“.

სტროფის შინაარსი: მოვიდა იმ ბალის მებაღე, რომლის ახლოსაც იყვნენ, იმ მოყმეს (ავთანდილს) უცქერის აღტაცებით შუქთომომფენ სახეზე; ავთანდილმა მოუხმო, უთხრა კაცს, რომელსაც სიტყვა არ დასცდენია: „ვისინი ხართ, რა ჰქვიათ აქაურ მეფეს?“

1979 წ. 5 იანვარი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 1059; 1060; 1061; 1062; 1063; 1064 (პროექტი მოამზადეს გ. კეცელიძემ, ნ. ავალიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუშმაღლიშვილმა, ნ. კოტეტიშვილმა, ნ. ცქიტიშვილმა).

1059 „წერილად მითხარ ყუელაკაი, — ყმა მას კაცსა ეუბნების, —
რა ლარია უფრო ძვირად, ან იეფად რა იქსნების?“
ჰადრას: „უხედავ, პირი შენი მზისა პირად მემცენების;
და რაცა ვიცი, მართლად გაადრებ, მრული არა არ გემცნების.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1052) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: „დაწვრილებით მითხარი ყველაფერი, — მოყმე (ავთანდილი) იმ კაცს ეუბნება, — რა ქსოვილია უფრო ძვირად, ან იაფად რა იყიდება?“ უთხრა (მებღაღემ): „უყუყუბ და შენი სახე მზის სახედ მესახება; რაც ვიცი, სწორად გეტყვი, ტყუილი არაფერი არ მოგხსენდება.“

1060 ესეა ზღუათა სამეფო თქისა ათისა სავლითა,
თვით გულანშაროს ქალაქი, სავსე ტურფითა მრავლითა;
აქ მოდის ტურფა ყუელი ზღუა-ზღუა ნავითა მავლითა;
და მელიქ სურხავი კელმწიფობს, სრული სუთითა და დავლითა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1053) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ზღუა-ზღუა ნავითა მავლითა (ნავითა ზღუა-ზღუა მავლითა).

ა. ბარამიძე: მეორე ტაეპში უფრო სწორია წაკითხვა გულანშაროს ქალაქი, რომელიც რიგ ხელნაწერშია დატული. წაკითხვა გულანშაროს ქალაქი გულისხმობს, რომ გულანშარო ქვეყნის სახელია, სინამდვილეში კი ქვეყანას ზღვითა სამეფო ჰქვია, გულანშარო კი ამ სამეფოს ქალაქია.

რედაქციის სხვა წევრებმა აღნიშნეს, რომ გულანშაროს ქალაქი ისეთივე შესიტყვებაა, როგორც ორპირის ქალაქი, ბაღდადის ქალაქი, და კონსტანტინის შეცვლა საპირო არ არის.

დაადგინეს: დარჩეს წაკითხვა — გულანშაროს ქალაქი (წინააღმდეგი — ა. ბარამიძე).

გ. კარტოზიას საპიროდ მიაჩნია აღდგეს წაკითხვა ნავითა ზღუა-ზღუა მავლითა. შესიტყვება ზღუა-ზღუა მავლითა სხვა სიტყვით არ უნდა გაიკეთოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ტაეპის აზრი შეიცვლება.

რედაქციის დანარჩენ წევრებს შესაძლებლად მიაჩნიათ დარჩეს სიტყვათა ამგვარი წყობა: ზღუა-ზღუა ნავითა მავლითა (=ზღუა-ზღუა მავალი ნავით). დაადგინეს მიღებულ იქნეს პროექტის წაკითხვა (წინააღმდეგი — გ. კარტოზია).

ი. გიგინეიშვილის წინადადებით მელიქ-სურხავი დაიწერა დეფისით.

სტროფის შინაარსი: ესაა ზღვითა სამეფო, ათი თვის სავალი სივრცით, თვით გულანშაროს ქალაქი, სავსე მრავალგვარი სიღამაზით; აქ მოდის ყოველი სიკეთე ზღუა-ზღუა მავალი ნავით; მელიქ-სურხავი მეფობს, აღსავსე ბედნიერებითა და დოვლითით.

1061 აქა მოსლეთა გაყმდების, კაციცა იყოს ბერები:

სმა, გახარება, თამაში, ნიადაგ არს სიმღერები,

ზამთარ და ზაფხულ სწორად გუაქუტს ყუავილი ფერად-ფერები;

და ვინცა გუიცნობენ, გუნატარიან, იგიცა, ვინა მტრები.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1054) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: აქ მოსვლით გაყმაწვილდება, კაცი მოხუციც რომ იყოს: ნიადაგ არის. სმა, გახარება, ვართობა, სიმღერა, ზამთარსა და ზაფხულში თანაბრად გუაქუტს ფერად-ფერად-ყუავილები; ვინც გვიცნობს, შემოგუნატარიან, ისინიც, ვინც (ჩვენი) მტრები არიან.

1062 დიდვაჰარნი სარგებელსა ამისებრსა ვერ ჰპოვებენ:

იყიდიან, გაჰყიდიან, მოიგებენ, წააგებენ;

გლახა თუქ ერთ გამდიდრდების, სავაჰროსა ყოვლგნით ჰყრებენ;

და უქონელნი წელიწადმდის საქონელსა დაიდებენ.



საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1055) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. ექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: დიდვაჭარნი ამის მსგავს სარგებელს (ვერსად) ვერ ნახულობენ; ყიდულობენ, ყიდიან, იგებენ, აგებენ; გლახა (მათხოვარი) ერთ თვეში გამიღირდება, საქონელი ყოველი მხრიდან შემოაქვთ; არაფრის მჭონენი წლის თავამდე საქონელს დააგროვებენ.

1063 მე ვარ მებაღე უსენის, ვაჭართა უხუცესისა;
ესეცა გკადრო ამბავი, საქმე მისისა წესისა;
თუთი ესე ბალი მისია, თქვენი საღვამო დღესისა;
და პირველ მას მართებს ჩუენება ყოვლისა უტურფესისა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1056) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: ამბავი და საქმე აქ სინონიმები ჩანს. ტაეპის აზრია: ამასაც მოგახსენებთ, მისი წესის ამბავს.

გ. კარტოზია: თუ ასეა, უფრო მართებული იქნება ამბავი-ს წინაც დავსვათ მიძიე.

დაადგინეს: დაისვას მიძიე (ესეცა გკადრო, ამბავი, საქმე მისისა წესისა).

რედაქციის წევრებმა ყურადღება მიაქციეს, რომ ზოგ გამოცემაში (орпу) მეორე და მესამე ტაეპი ადგილშენაცვლებულია.

ი. გიგინეიშვილი: ტაეპის გადასმას აქვს საფუძველი. მესამე ტაეპი უშუალოდ აგრძელებს პირველი ტაეპის აზრს, მეოთხე კი — მეორისას.

ა. ბარამიძე: ტაეპებს ვერ გადავსვამთ. ხელნაწერთა ჩვენება ამას მხარს არ უჭერს.

გ. კარტოზია: იმისათვის, რომ გამოჩნდეს ტაეპთა შორის (განსაკუთრებით მეორესა და მეოთხეს შორის) შინაარსობრივი კავშირი, მესამე ტაეპი ტირეებით გამოვყოთ.

დაადგინეს: მეორე და მესამე ტაეპების ბოლოს ორწერტილისა და წერტილ-მიძიის ნაცვლად (ორივეგან) დაისვას მიძიე და ტირე.

სტროფის შინაარსი: მე ვარ უსენის, ვაჭართა უხუცესის, მებაღე; ამასაც მოგახსენებ, მისი წესის ამბავს, — თუთი ეს ბალი მისია, თქვენი დღევანდელი საღვამო, — პირველად მას უნდა აჩვენონ ყოველგვარი საუკეთესო საქონელი.

1064 რა შემოვლენ დიდვაჭარნი, მას ნახვენ და ძღუენსა სძღუნიან,
უჩუენებენ, რაცა ჰქონდეს, სხუაგან ლარსა ვერ გაკნინან,
უტურფესთა სეფედ დასხმენ, ფასსა მუნვე დაუთულიან;
და მათ მაშინვე ააზატებს, ვითა სწაღდეს, დაჰყიდიან.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1057) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

მეორე ტაეპის ბოლოს მიძიის ნაცვლად დაისვა წერტილ-მიძიე, მესამის ბოლოს კი — წერტილ-მიძიის ნაცვლად მიძიე. პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: დიდვაჭარები რომ შემოვლენ (ქალაქში), მას ნახულობენ და ძღვენს მიაართმევენ, უჩვენებენ, რაც უნდა ჰქონდეთ, სხვაგან საქონელს ვერ გახსნიან; ყველაზე ძვირფასს სამეფოდ გადასდებენ, (მის) საფასურს მაშინვე მიუთულიან, მათ მაშინვე თავის ნებაზე მიუშვებენ, როგორც მოესურვებათ, ისე ივაჭრებენ.

1979 წ. 12 იანვარი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიციძე, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 1065 (პროექტი მოამზადეს ც. კიციძემ, ნ. ავილიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუშმალიშვილმა, ნ. კოტეტიშვილმა, ნ. ცქიტიშვილმა); 1066; 1067; 1068; 1069; 1070 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გვრიტიშვილმა, ლ. კიციძემ, ბ. მასხარაშვილმა, ე. ტურაბელიძემ).

1065 თქუენებერთა საბატოთა მას მართებს გამოსტუნება;
დაწყენებელთა უბრძანებს, მართებდეს ვის დაყენება.
აწ იგი აქა არ არის, რას მარგებს მისი კსენება!
და გამოგებვა და წაყვანა მას მართებს, თქუენი ქენება.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1058) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: საბატოთა (საპატიოთა).

ც. კიკვიძე: ტექსტში შეტანილი ცვლილება იმით არის შეპირობებული, რომ ხელნაწერთა უმრავლესობაშია დატული. ამასთან საშუალო ქართლის ძეგლებში („ველმწიფის კარის გარიგებიდან“ დაწყებული) პარალელურად **საპატიო** და **საზაბატიო** იხმარება.

შ. ძიძიგური: არ არის გამორიცხული, რომ დისიმილაციური გამკლერების ეს ცნობილი პროცესი წარმოშობით ძველი მოვლენა იყოს.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს პროექტის წაკითხვა.

სტროფის შინაარსი: თქვენისთანა საპატიო (სტუმრების) მასპინძლობა მას ევალება; უბრძანებს მსახურებს, ვისაც ევალება (სტუმრების) დაბინავება. ახლა ის აქ არ არის, რას მარგებს მისი ხსენება: გამოგვება და თქვენი მიწვევა და შეპატიეება მას ევალება.

1066 ფატმან ხათუნ შინა არის, ხათუნი და ცოლი მისი,
პურად კარგი მასპინძელი, მზიარული, არ თუ მქისი;
მას ვაცნობო მოსლვა თქტენი, წაგიყვანოს ვითა თფისი;
და წინა კაცსა მოგაგებებს, ქალაქს შეხტალ ნათლიე, დღისა“.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1059) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ფატმან ხათუნი, მისი (უსენის) ქალბატონი და ცოლი, შინ არის, გულუხვი მასპინძელი, მზიარული, არა უქმერი; მას შეეატყობინებ თქვენს მოსლეს, წაგიყვანოს როგორც თავისიანს; წინ კაცს შემოგაგებებს, ქალაქში ნათლიე, დღისით შეხვალ“.

1067 აეთანდღლ უთხრა: „წადიო, აგრე ქმენ, რაცა გწადიან“.
მებაღე მირბის, იხარებს, ოფლნი ქტე მკრდამდის ჩადიან.
ხათუნსა უთხრა ამბავი: „მე ესე დამიქადიან,
და ყმა მოვა, მისი მჭტრეტელთა შუქი მზედ გაიცადიან.“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1060) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: მისი მჭტრეტელთა შუქი (მისთა მჭტრეტელთა შუქნი).

ა. ბარამიძე: მეორე ტავში იხარებს უნდა შეიცვალოს ზოგ ხელნაწერსა და III გამოცემაში წარმოდგენილი ახარებს ფორმით. შინაარსობრივად ეს უცანასკნელი გამართლებულია. (ფატმანს ახარებს მწვენიერი მოყმის მოსვლა). თავად მებაღეს კი რა ჰქონდა გასახარებელი!

გ. კარტოზია: იხარებს, რომელსაც უფრო უკერს მხარს გამოცემათა ტრადიცია, არც შინაარსობრივად არის ამ კონტექსტში გაუგებარი.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა ახარებს.

გ. კარტოზია: მეოთხე ტავში ორგვარი ცვლილებაა შეტანილი: 1) პირდაპირი ობიექტი (შუქნი) მხოლოდობითაა გადაყვანილი (შუქი); 2) კუთვნილებითი ნაცვალსახელი შუქ-სიტყვის მსაზღვრელად არის გაგებული და მასთან შეთანხმებული. თუ ასე არ მოვქიცით, შუქი მსაზღვრელი სიტყვის გარეშე რჩება და გაუგებარია ფრაზა: შუქი მზედ გაიცადიან. ტავში სიტყვათა ამგვარი ინვერსიული წყობა და ამის შედეგად გადამწერთა მიერ შეტანილი ცვლილებები (გათიშული მსაზღვრელის დაკავშირება უახლოეს სიტყვასთან) პოემაში სხვაგანაც დასტურდება.

ა. ბარამიძე: მისი ფორმა ხელნაწერებში არ დასტურდება, ამიტომ კონიექტურისაგან თავი უნდა შევიკავოთ.

ც. კიკვიძე: შემოთავაზებული წაკითხვა კონიექტურა კი არის, მაგრამ სხვა გზა არა გვაქვს, უნდა მივიღოთ. შუქ-სიტყვის უმსაზღვრელოდ დატოვება არ შეიძლება. ფრაზის ასეთი კონსტრუქცია და გადამწერთა მიერ ახლებურად გააზრანება ტაეპის შინაარსისა ეტ-ში ხშირად გვხვდება.

შ. ძიძიგურსაც მიანიჩა, რომ ფრაზის კონსტრუქცია რუსთველურია და ხელნაწერებში ტექსტის გადაკეთების საფუძველიც გასაგებია.

დაადგინეს: ტაეპის განხილვა გადაიღოს რედაქციის სრული შემადგენლობით შეკრებამდის. 1979.26.1-ის სხდომაზე ი. გიგინეიშვილმა და ს. ცაიშვილმა მხარი დაუჭირეს ტაეპის პროექტისეულ წაკითხვას. პროექტი მიღებულ იქნა.

რედაქციამ იმსჯელა მეორე ტაეპის სარიტომო სიტყვის ფორმის შესახებ. აღნიშნა რომ შინაარსობრივად უკეთესია ზმნის რელატიური ფორმა ჩახსდანი (რომელსაც ხელნაწერთა მეტი წილი უკერს მხარს), მაგრამ რიტომის საჭიროების გამო დატოვებულ იქნა აბსოლუტური ჩადიან.



სტროფის შინაარსი: ავთანდილმა უთხრა: „წადი, ისე მოიქეცი, როგორც გსურსო“. შემდეგ მივბრუნდით, ახარებდნენ, ოფლი მკერდადმდის ჩადის. ქალბატონს უთხრა (შეატყობინა) ამბავი: „მე ეს დამიქაღია, მოყმე მოდის, მის შუქს მკვრეტელები მზედ სახავენ.“

1068 ვაჟარი ვინმე პატრონი არს ქარაენისა დიდისა, საროსა მსგავსი ნაზარდი და მთუარე დღისა შტიდისა; შტენის ჭუბა და მოხტევა ძოწეულისა რილისა. და მე მივმო, მკითხა ამბავი და ნირი ლართა სყიდისა“.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1061) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ვილაც ვაჟარია, დიდი ქარაენის პატრონი, საროს (კვიპაროზის) მსგავსად ნაზარდი და შვიდი დღის მთვარე; უხდება ჭუბა და წითელი თავსაბურავი (თავსაბურავის მოხვევა). მე მიხმო, გამომკითხა ამბავი და ლარის (ძვირფასი საქონლის) მანანდა.

1069 ფატმან ხათუნს გაეხარნეს, გააგება მონა ათი, მოუკაზნა ქარაენსრანი, დააყენა ბარგი მათი. შემოვიდა ლაწუი ვარდი, ბროლ-ბალახში, მინა-სათი; და მისთა მჭტრეტთა დაუსახეს ვეფხსა ტოტი, ლომსა — თათი.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1062) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ლაწუი ვარდი (ლაწვი-ვარდი). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ფატმან ხათუნს გაუხარდა, ათი მონა გააგება, მოუმზადა ქარავსლები, ადგილი მიუჩინა მათს ბარგს. შემოვიდა (ქალაქში) ვარდის მსგავსი ლაწვი, ბროლ-ბალახში, მინანქარ-სათი (=ავთანდილი); მისმა მკვრეტელებმა შეუდარეს მისი ფეხი ვეფხს, ხელი — ლომს.

1070 ხარი გაქდა, შემოაყრბეს, ქალაქისა ერნი სრულად, იქით-აქით იჭრებოდეს: „უჭტრეტოთო ამას რულად!“ ზოგნი ნდომით შეპაფრფინვიდეს, ზოგნი იყენეს სულწასრულად; და მათთა ცოლთა მოიძულენეს, ქმარნი დარჩეს გაბასრულად.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1063) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: უჭტრეტოთო (უჭტვრეტოთო); მოიძულენეს, ქმარნი დარჩეს (მოიძულენეს ქმარნი, დარჩეს). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ხმა გეავარდა, ქალაქის ხალხი უკლებლად შეიკრიბა, იქით-აქით აწყდებოდნენ: „ამას როგორმე შევხედოთო!“ ზოგი სურვილით შეპაფრფინებდა, ზოგი სულწასული იყო; ქმრები შეიძულეს თავიანთმა ცოლებმა, (ქმრები) შერცხენილად დარჩნენ.



გარდაიცვალა ცნობილი ქართველი აღმოსავლეთმცოდნე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დავით ივანესძე კობიძე. 75 წლისთავზე უეცრად გამოვეყვდა ენერგიითა და შემოქმედებითი გეგმებით აღსავსე მეცნიერი, ქართული ირანისტიკის ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი, მრავალ ნაშრომთა ავტორი და ახალგაზრდა თაობის აღმზრდელი პედაგოგი. თითქმის ოცდაათი წელი განაგებდა იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ირანული ფილოლოგიის კათედრას.

დავით კობიძემ პირადი და მეცნიერული ცხოვრების მძიმე შრა განვილო. ღარიბი გლეხის ოჯახში დების მზრუნველობით აღზრდილმა ქაბუცმა დაულაღაე შრომით მიადწია ურთულესი ღარგის — აღმოსავლეთმცოდნეობის უმაღლეს მწვერვალებს. იყო მანამდე პედაგოგიური მოღვაწეობის წლები შორეული ხულოს რაიონში, ბოჰემური დღეები ოცდაათიანი წლების თბილისის პოეტურ წრეში (ტერენტი გრანელთან და გალაკტიონთან ერთად). ყოველივე ეს მან მოვეიანებით ცოცხლად აღწერა მოგონებათა წიგნში „როცა ახალი ცხოვრება იწყებოდა“, რომელიც ორჯერ გამოიცა (1971 და 1977 წწ.).

ოცდაათიანი წლების მიწურულიდან დ. კობიძემ მთელი თავისი ინტერესები მეცნიერებას მიუძღვნა. დიდი ივანე ჭავჭავაძის მცენების თანახმად ქართული კულტურის ისტორიის შესწავლა აუცილებლად მოითხოვდა მეზობელი ქვეყნების, მათ შორის ირანის, კულტურის ღრმა ცოდნას. დ. კობიძემ თავის სპეციალობად აირჩია სპარსული ენა და მწერლობა, განსაკუთრებით — ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობა. ამ მხრივ მან ღირსეულად გააგრძელა თავისი მისწავლებლების — პროფ. იუსტინე აბულაძისა და პროფ. კორნელი კეკელიძის მიერ დაწყებული საქმე. შემთხვევითი არ იყო, რომ 1946 წელს უკვე ომგადაზღველმა ახალგაზრდა მეცნიერმა თავისი სადოქტორო დისერტაცია სწორედ „შაჰ-ნამეს“ ქართულ ვერსიებს მიუძღვნა (მანამდე, 1938 წ. დ. კობიძემ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ახალი სპარსული მწერლობის აღმოცენების პირველი საუკუნეების შესახებ). ნაშრომი სრული სახით გამოქვეყნდა 1959 წ. („შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების სპარსული წყაროები“) და სათავე დაუდო ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის კვლევის მთელ სერიას. მეორე ტომი გამოქვეყნდა 1969, ხოლო მესამე — 1978 წელს. აქ მოიყარა თავი აღრე დაბეჭდილმა თუ ახლად დაწერილმა ნაშრომებმა „ეისრაჰიანის“, „ბახთიარ-ნამეს“, „ჩარადერიშინის“ და სხვა ნათარგმნი ძეგლების შესახებ, აგრეთვე უაღრესად საყურადღებო გამოკვლევებმა რუდაქის, ფირდოუსის, ნიზამის, ჯამის შემოქმედების საპრობლემო საკითხებზე.

დ. კობიძემ დაასრულა „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების ტექსტების გამოცემის საქმე. ცნობილია, რომ პირველი ტომი ჯერ კიდევ 1916 წ. გამოაქვეყნა იუსტ. აბულაძემ. 1934 წ., ფირდოუსის საიუბილეოდ გამოიცა მეორე ტომი (იუსტ. აბულაძის, ალ. ბარამიძის, პ. ინგო-

როყვას, კ. კეკელიძისა და ა. შანიძის რედაქციით). უკანასკნელი, მესამე ტომი დ. კობიძის გამოაქვეყნა 1975 წელს (გამოცემას დართული აქვს ვრცელი გამოკვლევა და ლექსიკონი). გარდა საკუთრივ ლიტერატურის ისტორიისა და ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობისა, დ. კობიძე იკვლევდა ტექსტოლოგიის, ფოლკლორისტიკის, ლექსიკოლოგიის, ლექსმცოდნეობის საკითხებს.

დიდი ადგილი ეკავა მის ცხოვრებაში პედაგოგიურ მოღვაწეობას. ამ მიზნით იყო განპირობებული „სპარსული ქრესტომათიის“ ორი ტომის შედგენა (1963 და 1967 წწ.) და ქართულ ენაზე პირველი „სპარსული ლიტერატურის ისტორიის“ დაწერა (1975 წ.). ეს ნაშრომები ერთგვარად აჯამებდნენ თანადროული ირანისტიკის მიღწევებს, ამავდროს, ზოგი რამ აქ ახლებურად იყო წარმოდგენილი.

დიდ დროს უთმობდა დ. კობიძე სარედაქტორო მუშაობას. მისი თაოსნობით დაარსებულ იქნა „აღმოსავლური სერია“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებისა მოიცავს ძალზე შინაარსიან სექლტანიან კრებულებს, რომელთაც დიდი როლი შეასრულეს ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის განვითარებაში. მისივე ინიციატივით ირანული ფილოლოგიის კათედრამ ორი კრებული უძღვნა სპარსულ-ტაჯიკური მწერლობის დიდი წარმომადგენლების რედაქცია და ჯამის იუბილეს (1957 და 1964 წწ.).

დ. კობიძემ ქართულად გადმოიღო სპარსული მწერლობის ნიმუშები (რუდაქის, ფირდოუსის, საადის თხზულებები).

მრავალი გეგმა დარჩა განუხორციელებელი განსვენებულ მკვლევარს, მაგრამ ის, რისი გაკეთებაც მან მოასწრო შეუსვენებელი შრომის შედეგად, საპატიო ადგილს უმკვიდრებს დავით კობიძეს ქართული მეცნიერების ისტორიაში. მისი მოულოდნელი წასვლით გამოწვეული ხარვეზის შევსებას მრავალრიცხოვანი მოწაფეები თუ მოახერხებენ, მაგრამ ამას დრო დასპირდება, რადგან რუდაქის სიტყვები რომ გაიხსენოთ, „თვალებს მოაკლდა მხოლოდ ერთი ადამიანი, ხოლო გონების ანგარიშით — ათასზე მეტი!“

ალექსანდრე ბარამიძე, ალექსანდრე გვახარია

უურნალ „მაცნეს“ ენისა და ლიტერატურის სერიის 1981 წლის ნომრების შინაარსი

ამხანაჯ ე. ა. შევარდნაძის სიტყვა დარბაზობაზე კრემლში 1981 წლის 19 დეკემბერს № 4.

ავალიანი გ., სვანეთი რევოლუციამდელ ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში — № 4, გვ. 79.

ასათიანი რ., სახელის სიღრმისეული კატეგორიების ტიპოლოგიური ანალიზი — № 1, გვ. 132.

ავციხაური ჯ., იდეოლოგიისა და მხატვრული საწყაროს ურთიერთმიმართებისათვის ქართულ პავიოგრაფიაში — № 1, გვ. 51.

ახობაძე ლ., ეფრემ ასურის თხზულებათა ქართული თარგმანების ურთიერთმიმართებისათვის — № 2, გვ. 110.

ბაბაევი ა., რესპუბლიკური პერიოდის თურქული დრამატურგიის ისტორიის შესახებ — № 1, გვ. 83.

ბარნოვი ნ., თანხმობათა კომპლექსები ანდიურ ენებში — № 1, გვ. 149.

ბიჩინაშვილი ც., გერმანული რთული სიტყვები და მათი ქართული შესატყვისები — № 3, გვ. 122.

გვახარია ვ., მარტივობა მუშაინისა და ქართული ჰიმნოგრაფიის საკითხები — № 1, გვ. 30.

გაფრინდაშვილი ქ., ადამიანის იდეალი „დავით გარეჯელის ცხოვრების მიხედვით“ — № 3, გვ. 58.

გვანცელაძე თ., უარყოფის არატიპური წარმოება აფხაზურ-აბაზურ ზმნებში — № 3, გვ. 142.

გრიგინიშვილი ბ., მასალები ქართული ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის — № 2, გვ. 126.

დანელია კ., უცხო ენათა გავლენის კვალი ძველი ქართული წერილობითი ძეგლებში ენაში — № 2, გვ. 139.



- თარგამაძე ნ., თოთხმეტმარცველიანი ტაეპის ორგავარი რიტმი მუხამბაზის ტიპის სტრუქტურულ სეგმში (ქართული მუსიკალური ტაეპი — № 2, გვ. 102.
- იაშვილი პ., მხატვრული თარგმანის თეორიის ზოგიერთი საკითხი — № 4, გვ. 18.
- კავთიაშვილი ვ., ქართული ლიტერატურული თემატიკა ჟურნალ „Kaukasische Post“-ის ფურცლებზე — № 4, გვ. 171.
- კლანდარიშვილი გ., ბიბლიის ლიტერატურული ადაპტაცია ქართველ რომანტიკოსთა პოეზიაში — № 1, გვ. 15.
- კეკელია მ., ფოლკლორი როგორც წყარო ქართული სამართლის ისტორიისათვის — № 1, გვ. 89.
- კეკელია მ., იურიდიულ ტერმინ „სისხლის“ შემცველი ერთი სტროფის გაგებისათვის „ვეფხისტყაოსანში“ — № 4, გვ. 106.
- კიზირია ა., -თვის||-ზე და გამო||-ზე თანდებულთა მონაცვლეობა — № 3, გვ. 117.
- კიზირია ნ., სამეტყველო ბგერის ასოციაცია ფერთან — № 1, გვ. 123.
- კილანავა ბ., ბასილ და გრიგოლის ეულტი საქართველოში — კი 4, გვ. 87.
- კომახიძე რ., რუსული ზმნებისა და სახელზმნების ევივალენტები ქართულ ფიზიკურ ტერმინოლოგიაში, № 4, გვ. 144.
- კორტავა ი., პერფექტი ინდოევროპულ და ქართველურ ენებში — № 1, გვ. 109.
- კოტაშვილი ლ., აღმოსავლური წარმოშობის ტერმინები ქართულ ხალხურ ზღაპრებში — № 3, გვ. 81.
- ლორთქიფანიძე ი., იოსებ გრიშაშვილი და თეატრი — № 2, გვ. 5.
- მეგრელიშვილი მ., ინდიკატივის აწმყო დროის ფუნქციები სხვადასხვა სისტემის ენებში (ინგლისური და ქართული ენების მაგალითზე) — № 3, გვ. 133.
- მელიქიშვილი ნ., სიტყვათწარმოება იოსებ ფლავიოსის თხზულების „ილდეველთა სიძველეთას“ ქართულ თარგმანში — № 4, გვ. 110.
- მესხია ნ., ქალთა სახეები აკაკი წერეთლის პოემებში, № 4, გვ. 45.
- მთვარელიძე ი., ვახტანგ მეექვსის სახე XVIII საუკუნის ქართულ პოეზიაში — № 4, გვ. 62.
- ნახუცრიშვილი ნ., პრეტერიტთან hi-პრეფიქსის ფუნქციის შესახებ კლასიკურ სპარსულში — № 4, გვ. 178.
- ნინუა გ., ერთი ქართული ხელნაწერის ისტორია — № 3, გვ. 93.
- პაზოვი ს., აბაზური ენის ზმნური ფრაზეოლოგიური ერთეულების სტრუქტურულ-გრამატიკული დახასიათება — № 4, გვ. 160.
- ქვანია გ., ზრძოლებისა და გამარჯვებების 60 წელი — № 1, გვ. 5.
- ერდანიას ს., ცენტრალური სიმბოლოს პრობლემა „ვეფხისტყაოსანში“ — № 2, გვ. 60.
- ერდანიას ს., ვეა-ფშაველას პოეტური სემანტიკის ანალიზის ცდა — № 4, გვ. 50.
- რაფაეა მ., ამონიოს ერმიასის თხზულებებში დადასტურებული გრამატიკული ხასიათის ცნობები — № 4, გვ. 128.
- სარიშვილი ე., -gil, -gilän, ginän ფორმათა შესახებ აზერბაიჯანულში — № 3, გვ. 154.
- სარჯველაძე ზ., ძიებანი ძველი ქართულის ლექსიციდან — № 1, გვ. 104.
- ტყეშელაშვილი მ., თანამედროვეობის ასახვის სპეციფიკა „გლახის ნაამბობში“ — № 2, გვ. 24.
- ყიფშიძე ც. ს. იორდანიშვილი რედაქტორ-გამომცემელი — № 2, გვ. 88.
- შალამბერიძე გ., ბასკურ კომპოზიტთა კლასიფიკაციისათვის — № 4, გვ. 154.
- შანიძე ა., უნებლიობის კატეგორია, თუ უნებლიობის ვნებითი? — № 4, გვ. 139
- შაყულაშვილი გ., აღექსანდრე ქაჭავაძის „მუხამბაზი“ ლათინურის შესახებ — № 2, გვ. 36.
- შეთეკაური გ., ხალხური ლექსის ექსპოზიციური ფორმულები — № 2, გვ. 73.
- ჩაველიშვილი თ., შალვა დადიანის უცნობი ფსევდონიმები — № 1, გვ. 42.
- ჩიქოვანი მ., საბჭოთა კავშირის ხალხების ეპოსის სერიული გამოცემისათვის ნაწარმოებთა შერჩევის პრინციპების შესახებ — № 1, გვ. 64.
- ჩიჩუა ნ., ლინგვისტური კატეგორიების სტატუსი მხატვრული პროზის ექსტენსიონალში — № 3, გვ. 101.
- ჩოლოყაშვილი რ., ცხოველთა ზღაპრის პერსონაჟის გაგებისათვის — № 3, გვ. 73.



- ჩხარტიშვილი რ., 30-იანი წლების ქართული პოეზია და ჟურნალი „მნათობი“ — № 3, გვ. 5.
- ცანაია ა., მითოსური ნაკადი ქართულ საბჭოთა რომანში — № 3, გვ. 27.
- ცოცხაძე ლ., იარაღისა და ადგილის აღმნიშვნელი დერეფაციული ველების ურთიერთ-ქმედება თანამედროვე სემიტიურ ენებში (არაბულსა და ებრაულში) — № 8, გვ. 156.
- ძეწელიძე რ., -ა, -იან, -ოვან სუფიქსთა ფუნქციისა და განაწილებისათვის გურიის ტობონიშიაში — № 1, გვ. 116.
- ჭრელაშვილი ლ., გალაკტიონ ტაბიძის გამოუქვეყნებელი პოემა „შაშვე“ — № 1, გვ. 176.
- ჭრელაშვილი ლ., ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ატრიბუციისა და გამოცემის ისტორიის საკითხები — № 2, გვ. 43.
- ჭრელაშვილი ლ., ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ატრიბუციისა და გამოცემის ისტორიის საკითხები — № 3, გვ. 45.
- ხინთიბიძე ა., ქართული ლექსმოდუნობა 60 წლის მანძილზე — № 4, გვ. 6.
- ხშიადაშვილი ც., აზერბაიჯანული ენის ხშულთა შედგარების ხარისხის შესახებ — № 2, გვ. 155.
- პარისი ა., ვნებიითი ქართულში — № 3, გვ. 109.

ცნობები და შენიშვნები

მეგრელიძე ი., ლიხვის ხეობის წარწერები და სხვა სიძველეები — № 2, გვ. 161.

პუბლიკაცია

სახოკია თ., ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფია — № 2, გვ. 181.

ტაბიძე გ., შანშე — № 1, გვ. 165.

მეცნიერთა იუბილე

- ახვლედიანი ვ., კონსტანტინე წერეთელი — № 2, გვ. 189.
- ბარამიძე ა., აკაკი გაწერელია (დაბადების სამოცდაათი წლისთავის გამო) — № 1, გვ. 178.
- ბარამიძე ა., მეტრეველი ე., ჯანაშია ნ., კალსტრატე სალია 80 წლისაა — № 3, გვ. 170.
- ბურჭულაძე გ., იხ. გიგინეიშვილი ი.
- გამყრელიძე თ., ქუმბურძე ზ., თვალსაჩინო მეცნიერი, ორგანიზატორი — № 4, გვ. 192.
- გიგინეიშვილი ი., ბურჭულაძე გ., ქეთევან ლომთათიძე — № 4, გვ. 188.
- მეტრეველი ე., იხ. ბარამიძე ა.
- ქუმბურძე ზ., იხ. გამყრელიძე თ.
- ჯანაშია ნ., იხ. ბარამიძე ა., მეტრეველი ე.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

- მურადიანი პ., პასუხი რეცენზენტს — № 3, გვ. 174.
- გასანოვი ბ. — ვ. ჯანგიძე, ინგილოური დიალექტი აზერბაიჯანში, 1978 — № 3, გვ. 182.
- უღალცოვა ზ. — ა. აღქსიძე, ბერძნული სარაინდო რომანის სამყარო, (XIII—XIV სს.), 1979 — № 2, გვ. 191.
- ფალავა კ. — ი. მარი, კ. ჩაივინი, წერილები სპარსულ ლიტერატურაზე, 1976 — № 1, გვ. 184.

ქრონიკა და ინფორმაცია

- ახალი წიგნები — № 2, გვ. 192.
- ბარამიძე ა., გვახარია ა., დავით კობიძის ხსოვნას — № 4, გვ. 205.
- გვახარია ა., იხ. ბარამიძე ა.
- ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში — № 3, გვ. 183; № 4, გვ. 195.
- საღოჭტორო დისერტაციათა თემების დამტკიცება — № 3, გვ. 173.

6 18 / 104

ფასი 1 მკბ.

Индекс 76 198

